

ათონის ივირობის მონასტერი

ISBN 978-9941-33-102-2  
9 789941 331022



ნათარებები პატიო გრაფიკული ქექური დოკუმენტები ნაწილი I

ათონის მწიგნითხოვ-ლიტერატურული  
სკოლის ნათარებები

ჰაგიოგრაფიული ქექური დოკუმენტები

ნაწილი I

ქადაგი ათონის  
(მთაწმინდული)

ტომი I

ათონის მწიგნითობრულ-ლიტერატურული  
სკოლის ნათარჯმი

პაგინგრაფული ქედურიდობებია

ნაწილი I

შეთიძე ათონელი  
(ძთაწმიდელი)

ტომი I



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2021

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6  
ე-726

ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

სამეცნიერო პროექტი „ათონის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მემკიდრეობის ელექტრონული აკადემიური გამოცემა (ნაწილი I)“ (გრანტი №FR \_ 19 \_ 4294) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘Electronic Scholarly Edition of the Translated Hagiographic Heritage of the Athos Scribal-Literary School (Part I)’ (Grant №FR \_ 19 \_ 4294) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

ტომის რედაქტორი:  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ქეთევან გიგაშვილი

© ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „ენივარსალი“

---

თბილისი, 0186, ქ. აღმაშენებას სახ. №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-101-5 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-33-102-2 (I ტომი)



წმიდა პეტონე ათონელი (ძთაწმიდელი)  
(X-XI ს.)

## **პროექტის სამეცნიერო კონსულტანტები:**

დღიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ციფრული ფილოლოგიის პროფესორი, ბირმინგემის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი **დევიდ ჩარლზ პარკერი**  
ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,  
**პროფესორი ქეთევან გიგაშვილი**

კრებული იბეჭდება ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.



წინამდებარე ბეჭდური გამოცემა ექვემდე  
ღვაწლმოსდღი ქუციერის,  
კონკრეტული კულტურული სახელმწიფო სამსახურის,  
უძრულის პირველთათბეჭდი ქუციერის, პროფესიონალ  
მინისტრის  
ნათელ ქავთარისს

„ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილი იყო აქამომდე, რაღამ გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და პრომისანი სავსე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი – ნაკლულევან და არა ესე ოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი.

ამისთვის მე, გლახავი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვეს, რომელ ქუეყანაა ქართლისაა ესრეთ ნაკლულევან იყო წიგნთაგან და დიდი ხარკებაა და მოღვაწებაა ვაწწუნე და შვილი ჩემი ეფთვმი განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებაა წარეპმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და ალინერნეს ჩუენ მიერ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისაშმობელისათა და ყოელთა წმიდათა, წიგნი, რაოდენიცა უძლეთ წერად“ (იოანე მთაწმიდელი).

„გამოჩენდა სამკულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაა და ქუეყანაა... თარგმანებაა წიგნთა აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა და გრეგორი და განმანათლებლად ნათესავისა ჩუენისა“ (გიორგი მთაწმიდელი).

„არა სცემდა განსუენებასა თავსა თვესსა, არამედ დლე და ლამეტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შეურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაა ჩუენი და ეკლესია. რამეთუ თარგმნნა წიგნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვად კნინღლა-და შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიკსენეთ, რაღამ მათ მიერ სხუათათვეცა ეუწყოს ქრისტეს მორწმუნეთა. რამეთუ არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რაღამ გამოცა აღვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესვეითართა ადგილთა“ (გიორგი მთაწმიდელი).

„წარვედ იერუსალიმად და მთაწმიდად, სამღვდელოთა მათ წმიდათა ადგილთა, და ვიხილენით და აღმოკითხენით ჭირმრავლობით ნაღვანნი მამათა ჩვენთა ქართველთანი, და ფრიად განკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვსწერენ. და აქა მოსრულნი ქართველნი ვინმე რასათვის ამათთვის არა გამოეძიებდა! და აღვსწერენით, რაოდენი შევიტყვენით იერუსალიმისათვის და მთაწმიდისა“ (ტიმოთე გაბაშვილი).

## შესავალი

ქართული წერილობითი კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელი ღირებულება აქვს ათონის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის მემკვიდრეობას. საბერძნეთში, ათონის მთაზე, ქართველების მიერ აშენებულ ივირონის მონასტერში, X-XII საუკუნეებში თავი მოიყარეს ქართველთა საუკუთხესო კულტურულმა ძალებმა და მიზნად დაისახეს თავიანთი თანამემამულეებისათვის გაეცნოთ დასავლეთის მონინავე კულტურა და ლიტერატურა და ამ მიმართულებით ამოევსოთ სიცარიელე ქართულ კულტურასა და მწერლობაში.

სწორედ ამ სკოლასთან არის დაკავშირებული ქართულ-ბერძნული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების გალრმავება. ბიზანტიური კულტურის ათვისების მიზნით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობა იქცა ათონის სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. ისინი არა მხოლოდ მონინავე ბიზანტიური მწერლობის ნიმუშებს თარგმნიდნენ ქართულად და ამით ხელს უწყობდნენ ქართულ მწერლობაში მონინავე დასავლური კულტურული ნაკადების შემოღწევას, რამაც უდიდესი გავლენა იქონია ქართული მწერლობის ევროპეიზაციის პროცესზე, არამედ ქართულ თხზულებებსაც თარგმნიდნენ ბერძნულად და ამით ამდიდრებდნენ ბიზანტიურ ლიტერატურას.

ბერძნული თხზულებების ქართულ თარგმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის ევროპული ფესვების შესწავლისა და თავად ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის ისტორიისათვის. ამ მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ბერძნული ორიგინალები დაკარგულია და ისინი მხოლოდ ქართულ თარგმანებშია შემოჩენილი, რაც მათ ორიგინალის მნიშვნელობას ანიჭებს.

შეუა საუკუნეების ბიზანტიია წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს მსოფლიო სააზროვნო თუ კულტურულ ცენტრს, ქრის-

ტიანული აღმოსავლეთის ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების წარმართველს, რომელმაც დროში გაუსწრო ეპ-როპის კულტურულ განვითარებას და, ფაქტობრივად, მოამზა-და კიდეც ნიადაგი დასავლური რენესანსისთვის. ასეთ ცენ-ტრთან მჭიდრო კავშირმა უდიდესი როლი შეასრულა ქართუ-ლი მწიგნობრობისა და კულტურის მიმართულებისა და ხასია-თის განსაზღვრაზე შეა საუკუნეებში.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველი მეცნიერები მიუთითებდნენ ათონური სკოლის ქართული თარგმანების აკადემიური გამოცემის აუცილებლობაზე, მაგ-რამ დღესაც, 21-ე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, ეს პრობლემა ისევ გადაუწყვეტელია. განსაკუთრებით ეს ჰაგი-ოგრაფიულ მასალაზე ითქმის. მართალია, არსებობს ცალკეუ-ლი ძეგლების პუბლიკაციები, მაგრამ არა მთელი კორპუსისა ერთი აკადემიური გამოცემის სახით.

ჰაგიოგრაფია ისტორიული მწერლობის ერთ-ერთი დარ-გია, რომელსაც არანაკლები დანიშნულება აქვს, ვიდრე წმინ-და ისტორიულ მწერლობას. წმინდანთა ცხოვრება-მარტვი-ლობის შემცველ ძეგლებში ხშირად ისეთი დეტალები და ცნობები გადმოიცემოდა, რომელიც უამთაალმწერლებს უყუ-რადღებოდ რჩებოდათ ხოლმე.

ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა გრძელვადიანი ფუნდამენ-ტური პროექტის ფარგლებში მიზნად დაისახა ქართული ლი-ტერატურისა და ტექსტოლოგიის სფეროში არსებული ამ ხარვეზის გამოსწორება და ათონის მწიგნობრულ-ლიტერატუ-რული სკოლის ჰაგიოგრაფიული უანრის მთარგმნელობითი მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლა.

პროექტის I ნაწილი ითვალისწინებს ათონის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებლისა და თვალსაჩინო წარმომადგენლის – ექვთიმე ათონელის (მთაწმიდელის) მიერ ნათარგმნი კიმე-ნური რედაქციის ჰაგიოგრაფიული ტექსტების შესწავლა-გა-მოცემას. პროექტის მომდევნო ნაწილები დაეთმობა გიორგი

ათონელისა და ათონის ივირონის მონასტერში მოღვაწე სხვა წმინდა მამათა ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ტექსტების კვლევა-პუბლიკაციას.

ექვთიმეს ღვაწლს ეპოქალური მნიშვნელობა აქვს ქართული ეკლესიის, კულტურისა და მწერლობის ისტორიაში. სწორედ მისი საქმიანობის შედეგად იქცა ათონის სკოლა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მძლავრ კერად. მისი მოღვაწეობა სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს: ბიბლიოლოგიას, ჰაგიოგრაფიას, ეგზეგეტიკას, პომილეტიკას, დოგმატიკას, პოლემიკას, ლიტურგიკას, ასკეტიკას, აპოკრიფებს, საეკლესიო სამართალს. ექვთიმეს თარგმანები საუკუნეების განმავლობაში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მის ბერძნულ ენაში განსწავლისა და მთარგმნელად ჩამოყალიბებისათვის დიდად ულვაწია მამამისს – იოანე ათონელს (მთაწმიდელს). ამისი მთავარი მიზეზი კი ქართლის წიგნიერი ნაკლოვანება ყოფილა. იოანე წერს: „ამისთვის მე, გლასაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა – იოვანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვს, რომელ ქუეყანად ქართლისად ესრეთ ნაკლულევან იყო წიგნთაგან და დიდი ხარკებად და მოღვაწებად ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვიმი განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად ნარვპმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და აღინერნეს ჩუენ მიერ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეონებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ყოველთა წმიდათა, წიგნი, რაოდენიცა უძლეთ წერად.“<sup>1</sup>

როგორც ციტატიდან ჩანს, იოანე მრავლობითის ფორმას იყენებს: „აღინერნეს ჩუენ მიერ“-ო, რაც ბერძნულიდან თარგმნის პროცესში მის აქტიურ მონაწილეობას ადასტუ-

---

<sup>1</sup> ოქროპირი, 1996: 14.

რებს.

მთარგმნელობითი მოღვაწეობა ექვთიმეს იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების“ განმარტების თარგმნით დაუწყია. 1002 წელს უთარგმნია მათეს თავის განმარტება.<sup>1</sup> მან შექმნა ახალი ლიტერატურული სტილი, რომელიც თავისუფალ თარგმანს ეფუძნებოდა. მისი ლიტერატურული საქმიანობის ერთერთი ყველაზე მკაფიო დახასიათება ეფრემ მცირეს ეკუთვნის: „მას მადლითა სულისა წმიდისათა წელენითებოდა შემატებავცა და დაკლებავცა,“ – წერს იგი.<sup>2</sup> სწორედ ამ შეფასების საფუძველზე ათონელი მამის მთარგმნელობით სტილს სამეცნიერო ლიტერატურაში „კლება-მატება“ ეწოდა, რაც საჭიროებისამებრ სათარგმნი მასალის განვრცობას ან შემოკლებას გულისხმობს.<sup>3</sup> მისი საშუალებით ექვთიმე ქართველი მკითხველისთვის ტექსტს მარტივ აღსაქმელს ხდიდა და მეტად მოქმედებდა მის რელიგიურ-ემოციურ მხარეზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ თარგმნის აღნიშნული ხერხი შეპირობებული იყო არა იმდენად ენობრივი, რამდენადაც კულტურულ-რელიგიური კონტექსტით. ექვთიმე ცდილობდა ქართველი მკითხველისთვის აერიდებინა სავარაუდო სარწმუნოებრივი საფრთხეები, გაუგებრობები და სირთულეები, რაც თან ახლდა რელიგიური შინაარსის ტექსტების ინტერპრეტაციას შუა საუკუნეებში. მისი თარგმანები, ერთი მხრივ, ქრისტიანულ რწმენაში განამტკიცებდა ქართველებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინავე დასავლურ აზროვნებას აზიარებდა მათ.

ექვთიმეს თარგმანების სახით საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენასთან, რომელიც ნათელს ჰქონის, თუ როგორ შეიძლება მთარგმნელმა ენობრივი საშუალებები აქციოს საზოგადოების, ქვეყნის კულტურულ ვექტორებად, რომლებიც არა მხო-

<sup>1</sup> ოქროპირი, იქვე: 6.

<sup>2</sup> დამასკელი, 1976: 67.

<sup>3</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადი ლიტერატურა იხ. ტომის ბოლოს დართულ ლიტერატურის სიაში.

ლოდ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში, არამედ შემდგომაც, საუკუნეების განმავლობაში, განსაზღვრავდნენ ერის სულიერი თუ ინტელექტუალური განვითარების ძირითად ხაზს.

მდიდარი ბერძნული სალვოსმეტყველო ლიტერატურიდან ექვთიმე ათონელი სათარგმნ მასალად იმ ნაშრომებს არჩევდა, რომლებიც ყველაზე უკეთ ასახავდა იმ დროისთვის ამ სფეროში დაგროვილ ცოდნას და ქართველი ხალხის განათლების საჭიროებას ემსახურებოდა, ხოლო მათ თარგმანების სახით იმგვარად წარუდგენდა სალვოსმეტყველო საკითხებში ჯერ კიდევ ნაკლებად გაცნობიერებულ ქართველ მკითხველს, როგორადაც ყველაზე უკეთ წაადგებოდა მას.<sup>1</sup> ამითაც აიხსნება მისი თარგმანების უდიდესი პოპულარობა.

თავისი თარგმანებით ექვთიმემ ხელი შეუწყო არა მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესის გაძლიერებისა და სარწმუნოებრივი კუთხით ქართველი ხალხის განმტკიცების საქმეს, არამედ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებასაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე ათონელმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ევროპეიზაციის პროცესს, რომელიც მისმა შთამომავლებმა ღირსეულად გააგრძელეს.

ექვთიმეს მიერ თარგმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესახებ ცნობები რამდენიმე წყაროშია შემონახული. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მამამისის, იოანე მთაწმიდელის, ანდერძი. მისი მოკლე ვერსია დაცულია იოანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანების“ ექვთიმესეული თარგმანის ათონური ხელნაწერის პირველ წიგნში<sup>2</sup> (№13), სადაც ის უძლვის თარგმანის ტექსტს, ხოლო სრულად შემონახულია სწავლათა „ზანდუკთან“ ერთად

---

<sup>1</sup> Orzhonia, 2021: #11. <sup>2</sup>

ოქროპირი, 1996: 8.

(ათონური ხელნაწერის მესამე წიგნი, №10).<sup>1</sup>

იოანეს ანდერძი გამოაქვეყნა ათონის ხელნაწერთა შემ-სწავლელი ლაპორატორია „ორიონის“ სამეცნიერო ჯგუფმა მზექალა შანიძის რედაქტორობით 1996 წელს, სადაც ის უძ-ლვის იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექ-ვთიმე ათონელისეულ თარგმანს.

იოანე მთაწმიდელი ჩამოთვლის ექვთიმეს მიერ ნა-თარგმნ ჰაგიოგრაფიულ, ეგზეგეტიკურ თუ ჰომილეტიკურ თხზულებებს.

ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში დასახელებულია:

„წამებად და სასწაულნი წმიდისა მოწამისა დიმიტრისნი“;

„ცხორებად და წამებად წმიდისა სტეფანე ახლისა“;

„ცხორებად და წამებად წმიდისა კლემენტიოს პრომაელ-თა პაპისად“;

„წამებად წმიდისა კლიმი ანკვრელისად“;

„ცხორებად წმიდისა ბასილი კესარიელისად“;

„ცხორებად წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისად და თქუმულნი მისნი“;

„ცხორებად წმიდისა ბაგრატისის“;

„წამებად წმიდათა მინა ერმოგინეთი“;

„ცხორებად დიდისა ათანასესი“;

„წამებად წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელ-ფოს და კვრინესი“;

„ცხორებად წმიდისა ონოფრი მძოვრისად“;

„ცხორებად მარიამ მეგვეტელისად სრულად“;

„წამებად წმიდისა და ყოვლადქებულისა მოწამისა პრო-კოპისი.“<sup>2</sup>

გიორგი მთაწმიდელი თხზულებაში „ცხორებად იოვანესი და ეფთკმესი“ ასე აფასებს ექვთიმეს მთარგმნელობით მოღ-

<sup>1</sup> იქვე: 8.

<sup>2</sup> ოქროპირი, 1996: 14-15.

ვაწეობას: „თარგმანებითა წმიდათა წერილთავთა განანათლა და შეამკო ნათესავი და ენად ჩუენი და უამთა მრავალთა კე- თილად დამწყსო სამწყსო ესე მისდა რწმუნებული...“; „გა- მოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმი- დათა მოციქულთა...“; „თარგმანებად წიგნთად აქუნდა ნამეტ- ნავად ყოველთა სათნოებათა და გვრგვნად და განმანათლებე- ლად ნათესავისა ჩუენისა...“ „არა სცემდა განსუენებასა თავ- სა თჯსასა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგ- ნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენად ჩუენი და ეკლესია. რამეთუ თარგმნნა წიგნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუვა კნინდა-და შეუძლებელ არს, რომელ- თაგანნი რაოდენნიმე მოვიწსენნეთ, რათა მათ მიერ სხუა- თათვისცა ეუწყოს ქრისტეს მორჩმუნეთა. რამეთუ არა თუ ულუმბათა და მთაწმიდას ოდენ თარგმნნა, რათამცა აღ- ვრიცხუენით თითოეულად, არამედ სამეუფოსცა და გზასა და სხუათა ესევითართა ადგილთა.“<sup>1</sup>

ამის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი ჩამოთვლის ექვთიმეს მიერ ნათარგმნ თხზულებებს, რომლებიც დასახელებულია იოვანეს მიერ. განსხვავება ის არის, რომ გიორგის „პასილი კესარიელის ცხოვრების“ შემდეგ დამატებული აქვს „წამებად წმიდისა აკეფისმაასი“, „პროკოპის წამების“ შემდეგ კი სიას აგრძელებს და ასახელებს შემდეგ თხზულებებს:

„წამებად წმიდისა ფებრონიადესი“;

„წამებად წმიდისა ანთიმონი და წმიდისა ვლასისი და ორთა ბევრთად“;

„წამებად წმიდისა თეოდორე სტრატელატისად და თეო- დორე პკრგელისად და წმიდათა ევსტრატეთი; და წმიდისა ევ- სტათისი და შევილთა მისთად“;

„ცხორებად წმიდისა ნიკოლაოზისი“;

„ცხორებად წმიდისა დიდისა ანტონისი.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> მთაწმიდელი, 1967.

<sup>2</sup> იქვე.

როგორც გიორგი მთაწმიდელის თხზულებიდან ირკვევა, ექვთიმეს გაცილებით მეტი შრომა უნდა ეთარგმნა: „ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნი თარგმნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი. და უმრავლესნი ზემოთქუმულთა ამათ წიგნთაგანნი თარგმნა, ვიდრე-და მამავ მისი იოვანე ცოცხალ იყო.“<sup>1</sup>

ჩანს ისიც, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ დამატებული ნაშრომები მან მამამისის გარდაცვალების შემდეგ თარგმნა.

ექვთიმეს მიერ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს კორნელი კეკელიძე ორ დარგად ყოფს: კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციებად. იგი წერს, რომ უმეტესად მას ძველი, კიმენური რედაქციის, ძეგლები აქვს თარგმნილი. ასახელებს 19 ასეთ ნაწარმოებს, რომელთაგან 10 მამის სიცოცხლეში უნდა ეთარგმნა, ხოლო 9 – მისი გარდაცვალების შემდეგ. რამდენადაც ავტორი თხზულებებს რედაქციების მიხედვით აჯგუფებს, წარმოვადგენთ მის მონაცემებს.

მამის სიცოცხლეში თარგმნილ ძეგლებს შორისაა:

„წამებად და სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტ-რისა“;

„ცხორებად და წამებად წმიდისა სტეფანე ახლისა“;

„ცხოვრება ბასილი დიდისა, ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილი“;

„ცხოვრება წმიდისა აკეფსიმავსი“;

„წამება წმიდათა მინა და ერმოგინესი“, „ცხოვრება ათანასე ათონელისა“;

„წამება წმიდათა სამთა ყრმათა – ალფიოს, ფილადელფიოს და კკრინესი“;

„ცხოვრება წმიდისა ონოფრე მძოვრისა“;

---

<sup>1</sup> იქვე: 64.

„ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისა“;

„ცხოვრება იოანე სინელისა.“

მომდევნო 9 ნაწარმოებია:

„წამება წმიდისა ფებრონიადსი“;

„წამება წმიდისა ანთიმოესი“;

„წამება წმიდისა ვლასისი“;

„წამება წმიდისა თეოდორე სტრატილატისად“ (თარგმნილი 1013 წელს);

„წამება წმიდისა თეოდორე პერგიელისა“ (თარგმნილი იმავე წელს);

„წამება წმიდისა ევსტათისი და შვილთა მისთად“;

„წმიდათა მთავარანგელოზთა სასწაულნი, გერმანე კონსტანტინოპოლელის მიერ აღწერილნი“;

„ცხოვრება გრიგოლ დიოლოლონისა, ჰრომთა პაპისა“ (1011).

გარდა ამისა, ეფრემ მცირის ცნობით, ექვთიმეს უთარგმნია სვიმეონ მეტაფრასტის ორი ნაწარმოები: „წამება წმიდისა კლემენტოს, ჰრომთა პაპისა“ და „წამებად წმიდისა მონამისა ჰროკოპი დუქსისად“.<sup>1</sup> მეცნიერი დამატებით ასახელებს 7 ნაწარმოებს, რომელთა მეტაფრასული რედაქციაც უნდა ეთარგმნა ექვთიმეს:

„წამებად წმიდისა გიორგისი, აღწერილი სვიმეონ ლოლო-თეტის მიერ“;

„მარიამ მეგვიპტელისა, სოფრონ იერუსალიმელის მიერ აღწერილი“;

„ანტონი დიდისა“;

„ევსტრატესი, ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისა და მარდარისა“;

„კლიმი ანკვირელისა“;

---

<sup>1</sup> კეკელიძე, 1980: 207.

„ცხოვრება გრიგოლ ღვთისმეტყველისა, გრიგოლ ხუცის  
მიერ აღწერილი“;

„ორთა ბევრთაც.“

კორნელი კეკელიძე წერს, რომ ექვთიმეს მიერ ნა-  
თარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაგან ხელნაწერებში  
ჯერჯერობით არ ჩანს „ცხოვრება და წამება ფებრონიასი და  
ათანასე ათონელისა.“<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ,  
რომ „ფებრონიას წამების“ ექვთიმესული თარგმანი დაცუ-  
ლია ათონის კოლექციაში (Ath-79), ხოლო „ათანასე ათონე-  
ლის ცხოვრების“ ტექსტი არ არის შემონახული. იოანე და გი-  
ორგი მთაწმიდელები ამ თხზულებას მოიხსენიებენ, როგორც  
„ცხორებად დიდისა ათანასესი“, ხოლო კორნელი კეკელიძე,  
როგორც – „ცხოვრება ათანასე ათონელისა.“ როგორც ჩანს,  
ამ უკანასკნელმა ათანასე ათონელად წინა შრომებში ნახსენე-  
ბი ათანასე დიდი ჩათვალა. ენრიკო გაბიძაშვილმა ვარაუდი  
გამოთქვა, რომ ეს ათანასე უნდა იყოს არა ათონელი, არამედ  
ალექსანდრიელი,<sup>2</sup> რომლის ცხოვრების კიმენური რედაქციაც  
შემონახულია ხელნაწერში – Jer-2.<sup>3</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტის I ნაწილის მიზანი  
ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლე-  
ბის შესწავლა-გამოცემაა. I ტომით კი მკითხველს წარვუდ-  
გენთ მის მიერ თარგმნილ სამ ტექსტს. ესენია: „ცხორებად და  
წამებად წმიდათა მოწამეთა – ევსტათისი და მეუღლისა მისი-  
სა თეოპისტისი და შვილთა მათთა – აღაპისი და თეოპისტე-  
სი“; „წამებად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი  
და მის თანა წამებულთა მოწამეთად, რომელნი იწამნეს პერგე  
ქალაქსა, ქუეყანასა პანფილიისასა“; „წამებად წმიდისა და ნე-  
ტარისა ანთიმოს ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისად.“

<sup>1</sup> კეკელიძე, 1980: 207-208.

<sup>2</sup> გაბიძაშვილი, 2007: 93-96.

<sup>3</sup> გაბიძაშვილი, 2004: 121.

სამივე ტექსტის ავტორი უცნობია. „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ შესახებ ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ ეს თხზულება დაწერილი უნდა იყოს IV ს-ში და თარგმნილი კოპტურ ენაზე, სავარაუდოდ, VI-VII სს-ებში.<sup>1</sup> აქვე, დოკუმენტების სიაში, რაც ამ თხზულების შესახებ არსებობს, მითითებულია შემდეგი: პერგამენტზე შესრულებული გვიანი ანტიკური პერიოდის ორიგინალური ხელნაწერები; ლიტერატურის მიმართულებით – მარტვილობის აღნერა, ასევე – კოლოფონები, მარგინალები, სხვა წმინდა-ნებთან დაკავშირებული ტექსტები.

ენრიკო გაბიძაშვილის მიხედვით, „ევსტათის, მისი მეუღლისა და შვილების წამება“ ექვთიმე ათონელს X ს-ში უნდა ეთარგმნა. ქართული ტექსტი შემონახულია XI და XVIII სს-ების ხელნაწერ კრეპულებში. XI ს-ის ხელნაწერებიდან მეცნიერი ასახელებს Ath-28 (65v-87v) და Ath-17 (103r-115v) ნუსხებს და მიუთითებს, რომ ძეგლი გამოუცემელია, მისი პერძნული დედანი კი დაბეჭდილია გამოცემაში: Migne, Patrologia Graeca, 105, 376-417.<sup>2</sup>

მეცნიერის მსჯელობის მიხედვით, Ath-28-ც ექვთიმეს თარგმანი გამოდის. მითითებულ ხელნაწერში დაცული ტექსტი იწყება შემდეგნაირად: „ზ, თუესა სეკდენბერსა კე, სიმწენე და მოთმინება წმიდისა ევსტათისი, შვილთა და ცოლისა მისისა და მერმე შემდგომად წამებად – მესამესა წელსა მარკიანე მეფისასა იყო სპასპეტი ერთი მწენე ფრიად, რომელი მძღე იყო მარადის ყოველთა მბრძოლთა ზედა, გამოცდილი ფრიად და მონადირე ირემთა და ქურციკთა ...“. და მთავრდება ასე:

<sup>1</sup> Eustathius, his wife Theopiste, and their sons Agapius and Theopistus, martyrs in Rome under the early days of Hadrian: The Cult of Saints in Late Antiquity from its origins to circa AD 700, across the entire Christian world: <http://csla.history.ox.ac.uk/record.php?recid=S01804>

<sup>2</sup> გაბიძაშვილი, 2010: 158.

„...ხოლო წსენებად წმიდათად მათ და კეთილად მძღეთა მონა-  
მეთად აღესრულების [...] თთუესა სეკდენბერსა ოცდახუთსა  
ქრისტი იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდე-  
ბად უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (65r-78r).

Ath-17 ხელნაწერში დაცული ექვთიმეს ნათარგმნი ტექ-  
სტი არ თანხვდება Ath-28 ხელნაწერში შესულ ტექსტს, მაშა-  
სადამე, სხვა რედაქციისაა. ამიტომაც, კორნელი კეკელიძე  
აღნიშნული თხზულების ორ რედაქციას უთითებს: პირველი  
რედაქცია დაცულია Sin-25-სა (ცაგარელის კატალოგის მი-  
ხედვით, 74) და Ath-53-ში (ბლეიკით, Ath-28), ხოლო მეორე –  
Ath-17-ში.<sup>1</sup> ბოლო ხელნაწერში შემონახული ტექსტის მთარ-  
გმნელად ავტორი ასახელებს ექვთიმე ათონელს. სხვა ხელნა-  
წერებთან კი მთარგმნელის მითითება არ გვაქვს. იქვე ბერ-  
ძნული ტექსტის გამოცემად ნაჩვენებია: BHG 641.<sup>2</sup>

ევსტათის შესახებ არსებული ჰაგიოგრაფიული ტექსტი  
„ლეგენდა წმიდა ევსტათიზე“ შეუ საუკუნეების ქრისტიანულ  
სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრე-  
ბით XIII-XIV სს-ების საფრანგეთში. იგი დაწერილი ყოფილა  
რამდენიმე ენაზე: ლათინურად, ბერძნულად, ფრანგულად,  
ინგლისურად და ანგლო-საქსურად. ტექსტის ძირითადი მო-  
მენტები ასევე პოპულარული მოტივები ყოფილა ხელოვნების  
სხვადასხვა დარგისთვის. ისინი ასახვას პოვებდა სკულპტუ-  
რაში, კედლის მხატვრობაში, ხელნაწერ წიგნებში, ფერად შუ-  
შაზე, მინანქარზე, სპილოს ძვალზე.

თეოდორე პერგელის შესახებ ინფორმაცია, თავად ჰაგი-  
ოგრაფიული ტექსტის გარდა, თითქმის არ არსებობს არც  
ქართულ და არც ინგლისურენოვან ლიტერატურაში. უცნობია  
ნაწარმოების წარმომავლობა, ავტორი და დაწერის დრო. შე-  
საბამისად, არ ვიცით, ბერძნულია მისი ორიგინალური ენა

<sup>1</sup> კეკელიძე, 1957: 125.

<sup>2</sup> იქვე.

თუ სხვა რომელიმე ენიდან არის ბერძნულად თარგმნილი და შემდეგ იქიდან – ექვთიმე ათონელის მიერ გადმოქართულებული.

არ ვიცით თეოდორეს მონამებრივი აღსასრულის ზუსტი თარიღიც. მისი გარდაცვალების სავარაუდო დროდ მიჩნეულია იმპერატორ ანტონინეს მმართველობის წლები – 138-161.

„თეოდორე პერგელის წამების“ თარგმნის დროდ კორნელი კეკელიძე 1013 წელს მიიჩნევს,<sup>1</sup> ენრიკო გაბიძაშვილი – X ს-ს და აღნიშნავს, რომ არ არის გამოცემული არც ქართული თარგმანი (A-382, A-1103 და სხვა) და არც ბერძნული (უთითებს შემდეგ წყაროებს: *Bibliotheca Hagiographica Graeca*, F. Halkin, ტ. II, გვ. 276 და 1747-1747a-1747b).<sup>2</sup>

„ანთიმოზ ნიკომიდიის ეპისკოპოსის (+302 წ., 3. IX) წამების“ შესახებ კი წერს, რომ ქართული თარგმანი (Jer. 2, 22-30) გამოცემულია, თუმცა არ ასახელებს, სად.<sup>3</sup> ლიტერატურას ბერძნული ტექსტის შესახებ უთითებს შემდეგ წყაროს: *Acta Sanct., Apr. III, 482...* და აღნიშნავს, რომ „წამების“ სხვა ბერძნული ტექსტები ხელნაწერებით არის ცნობილი და გამოუცემულია (*Catal. Paris 195 (8), vatic. 544 (X-XI)* და სხვა). აქვე წერს, რომ არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს ქართულის დედანი.<sup>4</sup>

ამდენად, ჩვენს გამოცემაში პირველად იპეჭდება „ეპსტათის ცხოვრება და წამება,“ „თეოდორე პერგელის წამება“ და, სავარაუდოდ, „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამებაც“ (სულ მცირე, აკადემიური გამოცემის სახით).

ჩვენი პროექტის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ქართულ თარგმანებთან ერთად ბერძნული ტექსტების გამოქვეყნებაც

<sup>1</sup> კეკელიძე, 1980: 207.

<sup>2</sup> გაბიძაშვილი, 2010: 158.

<sup>3</sup> ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ამ ძეგლის პუბლიკაციას.

<sup>4</sup> გაბიძაშვილი, იქვე: 175.

(არსებობის შემთხვევაში). წინამდებარე ტომში მხოლოდ ერთს („ევსტათის ცხოვრება და წამება“) ეძებნება შესაბამისი ბერძნული ვერსია. ამიტომ, გამოცემაში, სამწუხაროდ, მხოლოდ მას ახლავს პარალელური ბერძნული ტექსტი.

ქართული ხელნაწერი ტრადიციისადმი უცხოელთა განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, ტომში შეტანილია ტექსტების ინგლისური თარგმანებიც.

პროექტის იდეა ეკუთვნის ღვაწლმოსილ მეცნიერს, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველთაობელს, ქართული ხელნაწერი ტრადიციის ამაგდარ მკვლევარს, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **მიხეილ ქავთარიას**, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შეესწრო მის განხორციელებას. სამეცნიერო ჯგუფი მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნით წინამდებარე ბეჭდურ გამოცემას.

ბატონი მიხეილის იდეა საპროექტო წინადადებად აქცია ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ქეთევან გიგაშვილმა.

პროექტი ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ბაზაზე ხორციელდება. ძირითად პერსონალს შეადგენენ წამყვანი დაწესებულების – ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის – წევრები, რომლებიც, ამავე დროს, წარმოადგენენ სხვადასხვა ორგანიზაციას (ვასახელებთ ცოტა ქვემოთ).

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ პროექტი პროდუქტია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბირმინგემის უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და ელექტრონული აკადემიური გამოცემის ინსტიტუტს შორის არსებული საერთაშორისო პარტნიორობისა, რომელ-საც საფუძველი ჩაეყარა სტრუქტურირებული სადოქტორო

პროგრამების განვითარების პროექტის<sup>1</sup> – „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ – ფარგლებში. ამ ინსტიტუტის დო-რექტორი 2005-2017 წლებში, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკა-დემიის წევრი დევიდ ჩარლზ პარკერი, აღნიშნული და აგრეთ-ვე წინამდებარე პროექტის უცხოელი კონსულტანტია.

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და კრიტიკული აპარატი დაურთეს ლია კიკნაძემ (კორნელი კეკე-ლიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგის დოქტორი), ქეთევან გიგაშვილმა (ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომა-რე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი), ირაკლი ორუონიამ (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პატ-რისტიკისა და დოგმატიკის კათედრის გამგის თანაშემწე, გე-ლათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი), გრიგოლ ბენდელიანმა (თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ეკლესიის ისტორიისა და ასკეტიკის კათედრის მოწვეული ლექტორი, ამავე სასწავ-ლებლის დოქტორანტი ეკლესიის ისტორიის მიმართულებით) და მაია ჯანგიძემ (ფილოლოგის დოქტორი). ბერძნულ მასა-ლაზე იმუშავა ირაკლი ორუონიამ. ტექსტები ინგლისურად თარგმნა ეკატერინე ჯინორიძემ. პროექტზე მუშაობამ გვიჩვე-ნა, რამდენად მნიშვნელოვანია სასულიერო ჟანრის თხზულე-ბათა კვლევის პროცესში ფილოლოგებისა და თეოლოგების თანამშრომლობა.

ტომის მომზადებაში განხული დახმარებისათვის მად-ლობას მოვახსენებთ ათონის ივირონის მონასტრის ბერს, ბიბლიოთეკის მესვეურს – თეოლოგოსს, რომელმაც ათონური ხელნაწერების ციფრული ვერსიები მოგვაწოდა და მათი

---


<sup>1</sup> განხორციელდა 2016-2019 წლებში (სამეცნიერო ხელმძღვანელები: ქეთევან გიგაშვილი და მაია ნინიძე).

ელექტრონული გამოცემის უფლება მოგვცა; ასევე – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს – მაას ნინიძეს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის უფროსს, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს – თამარ აბულაძეს, ამავე დეპარტამენტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს – ესმა მანიას, ამავე ცენტრის ბიბლიოთეკა-მუზეუმის უფროსს – ეკა გოგიჩაიშვილს, საფინანსო ადმინისტრაციული განყოფილების საქმისწარმოების სამსახურის მთავარ სპეციალისტს – ნათია ვეკუას, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს – ნანა ყარაულაშვილს, რომლებმაც გაგვიადვილეს პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევა.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ბეჭდური გამოცემის პარალელურად მომზადდა ელექტრონული აკადემიური გამოცემაც, რომელიც განთავსებულია პროექტის ბაზაზე შექმნილ სერვერზე (იხ. [www.athosschool.ge](http://www.athosschool.ge)).

სამეცნიერო ჯგუფი სიამოვნებით მივიღებთ თითოეულ საქმიან შენიშვნას და გავითვალისწინებთ შემდგომი მუშაობისას.

ଶ୍ରୀମତୀ



**ნეირა ევსტათი პლაკიდა**  
სენების დღე - 3 ოქტომბერი (20 სექტემბერი)

## [Cod. Iviron georg-17]

[103r] ცხორებად და წამებად წმიდათა მონამეთა – ევსტათისი  
და მეულლისა<sup>1</sup> მისისა თეოპისტისი<sup>2</sup> და შვილთა მათთა – ალაპი-  
სი და თეოპისტესი.<sup>3</sup> კირიელებისონ!<sup>4</sup>

არს კაცთა თანა წინამდებარე<sup>5</sup> ბუნებითიცა სწავლა<sup>6</sup>  
გამოსარჩეველად კეთილისა და ქმნად სათნოებათა, რომელი  
ასწავლის კაცსა, რაღა, რაღ-იგი თვით ენებოს სხვაგან, იგი  
სხუასა<sup>7</sup> უყოფდეს ეგრეთვე, და რაღთა ესრეთ ჰმადლობდეს  
ქველისმოქმედსა<sup>8</sup> ღმერთსა, ვითარ-იგი თვით მოელოდის სხუ-  
ათაგან,<sup>9</sup> რომელთა თანა კეთილი ექმნას, რაღთა ჰმადლობ-  
დენ.<sup>10</sup> ხოლო არს საღმრთოთაცა წერილთაგან წინამდებარე<sup>11</sup>  
სწავლა<sup>12</sup> კეთილისად<sup>13</sup> და საქმენი წმიდათანი, რომელნი, ვი-  
თარცა ხატნი სულიერნი, არიან და მიუწოდენ კაცთა მსგავ-  
სებად<sup>14</sup> მათთა<sup>15</sup> სათნოებათა.<sup>16</sup>

ხოლო სწავლისა მისთვის წერილთაგანისა არად საჭმარ  
არს თქუმად,<sup>17</sup> ვითარ მრავალ და ურიცხუ არიან. არამედ ბუ-  
ნებითისათვის ვინებე მრავალთა ჰირველ აღწერილთაგან ამი-  
სიცა აღწერა,<sup>18</sup> რომელსა-ესე ჭელვყავ, რომელი-ესე იქმნა  
უამთა ჩუენთა სარგებელად, რომელთა ესმოდის და გუ-  
ლისტმის საყოფელად მათა,<sup>19</sup> რომელნი იტყვან, თუ ან ვერ შე-  
საძლებელ არს ქმნად ესევითართა სათნოებათა,<sup>20</sup> ვითარ იქ-  
მოდეს პირველნი იგი, რაღთა ცნან ყოველთა, ვითარ არცა უა-  
მი, არცა განსაცდელი, არცა ზრდილობად სხუათა<sup>21</sup> სახითა  
შემძლებელ არს დახრწევად<sup>22</sup> კეთილთა საქმეთაგან, არამედ,

---

1. მეულლისა; 2. თეოპისტიასი; 3. + გვაკურთხენ მამაო; 4. –; 5. წი-  
ნამდებარე; 6. სწავლა; 7. სხუადსა; 8. ქუცლისმოქმედსა; 9. სხუადთა-  
გან; 10. ჰმადლობდეს; 11. წინამდებარე; 12. სწავლა; 13. კეთილისა;  
14. მსგავსებად; 15. მათდა; 16. სათნოებადთა; 17. თქუმა; 18. აღწერა;  
19. მათდა; 20. სათნოებათა; 21. სხუათა; 22. დაბრკოლებად.

უკუეთუ ვის ენებოს [103v] შედგომა<sup>1</sup> ბუნებითსა რჩულსა და სწავლასა მამათასა, ადვილად პოოს გზა<sup>2</sup> ცხორებისაა,<sup>3</sup> ვითარ-ესე ქმნეს ამათცა, რომელთათვეს ვიტყვ, რომელთა ცხორებადცა ვთქუა და აღსასრულცა<sup>4</sup> კეთილთად<sup>5</sup> საქმეთად<sup>6</sup> მიგითხრა.<sup>7</sup>

დღეთა მათ ტრაიანე მეფისათა, რაჟამს კერპთა<sup>8</sup> მსახურებასა<sup>9</sup> დაეპყრა სოფელი, დაადგინა მეფემან სტრატილატი ვინმე, სახელით პლაკიდა, რომელი-იგი იყო წორციელად ნათესავთა დიდთად<sup>10</sup> და მდიდარი ფრიად. უზეშთაეს იყო ყოველთა მთავართა მონაგებითა ოქროსა<sup>11</sup> და ვეცხლისა და მონათა<sup>12</sup> და სხვთა ყოვლითავე სიმდიდრითა და იყო ნარმართ<sup>13</sup> რჩულითა.<sup>14</sup> ხოლო საქმითა სიმართლისათა<sup>15</sup> შემკულ იყო, რამეთუ წელსა აღუპყრობდა ჭირვეულთა, შეეწოდა დაშვილთა და მრავალთა იქსნიდა სამშჯავროთაგან<sup>16</sup> საფასითა, შიშუელთა<sup>17</sup> შეპმოსდა, მშიერთა ზრდიდა; ყოველთა, რომელთა რა ეწმარებინ<sup>18</sup> მისგან, მისცემნ. და იყო ახალი კორნილიე მათ ჟამთა შინა.

ხოლო ესუა მეუღლე ეგევითარისავე<sup>19</sup> კეთილისა გონებისაა და ესხნეს მათ ორნი ძენი, რომელთა მასვე გონებასა<sup>20</sup> ზედა ზრდიდეს. და იყო კაცი იგი განთქმულ<sup>21</sup> და სახელოან<sup>22</sup> განმარჯუებასა<sup>23</sup> ზედა და ბრძოლასა, ვიდრელა ბარბაროზნი სახელისაგან ოდენ მისისა იშიშვოდეს, რამეთუ განმარჯუებულ<sup>24</sup> იყო ყოველსა ზედა და იყო ნადირობასაცა<sup>25</sup> ზედა მოსწრაფე. არამედ კაცომოყუარემან და სახიერმან ღმერთმან, რომელი მის<sup>26</sup> თვისთა სათნოთა მოუწოდს მისა, არა უგულებელსყვნა მისნიცა ქველის საქმენი, არცა ინება,

1. შედგომა; 2. გზა; 3. ცხორებისა; 4. აღსასრულიცა; 5. კეთილთა; 6. საქმეთა; 7. მიგითხრა; 8. კერპთ; 9. მსახურებასა; 10. დიდთა; 11. ოქროსა; 12. მონათათა; 13. ნარმართი; 14. შჯულითა; 15. სიმართლისათა; 16. სამშჯავროთაგან; 17. შიშუელთა; 18. რა ეწმარებინ] ეწმარებინ რა; 19. ეგევითარისავე] ეგევითარი სავსე; 20. ბუნებასა; 21. განთქმულ; 22. სახელოვან; 23. გამარჯუცბასა; 24. განმარჯუცბულ; 25. ნადირობასაცა; 26. მარადის.

რადთამცა კეთილი იგი გონებად მისი და ლირსი ღმრთისად<sup>1</sup> დაშთა<sup>2</sup> ბნელსა შინა კერპთმსახურებისასა, [104r] ვითარცა წერილ არს, ვითარმედ ყოველთა წარმართთა შორის, რომელსა ეშინოდის მისა და იქმოდის სიმართლესა, შეწყნარებულ არს მის მიერ. და მიინია მის<sup>3</sup> ზედა წყალობად ღმრთისად, რომელმან ინება<sup>4</sup> ცხორებად მისი ესრე სახედ.

რამეთუ განვიდა იგი დღესა ერთსა ნადირობად<sup>5</sup> მწედრებითურთ მისით ჩუეულებისაებრ<sup>6</sup> მისისა.<sup>7</sup> და პოეს სიმრავლე ირემთად<sup>8</sup> და განაწესნა ერნი თუსნი წესისაებრ და სდევდა მათ და შექცეულიყვნეს ყოველნი ნადირობასა<sup>9</sup> მას ირემთასა. იხილა მან ერთი ირემი, დიდი და შუენიერი,<sup>10</sup> რომელი განეშორა სიმრავლისა მისგან და ივლტოდა მაღნარით კერძო. და იხილა რა-იგი პლაკიდა, სდევდა მას მცირედთა მწედართა თანა. ხოლო ყოველნი მის თანა<sup>11</sup> დაშურეს და მოსწყდეს და იგი ხოლო სდევდა, რამეთუ განგებითა ღმრთისათა<sup>12</sup> არცა ცხენი მისი დაშურა, არცა თვთ უდებ იქმნა<sup>13</sup> სიძნელეთა მათ შინა.

და ესრეთ დევნასა მას შინა განეშორა ერსა თუსსა, ხოლო ირემმან მან პოვა კლდე ერთი, მაღალი და ავიდა მას ზედა. და მიინია სტრატილატი მახლობელად მისა და იგონებდა, თუ რომლითა ღონითა შეიპყრას იგი. ხოლო სახიერმან და ყოვლად ბრძენმან ღმერთმან, რომელმან თითოფერნი გზანი მოიპოვნა ცხორებისათუს კაცთადასა,<sup>14</sup> მოინადირა იგი ნადიროსა მის მიერ, არა ვითარცა კორნილიე პეტრეს მიერ, არამედ ვითარცა პავლე თვისითა გამოჩინებითა, რამეთუ, მიხედვიდა რად პლაკიდა ირემსა მას, დაუკრდა სიდიდე და შუენიერებად<sup>15</sup> მისი და იგონებდა,<sup>16</sup> ვითარ სახედმცა შეიპყრა იგი.

---

1. ღმრთისა; 2. დაშთად; 3. A: მისა; 4. ინებად; 5. ნადირობად; 6. ჩუეულებისაებრ; 7. –; 8. ირემთა; 9. ნადირობადსა; 10. შუენიერი; 11. მის თანა] მისთანანი; 12. ღმრთისათა; 13. თვთ უდებ იქმნა] იგი მოწყინებულ იქმნა; 14. კაცთასა; 15. შუენიერებად; 16. განიზრახვიდა.

უჩუენა<sup>1</sup> მას ღმერთმან<sup>2</sup> სასწაული არაშეუმსგავსებელი<sup>3</sup> ძალისა მისისა,<sup>4</sup> არამედ, ვითარცა ბალამის ზე მისცა ვირსა სიტყუად და ამხილა მას, ეგრეთვე აქა ყო. რამეთუ უჩუენა<sup>5</sup> რქათა ზედა მის ირმისათა სახც<sup>6</sup> პატიოსნისა ჯუარისა,<sup>7</sup> უბრნყინვალესი<sup>8</sup> ნათელსა მზისასა და შორის რქათა მისთა<sup>9</sup> ხატი პატიოსნისა გუამისა მისისაა,<sup>10</sup> რომელი ჩუენისა [104v] ცხორებისათვე შეიმოსა და წმად კაცობრივი მისცა ირემსა მას. და უწოდდა მას და ეტყოდა ორემისა<sup>11</sup> მის მიერ: „შ, პლაკიდა, რახსა<sup>12</sup> მდევნი? აპა ესერა, შენთვეს მოსრულვარ ცხოველსა ამას ზედა, რათა გეჩუენო.<sup>13</sup> მე ვარ იესუ ქრისტე, რომელი არა მიცი და მსახურებ, რამეთუ ქველისმოქმედებანი<sup>14</sup> შენნი, რომელსა<sup>15</sup> იქმ კაცთა მიმართ,<sup>16</sup> წარმომიდგეს<sup>17</sup> წინაშე ჩემსა და მოვედ, რათა გიჩუენო<sup>18</sup> თავი ჩემი და მოგინადირო ნადირისა ამის წილ, რომელსა შენ ეძიებ და შეგანყუდიო ბადეთა შინა კაცთმოყუარებისა ჩემისათა, რამეთუ არა ჯერარს, რათამცა მოქმედი ეგე საქმეთა კეთილთაა<sup>19</sup> ჰმონებდი ეშმაკთა არაწმიდათა და კერპთა მკუდართა, ყრუთა და უსულოთა, რამეთუ ამისთვეს გარდამოვწედ ქუეყანად, რათამცა ვაცხოვნე ნათესავი კაცთად.<sup>20</sup>

ხოლო ესმა რა ესე პლაკიდას სტრატილატსა, შეშინდა და გარდმოვარდა<sup>21</sup> ცხენისაგან ქუეყანად და, გარდაპყდა<sup>22</sup> რა უამი ერთი, მოეგო გონებასა თქსსა და აღდგა, რათამცა კეთილად<sup>23</sup> რა<sup>24</sup> განიცადა ხილული იგი სასწაული და თქუა:<sup>25</sup> „რა არს წმად ესე, რომელი მესმის? გამომიცხადე<sup>26</sup> თავი შენი კეთილად, რომელი-ეგე იტყვ, რათა მრწმენეს მე<sup>27</sup> შენი!“ და ჰრქუა<sup>28</sup> მას უფალმან: „გულისქმაყავ,<sup>29</sup> შ, პლაკიდა, მე ვარ

1. უჩუენა; 2. უფალმან; 3. A: არაშეუმსგავსებელი; 4. თვესისა; 5. უჩუენა; 6. სახც; 7. ჯუარისა; 8. უბრნყინვალეს; 9. მისთად; 10. მისისა; 11. ირმისა; 12. A: რასა; 13. გეჩუენო; 14. ქუცლისმოქმედებანი; 15. რომელთა; 16. თანა; 17. წარმომდგეს; 18. გიჩუენო შენ; 19. კეთილთა; 20. კაცთა; 21. გარდამოვარდა; 22. გარდაქდა; 23. კეთილადრე; 24. –; 25. თქუად; 26. + მე; 27. –; 28. ჰრქუა; 29. ...წმადყავ.

ქრისტე, რომელმან ცანი და ქუეყანად არაარსისაგან არსად მოვიყვანენ, რამეთუ განუყოფელი იგი ნივთი განვყავ, რომელმან ნათელი გამოვაჩინე და ბნელი უჩინოვყავ; მე ვარ, რომელმან ვქმენ მზც<sup>1</sup> განმანათლებლად<sup>2</sup> დღისა და [105r] მთოვარე და ვარსკულავნი მფლობელად<sup>3</sup> დამისა; მე ვარ, რომელმან უამნი და დღენი და წუთნი დავპძადენ; მე ვარ, რომელმან ვქმენ კაცი ქუეყანისაგან, რომელი ცხორებისათვს კაცთასა<sup>4</sup> მოვედ ქუეყანად, ჭორციელად გამოვჩნდი,<sup>5</sup> ჯუარს ვეც,<sup>6</sup> დავეფალ და მესამესა დღესა აღვდეგ.“

ესე რად ესმა სტრატილატსა პლაკიდას, დავარდა<sup>7</sup> ქუეყანად და თქუა:<sup>8</sup> „მრნმენა<sup>9</sup> შენი, უფალო, ვითარმედ შენ ხარ შემოქმედი ყოველთად,<sup>10</sup> მომქცეველი შეცთომილთად<sup>11</sup> და აღმაფნიებელი დაცემულთად<sup>12</sup> და ცხოველსმყოფელი მკუდართად.<sup>13</sup> ჰრქუა<sup>14</sup> მას უფალმან: „უკუეთუ გრწამს ჩემი, წარვედ<sup>15</sup> და მოუკედ ქალაქად<sup>16</sup> მღდელსა ქრისტეანეთასა და ითხოვე<sup>17</sup> მისგან მადლი ნათლისლებისად.“ და ჰრქუა<sup>18</sup> მას პლაკიდა: „უფალო, თუ<sup>19</sup> ჰპრძანო, მიუთხრა ესე მეულლესაცა ჩემსა და შვილთაცა<sup>20</sup> ჩემთა,<sup>21</sup> რათა მათცა ჰრნმენე შენ.“ ჰრქუა<sup>22</sup> მას უფალმან: „მიუთხარ და მიიღეთ ბეჭედი იგი ნათლისლებისად<sup>23</sup> და წმიდა<sup>24</sup> იქმენით<sup>25</sup> ცოდვათაგან თქუენთა და კუალად მოვედ<sup>26</sup> აქა და გეჩუენო<sup>27</sup> შენ და გითხრა ყოველი მომავალი და გამოგიცხადნე საიდუმლონი<sup>28</sup> ცხორებისანი.“

და გარდამოქდა პლაკიდა მთით და მწუხრსა მიუთხრა<sup>29</sup> ყოველივე ცოლსა მისას.<sup>30</sup> და ვითარცა აღასრულა თხრობად იგი ხილვისა მის, ჰრქუა<sup>31</sup> მას ცოლმან მისმან: „შ, უფალო ჩე-

---

1. მზც; 2. მნათობად; 3. მნათობად; 4. კაცთასა; 5. გამოვსჩნდი; 6. ვეცუ; 7. + კუალად; 8. თქუა; 9. მრწამს; 10. ყოველთა + და; 11. შეცთომილთა; 12. დაცემულთა; 13. მკუდართა; 14. ჰრქუა; 15. + ქალაქად; 16. –; 17. ითხოე; 18. ჰრქუა; 19. უკუეთუ; 20. შვილთა; 21. + და; 22. ჰრქუა; 23. ნათლისლებისა; 24. წმიდა; 25. იქმენით; 26. მოედ; 27. გეჩუენო; 28. საიდუმლონი; 29. უთხრა; 30. თკსა; 31. ჰრქუა.

მო, ჯუარცმული გიხილავს, რომელსა<sup>1</sup> ქრისტეანენი აღიარებენ, რამეთუ<sup>2</sup> იგი არს ლმერთი ჭეშმარიტი, რომელი ესევი-თართა სასწაულთა მიერ<sup>3</sup> მოუწოდს მორწმუნეთა მისთა.“ და იტყოდა იგი: „შემიწყალე მე, [105v] იესუ ქრისტე, და ორნი ესე ჩჩკლი ჩემი.“ და ჰრეზა ქმარსა თვესა: „გარდასრულსა ამას<sup>4</sup> ლამესა მეცა ვიხილე იგი და<sup>5</sup> მეტყოდა: „ხვალე შენ და ქმარი შენი და შვილნი შენი<sup>6</sup> მოხვდეთ ჩემდა და სცნათ, ვი-თარმედ მე ვარ უფალი იესუ ქრისტე.“ და გეჩუენა<sup>7</sup> შენცა ამით საკვრველითა ხილვითა,<sup>8</sup> რათა დაგიკურდეს ძალი მისი და გრწმენეს მისი.<sup>9</sup> მოვედ უკუე<sup>10</sup> ამას ლამესა და მოვილოთ ნათლისლება, რამეთუ მის მიერ შეეწყნარებიან მას სრულიად მორწმუნენი მისნი.“ და ჰრეზა<sup>11</sup> მას პლაკიდა: „ეგრეთ არს, რამეთუ ეგრეცა<sup>12</sup> მრეზა<sup>13</sup> მე, რომელი-იგი მეჩუენა<sup>14</sup> მე.“<sup>15</sup>

და შუვალამე<sup>16</sup> ოდენ აღიხუნეს შვილნი იგი<sup>17</sup> მათნი და მცირედნი მონანი და მივიდეს მღდელისა<sup>18</sup> ქრისტეანეთადსა.<sup>19</sup> და დაუტევნეს გარე მონანი მათნი და მიუთხრეს მღდელსა ყოველი იგი ხილვა.<sup>20</sup> და აღიარეს უფალი იესუ ქრისტე და ითხოვდეს მისგან ნათლისლებასა. ხოლო მან განიხარა და ადიდებდა უფალსა იესუ ქრისტეს, რომელსა პნებავს ყოველ-თა კაცთა ცხორება, და მეცნიერებასა<sup>21</sup> ჭეშმარიტებისასა მოსლვა.<sup>22</sup> და ასწავა მათ საიდუმლო<sup>23</sup> ქრისტეანობისა.<sup>24</sup> და ნათელსცა მათ<sup>25</sup> სახელითა მამისათა<sup>26</sup> და<sup>27</sup> ძისათა<sup>28</sup> და სუ-ლისა<sup>29</sup> წმიდისათა<sup>30</sup> და უწოდა პლაკიდას „ევსტათ“ და ცოლსა მისას<sup>31</sup> ტატიანეს „თეოპისტია“ და შვილთა მათთა – პირველსა უწოდა „აღაპი“ და მეორესა „თეოპისტე.“ და აზი-

---

1. რომელსა; 2. და; 3. მიერ სასწაულთა; 4. მას; 5. რამეთუ; 6. თქუ-ენი; 7. გეჩუენა; 8. + ირმისა მიერ; 9. –; 10. უკუე + და მივიდეთ; 11. ჰრეზა; 12. ეგეცა; 13. მრეზა; 14. მეჩუენა; 15. –; 16. შუვალა-მესა; 17. –; 18. მღდლისა; 19. ქრისტეანეთასა; 20. ხილვა; 21. მეც-ნიერებადსა; 22. მოსლვა; 23. საიდუმლო; 24. ქრისტეანობისა; 25. –; 26. მამისათა; 27. –; 28. ძისათა; 29. სულითა; 30. წმიდისათა. 31. მისასა.

არნა იგინი პატიოსანსა წორცსა და სისხლსა უფლისა<sup>1</sup> ჩუენი-სა იესუ ქრისტესა. და წარ-რა-ვიდოდეს,<sup>2</sup> ჰრქუა<sup>3</sup> მათ: [106r] „ქრისტე იყავნ თქუენ თანა და მოგმადლენ სასუფევე-ლი მისი და, თქუენ იქცეოდით რად სამოთხესა შინა, მოიქსე-ნეთ სული ჩემი<sup>4</sup> გლახაკისა იოვანესი. ჰე, გევედრები!“

ხოლო განთიად წარიყვანნა ევსტათი მცირედნი ცხე-ნოსანნი მის თანა და ავიდა<sup>5</sup> მთად და მიეახლა<sup>6</sup> ადგილსა მას, სადა-იგი<sup>7</sup> ეხილვა<sup>8</sup> ხილვა<sup>9</sup> იგი.<sup>10</sup> წარავლინნა მქედარნი ძიე-ბად<sup>11</sup> ნადირისა<sup>12</sup> და დაშთა მხოლოდ და დავარდა პირსა ზედა და იტყვოდა: „გევედრები შენ,<sup>13</sup> იესუ ქრისტე, მიცნობიეს, ვი-თარმედ<sup>14</sup> შენ ხარ ძე ღმრთისა<sup>15</sup> ცხოველისა<sup>16</sup> და მრნამს მა-მად,<sup>17</sup> ძე და სული წმიდა. და ან მოსრულვარ ვედრებად<sup>18</sup> ღმრთაებისა შენისა, რათა მიჩუენო,<sup>19</sup> რა-იგი აღმითქუ.“

და ჰრქუა<sup>20</sup> მას უფალმან: „ნეტარ ხარ შენ, ევსტათი, რამეთუ მიიღე საბანელი მადლისა ჩემისად<sup>21</sup> და შეიმოსე უკუ-დავება. ან გიძლევიეს უკეთურისა და ან დაგითრგუნავს დამთრგუნველი შენი. ან აღგიძარცუავს<sup>22</sup> ხრნნილი<sup>23</sup> და შეგი-მოსიეს უხრნნელი, რომელი ეგოს უკუნითი უკუნისამდე. ან გამოჩნდეს საქმე სარწმუნოებისა შენისად,<sup>24</sup> რამეთუ შურითა ალძრულ არს ეშმაკი შენ ზედა, რამეთუ დაუტევე იგი და ის-წრაფის ალძრვად შენ ზედა ყოვლისა ბოროტისა. და ჯერარს შენდა მოთმენა<sup>25</sup> სატანჯველისა<sup>26</sup> რავსამე, რომელ-იგი,<sup>27</sup> უკუეთუ მოითმინო, მიიღო გვრგვი ძლევისა. აპა ესერა, აპმალლდი ან მთამდე<sup>29</sup> საქმეთა შინა ამის საწუთროესათა.<sup>30</sup> ჯერარს უკუე<sup>31</sup> დამდაბ[106v]ლებად<sup>32</sup> შენი სიმაღლისა მის-

1. უფლისად; 2. წარ-რა-ვიდოდეს; 3. ჰრქუა; 4. ჩემ; 5. ალვიდა; 6. + რა; 7. სადა; 8. –; 9. ხილვა; 10. + ეჩუცნა; 11. ძიებად; 12. ნადირ-სა; 13. + უფალო; 14. რამეთუ; 15. ღმრთისა; 16. ცხოველისა; 17. მამა; 18. ვედრებად; 19. მიჩუცნო; 20. ჰრქუა; 21. ჩემისა; 22. AB: აღგიძრცეს; 23. + იგი კაცი; 24. შენისა; 25. მოთმენა; 26. განსაცდე-ლისაა; 27. რომელი იგი; 28. ძლევისა; 29. ან მთამდე] აქამომდე; 30. საწუთროესათა; 31. უკუც; 32. დამდაბლება.

გან<sup>1</sup> ამაობსა<sup>2</sup> და მეყსა შინა კუალად ამაღლებად<sup>3</sup> სიმართლი-თა მით სულიერითა.<sup>4</sup> ნუუკუ<sup>5</sup> შეშინდები, ნუცა მიხედავ ჯორციელთა მონაგებთა შენთა, არამედ, ვითარცა პპრძოდე რად კაცთა, ახოვან იყავ და ისწრაფდი სათნოყოფად მეფისა მოკუდავისა, ეგრეთვე ისწრაფე ან<sup>6</sup> ძლევად ეშმაკისა, რათა სათნომეყო მე, მეუფესა<sup>7</sup> უკუდავსა. რამეთუ ჯერარს ამათცა ჟამთა<sup>8</sup> გამოჩინებად მეორისა იობისი<sup>9</sup> განსაცდელთა შინა მძლედ ეშმაკისა. და იხილე, ნუუკუ<sup>10</sup> გულად შენდა გულის-სიტყუად რამე გმობისად<sup>11</sup> მოვიდეს, რამეთუ, ოდეს დამსდაბ-ლდე,<sup>12</sup> მოვიდე კუალად<sup>13</sup> შენდა და<sup>14</sup> პირველსავე დიდებასა<sup>15</sup> მიგაქციო. ან უკუ<sup>16</sup> გინებს<sup>17</sup> მოსლვად<sup>18</sup> შენ ზედა განსაცდე-ლისად<sup>19</sup> მის, ანუ უკუანადსკნელ?“

ჰრქუა<sup>20</sup> მას ევსტათი: „გევედრები, უფალო, უკუეთუ არა არს თანანარსლვად<sup>21</sup> განსაცდელისად<sup>22</sup> მის, ან უფროვასად<sup>23</sup> ბრძანე მოსლვად<sup>24</sup> მისი და მოგუეც<sup>25</sup> ძალი მოთმინებისად,<sup>26</sup> რათა არა მოვიდეს გულისსიტყუად რამე ბოროტი და შეგუ-არყინეს სარწმუნოებისაგან შენისა.“ ჰრქუა მას უფალმან: „მწერ იყავ და განძრიელდი,<sup>27</sup> ევსტათი [H-2077, 296r], რამეთუ მადლი ჩემი იყოს თქუებ თანა მცველად სულთა თქუენთა!“

და ესე რად თქუა უფალმან, ალვიდა ზეცად და გარდა-მოწდა ევსტათი მთით და უთხრა ცოლსა თვალსა ყოველივე იგი. და მოუდრიკნეს მუკლნი და ევედრებოდეს უფალსა და იტყოდეს: „ნებად შენი იყავნ, უფალო!“<sup>28</sup> და ცნა ევსტათი

1. ამისგან; 2. ამაოსა; 3. ამაღლება; 4. სიმართლითა მით სულიერი-თა] სულიერითა მით სიმდიდრითა; 5. ნუუკუ; 6. ან ისწრაფე; 7. მე-უფცისა; 8. ჟამთა; 9. გამოჩინებად მეორისა იობისი] მეორისა იობის გამოჩინებად; 10. ნუუკუ; 11. გმობისა; 12. დაპმდაბლდე; 13. –; 14. +კუალად; 15. დიდებასა; 16. უკუ; 17. გნებადვსა; 18. მოსლვა; 19. განსაცდელისა; 20. ჰრქუა; 21. თანანარსლვა; 22. განსაცდელისა; 23. უფროსად; 24. მოსლვა; 25. მოგუც; 26. მოთმინებად; 27. გან-ძრიერდი; 28. ამის შემდეგ B ხელნაწერში (H) ტექსტი ასე გრძელ-დება: „ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა შემოვიდა სენი სასიკუ-დინე სხეულსა მისსა. და მოსწყდეს მონანი და მწევალნი მისნი...“.

[106v], ვითარმედ მონევნულ არს<sup>1</sup> განსაცდელი იგი. და ჰმად-ლობდა უფალსა და ევედრებოდა ცოლსა თუსსა, რათა არა სულმოკლე იქმნას.<sup>2</sup>

და შემდგომად მცირედისა შევიდა სენი იგი ცხენთა და საცხოვართა მისთა და ყოველივე მოსწყდეს<sup>3</sup> [107r] და ყოველივე<sup>4</sup> შეიწყნარა მადლობით. ხოლო ერთსა დღესა განვიდა ცოლით და შვილითურთ<sup>5</sup> ლოცვად ადგილსა განშორებულსა.<sup>6</sup> და იხილეს კაცთა ვიეთმე უკეთურთა და მოვიდეს და წარიპარეს ყოველივე,<sup>7</sup> რაცა<sup>8</sup> ედვა<sup>9</sup> სახლსა მათსა ოქ-რო<sup>10</sup> და ვეცხლი და სამოსელი და მცველი სახლისანი მოსწყდნეს და არარა დარჩა<sup>11</sup> სიმდიდრისა მათისაგან,<sup>12</sup> გარნა რა-იგი ემოსა. და ესრეთ წარწდა ყოველი<sup>13</sup> სიმდიდრე მათი და განეშორნეს იგინი სახლისაგან თუსისა.

და იყო მათ დღეთა შინა დღესასწაული დიდი ძლევი-სათვს სპარსთავსა.<sup>14</sup> და იხარებდა მეფე და ჯერიყო მუნ მის-ლვად<sup>15</sup> ევსტათისიცა, რამეთუ სტრატილატი იყო<sup>16</sup> და თავი ყოველთა მთავართა. <sup>17</sup> და ეძიებდეს მას და ვერ ჰპოებდეს. და ყოველი განკურვებულ იყვნეს, თუ ვითარ ესრეთ მეყსა შინა<sup>18</sup> მისი სიმდიდრე<sup>19</sup> ესრეთ<sup>20</sup> წარწდა და არცალა თკო იპო-ების. და შენუხნა მეფე და ყოველი მთავარნი მისნი<sup>21</sup> მისთვს და ყოველნივე<sup>22</sup> განკურვებულ იყვნეს.

მაშინ ჰრეზუა<sup>23</sup> ევსტათის ცოლმან მისმან: „ვიდრემდის ვდგათ<sup>24</sup> აქა, უფალო ჩემო, მოვედ,<sup>25</sup> ალვისუნეთ ორნი ესე ჩჩილნი ჩუენნი, რამეთუ ესენილა<sup>26</sup> დარჩომილ არიან<sup>27</sup> ჩუენ-

- 
1. მონევნილ არს; 2. იქმნეს; 3. ყოველნივე მოსწყდეს] –; 4. ყოველ-ნივე; 5. ცოლით და შვილითურთ] ცოლითურთ და შვილით; 6. გან-შორებულად ლოცვად ადგილსა განშორებულსა] განშორებულსა ად-გილსა ლოცვად; 7. ყოველი; 8. რაა; 9. იყო; 10. ოქრო; 11. დაშთა; 12. სიმდიდრისა მათისაგან] სიმდიდრისაგან მათისა; 13. + იგი; 14. სპარსთასა; 15. მისლვა; 16. იყოთ; 17. მთავართა; 18. + ყოველი; 19. მისი სიმდიდრე] სიმდიდრე მისი; 20. –; 21. –; 22. ყოველი; 23. ჰრეზუა; 24. ვართ; 25. + და; 26. ესენი ოდენ; 27. დაშთომილ არიან.

და, და წარვიდეთ ამათ ქუეყანათაგან, რამეთუ საყუედრელ<sup>1</sup> ვიქმნენით მეცნიერთა ჩუენთა.“

და ესრეთ ღამით წარემართნეს გზასა მას ეგვეტისასა ორთა მათ შვილთა მათთა თანა. და შემდგომად მცირედთა დღეთა [107v] მივიდეს ზღვს კიდედ და პოვეს ნავი და შევი-დეს მას შინა. და იყო<sup>2</sup> მენავეთმოძღუარი მის ნავისად<sup>3</sup> უკე-თური და ბარბაროზი კაცი.<sup>4</sup> და იხილა რა ცოლი ევსტათისი, რამეთუ შუენიერ<sup>5</sup> იყო, შეუჩდა ეშმაკი გულსა<sup>6</sup> და, განვლეს რა ზღუად, ეძიებდა მათგან სასყიდელსა წარყვანებისა მათი-სათვს.<sup>7</sup> და ვითარცა არა<sup>8</sup> აქუნდა,<sup>9</sup> დაიმჭირა ცოლი ევსტათი-სი<sup>10</sup> მიზეზითა სასყიდლისათა. <sup>11</sup> ხოლო ყოველი ყო,<sup>12</sup> რადთამცა ჰყვა იგი თავისა თვისისა თანა, რამეთუ ესრეთ გა-ნეზრახა პირველითგან. ხოლო ევსტათი სიტყუაზუგებდა<sup>13</sup> რა, წამუყო მან მენავეთა მისი<sup>14</sup> შთაგდებად<sup>15</sup> ზღუად.<sup>16</sup> და ცნა რა ევსტათი განზრახვად<sup>17</sup> მათი, იძულებით დაუტევა ცოლი თვისი<sup>18</sup> და აღიზუნა ჩჩკლნი<sup>19</sup> იგი და წარვიდა და<sup>20</sup> მწუხარე-ბით იტყოდა: „<sup>21</sup> მე და თქუენ, რამეთუ დედა თქუენი მიეცა კაცსა უცხოთესლსა.“

და ესრეთ ვიდოდა რა სულთქუმით<sup>22</sup> და მწუხარებით, მიემთხვა მდინარესა ერთსა და სიდიდისათვს<sup>23</sup> წყლისა მის შე-ეშინა ორთავე ტკრთვად<sup>24</sup> და ესრეთ წიაღსლვად<sup>25</sup> და დაუტე-ვა ერთი მუნ და აღიქუა ერთი მწართა ზედა და წიაღიყვანა და დასუა ქუეყანასა ზედა და მოიქცა წარყვანებად<sup>26</sup> მეორი-საცა. და მოვიდა რა შორის მდინარესა,<sup>27</sup> მიხედნა<sup>28</sup> და იხი-ლა, ვითარმედ ლომმან წარიტაცა შვილი მისი და წარვიდა და

1. საყუცდრელ; 2. იყო; 3. ნავისა; 4. უკეთური და ბარბაროზი კა-ცი] კაცი უკეთური და ბარბაროზი; 5. შუენიერ; 6. გულად; 7. მათი-სასა; 8. არა; 9. + მათ; 10. ევსტათისა; 11. სასყიდლისათა; 12. A: იყო; 13. სიტყუაზუგებდა; 14. –; 15. შთაგდებად + მისა; 16. ზღუად; 17. განზრახვა; 18. მისი; 19. ყრმანი; 20. –; 21. ვა; 22. სულთქმით; 23. A: სიმდიდრისათვს; 24. ტკრთვა; 25. წიაღსლვა; 26. წარყვანებად; 27. მოვიდა რა შორის მდინარესა] ვითარ შევიდა სა-შუალ მდინარისა; 28. მიხედა.

წარიკუეთა<sup>1</sup> მისთვის სასოებაა. და მოიქცა მეორისა მის შვილისა<sup>2</sup> მიმართ და იხილა, რამეთუ იგიცა<sup>3</sup> წარიტაცა მგელმან. ხოლო იხილნა რა შვილნი თქსნი [108r] მწეცთა მიერ წარტაცებულ, უპყრა თმათა თქსთა და იფხურიდა და ენება შთაგდებაა<sup>4</sup> თავისა თქსისად<sup>5</sup> წყალსა მას მდინარისასა, არამედ დაიცვა იგი განგებულებამან<sup>6</sup> ღმრთისამან,<sup>7</sup> რომელმან იცის ყოველივე მომავალი და განვიდა იგი წყლისაგან.

ხოლო ლომმან მან აღილო ყრმაა<sup>8</sup> იგი და დაიცვა უნებელად და წიაღვლო მდინარე იგი ზემო კერძო<sup>9</sup> რა და მივიდოდა უდაბნოდ, და იხილეს მწყემსთა ვიეთმე ყრმაა<sup>11</sup> იგი,<sup>12</sup> ემჭირა რა ლომსა,<sup>13</sup> ცნეს, ვითარმედ უვნებელად არს<sup>14</sup> იგი. და განმწიდეს<sup>15</sup> განგებულებითა ღმრთისათა<sup>16</sup> და მისდევდეს მას ძალებითა და ნებითა ღმრთისათა შეშინდა ლომი იგი და დააგდო<sup>17</sup> ყრმაა<sup>18</sup> და ივლტოდა.<sup>19</sup>

და<sup>20</sup> კუალად რომელი-იგი მგელსა წარეტაცა, ეგრეთ ვე უვნებელად ეგო, რომელი-იგი იხილეს მუშაკთა ვიეთმე და ქმნეს ამბოხებაა<sup>21</sup> და მისდევდეს მას<sup>22</sup> და გამოუდეს<sup>23</sup> ყრმაა იგი. ხოლო ორნივე მწყემსნიცა და მუშაკნიცა<sup>24</sup> ერთისა დაბისანი იყვნეს. და აღიხუნეს ყრმანი იგი და აღზარდნეს.<sup>25</sup> და ესე<sup>26</sup> ევსტათი<sup>27</sup> არა იცოდა,<sup>28</sup> არამედ მივიდოდა გოდებით და იტყოდა: „ვამე, რომელი ოდესმე შუებულ<sup>29</sup> ვიყავ, ვითარცა ხლ,<sup>30</sup> ხოლო<sup>31</sup> ან განშიშულებულ ვარ; რომელი ოდესმე დიდებულ ვიყავ, ხოლო ან, ვითარცა ტყუე,<sup>32</sup> ვარ; რომელი ოდესმე მწედართა მთავარი ვიყავ და ბევრეულთა მიერ ვიდიდებოდე

- 
1. წარიკუეთა; 2. –; 3. + ეგრეთვე; 4. შთაგდება; 5. თქსისა; 6. განგებულებამან; 7. ღმრთისამან; 8. ყრმა; 9. კერძორე; 10. –; 11. ლომი; 12. + და; 13. ემჭირა რა ლომსა] –; 14. + ყრმაა; 15. განბლიერდეს; 16. ღმრთისათა; 17. დააგდო; 18. ყრმა; 19. ივლტოდა; 20. –; 21. ქმნეს ამბოხება] წმაა ყვეს; 22. –; 23. მოუდეს; 24. მუშაკნი + იგი; 25. აღიხუნეს ყრმანი იგი და აღზარდნეს] აღზარდნეს იგინი; 26. –; 27. + ვერარაა; 28. არა იცოდა] –; 29. შუცბულ; 30. ხე; 31. –; 32. ტყუე.

და ან მარტო<sup>1</sup> დარჩომილ ვარ,<sup>2</sup> არცა თუ შვილნი ჩემნი არი-ან ჩემთანა, არამედ შენ, უფალო, უფალო, სრულიად ნუ<sup>3</sup> და-მიტევებ,<sup>4</sup> [108v] ნუ უგულებელსპყოფ ცრემლთა ჩემთა. მაქსოვს, უფალო, ვითარმედ სთქუ:<sup>5</sup> „ჯერარს გამოცდად<sup>6</sup> შე-ნი, ვითარცა იობ.“<sup>7</sup> და, აპა ესერა, უმეტესსაცა ვხედავ, რამე-თუ,<sup>8</sup> დალაცათუ მას მონაგებნი არა აქუნდეს, არამედ ადგილი ერთი აქუნდა, სადა ჯდა სკორეთა ზედა, ხოლო მე უცხოება-სა<sup>9</sup> ამას<sup>10</sup> ამათ ბოროტა<sup>11</sup> თავსვიდებ. მას მეგობარნი<sup>12</sup> ჰყენს<sup>13</sup> ნუგეშინისმცემელად, ხოლო მე უდაბნოსა ამას მყვა-ნან მწეცნი, რომელთა ნუგეშინისცემა შვილთა ჩემთა<sup>14</sup> მიმი-ლეს. იგი დალაცათუ რტოთაგან გამოექუა, არამედ ძირი ჰყვა, ხოლო მე ყოვლით კერძო აღმოფხურილ ვარ და არცალა კუა-ლი ჩანს ნათესავისა ჩემისა,<sup>15</sup> არამედ, ვითარცა რტო<sup>16</sup> უდაბნოსა ზედა, ქართაგან ბოროტთა ვირყევი. ნუ მოიწყინებ, იესუ ქრისტე, მონასა შენსა, რამეთუ მრავლისვმეტყუელებ,<sup>17</sup> რამეთუ ტკივილთაგან გულისა<sup>18</sup> ვიძულები თქუმად: „დას-დევ, უფალო, საცო<sup>19</sup> პირსა ჩემსა და კარი მცველი ბაგეთა ჩემთა, რაღთა არა მისდრკეს<sup>20</sup> გული ჩემი სიტყუათა<sup>21</sup> მიმართ უკეთურებისათა და განვარდე პირისა შენისაგან და მომეც ამიერითგან დაცხრომა<sup>22</sup> მრავალთა მათ ჭირთა ჩემთა.<sup>23</sup>

და ამას რად იტყოდა სულთქუმითა სულისათა,<sup>24</sup> მო-ვიდა<sup>25</sup> დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდებოდა ვადისონ. და შე-ვიდა მას შინა. დაშურებოდა და მოირენდა საზრდელსა თვსსა. და დაყო მუნ უამი მრავალი და ევედრებოდა<sup>26</sup> მის და-ბისათა და დაადგინის<sup>27</sup> [109r] ვენაწისა<sup>28</sup> მცველად და აღ-

---

1. მხოლო; 2. დაშთომილ ვარ; 3. სრულიად ნუ] ნუ სრულიად; 4. და-მიტეობ; 5. + თუ; 6. გამოცდა; 7. იობისი; 8. + მას; 9. უცხოებასა; 10. –; 11. ბოროტთა; 12. მეგობარნი; 13. ჰყენებ; 14. ჩემთა; 15. ჩემისა; 16. რტო; 17. მრავლისვმეტყუელებ; 18. გულისათა; 19. A: სასოა; B: საცო; 20. მიდრკეს; 21. სიტყუათა; 22. დაცხრომა; 23. ჩემთა; 24. სულისათა; 25. მივიდა; 26. ევედრა; 27. დაადგინეს; 28. ვენაწის.

ლებდა სასყიდელსა თვისაა. და დაყო ესრეთ ათხუთმეტი წელი. და ძენი,<sup>1</sup> ვითარცა ვთქუ, აღეზარდნეს<sup>2</sup> სხუასა<sup>3</sup> მას დაბასა და არა იცოდეს, თუ ძმანი არიან.

ხოლო უცხო თესლმან მან წარიყვანა ცოლი მისი თვისა ქუეყანასა.<sup>4</sup> და ესევითარი მადლი მოვიდა დედაკაცსა მას ზე-და, რომელ ყოვლადვე ვერ მიეახლა<sup>5</sup> უცხო თესლი იგი, რამე-თუ ამას ითხოვდა ღმრთისაგან დედაკაცი იგი, რათა დაიც-ვას ზიარებისაგან<sup>6</sup> უცხო თესლისა მის.<sup>7</sup> და შემდგომად უამი-სა რავდენისამე<sup>8</sup> მოკუდა უცხო თესლი იგი. და<sup>9</sup> იყო ცოლი<sup>10</sup> ევსტათისი თავისუფლებით.<sup>11</sup>

და მათ დღეთა შინა ალდგეს უცხო თესლნი იგი, რო-მელთა შორის იყო ცოლი ევსტათისი. და გამოვიდეს და წარ-ტყუენეს<sup>12</sup> ქუეყანა<sup>13</sup> ფრიადი პრომთად.<sup>14</sup> და იყო მწუხარება-სა შინა მეფე და<sup>15</sup> იქსენებდა<sup>16</sup> პლაკიდას, ვითარ მრავალგზის ეძლია უცხო თესლთადა და უკურდა მისთვის. შეჰკრებდა უკუე<sup>17</sup> ერსა და განემზადებოდა ბრძოლად. და იკითხვიდა ყოველთაგან, თუ ვიდრე წარვიდა პლაკიდა, გინათუ<sup>18</sup> ცოც-ხალ არს, ანუ<sup>19</sup> მოკუდა. და განავლინნა კაცნი ყოველსა სო-ფელსა, რომელი იყო სამეუფოსა მისსა ქუეშე,<sup>20</sup> და ეტყოდა<sup>21</sup> მათ: „რომელმან პოოს იგი, პატივი დიდი მივსცე<sup>22</sup> და საფა-სე ფრიადი.“

ხოლო წარვიდეს ორნი მწედარნი ძიებად<sup>24</sup> მისა, რო-მელთა სახელები აკაკი და ანტიოხოს, რომელნი ოდესმე მსა-ხურნი იყვნეს მისნი და მოვლეს ფრიადი ქუეყანაზ [109v] და მრავალნი სოფელნი და მიინინეს მასცა დაბასა, სადა იყო ევ-სტათი. ხოლო ევსტათი იხილნა რად იგინი, შორით იცნნა. და

1. + მისნი; 2. ალიზარდნეს; 3. სხუასა; 4. თვისა ქუეყანასა] ქუეყანა-სა თვისა; 5. + მას; 6. შეუგინებელად; 7. უცხო თესლისა მის] –; 8. რავდენისამე; 9. + განთავისუფლდა მეუღლე; 10. იყო ცოლი] –; 11. –; 12. წარტყუშნეს; 13. ქვეყანა; 14. პრომთა; 15. –; 16. მოიქსენებდა; 17. უკუე; 18. ანუთუ; 19. გინათუ; 20. ქუეშე; 21. ეტ-ყოდა; 22. –; 23. პატივი დიდი მივსცე] მივსცე მას პატივი დიდი; 24. ძიებად.

მოქანდაკი პირველი ცხორებად თვისი და დადგა ლოცვად და იტყოდა: „უფალო იესუ ქრისტე, მოწყალეო, რომელი ყოვლისა ჭირისაგან იქსნი მვეღრებელთა შენთა, რომელი შენ გესვენ, ვითარცა-ესე<sup>1</sup> ვიხილენ, მოუგონებელად ლირსმყავ ხილვად მეუღლისაცა ჩემისა, რამეთუ<sup>2</sup> უბადრუკნი<sup>3</sup> შვილნი ჩემნი, ვიცი, რომელ<sup>4</sup> ცოდვათა ჩემთაგან მქეცთაგან<sup>5</sup> წარტაცებულ<sup>6</sup> იქმნეს,<sup>7</sup> არამედ ლირსმყავ, უფალო ლმერთო, მოწყალეო იესუ ქრისტე, მას დღესა ხილვად ასოთა<sup>8</sup> ჩემთა.“

და ამას რად იტყოდა, ესმა წმა ზეცით, რომელი ეტყოდა: „მქნე იყავ, ევსტათი, რამეთუ ამასვე საწუთოსა მოხვდე პირველსავე<sup>9</sup> დიდებასა<sup>10</sup> შენსა და იხილო ცოლი შენი და შვილნი შენნი. ხოლო აღდგომასა მას უმეტესი იხილო და საუკუნენი კეთილნი დაიმკვდრნე და სახელი შენი იდიდოს თესლითი თესლამდე.“

ესე რად ესმა ევსტათის, შეეშინა<sup>11</sup> ფრიად.<sup>12</sup> ხოლო მოეახლნეს<sup>13</sup> რად მქედარნი იგი,<sup>14</sup> გარდამოვიდა ადგილით თვისით, სადა სცვიდა<sup>15</sup> ვენაჯსა და დადგა გზასა ზედა. და მოეახლნეს რად, იხილნა<sup>16</sup> იგინი კეთილად, ხოლო მათ ვერ იცნეს იგი და ჰრეს მას: „გიხაროდენ, მოყუასო!“ და მან ჰრეს<sup>17</sup> მათ: „მშედობაა თქუნდა, ძმანო!“ და ჰრეს მას: „გვთხარ ჩუენ, უკუეთუ გინახავს<sup>18</sup> აქა<sup>19</sup> კაცი,<sup>20</sup> სახელით პლაკიდა ცოლისა თანა და ორთა შვილთა და, უკუეთუ გვრჩუნო<sup>21</sup> [110r] იგი, მოგცეთ<sup>22</sup> შენ საფასე.“ და<sup>23</sup> ჰრეს<sup>24</sup> მათ ევსტათი: „და რასათუს ეძიებთ მას?“ ხოლო მათ ჰრეს: „მეგობარი<sup>25</sup> არს ჩუენი და გვნებს<sup>27</sup> ხილვად<sup>28</sup> მისი მრავლით უამითგან.“ მიუგო მათ<sup>29</sup> ევსტათი:<sup>30</sup> „არა მინახავს<sup>31</sup> ესევითარი კაცი აქა, გარნა მოცედით

1. ვითარცა ესენი; 2. ვიცი, რომელ; 3. + იგი; 4. ვიცი, რომელ] –; 5. მქეცთაგან] მქეცთა მიერ; 6. შეჭმულ; 7. იქმნეს; 8. + მათ; 9. პირველსა; 10. დიდებასა; 11. შეეშინდა; 12. –; 13. მიეახლნეს; 14. იგინი; 15. სცვდა; 16. იცნნა; 17. ჰრესა; 18. გიხილავს; 19. აქაა; 20. + უცხო; 21. გვრჩუნო; 22. მიგცეთ; 23. –; 24. ჰრესა; 25. თქუეს; 26. მეგობარი; 27. გუნებავს; 28. ხილვა; 29. –. 30. + და ჰრესა; 31. მიხილავს.

სადგურად ჩემდა და განისუენეთ,<sup>1</sup> რამეთუ მეცა უცხოء<sup>2</sup> ვარ.“

და წარიყვანნა იგინი სადგურად თვისად და პრქუა უფალსა მის სახლისასა: „მეცნიერნი ჩემნი არიან კაცნი ესე და ჩემთვს მოსრულ არიან. მომეც მე ღვნოء<sup>3</sup> და სხუად საქმარი, რათა განუსუენო,<sup>4</sup> და მიგცე ყოველივე, რაჟამს მოვილო სასყიდელი საქმისა ჩემისად.<sup>5</sup> ხოლო მან მისცა ყოველივე<sup>6</sup> სისარულით. და ჰმისახურებდა რად ევსტათი კაცთა მათ, ვერ მოითმენდა, მოექსენის<sup>7</sup> რად პირველი ცხორებად თვისი, არამედ აღივსის ცრემლითა და განვიდის გარე და იტირის და დაიბანის პირი და შემოვიდის<sup>8</sup> და ჰმისახურებნ.

ხოლო იგინი ხედვიდეს რად, ინყეს მცირედ-მცირედ ცნობად სახესა<sup>9</sup> მისა<sup>10</sup> და იტყვედ თვასაგან ურთიერთას, ვითარმედ:<sup>11</sup> „მსგავს არს კაცი ესე ჩუენ მიერ საძიებელსა<sup>12</sup> მას.<sup>13</sup> და პრქუა<sup>14</sup> ერთმან მეორესა:<sup>15</sup> „ფრიად მსგავს არს მისა, ხოლო<sup>16</sup> მე ვიცი, ვითარმედ აქუნდა ქედსა მისსა<sup>17</sup> სასწაული წყლულებისად<sup>18</sup> და განვიცადოთ, უკუეთუ არს იგი მის თანა, ესე არს, რომელსა ვეძიებთ.“

და განიცადეს<sup>19</sup> და იხილეს<sup>20</sup> სასწაული იგი ქედსა მისსა<sup>21</sup> და მეყსეულად შეიტკებეს და ანბორსუყოფდეს<sup>22</sup> [110v] და ეტყოდეს, ვითარმედ: „შენ ხარ პლაკიდა სტრატილატი.“ და უჩუენებდეს<sup>23</sup> სასწაულსა მას ქედისა მისისასა, რაჟამს იგი უვარჲყოფდა<sup>24</sup> და ფიცვიდეს, ვითარმედ: „იგი არს სტრატილატი პლაკიდა.<sup>25</sup>“

ხოლო იცნეს რად იგი კეთილად, მაშინ<sup>26</sup> იძულებით აღიარა. და ჰკითხვიდეს ცოლისათვს და შვილთა მისთათვს.<sup>27</sup>

---

1. განგისუტნო თქუენ; 2. უცხო; 3. ღვნო; 4. განუსუტნო; 5. ჩემისა; 6. + მისცა; 7. მოიქსენის; 8. შევიდის; 9. სახისა; 10. მისისა; 11. ფრიად; 12. საძიებელისა; 13. მის; 14. პრქუა; 15. + ეგრეთ არს, არამედ; 16. ფრიად მსგავს არს მისა, ხოლო] –; 17. A: მისა; 18. წყლულებისა; 19. განიხილეს; 20. პოვეს; 21. A: მისა; 22. ამბორსუყოფდეს; 23. უჩუტნებდეს; 24. უარჲყოფდა; 25. სტრატილატი პლაკიდა] –; 26. ხოლო იცნეს რად იგი კეთილად, მაშინ] და; 27. მისთა.

და პრქუა<sup>1</sup> მათ, ვითარმედ: „ზღუასა<sup>2</sup> შინა მოკუდეს.“ და შე-მოკრბა ყოველი იგი დაბად, ესმა რად ესე საქმე.<sup>3</sup> მაშინ მქედართა მათ მიუთხრეს ყოველთა<sup>4</sup> სიკეთე მისი,<sup>5</sup> პატივი<sup>6</sup> და<sup>7</sup> დიდებად. და ესმა რად დაბისათა, გოდებდეს და იტყოდეს: „შ, ვითარილა კაცი მიზდურად გუყვა ჩუენ.“

მაშინ მქედართა გამოუცხადეს ბრძანებად მეფისად<sup>8</sup> და შემოსეს სამოსელთა მათ მიერ, რომელ აქუნდა.<sup>9</sup> და წარიყვანეს მათ<sup>10</sup> თანა და წარპეგზავნიდეს მას ცრემლით კაცნი მის დაბისანი. და მი-რად-ვიდოდეს,<sup>11</sup> მიუთხრა მქედართა მათ, ვითარ იხილა ღმერთი იესუ<sup>12</sup> ქრისტე და ვითარმედ ევსტათი ეწოდა<sup>13</sup> წარლისლებისა მიერ. და ყოველი მოწევნული<sup>14</sup> მიუთხრა მათ.

და ვლეს რად ათხუთმეტი დღე, მიიწინეს მეფისა. და ეუწყა რად მეფესა მისთვს, გამოვიდა შემთხუევად<sup>15</sup> მისდა<sup>16</sup> და ამბორსუყოფდა მას. და ცრემლოდა<sup>17</sup> მის ზედა და ჰეითხვიდა მიზეზსა წარსლვისა მისისასა. ხოლო მან მიუთხრა<sup>18</sup> მეფესა და<sup>19</sup> მთავართა მისთა<sup>20</sup> ყოველი მოწევნული<sup>21</sup> მის ზედა და ვითარ წარწყმიდა<sup>22</sup> ცოლი და შვილი მისნი და იქმნა სიხარული დიდი პოვნასა მისსა<sup>23</sup> და ნუგეშინი სცა<sup>24</sup> მეფემან და მისცა<sup>25</sup> პირველი პატივი სტრატილატობისად [111r] და მიუთუალა მქედრობად.

ხოლო მან იხილა მქედრობად,<sup>26</sup> რამეთუ არა კმაიყო ბრძოლად ბარბაროზთა,<sup>27</sup> განავლინა<sup>28</sup> ყოველთა სოფელთა კრებად<sup>29</sup> ერისა. ხოლო მიიწინეს ამას ზედა დადგინებულნი იგი ამასცა<sup>30</sup> დაბასა, სადა აღზრდილიყვნეს ძენი ევსტათისნი,

- 
1. პრქუა; 2. ზღუასა; 3. ესე საქმე] საქმე ესე; 4. –; 5. + და; 6. –; 7. + პირველი; 8. მეფისა; 9. + მათ; 10. მათ] თავისა თვისა; 11. მი-რავიდოდეს; 12. ღმერთი იესუ] უფალი; 13. + წმიდისა; 14. + მის ზედა; 15. შემთხუევად; 16. მისა; 17. B: ცრემლოდა; 18. უთხრა; 19. + ყოველთა; 20. –; 21. მოწევნილი; 22. წარწყმიდნა; 23. A: მისა; 24. ნუგეშინის სცა; 25. + კუალად; 26. ხოლო მან იხილა მქედრობა] –; 27. A: ბაროზთა; 28. განავლინა; 29. კრებად; 30. მასცა.

და კაცთა მის დაბისათა მისცნეს ჭაბუკნი იგი მწედართა მათ, ვითარცა უცხონი. და შემოკრბა რა ყოველი ერი წინაშე სტრატილატისა, განაცნესნა იგინი<sup>1</sup> და, იხილნა რა ჭაბუკნი იგი<sup>2</sup> უფროსს<sup>3</sup> ყოველთა შუენიერნი,<sup>4</sup> დაადგინნა მახლობელად<sup>5</sup> თვსა და ხედვიდა სიკეთესა მათსა და ბუნებითითა სიყუარულითა აღიძრვოდა მათა მიმართ.

და ყვნა მეპურისმტე ტაბლისა მისისა<sup>6</sup> და, წარვიდა რა ბრძოლად, განათავისუფლა ქუეყანა<sup>7</sup> იგი, რომელი წარელო ბარბაროზთა. და მათ სძლო და დევნნა და განავლნა<sup>8</sup> მდინარესა,<sup>9</sup> რომელსა ენოდების ედასპი.<sup>10</sup> და შევიდა შინაგანთა სოფელთა ბარბაროზთასა და მოსწყვდა<sup>11</sup> და ალაოხრა<sup>12</sup> ქუეყანა მათი. და ინება<sup>13</sup> შინაგან შესლვად<sup>14</sup> განგებითა ღმრთისათა,<sup>15</sup> სადა-იგი იყო ცოლი მისი, რომელი დაცვულ იყო, ვითარცა ზემო ვთქუ,<sup>16</sup> უცხო თესლისაგან<sup>17</sup> უვნებელად და მომკუდარიყო რა იგი, დაჯდომილიყო<sup>18</sup> მტილსა ერთსა შინა ტალავრითა ერთითა და სცვიდა მას.

და მივიდა რა სტრატილატი მას სოფელსა და ტყუეყო<sup>19</sup> იგი და ბრძანა მუნ დადგომად<sup>20</sup> ერისად.<sup>21</sup> და დაყო მუნ სამი დღე, რათა განისუენონ<sup>22</sup> მწედართა, რამეთუ მარჯუე<sup>23</sup> იყო ადგილი.<sup>24</sup> და ალჰმართეს კარავი მისი მახლობელად მტილისა მის, სადა იყო ცოლი მისი. [111v] და მივიდეს ჭაბუკნი იგი – ძენი მისნი – ტალავარსა მას, სადა იყო დედა<sup>25</sup> მათი და არა იცოდეს, თუ მათი დედა<sup>26</sup> არს.

და შუადღე<sup>27</sup> ოდენ სხდეს და მიუთხობდეს ურთიერთას<sup>28</sup> სიჩრივსა<sup>29</sup> მათისა საქმეთა, რამეთუ მცირედ რამე აქსოვდა და დედასა მათსა ესმოდეს<sup>30</sup> სიტყუანი<sup>31</sup> მათნი,<sup>32</sup> რა-

1. ყოველნი; 2. –; 3. უფროს; 4. შუცნიერნი; 5. მსახურად; 6. თვსისა; 7. ქუეყანა; 8. განავლო; 9. მდინარე; 10. იდასპი; 11. მოსრნა; 12. ალაოხრა; 13. ინება; 14. შინაგან შესლვა[ შესლვად შინაგან]; 15. ღმრთისათა; 16. ვთქუთ; 17. თესლისა მისგან; 18. + იგი; 19. ტყუტყო; 20. დადგომა; 21. ერისა; 22. განისუცნონ; 23. მარჯუე; 24. + იგი; 25. დედა; 26. მათი დედა] დედა მათი; 27. შუადღეს; 28. –; 29. სიყრმისა; 30. ესმოდა; 31. სიტყუა; 32. მათი.

მეთუ იტყოდა უხუცესი იგი ძმად, ვითარმედ:<sup>1</sup> „მე ფრიად ჩჩკლი<sup>2</sup> ვიყავ და სხუად არად მაქსოვს, გარნა ესე, ვითარმედ მამად<sup>3</sup> ჩემი სტრატილატი იყო და დედა<sup>4</sup> ჩემი შუენიერი<sup>5</sup> იყო ფრიად. და ვესხენით ორნი შვილნი: მე და ერთი სხუად, უმრნემესი<sup>6</sup> ჩემსა, მოწაბლე თმითა და შუენიერი<sup>7</sup> ხატითა.

და აღგხეუნეს ჩუენ ორნივე<sup>8</sup> და შევიდეს ნავად. არა უნყი, თუ სადა ენეპა წარსლვად და, გან-რად-ვედით<sup>9</sup> ქუეყანად,<sup>10</sup> დედა<sup>11</sup> ჩუენი არლარა ჩუენ თანა იყო. არა უნყი, თუ ვითარ დარჩა<sup>12</sup> ზღუასა<sup>13</sup> შინა და მამასა ჩუენსა ვეტკრთენით ჩუენ და ვიდოდა და მიიწია მდინარესა ზედა. და დამსუა მე და აღიღო მეორე იგი ყრმად<sup>14</sup> და წიაღვლო. და მოიქცა, რადთამცა მეცა წარმიყვანა, ხოლო ვიდრე<sup>15</sup> იგილა<sup>16</sup> მოვიდა,<sup>17</sup> ლომმან წარმიტაცა<sup>18</sup> მე. და წარვიდა მაღნარით კერძო და მწყემსთა მიწასნეს მისგან,<sup>19</sup> მომიყვანეს<sup>20</sup> დაბასა მას, სადა შენცა უნყი.

ესე რად ესმა უმრნემესსა უხუცესისაგან, ახლდა<sup>21</sup> და მოეხვა მას და ეტყოდა:<sup>22</sup> „ვფუცავ ქრისტეს ძალსა,<sup>23</sup> ძმად შენი ვარ მე, რამეთუ ყოველი ეგე, რომელსა იტყვ, მაქსოვს მეცა და, რაჟამს წიაღმიყვანა<sup>24</sup> მამამან ჩემმან<sup>25</sup> მაშინ<sup>26</sup> წყალსა მას და მოიქცა შენდა, მოვიდა მგელი<sup>27</sup> და წარმიტაცა და, რომელთა აღმზარდეს, მითხრობდეს, [112r] ვითარმედ მგელისაგან<sup>28</sup> გიქსენით შენო.“<sup>29</sup> და ესრეთ ანბორსუყოფდეს<sup>30</sup> ურთიერთას.

ხოლო დედა<sup>31</sup> მათი იცნობდა თხრობასა მათსა<sup>32</sup> ვიდრე ზღუად<sup>33</sup> შესლვამდე<sup>34</sup> და იგონებდა, ვითარმედ: ნუთუ<sup>35</sup>

1. –; 2. ჩჩკლ; 3. მამა; 4. დედა; 5. შუცნიერ; 6. უმცირესი; 7. შუცნიერი; 8. ორთავე; 9. გან-რა-ვედით; 10. ქუეყანად; 11. დედა; 12. დაშთა; 13. ზღუასა; 14. მეორე იგი ყრმა] ძმად ჩემი; 15. ვიდრელა; 16. –; 17. მოვიდოდა + A: და; 18. მიმიტაცა; 19. + და; 20. + და აღმზარდე; 21. აღდგა; 22. იტყოდა; 23. ქრისტეს ძალსა] ძალსა ქრისტესა; 24. + მაშინ; 25. ჩუენმან; 26. –; 27. მგელი] მწეცმან რამან მე; 28. მგლისაგან; 29. შენ; 30. ამბორსუყოფდეს; 31. დედა; 32. მას; 33. ზღუად; 34. შესლვადმდე; 35. ნუუკუც.

იგინი<sup>1</sup> არიან ძენი მისნი და ესე ყოველი მოიწია მათ<sup>2</sup> ზედა და ელმოდა სულსა მისსა<sup>3</sup> და უფროსად,<sup>4</sup> რამეთუ იტყოდეს,<sup>5</sup> რამეთუ<sup>6</sup> მამად<sup>7</sup> ჩუენი სტრატილატი იყო და დედად<sup>8</sup> ჩუენი ზღუასა<sup>9</sup> შინა დარჩაო.<sup>10</sup>

და ხვალისა დღე მოუწდა დედაკაცი იგი სტრატილატ-სა და ეტყოდა: „გევედრები, უფალო ჩემო, მე<sup>11</sup> ქუეყანისაგან პრომთავსა<sup>12</sup> ვარ და ტყუე ვიქმებ<sup>13</sup> აქა. მიმიყვანე მამულსავე ჩემსა.“

და ამას რაა იტყოდა, განიცდიდა იგი<sup>14</sup> და იცნა იგი და შეეშინა<sup>15</sup> კითხვად. ხოლო ვერ უძლო ტკრთვად,<sup>16</sup> შეუვ-რდა<sup>17</sup> და პრქუა:<sup>18</sup> „გევედრები, უფალო ჩემო, ნუ განპრისხნე-ბი მწევალსა შენსა ზედა, არამედ ტკბილად ისმინე ჩემი, რა-მეთუ ვჰგონებ, თუ შენ ხარ სტრატილატი პლაკიდა, რომელსა გეწოდა<sup>19</sup> წმიდისა ნათლისლებისა მიერ „ევსტათი“, რომელსა ეჩუენა<sup>20</sup> ქრისტე ირემსა ზედა და პრწმენა მას<sup>21</sup> იგი<sup>22</sup> და მოი-ნია მის<sup>23</sup> ზედა<sup>24</sup> განსაცდელი. და აიღო<sup>25</sup> მეუღლე თვისი, რო-მელი-ესე მე ვარ, და ორნი ძენი: ალაპი და თეოპისტე. და მი-ვიდოდეთ<sup>26</sup> ეგვეტით კერძო და, გან-რაა-ვედით<sup>27</sup> ქუეყანად,<sup>28</sup> დავშთი მე ნაესა მას შინა, რამეთუ მენავეთმოძღუარი იგი ბარბაროზი იყო და დამიმჭირა და მომიყვანა აქა. და მენამე-ბის მეუფე<sup>29</sup> ქრისტე, რომელ<sup>30</sup> ვერცა მან შემაგინა, ვერცა სხუამან ვინ, არამედ დამიმარხავს აქამომდე სიწმიდე ჩემი. ან უკუეთუ შენ ხარ იგი, ვითარ<sup>31</sup> მე ვჰგონებ, მითხარ მე ძალსა ქრისტესა.“

[112v] ესმა რაა ესე ევსტათის, მანცა იცნა იგი და აღივსო სიხარულითა და პრქუა:<sup>32</sup> „მე ვარ, რომელსა იტყვ.“

1. A: იგი; 2. A: მას; 3. A: მისა; 4. უფროსად; 5. თქუეს; 6. ვითარ-მედ; 7. მამა; 8. დედა; 9. ზღუასა; 10. დაშთა; 11. –; 12. პრომთასა; 13. ტყუა; 14. მას; 15. ეშინოდა; 16. + არამედ; 17. შეურდა; 18. თქუა; 19. ეწოდა; 20. ეჩუენა; 21. –; 22. + რომელსა; 23. და მოიწია მის] –; 24. + მოიწია; 25. აღიღო; 26. მივიდოდა; 27. გან-რა-ვედით; 28. ქუეყანად; 29. მე; 30. ვითარმედ; 31. ვითარცა; 32. პრქუა.

და იცნეს ერთმანერთი და ჰმადლობდეს ქრისტესა. და ჰრქუა<sup>1</sup> მას ცოლმან მისმან: „უფალო, სადა არიან შვილნი ჩუ-ენნი?“ ხოლო მან ჰრქუა<sup>2</sup> მას: „მწეცთა წარიტაცნეს იგინი.“ და მიუთხრა ყოველი, ვითარ მოინია მათ ზედა. ჰრქუა<sup>3</sup> მას ცოლმან:<sup>4</sup> „ვჰმადლობდეთ ქრისტესა ქველისმოქმედსა,<sup>5</sup> რამე-თუ, ვითარცა ჩუენ ესე<sup>6</sup> ვპოეთ ერთმანერთი, ეგრეთვე ძენი<sup>7</sup> ჩუენნი მოგუცნეს.“ ჰრქუა<sup>8</sup> მას ევსტათი: „გარქუ შენ, ვითარ-მედ მწეცთა<sup>9</sup> წარიტაცნეს.“<sup>10</sup> ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: „გუშინ მესმა ორთა ჭაბუკთად,<sup>11</sup> რამეთუ უთხრობდეს ურთი-ერთას სიჩჩოდსა<sup>12</sup> მათისა საქმეთა და ვიცნენ, ვითარმედ ძენი ჩუენნი არიან. და არცა მათ იცოდეს, თუ ძმანი არიან, გარნა სიტყუათაგან<sup>13</sup> უხუცესისათა იცნეს ურთიერთას და,<sup>14</sup> უკუე-თუ<sup>15</sup> დღესამომდე უმეცარ ხარ,<sup>16</sup> ან ცან<sup>17</sup> სახიერებად ქრის-ტესი, ვითარ შეგუკრიბნა და ჰკითხე მათ და თვთ გითხრან.“

და მოუწოდა ევსტათი ჭაბუკთა მათ და ჰკითხვიდა, თუ ვინანი არიან, ანუ რად მოინია<sup>18</sup> მათ ზედა. და მათ უთ-ხრეს ყოველივე. და იცნნა, ვითარმედ იგინი არიან ძენი მისნი და შეიტყბნა და ანბორსუყოფდა<sup>19</sup> მათ<sup>20</sup> და ეგრეთვე დედად მათი. და დავარდეს ქედთა ზედა შვილთა მათთასა და ცრემ-ლით ჰმადლობდეს კაცთმოყუარესა ღმერთსა პოვნისა მისთვს მათისა საკურველისა. და ორ უამითგან ვიდრე ექუს უამამდე [113r] განჯდა წმად ესე ყოველსა<sup>21</sup> ერსა,<sup>22</sup> ვიდრედა<sup>23</sup> ყოველნი შემოკრბეს. და უხაროდა პოვნასა ზედა მათსა უფროისლა,<sup>24</sup> ვიდრედა ძლევასა ზედა ბარბაროზთასა.

და ყო დღესასწაული დიდი ევსტათი პოვნისა მისთვს მათისა და მადლობით უგალობდეს სახიერსა<sup>25</sup> ქრისტეს.<sup>26</sup> და

1-3. ჰრქუა; 4. + მისმან; 5. ქრისტესა ქველისმოქმედსა] ქველის-მოქმედსა ქრისტესა; 6. + ჩუენ; 7. შვილნიცა; 8. ჰრქუა; 9. + მიერ; 10. შეიჭამნეს; 11. ჭაბუკთა; 12. სიჩჩოდსა; 13. სიტყუათაგან; 14. + ან; 15. უკუც; 16. + მათთვს; 17. ან [ცან] ცან ან; 18. მონევნილარს; 19. ამბორსუყოფდა; 20. –; 21. –; 22. + და; 23. –; 24. უფროს; 25. სახელსა; 26. ქრისტეს[ს]ა.

ტყუეყო<sup>1</sup> ყოველი<sup>2</sup> სოფლები, გარე მოდეს<sup>3</sup> ბარბაროზთა<sup>4</sup> და  
ძლევითა და ნატყუენავითა<sup>5</sup> დიდითა მიქეცა სამეფოდ.

ხოლო პირველ მისლვისა<sup>6</sup> მისისა მოკუდა მეფე ტრაია-  
ნე და დაჯდა მის წილ სხუად მეფე, სახელით ანდრიანე, წარ-  
მართი იგიცა და ურჩულოეს<sup>7</sup> ყოველთა პირველ მისა<sup>8</sup> ყო-  
ფილთა მეფეთავასა.<sup>9</sup> ხოლო ცნა რად მოსლვად<sup>10</sup> ევსტათისი  
ესევითარითა ძლევითა, მიეგება მას და ყო დღესასწაული დი-  
დი ძლევისა მისისათვს,<sup>11</sup> რომელი ექმნა, და პოვნისათვს ცო-  
ლისა და შვილთა მისთა.

და მივიდა საკერპოდ, რათამცა შენირა<sup>12</sup> მსხუერ-  
პლი<sup>13</sup> კერპთა და, შე-რა-ვიდოდა<sup>14</sup> იგი ტაძრად აპოლონის-  
სა,<sup>15</sup> ევსტათი არა შევიდა მის თანა, არამედ გარე დადგა და  
მოუწოდა მას მეფემან და ჰრქუა,<sup>16</sup> ვითარ: „არა მოხუედ<sup>17</sup> შე-  
ნირვად მსხუერპლისა<sup>18</sup> ძლევისა მისთვს,<sup>19</sup> რომელი გაგემარ-  
ჯუა და<sup>20</sup> პოვნისათვს<sup>21</sup> ცოლისა და შვილთა შენთავასა?“<sup>22</sup>

ხოლო ევსტათი ჰრქუა<sup>23</sup> მეფესა: „მე ღმრთისა<sup>24</sup> ჩემისა  
იესუ ქრისტესა<sup>25</sup> შემინირავს და შევნირო<sup>26</sup> მას<sup>27</sup> ლოცვად<sup>28</sup> და  
მადლობად, რამეთუ შემინყალა და შემაქცია<sup>29</sup> ტყუეობისაგან  
და მომცა მეუღლე და შვილი ჩემნი და<sup>30</sup> სხუად ღმერთი არა  
ვიცი, [113v] არცა მისწავიეს,<sup>31</sup> გარნა ღმერთი, რომელმან  
სიტყვთა შექმნა ყოველივე.“

მაშინ ბრძანა მეფემან აღძრცუად<sup>32</sup> პატივისა მისისად<sup>33</sup>  
და დადგინებად,<sup>34</sup> ვითარცა გლახაკისად<sup>35</sup> მისი და ცოლისა მი-

---

1. ტყუებყო; 2. + გარემო; 3. გარე მოდეს] გარე მო[ღ]ეს] –; 4. ბარ-  
ბაროზთა; 5. ნატყუენავითა; 6. მოსლვისა; 7. უუშჯულოესი; 8. პირ-  
ველ მისა] მისა პირველ; 9. მეფეთა; 10. მოსლვა; 11. მისთვს; 12. შე-  
ნირა; 13. მსხუერპლი; 14. შე-რა-ვიდოდა; 15. აპოლონისა; 16. ეტყუ-  
და; 17. მოხუედ; 18. მსხუერპლისა; 19. + ბარბაროზთასა; 20. რომე-  
ლი გაგემარჯუა და] –; 21. პოვნისა მისთვს; 22. შენთასა; 23. ჰრქუად;  
24. უფლისა; 25. A: ქრისტესა; 26. შევსწირო + მადლის; 27. –; 28.  
ლოცვა; 29. მომაქცია; 30. –; 31. მრნამს; 32. აღძარცუა; 33. მისისა;  
34. დადგინება; 35. გლახაკისა.

სისაა<sup>1</sup> და შვილთა<sup>2</sup> მისთაა.<sup>3</sup> და ესრეთ იქმოდა განკითხვასა მათსა.

და იხილა რად მეფემან შეუცვალებელობაა<sup>4</sup> გონებისა მისისაა<sup>5</sup> სარწმუნოებისაგან ქრისტესისა, ბრძანა შეყვანებაა<sup>6</sup> მათი ცხენთა<sup>7</sup> სარბიელსა და გამოყვანებად<sup>8</sup> მათ ზედა ლომ-ნი. ხოლო მოიყვანეს<sup>9</sup> რად ლომნი, მირბიოდეს<sup>10</sup> და თაყუანი სცეს მათ ნეტართასა წინაშე<sup>11</sup> და შეიქცეს და განვიდოდეს მიერ.

ხოლო იხილა რად ესე მეფემან, ვითარმედ არა შეეხნეს მათ მწეცნი, განკურდა და ბრძანა განჯურვებად<sup>12</sup> კუროა<sup>13</sup> რვალისაა<sup>14</sup> და მუნ შეყრად<sup>15</sup> წმიდათაა<sup>16</sup> მათ.

და შეკრბებოდა ყოველი ერი მაშინ<sup>17</sup> ხილვად ლუაწლი-სა მათისა და, განაწურვეს რად კუროა იგი, მანქანებით ქმნუ-ლი,<sup>18</sup> და მიიყვანეს წმიდანი მუნ შეყრად, ევედრნეს იგინი მტარვალთა, რათა ადროონ<sup>19</sup> ლოცვად. და განიპყრნეს ჭელ-ნი ზეცად და ილოცეს და თქუეს: „უფალო, ღმერთო ძალთაო, რომელი ყოველთა მიერ უხილავ ხარ და ჩუენ გუეჩუენე, <sup>20</sup> ვი-თარცა ინებე, ისმინე ვედრებაა<sup>21</sup> ჩუენი, რამეთუ, აპა ესერა, ლოცვაა<sup>22</sup> ჩუენი აღსრულებულ არს, რამეთუ ვპოეთ<sup>23</sup> და ვი-ხილეთ ურთიერთას და ლირს ვიქმნენით ნაწილსა წმიდათა შენთასა. ვითარცა სამნი ყრმანი ბაბილონს<sup>24</sup> ცეცხლითა გა-მოიცადნეს და არა უარგყვეს, ეგრეთვე ჩუენ აღვესრულნეთ ცეცხლისა ამის მიერ და შე-მცა-[114r]წირულვართ შენდა ცეცხლითა ამით შენირულნი და მოეც, უფალო, მადლი ნა-წილთა ჩუენთა, რათა ყოველი, რომელი გუაქსენებდეს, აქუნ-დეს ნაწილი სასუფეველსა ცათასა და ქუეყანასა ზედა მშვდო-

1. მისისა; 2. ძეთა; 3. მისთა; 4. შეუცვალებელობა; 5. მათისა; 6. შეყვანება; 7. ცხენთ; 8. გამოყვანებად; 9. მოიყვანეს; 10. სრბით მივიდეს; 11. მათ ნეტართასა წინაშე] წინაშე მათ ნეტართასა; 12. განჯურვებად; 13. კურო; 14. რვალისა; 15. შეყრაა; 16. წმიდათა; 17. ყოველი ერი მაშინ] მაშინ ყოველი ერი; 18. ქმნილი; 19. აცადონ; 20. გულჩულნე; 21. ვედრება; 22. ლოცვა; 23. ვპოეთ; 24. + შინა.

ბაა;<sup>1</sup> და უკუეთუ<sup>2</sup> ზღუასა<sup>3</sup> შინა, გინა<sup>4</sup> მდინარესა გხადოს სახელითა ჩუენითა, იქსენ ჭირისაგან; და ცოდვილთა,<sup>5</sup> რომელი<sup>6</sup> ჩუენისასა<sup>7</sup> სიგლახაკისა სახელითა შეგივრდებოდიან,<sup>8</sup> ეც<sup>9</sup> შენდობად ცოდვათად;<sup>10</sup> და ყოველნი, რომელი გუაქსენებდენ ჩუენ და შენ გადიდებდენ, შემწე ეყავ; და სიმძაფრე ამის საწყმილისად<sup>11</sup> შეცვალე, უფალო, ცუარად; და ჩუენი მას შინა აღსრულებად სათნოყავ; და გუამნი ჩუენნი ნუმცა განიყოფვიან,<sup>12</sup> არამედ ზოგად სათნოყავ დადებად<sup>13</sup> მათი, რამეთუ შენი არს სუფევად<sup>14</sup> უკუნითი უკუნისამდე, ამენ!“

და ესე რად ილოცეს მათ, მოვიდა წმად ზეცით, რომელი ეტყოდა: „ეგრეთ იყოს თქუენდა ყოველი, რავდენი<sup>15</sup> ითხოეთ და უმეტესიცა მაგისი,<sup>16</sup> რამეთუ მოღუანე იქმნენით ყოველსავე ცხორებასა<sup>17</sup> თქუენსა; და მრავალნი და დიდნი განსაცდელი მოითმინენით და არა იძლიერით; და ან მოვედით მშედობით და მიიხუენით<sup>18</sup> გრეგონი ძლევისა თქუენისანი და წარმავალისა წილ ჭირისა უკუნითი უკუნისამდე იშუებდეთ<sup>19</sup> კეთილთა მათ შინა წმიდათათვს განმზადებულთა.“

და ესე რად ესმა წმიდათა, გულსმოდგინედ მისცნეს თავნი მათნი ცეცხლსა. და შე-რაღ-ყარნეს<sup>20</sup> იგინი რვალსა მას შინა, მეყსეულად სიმძაფრე იგი დასცხრა და ადიდებდეს იგინი დაუსაბამოსა<sup>21</sup> და ყოვლად დიდებულსა<sup>22</sup> სამებასა<sup>23</sup> [114v] და გალობდეს ძლევისა გალობბასა<sup>24</sup> და ესრეთ მისცნეს მშედობით ღმრთისმეტყუელნი<sup>25</sup> იგი სულნი მათნი უფალსა. და არა შეეხო ცეცხლი იგი არცა თუ თმასა მათსა.

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ურჩულოდ<sup>26</sup> იგი მეფე ადგილსა მას და ბრძანა განპნევად<sup>27</sup> რვალისა მის,

1. მშედობა; 2. + ვინ; 3. ზღუადსა; 4. ანუ; 5. ცოდვისა; 6. რომელი; 7. ჩუენისად; 8. შეგივრდებოდის; 9. მეც; 10. ცოდვათა; 11. საწყმილისა; 12. განიყოფიან; 13. დასხმა; 14. დიდებად; 15. რავდენიცა; 16. მოგეცეს; 17. ცხორებადსა; 18. მიიხუენით; 19. იშუებდეთ; 20. შე-რაიყარნეს; 21. დაუსაბამოსა; 22. საგალობელსა; 23. სამებადსა; 24. გალობბადსა; 25. ღმრთისმეტყუელნი; 26. უშჯულო; 27. განპნებად.

რათამცა იხილა,<sup>1</sup> თუ რაა იქმნეს გუამნი იგი წმიდათანი. და პოვნეს მრთელად და შეუხებელად გუამნი მათნი<sup>2</sup> და ჰელინებ-დეს, თუ ცოცხალ არიან, ვიდრე<sup>3</sup> მიეახლნეს და ცნეს, ვითარ-მედ ალსრულებულ არიან. და გამოიხუნეს და დასხნეს ქუეყა-ნასა ზედა და საკურველებამან<sup>4</sup> შეიპყრნა იგინი, თუ ვითარ<sup>5</sup> არცათუ თმასა მათსა შეეხო<sup>6</sup> ცეცხლი, არამედ იყვნეს გუამნი მათნი შუენიერ<sup>7</sup> და ბრწყინვალე. და შეშინდა<sup>8</sup> არაწმიდა იგი მეფე და ნარვიდა.

ხოლო სიმრავლენი იგი ღაღადებდეს ჭეშმარიტად: „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა“.<sup>9</sup> ერთ არს ჭეშმარიტად<sup>10</sup> იქ ქრისტე და<sup>11</sup> არა არს სხუად ღმერთი,<sup>12</sup> რომელმან დაიც-ვნა წმიდანი მისნი და არცა თმასა მათსა ეუფლა ცეცხლი.“

ხოლო ფარულად ქრისტეანეთა მოიპარნეს გუამნი წმიდათანი<sup>13</sup> და დაპმარხნეს იგინი ადგილსა პატიოსანსა. და შემდგომად დევნულებისა დაცხრომისა<sup>14</sup> აღაშენეს ეკლესია და დაუსუენენეს<sup>15</sup> მას შინა სადიდებელად დღესასწაულისა მა-თისა, რომელი<sup>16</sup> აღესრულების თუესა სეკდებერსა<sup>17</sup> კ.

ესე არს მოქალაქობად წმიდათა ამათ<sup>18</sup> და სანატრელ-თა მოწამეთად!<sup>19</sup> ესე არს ალსასრული დიდებულისა ღუა[115]წლისა მათისად!<sup>20</sup> ყოველნი, რომელნი უკუე<sup>21</sup> ღირს იქმნებიან წსენებისა მათისა ალსრულებად<sup>22</sup> და ხადიან მათ შემწედ, პოვებენ კეთილთა მათ, რომელნი აღთქუმულ<sup>23</sup> არიან წმიდათა და მადლითა უფლისა ჩუენისა იქ ქრისტესითა, რომლისად<sup>24</sup> არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სუ-ლით წმიდით<sup>25</sup> უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

- 
1. რათამცა იხილა] რათა იხილოს; 2. გუამნი მათნი] –; 3. ვერ; 4. საკურველებამან; 5. იგინი, თუ ვითარ] ყოველნი, რამეთუ; 6. შეხე-ბულიყო; 7. შუენიერ; 8. შეძრწუნდა; 9. ქრისტეანეთა; 10. ჭეშმარი-ტი; 11. + სხუად; 12. სხუად ღმერთი] –; 13. წმიდათა მოწამეთანი; 14. დევნულებისა დაცხრომისა] დაცხრომისა დევნულებისა; 15. დაუ-სუენენეს; 16. რომელ; 17. სეკდებერსა; 18. მათ; 19. მოწამეთა; 20. მათისა; 21. –; 22. ალსრულებად; 23. აღთქუმილ; 24. რომლისა; 25. წმიდითურთ + ან და მარადის და.



ნეინდა თეოდორი პერგალი  
ხსენების დღე - 4 მაისი (21 აპრილი)

## A-1103

[279v] თუესა აპრილსა კ~ა<sup>1</sup> წამებად წმიდისა და დიდებულისა მოწამისა<sup>2</sup> თეოდორესი და მის თანა წამებულთა მოწამეთად,<sup>3</sup> რომელი იწამნეს პერგე<sup>4</sup> ქალაქსა, ქუეყანასა პანფილისასა<sup>5</sup>

მათ შამთა<sup>6</sup> იყო პრომს მეფე<sup>7</sup> ანტონინე, ხოლო ქუეყანასა ფრიგისასა,<sup>8</sup> ქალაქსა<sup>9</sup> პერგეს, მთავრობდა დიოდორე<sup>10</sup> ვინმე, კაცი უკეთური. მდევარი იყო და მტერი ქრისტეანეთად.

ხოლო მოვიდა მისა ბრძანებად მეფისაგან, რათა შეკრიბნეს ჭაბუკი მწერნი<sup>11</sup> და შუენიერნი<sup>12</sup> და შეპმზადოს<sup>13</sup> დასი მწედრებისად,<sup>14</sup> მისცეს<sup>15</sup> მათ საფასე და საჭურველი და<sup>16</sup> საწედრები და ჯინიბები და ყოველი,<sup>17</sup> რადცა უქმს<sup>18</sup> მწედართა, და დაუდგინოს ერთი ათასისთავი<sup>19</sup> და მიავლინნეს<sup>20</sup> პრომდ.<sup>21</sup>

ხოლო მთავარი იგი მოსწრაფე იყო ბრძანებისა მის<sup>22</sup> აღსრულებად. განავლინნა<sup>23</sup> მწედარნი, რათა,<sup>24</sup> ვინცა<sup>25</sup> პოონ<sup>26</sup> [280r] ჭაბუკი მწერნი, მიიყვანონ<sup>27</sup> მისა.<sup>28</sup> განვიდეს რაღ<sup>29</sup> იგინი ძიებად, შეემთხვნეს ჭაბუკსა შუენიერსა,<sup>30</sup> სახელით<sup>31</sup>

- 
1. B: აპრილსა კ~ა] ფებერვალსა ი~ზ; D: სეკდენბერსა კ~ა; 2. C: –; 3. B: წმიდათად; D: მოწამეთა; 4. B: პერგი; 5. BC: პანფილისასა + გუაკურთხენ; D: პამფილისასა; 6. C: + შინა; 7. C: პრომს მეფე] მეფე პრომს; 8. B: ფრიგვისას; C: ფრიგვისას; 9. D: ქალაქისა; 10. B: დეოდორე; 11. B: მწერნი] და მწედარნი; 12. B: შუენიერნი + ერნი; CD: შუენიერნი; 13. D: შემზადოს; 14. C: + და; D: მწედრებისა + და; 15. B: და სცეს; 16. C: –; 17. BC: ყოველივე; 18. B: უნდეს; 19. BCD: ასის-თავი; 20. C: მიავლინოს; 21. ABCD: პრომედ; 22. BC: მისისა; 23. B: გაავლინნა; 24. C: –; 25. D: ვინაცა; 26. D: პოვონ; 27. C: მოიყვანენ; 28. B: მისსა; 29. C: –; 30. BCD: შუენიერსა; 31. D: სახელითა.

თეოდორეს, მონასა ქრისტესასა.<sup>1</sup> და<sup>2</sup> მივიღოდა<sup>3</sup> ლოცვისა შე-ნირვად ჩუეულებისაებრ.<sup>4</sup> იხილეს რად იგი<sup>5</sup> მწედართა მათ,<sup>6</sup> პრქუეს<sup>7</sup> ურთიერთას: „აპა, ჭაბუკი, რომელსა ძალუც სხუა-თაცა წსნავ<sup>8</sup> უამსა ბრძოლისასა.“

და მეყსეულად შეიპყრეს იგი და პრქუეს:<sup>9</sup> „მთავარი გინოდს<sup>10</sup> შენ.“ ხოლო ნეტარმან თეოდორე სიხარულით აღი-სილნა ზეცად და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, გმადლობ შენ, რამეთუ მოიწია უამი მოღუანებისა ჩემისად,<sup>11</sup> რომლი-სათვს სურვიელ<sup>12</sup> ვიყავ და<sup>13</sup> დღითი-დღე<sup>14</sup> მოველოდე.“

და წარვიდა მათ თანა.<sup>15</sup> შევიდეს მწედარნი<sup>16</sup> და აუნ-ყეს მთავარსა, ვითარმედ: „ვპოეთ<sup>17</sup> ერთი ჭაბუკი რჩეული.“ და ბრძანა შეყუანება<sup>18</sup> მისი. შეიყუანეს<sup>19</sup> რად, განიხარა მთა-ვარმან<sup>20</sup> და ყოველთა მის თანა მსხდომარეთა შუენიერებასა<sup>21</sup> ზედა და სიკეთესა ხილვისა მისისასა და წესიერებასა ჰასაკი-სა მისისასა. და თქუეს:<sup>22</sup> „ქეშმარიტად ლირს არს<sup>23</sup> ეგე წინა-შე მეფისა დგომასა.“<sup>24</sup> პრქუა მას მთავარმან:<sup>25</sup> „რად გეწოდე-ბის შენ, ჭაბუკუ?“ მიუგო<sup>26</sup> ახოანმან<sup>27</sup> მან:<sup>28</sup> „თეოდორე მე-წოდების.“ მთავარმან თქუა:<sup>29</sup> „მადლი დიდთა ღმერთთა! სა-ხელიცა კეთილი გაქუს.“ და<sup>30</sup> ბრძანა დადებად მის ზედა ბე-ჭედი.<sup>31</sup>

- 
1. A: თეოდორე, მონად ქრისტესი; D: თეოდორეს, მონასა ქრისტესა;
  2. B: რამეთუ; C: –; 3. B: + იგი; 4. BCD: ჩუეულებისაებრ; 5. D: –;
  6. D: + და; 7. BC: პრქუცს; D: თქუეს; 8. D: წსნა. 9. C: პრქუცს; D: + მას; 10. D: გინეს; 11. D: ჩემისა; 12. B: მოსწრაფე; 13. CD: –; 14. A: დღითიდ-დღე; 15. B: + და; 16. B: + იგი; 17. C: ვპოეთ; D: ვპოეთ;
  18. B-D: შეყვანება; 19. BCD: შეიყვანეს; 20. B: + მან; D: მძლავ-რმან; 21. BCD: შუენიერებასა; 22. C: თქუცს; 23. B: ლირს არს] ლირს; 24. B: მდგომელად; 25. D: მძლავრმან; 26. C: + მას; 27. BD: ახოანმან; 28. CD: –; 29. B: პრქუა; 30. B: –; 31. B: დადებად მის ზედა ბეჭედი] მას ზედა დადებად ბეჭედი; C: მის ზედა ბეჭედი დადებად.

ხოლო ნეტარმან თეოდორე განკუეთა<sup>1</sup> ბეჭედი იგი და განაგდო და თქუა:<sup>2</sup> „მე საშოათგანვე დედისა ჩემისათ აღ- ბეჭდულ ვარ მწედრად მეუფისა ჩემისა.“ მთავარმან თქუა:<sup>3</sup> „რომლისა მეუფისა<sup>4</sup> ხარ მწედარი?“<sup>5</sup> თეოდორე თქუა:<sup>6</sup> „რო- მელმან ქმნა<sup>7</sup> ცანი და ქუეყანა, ზღუად და ყოველი, რად არს მათ<sup>8</sup> შინა, მისი მწედარი ვარ.“<sup>9</sup> მთავარმან თქუა:<sup>10</sup> „რად არს სახელი მისი?“<sup>11</sup> თეოდორე თქუა: „იესუ ქრისტე – მეუფე<sup>12</sup> საუკუნეთად!“<sup>13</sup> დიოდორე მთავარმან<sup>14</sup> თქუა: „და არა გნებავ- სა, რადთა იქმნა<sup>15</sup> მწედარ ანტონინე მეფისა?“ თეოდორე თქუა: „არცა მწედარ მისა<sup>16</sup> ვიქმნები [280v],<sup>17</sup> არცა ბრძანება- სა მისსა ვერჩი!“ მთავარმან თქუა: „უკუეთუ ბრძანებასა მე- ფისასა არა ერჩი,<sup>18</sup> ღმერთთაცა სადმე<sup>19</sup> არა უზორავ,<sup>20</sup> ვი- თარცა სხუანი იგი, რომელთა ეწოდებოდა<sup>21</sup> ქრისტეანე,<sup>22</sup> არა უზორვიდეს და ფერად-ფერადითა სატანჯველითა მოსწყდეს<sup>23</sup> და წარწყმდეს. ან უკუე<sup>24</sup> შენცა, თეოდორე, უკუეთუ არა უზორო, ბოროტად წარწყმდეს<sup>25</sup> სიჭაბუკე შენი. ხოლო, მის- მინო თუ და უზორო, გყო შენ კომსად<sup>26</sup> და დიდითა პატივითა მიგავლინო<sup>27</sup> მეფისა.“ თეოდორე თქუა: „ვისა<sup>28</sup> მიბრძანებ ზორვად?“ მთავარმან თქუა:<sup>29</sup> „უბინოსა მას ჰაერთა მეუფე- სა<sup>30</sup> – დიოსა.“ თეოდორე თქუა: „უბინო არსა დიოს, რომელი წელოვნებითა გრძნებისადთა ემსგავსა ვეშაპსა და აღიტაცა ულუმპია<sup>31</sup> და განწრნნა<sup>32</sup> იგი<sup>33</sup> და მერმე ემსგავსა ვარხუსა

- 
1. BCD: განკუტთა; 2. B: ჰრქუა; 3. D: მთავარმან თქუა] –; 4. C: მე- უფისა; 5. C: მწედარო; 6. D: ჰრქუა; 7. BC: ქმნა; 8. BCD: მას; 9. B: –; 10. D: ჰრქუა; 11. B: –; 12. D: მეუფე; 13. B: საუკუნო; D: საუ- კუნეთა; 14. BC: –; 15. CD: იქმნე; 16. B: მწედარ მისა] მისსა მწედარ; 17. BC: + და; 18. B: ერჩი; 19. B: სამე; 20. B: უზორ[ა]ვთ; 21. C: ეწოდა; 22. C: + რამეთუ; 23. B: მოსწყვდნეს; 24. BCD: უკუტ. 25. B: წარსწყმდეს; 26. C: კუმსად; D: კომისად; 27. B: + შენ; D: მიგავლი- ნოა; 28. B: ვისსა; 29. D: ჰრქუა; 30. D: მეუფესა; 31. B: ულუმპია; D: ულონპია; 32: D: განწრნნა; 33. B: და განწრნნა იგი] –.

და განკრინია ქალწულებად ლიდავსი?“<sup>1</sup> მთავარმან თქუა: „ნუ ჰიზრახავ ცუდად და შეასმენ დიდსა მას ღმერთსა!“<sup>2</sup>

თეოდორე თქუა: „არაოდეს გიკითხავსა, თუ ვინად<sup>3</sup> არიან ეშმაკნი ეგე, <sup>4</sup> რომელთა<sup>5</sup> ჰმისახურებთ, რომელთაცა თანა დასჯად<sup>6</sup> ხარ?“<sup>7</sup> მთავარმან თქუა: „უზორე ქალწულსა არტემას!“<sup>8</sup> თეოდორე თქუა: „არტემას<sup>9</sup> იტყვკ,<sup>10</sup> რომელი-იგი მთათა და წურელთა<sup>11</sup> იარებინ ნადირობად. იგი არსა ქალწული? ისმინე ცხორებად მისი: ჰყვეს თანაშემწედ საქმეთა თვესთა<sup>12</sup> ეშმაკნი და ეტრფიალა ათორმეტთა<sup>13</sup> კაცთა და იყვნეს<sup>14</sup> იგინი შემწეთა მათ<sup>15</sup> მისთა<sup>16</sup> ეშმაკთა თანამყოლელ<sup>17</sup> მისა<sup>18</sup> და აღმასრულებელ გულისთქუმათა მისთა და იქმნეს<sup>19</sup> ცნობამიღებულ<sup>20</sup> და ბოროტად მოსწყდეს და წარწყმდეს.“<sup>21</sup>

მთავარმან თქუა: „განდგომილო, ტაძართა მკრეხველო! თუ ზორვად არა გნებავს, რადათვე ჰგმობლა<sup>22</sup> ღმერთთა, არამედ მე ვარ მიზეზი, რომელ მიგიშკ<sup>24</sup> ესევითართა სიტყუათა თქუმად.“

მაშინ ბრძანა განრთხმად მისი და გუემად<sup>25</sup> ზროხის<sup>26</sup> ტყავებითა,<sup>27</sup> ვიდრემდე<sup>28</sup> აღუთქუას [H-1347: 449v] ზორვად.<sup>29</sup> ხოლო წმიდად თეოდორე იტანჯებოდა რად, ესრეთ იტყოდა: „უფალო იქსუ ქრისტე, გიგალობ შენ და გაკურთხევ, რომელმან ღირსმყავ მიმთხუცვად ნაწილსა წმიდათასა. შენ აღგიარებ და შენ გხადი მეუფედ და ღმერთად და მაცხოვრად, რომელმან ჰქმნენ საუკუნითგან საკურველებანი მიუთხრობელნი

- 
1. BC: ლიადსი; D: ლიასი; 2. B: დიდსა მას ღმერთსა] დედასა მას ღვთისასა; 3. D: ვინ; 4. D: –; 5. B: + თქუცნ; D: რომელთაცა; 6. D: დაშვად; 7. BCD: ხართ; 8-9. B: არტემის; CD: არტემს; 10. B: იტყვი; C: იტყვა; 11. BC: წმელთა; D: წევთა; 12. C: მისთა; 13. B: ათურმეტთა; 14. B: იყუნენ; 15. C: –; 16. B: + თანა; 17. C: თანამყოფელ; 18. B: მისსა; 19. D: იქმნენს; 20. D: ცნობამიღებულ. 21. C: და წარწყმდეს] –; 22. D: რადათველა; 23. D: ჰგმობ; 24. B: მიგიშუცბ; CD: მიგიშუ; 25. BCD: გუცმად; 26. BD: ზროხისა; 27. B: ტყავითა; 28. C: ვიდრემდის; 29. C: + ღმერთთად.

და გამოუთქუმელნი, რომელი შემწე ეყავ აპრაპამს, ისააკს და იაკობს და ყოველთა მართალთა. გევედრები, ყავ ჩემთანაცა<sup>1</sup> სასწაულ კეთილ და აღწოცე ჩემგან ყოველი ბილწებად და არ-მური ამის სოფლისად და ლირსმყავ აღსრულებად<sup>2</sup> სრბასა<sup>3</sup> ჩემსა, რათა ვაქებდე და ვადიდებდე<sup>4</sup> სახელსა<sup>5</sup> შენსა უკუნი-სამდე.<sup>6</sup>

ესოდენ<sup>7</sup> ტანჯეს წმიდა<sup>8</sup> იგი, ვიდრე<sup>9</sup> დაშურეს ცემი-თა მტარვალნი იგი.<sup>10</sup> ჰერქუა მას მთავარმან: „რასა იტყვ, თე-ოდორე, უზორო<sup>11</sup> და სცხოვნდე, რათა არა უუამოდ<sup>12</sup> წარ-წყმდეს სიჭაბუკე შენი.“

თეოდორე ჰერქუა: „მე ესე<sup>13</sup> გამოვირჩიე, <sup>14</sup> რათა თავი ჩემი შევწირო ღმრთისა ჩემისა და დავთრგუნო თავი მამისა თქუცნისა<sup>15</sup> ეშმაკისა!“<sup>16</sup>

დიოდორე მთავარმან ჰერქუა:<sup>17</sup> „მოილეთ<sup>18</sup> ლანძკ რკი-ნისაა, განაწურვეთ და დააწვინეთ მას ზედა და ვიხილო,<sup>19</sup> თუ რასა ერგოს ღმერთი მისი.“

და მეყსეულად მოილეს ლანძკ დიდი, რომელსა ზედა დაეტეოდა<sup>20</sup> წოლით<sup>21</sup> მამაკაცი<sup>22</sup> და დაპფინეს მის ქუცშე<sup>23</sup> ცეცხლი და ასხურებდეს ზედა მისასა<sup>24</sup> ცმელსა და ცკლსა<sup>25</sup> და წუმწებასა<sup>26</sup> და აღეტყინა რაა ალი სასტიკი და დააწვინეს მას ზედა ნეტარი თეოდორე შიშუცლი,<sup>27</sup> მირბიოდა<sup>28</sup> იგი, ვითარ-ცა ტარიგი უმანკო, და წადიერად განირთხა ცეცხლსა მას ზედა და, ვითარცა ცუარსა ზედა, ესრეთ განისუცნებდა.<sup>29</sup>

1. B: ჩემთანა; 2. D: აღსრულებად; 3. D: სრბასა; 4. C: – და ვადი-დებდე; 5. C: სახიერებასა; 6. C: –; 7. C: + უკუც; 8. BD: – წმიდა; 9. C: ვიდრელა; 10. C: ცემითა მტარვალნი იგი] მტარვალნი იგი ცემი-თა; 11. BD: უზორეა; 12. BD: უზომოდ; 13. B: ესერა; 14. C: გამო-მირჩევიეს; 15. C: შენისა; 16. C: ეშმაკისაა; 17. C: თქუა; 18. BD: მო-ილე; 19. D: ვიხილოთ; 20. C: ეტეოდა; 21. C: წოლად; 22. D: მამაკა-ცი; 23. C: მის ქუცშე] ქუცშე მისა; D: ქუცშც; 24. C: –; 25. C: ცმელ-სა და ცკლსა] ცკლსა და ცმელსა; 26. B: წონწობასა; C: წუნწობასა; 27. C: შიშველი + და. 28. D: მირბოდა; 29. C: + და.

ალიხილნა ზეცად თუალითა მხიარულითა და თქუა: „უფალო, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო, რომელი იქები ქერობინთა მიერ საყდართა ზედა დიდებისა შენისათა, რომელი იქები ყოველთა დაბადებულთაგან, რომელმან მოხედნი<sup>1</sup> ქუეყანასა<sup>2</sup> და შეაძრნუნი<sup>3</sup> იგი და<sup>4</sup> შეახი მთათა და კუმოდიან,<sup>5</sup> ისმინე წმად მონისა შენისად,<sup>6</sup> უფალო იესო ქრისტე, მოა[450r][ვლინ]ე ან-გელოზი შენი და მიქსენ ცეცხლისა ამისგან<sup>7</sup> და კუამლისა, რამეთუ სახელისა შენისათვს მელმის ესე ყოველი.“

ესე რად თქუა, ვიხილეთ სასწაული დიდი: იქმნა ოხრად სიღრმითგან<sup>8</sup> და იძრა ქუეყანადა და აღმოეცენა წყალი ლანძუ-სა მას ქუცშე და დაშრტა<sup>9</sup> ცეცხლი იგი და მონამე აღდგა, ვითარცა ძილისაგან, და ჰრქუა მთავარსა მას:<sup>10</sup> „ან ისმინე, დიოდორე, და<sup>11</sup> ერთი მწედართა შენთაგანი დააწვინე ლანძუსა მას ზედა სახელითა ღმერთთა შენთათა<sup>12</sup> და ვიხილოთ, ვითარძი შეეწინენ იგინი.“<sup>13</sup>

ხოლო ერთმან მწედართაგანმან, სახელით აკლინე,<sup>14</sup> ჰრქუა მთავარსა: „ნუ ისმენ,<sup>15</sup> უფალო, ნუცა მოიგონებ მწედართაგანსა<sup>16</sup> მიცემად სატანჯველსა ამას,<sup>17</sup> არამედ, უკუცთუ გამოცდად გნებავს,<sup>18</sup> მღდელთაგანი დააწვინე და, უკუცთუ აქუს ღმერთთა ძლიერებად, დაიცვან მსახური თვისი უვნებელად.“

მოუწოდა მთავარმან მღდელსა ერთსა და ჰრქუა: „რად გენოდების შენ?“ მიუგო და ჰრქუა მას:<sup>19</sup> „დიოსკორე არს სახელი ჩემი.“ მთავარმან ჰრქუა:<sup>20</sup> „რომელთა ღმერთთა ჰმსახურებ?“ დიოსკორე ჰრქუა:<sup>21</sup> „დიოსს<sup>22</sup> და ათინას.“ მთავარმან ჰრქუა:<sup>23</sup> „თეოდორე ქრისტიანე, ურჩი ბრძანებასა მეფი-

---

1. B: მიხედნა; 2. D: ქუცყანასა; 3. B: შეაძრნუნა; D: შეაძრნუნვი; 4. C: –; 5. B: კმოდიან; 6. C: + გევედრები შენ; D: შენისა; 7. B: მისგან; 8. C: სიღრმისაგან; 9. B: დაშრიტა; 10-11. C: –; 12. C: ღმერთთა შენთათა] ღმრთისა შენისათა; 13. CD: –; 14. C: აკლიანე; 15. C: უსმენ; 16. C: მწედართაგან; 17. C: მას; 18. D: გნებავს; 19. C: –; 20-21. C: თქუა; 22. CD: დიოს; 23. C: თქუა.

სასა, დავაწვინეთ<sup>1</sup> ლანძუსა ზედა და<sup>2</sup> ცეცხლი არა შეეხო  
მას. ან მითხარ, თუ რომლითა წელოვნებითა შეგრძნიბა<sup>3</sup> ცეც-  
ხლი?“

დიოსკორე თქუა: „ესე უწყოდე, მთავარო, რომელ  
ქრისტეანეთა თანა გრძნებად არა იპოების, არამედ, სადაცა  
სახელედვას<sup>4</sup> სახელსა<sup>5</sup> ქრისტესა, ყოველი წელოვნებად  
გრძნებისად დაიწსნების და ეშმაკი იდევნებიან, რამეთუ საში-  
ნელ არს სახელი იგი.“<sup>6</sup> მთავარმან თქუა: „და ქრისტე<sup>7</sup> უძლი-  
ერეს არსა დიოდესა?“<sup>8</sup> დიოსკორე თქუა: „ზევდიოს<sup>9</sup> კერპი  
არს,<sup>10</sup> კაცთაგან გამოქანდაკებული.“<sup>11</sup> მთავარმან თქუა: „და-  
გაწვინოთ<sup>12</sup> ლანძუსა მას<sup>13</sup> ზედა და ხადოდე<sup>14</sup> ღმერთთა და<sup>15</sup>  
ჰრცხუცნეს თეოდორეს.“ [A-1103: 281r] დიოსკორე თქუა: „ნუ  
მაიძულებ მე<sup>16</sup> საქმესა მას,<sup>17</sup> არამედ თავადი ზევდიოს<sup>18</sup> აღი-  
ლე ბომონისაგან და დადევ ცეცხლსა მას ზედა და, უკუეთუ  
შეუძლოს დაცვად თავი თვისი, სცნა, ვითარმედ სხუათაცა<sup>19</sup>  
შეწევნად წელენიფების.“ მთავარმან თქუა: „და ვინ იკადროს  
ქმნად ეგე,<sup>20</sup> ვითარ სთქუ სიტყუად ეგე?“ დიოსკორე თქუა:<sup>21</sup>  
„მე მიბრძანე და ვქმნა და, უკუეთუ მავნოს<sup>22</sup> რად, ვცნათ ძა-  
ლი მისი.“ მთავარმან თქუა:<sup>23</sup> „ვითარ ვხედავ, ურნმუნოებად  
გაქუს ღმერთთად, ვითარ უკუე<sup>24</sup> ჰმსახურებ?“<sup>25</sup> დიოსკორე  
თქუა:<sup>26</sup> „სარწმუნოებად არაოდეს მქონებია, არამედ ნაკლუ-  
ლევანებისაგან და სიგლახაკისა ვჰმსახურებდ<sup>27</sup> ნაყროვნე-

- 
1. C: დავაწვინე; 2. C: –; 3. B: შეგრძნობა; D: შეგრძნიბა; 4. C:  
სახელსდვას; 5. C: –; 6. C: + მისი; 7. C: იესუ; 8. B:: დიოდისისსა; 9.  
C: ზევ და დიოს; 10. C: კერპი არიან; 11. C: გამოქანდაკებული –  
არს; 12. C: დაგაწვინო; 13. C: ლანძუსა მას] ლანძუთა მათ; 14. BD:  
ხადოდეთ; 15. C: +; ნუთუ კულა და არად გევნოს და; 16. BD: –; 17.  
B: საქმესა მას] საქმისა ამის; C: საქმესა ამას; 18. C: ზევ და დიოს;  
19. B: სხუათა; D: სხუათაცა; 20. C: + ანუ; 21. B: ჰრქუა; 22. C:  
მავნონ; 23. B: ჰრქუა; 24. BCD: უკუც; 25. D: + შენ; 26. C: + მე; 27.  
A: მსახურებ; C: ვჰმსახურებ; D: ვმჰსახურებდ.

ბისთვეს,<sup>1</sup> ხოლო აწ ვიხილე ნეტარი თეოდორე, ვითარ<sup>2</sup> მძღვე  
ექმნა ლმერთთა ჩუენთა და წადიერ ვარ მოყუასყოფად მისა.“<sup>3</sup>  
მთავარმან თქუა: „უკუეთუ შენცა მქედარ იესუსა<sup>3</sup> იქმნები,<sup>4</sup>  
ყოვლისა პირველად დაწევ ლანძუსა მას ზედა!“ დიოსკორე  
თქუა: „გევედრები, უფალო ჩემო თეოდორე, მილოცე გლა-  
ხაკასა ამას,<sup>5</sup> რათა ვპოო წყალობაე!“

მაშინ განაწურვეს ლანძკ იგი შკდ წილად<sup>6</sup> და დააწვი-  
ნეს დიოსკორე მას ზედა და იწყო წმობად: „უფალო იესუ  
ქრისტე,<sup>7</sup> ლოცვითა მონისა შენისა თეოდორესითა შეივედრე  
მშვდობით სული ჩემი!“<sup>8</sup> და ესე რა თქუა, აღესრულა. მაშინ  
მუნ მდგომარეთა მორწმუნეთა მოითხოეს<sup>9</sup> გუამი მისი და შე-  
მურეს, ვითარცა ჭეშმარიტი მონამე, და პატიოსნად დაჰმარ-  
ხეს.

ხოლო ნეტარისა თეოდორესი ბრძანა მთავარმან საპ-  
ყრობილეს<sup>10</sup> შეწყუდევად. და იყო იგი დილეგსა მას<sup>11</sup> შინა და  
ილოცვიდა სულისათვეს დიოსკორესა,<sup>12</sup> რათა შეიყვანოს იგი  
უფალმან კრებულსა<sup>13</sup> მართალთასა.

მას ლამესა მოვიდა პილასე<sup>14</sup> ებისკოპოსი<sup>15</sup> და ევედრა  
მესაპყრობილესა, რათა იხილოს<sup>16</sup> წმიდად თეოდორე.<sup>17</sup> შეიყ-  
ვანა<sup>18</sup> სიხარულითა<sup>19</sup> და პოვა მართალი იგი კრულებათა შინა  
და ევედრებოდა იგი ლმერთსა.

ხოლო ებისკოპოსი<sup>20</sup> შეუვრდა ფერწთა მისთა და ამ-  
ბორს[281v]უყოფდა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო<sup>21</sup> იესუ  
ქრისტე, რამეთუ შემიწყალე ულირსი ესე და ცხოვართა მათ-

1. B: ნაკლულოვანებისათვს; C: ნაყრუვანებისათვს; 2. C: + იგი. 3.  
CD: იესუსა; 4. C: იქმნებია; 5. B: გლახაკასა ამას] –; 6. B: შკდ წი-  
ლად] დიდძალად; 7. D: + ლმერთო; 8. D: მშვდობით სული ჩემი] სუ-  
ლი ჩემი მშვდობით; 9. BD: მოითხვეს; 10. BCD: საპყრობილესა;  
11. B: –; 12. BC: დიოსკორესისა; 13. B: + თანა; CD: + მას; 14. C:  
პილასეოს; 15. BD: ებისკოპოსი; 16. D: იხილოს; 17. BC: + ხოლო  
მან; D: + და; 18. B: + იგი; 19. BCD: სიხარულით; 20. B: ებისკოპო-  
სი + იგი; D: ებისკოპოსი; 21. D: –.

გან, რომელი<sup>1</sup> მომცენ მე,<sup>2</sup> გამოირჩიე ტარიგი წმიდაზ, რომე-<sup>3</sup> წარუძღვეს<sup>4</sup> ყოველსა მას სამწყსოსა<sup>5</sup> შენდა მომართ.“

და პრქუა წმიდა თეოდორეს: „ნეტარ ხარ შენ, შვილო  
ჩემო, რომელმან იღუანე ქრისტესთვა. არამედ გევედრები,  
სრულყავ<sup>6</sup> სრბად შენი, რათა ჩუენთვსცა<sup>7</sup> მეოს იყო, რათა  
შეუდგეთ კუალსა შენსა.“ და სხუად მრავალი საღმრთო<sup>8</sup>  
სწავლად<sup>9</sup> მიუთხრა და მისცა მშკდობად და წარვიდა.<sup>10</sup>

ხვალისა დღე იყო დღე ხუთშაბათი.<sup>11</sup> ბრძანა მთავარ-  
მან მიყვანებად<sup>12</sup> წმიდისა თეოდორესი და, ვითარცა დადგა  
მის წინაშე, ჰკითხა მთავარმან:<sup>13</sup> „რად არს, თეოდორე, არა  
უზორავა ღმერთთა?“ თეოდორე თქუა:<sup>14</sup> „უკუეთუ მიბრძანო,  
ვჰკითხო გამოქანდაკებულსა მას<sup>15</sup> დიოსისსა,<sup>16</sup> უკუეთუ ჰნე-  
ბავს<sup>17</sup> შენირვად ჩემგან<sup>18</sup> შესანირავი.“

მთავარმან დაუყენებელად უბრძანა.<sup>19</sup> მაშინ ნეტარი  
თეოდორე მოუწდა კერპსა მას და პრქუა: „შენ გეტყვ, უტყო<sup>20</sup>  
და ყრუო, რომელი-ეგე<sup>21</sup> გქმნეს კაცთა. თქუნ<sup>22</sup> უტყვთ პირით  
შენით ეშმაკმან მან,<sup>23</sup> რომელი მკვდრ<sup>24</sup> არს შენ შორის,<sup>25</sup> გნე-  
ბავსა, რათა შევწირო შენდა ზორვად?“

და მეყსეულად წმაყო<sup>26</sup> ეშმაკმან მან<sup>27</sup> წმითა დიდითა:  
„ისმინე, მთავარო,<sup>28</sup> ისმინეთ ყოველთა მკვდრთა ამის ქალა-  
ქისათა:<sup>29</sup> უნინარეს სამისა წლისა ვეძიებდი<sup>30</sup> ბრძოლად ამის

- 
1. B: რომელ; 2. B: –; 3. AD: რომელმან; D: რათა მან; 4. BC: წა-  
რუძღვეს; 5. C: ყოველსა მას სამწყსოსა] ყოველსა სამწყსოსა მას.
  6. D: სრულჲყავ; 7. D: ჩუენთვა; 8. B: –; D: საღმრთო; 9. C: საღ-  
მრთო სწავლად] სწავლად საღმრთო; 10. B: და წარვიდა} –; 11. C:  
+ და; 12. C: მოყვანებად; 13. BC: + მან; 14. B: პრქუა; 15. B: გამო-  
ქანდაკებულსა მას} –; 16. BD: დიოსისა; 17. D: ჰნებავს; 18. B: ჩემ-  
გან] ჩემ მიერ; 19. B: ბრძანა; 20. B: უტყუ; 21. B: რომელი-ეგე] რო-  
მელი-იგი; 22. C: თქუ; 23. BCD: –; 24. BCD: დამკვდრებულ; 25. D:  
თანა; 26. D: წმაყო; 27. BCD: –; 28. B: + და; 29. D: ქალაქისთა; 30.  
B: ვეძიებ.

ჭაბუკისა, რათამცა შევიყვანე<sup>1</sup> სამეძვოდ, რათა განეშოროს სამწყსოსა ქრისტესა. მივედ<sup>2</sup> და ვპოე<sup>3</sup> სიწმინდით მძინარე და განვაწურვენ თირკუმელნი მისნი და გული. ხოლო იგი მეყსეულად აღდგა და ილოცა და ხადოდა სახელსა ჯუარცუ-მულისასა<sup>4</sup> და<sup>5</sup> შევძრნული და ვივლტოდე<sup>6</sup> მისგან. ან უკუე<sup>7</sup> მე<sup>8</sup> მაგისგან ზორვად არა მნებავს, არცა შესანირავი, არამედ<sup>9</sup> უწყი, <sup>10</sup> ვითარმედ<sup>11</sup> მაგის მიერ მეგულების სივლტოლა<sup>12</sup> ამი-ერ და ვერლარა<sup>13</sup> ვარ აქა. მაკედონიას ვიყავ და გამოჩნდეს მრავალნი მბრძოლნი ჩემნი და მაოტეს მიერ. ნიკომიდიას მი-ვედ და ტრი[282r]ფონ<sup>14</sup> გამომდევნა,<sup>15</sup> სხუასა ადგილსა თვრსო მონამემან დაარღვა საყოფელი<sup>16</sup> ჩემი. აქა მოვედ და თეოდორესგან ვიდევნები. სადა წარვიდე, არა უწყი, რამეთუ ყოველი<sup>17</sup> სოფელი და ყოველი სული დაემორჩილნეს ჯუარ-ცუმულსა.<sup>18</sup> წარვიდე მე<sup>19</sup> ცეცხლსა მას საუკუნესა. თეოდო-რე, შემინდვე, გევედრები!<sup>20</sup>

ხოლო წმიდამან თეოდორე შეჰრისხნა მას და<sup>21</sup> დაწყე-ვა ეშმაკი იგი და ჰრქუა მას: „დუმენ,<sup>22</sup> საძაგელო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა! განხეთქე სამკდრებელი შენი და კაცსა ნუვის<sup>23</sup> ავნებ. არამედ წარვედ, სადა<sup>24</sup> თკო<sup>25</sup> სთქუ!“

მაშინ ეშმაკმან მან<sup>26</sup> შემუსრა კერპი იგი და მტუერ-ყო<sup>27</sup> იგი<sup>28</sup> და ივლტოდა და ჰრქუა მთავარსა:<sup>29</sup> „მთავარო ბო-

1. C: შეიყვანე; 2. D: მოვედ; 3. C: ვპოვე + ესე; D: ვპოვე; 4. B: ჯუ-არცუმულისასა; 5. C: + ფრიად; 6. C: ვივლტოდი; 7. BCD: უკუტ; 8. CD: –; 9. B: მე მაგისგან ზორვად არა მნებავს, არცა შესანირავი, არამედ] –; 10. B: უწყოდეთ; 11. B: –; 12. D: სივლტოლა; 13. D: ვერლა; 14. B: ტვრიფონ; 15. B: + და; 16. B: საფუძველი; 17. D: –; 18. B: ჯუარცუმულსა; C: + ხოლო მე; 19. C: –; 20. C: თეოდორე, შე-მინდვე, გევედრები] –; 21. B: შეჰრისხნა მას და –; C: და] – 22. B: დადუმენ; 23. C: ნუ; 24. C: სადაცა; 25. B: –; 26. D: –; 27. BD: მტუტრყო; 28. C: და მტუერყო იგი] ვითარცა მტუტრი; 29. B: + მას.

როტო,<sup>1</sup> რადსათვს<sup>2</sup> შეიპყარ ჭაბუკი ეგე<sup>3</sup> წარსაწყმედელად ჩემდა?“ ან უკუე<sup>4</sup> მსწრაფლ განიყვანე ამის ცხორებისაგან! ნუუკუე<sup>5</sup> განრისხნეს და ილოცოს<sup>6</sup> ჯუარცუმულისა<sup>7</sup> მიმართ და<sup>8</sup> შენ და<sup>9</sup> ყოველნი შენი<sup>10</sup> დაგნუნეს<sup>11</sup> ცეცხლითა.<sup>12</sup> მე და მოყუასნი ჩემი სიყრმითგანვე ვხედევდით, <sup>13</sup> ვითარმედ მაო-ტებელ<sup>14</sup> ჩუენდა იქმნების.“

მოუწოდა მთავარმან წმიდასა<sup>15</sup> თეოდორეს და ჰრქუა: „მითხარ, რა არს შენ თანა, რომელ ღმერთთა იოტებ და სა-ტანჯველთაგან არა<sup>16</sup> გეშინის და ცეცხლმან ვერად გავნო? მა-უწყენ საიდუმლონი<sup>17</sup> შენისა ქრისტესნი<sup>18</sup> და განგიტეო.“<sup>19</sup>

მიუგო წმიდამან თეოდორე და ჰრქუა მას: „მიქადებ განტევებასა,<sup>20</sup> ვითარმცა სურვიელ ვიყავ ყოფად ნივთა ში-ნა ამის საწუთოდესათა,<sup>21</sup> გარნა ყოველივე სოფელი შეურაცხ არს ჩემ წინაშე და საუკუნეთა მათ კეთილთა მიმთხუევად<sup>22</sup> მოსწრაფე ვარ.<sup>23</sup> ხოლო ვითარ გაუწყო შენ<sup>24</sup> სახარებად<sup>25</sup> უფ-ლისა<sup>26</sup> ჩემისაა, რამეთუ ვხედავ გულსა შენისა გულარძნილსა და დრკუსა?<sup>27</sup> წერილ არს: „ნუ მისცემთ სიწმინდესა თქუენ-სა<sup>28</sup> ძალლთა, ნუცა დაასხამთ<sup>29</sup> მარგალიტსა<sup>30</sup> წინაშე ღორ-თა!“ ვითარ უკუე<sup>31</sup> შეუძლო<sup>32</sup> სმენად<sup>33</sup> საიდუმლოთა<sup>34</sup> ღმრთისათა,<sup>35</sup> უკუეთუ არა იყოს გული შენი წრფელ?“

1. D: ბოროტო; 2. B: რადსა; 3. CD: ესე; 4. BCD: უკუტ; 5: BCD: ნუ-უკუტ; 6. B: ივლტოდეს; 7. BD: ჯუარცმულისა; 8. B: + ეშმაკნი; 9. B: შენ და] –; 10. B: –; ჩ: შენთანანი; 11. B: დაინუნეს; 12. C: + რამე-თუ; 13. D: + მას; 14. B: მავნებელ; D: მაოტებელად; 15. BCD: წმი-და; 16. B: არაა; 17. D: საიდუმლონი; 18. B: შენისა ქრისტესნი] შენ-ნი საქმენი; 19. D: განგიტეო; 20. AD: განტეობასა; 21. D: საწუთ-როდესთა; 22. BC: მიმთხუტვად; 23. B: მიმთხუევად მოსწრაფე ვარ] მოსწრაფე ვარ მიმთხუტვად; 24. D: შორის; 25. B: სახიერება; 26. C: ღმრთისა; 27. B: + რამეთუ; C: + და რამეთუ; 28. C: ჩემსა; D: ჩუტნესა; 29. B: ნუცა დაასხამთ] ნუ დაუსხამთ; CD: ნუცა დაუსხამთ; 30. C: + ჩემსა; D: + ჩუტნესა; 31. BCD: უკუტ; 32. B: უძლო; 33. BC: –; 34. B: საიდუმლოთა; D: საიდუმლ[ო]თა; 35. B: + უწყებად შენდა.

განრისხნა მთავა[282v]რი იგი და ბრძანა<sup>1</sup> მობმად მისი კიცუთა<sup>2</sup> უმწყთა<sup>3</sup> და გაქცევად,<sup>4</sup> რათა თრევასა<sup>5</sup> მას შინა განილიოს. მოიყვანენეს<sup>6</sup> მქედართა<sup>7</sup> კიცუნი იგი<sup>8</sup> საგდებლითა<sup>9</sup> და მოაბმიდეს მას.<sup>10</sup> ხოლო წმიდამან თეოდორე ითხოა<sup>11</sup> დროებად,<sup>12</sup> რათა ილოცოს. ჰრეზუს<sup>13</sup> მას<sup>14</sup> მქედართა: „ილო-ცე ჩუენთჟსცა, წმიდაო თეოდორე!“<sup>15</sup>

აღიხილნა ახოანმან<sup>16</sup> მან თუალნი ზეცას<sup>17</sup> და თქუა: „ნათელო ჭეშმარიტო, ქრისტე ღმერთო ჩუენო,<sup>18</sup> სასოო<sup>19</sup> გან-ნირულთაო, წინამძღვარო შეცთომილთაო, მქსნელო წარტყუ-ენულთაო,<sup>20</sup> აღდგომაო მყუდართაო! გევედრები, სახიერო უფალო, რომელმან ელია ეტლითა ცეცხლისათა აღამაღლე, რომელმან დანიელ პირისაგან<sup>21</sup> ლომთახსა იქსენ, აღადგინე აწცა ძალი შენი და მოედ<sup>22</sup> შეწევნად ჩემდა, რომელი ჰე-რობინთა,<sup>23</sup> განცხადენ,<sup>24</sup> ყავ ჩემ თანა<sup>25</sup> სასწაულ კეთილ, რათა იხილონ მოძულეთა ჩემთა<sup>26</sup> და ჰრცხუენოდის.<sup>27</sup> მოიქსენენ, უფალო, ორნიცა ესე მქედარნი და ლმობიერყვენ გულნი მათნი,<sup>28</sup> რათა ჰრიმენე შენ და ცხონდენ<sup>29</sup> უკუნისამ-დე.“ მერმე ჰრეზუა მქედართა მათ: „ქმენით, რა-იგი ბრძანე-ბულ არს თქუენდა!“ ხოლო მათ არა ინებეს შეერვად მისი.

მოვიდეს სხუანი<sup>30</sup> მტარვალნი, მოვლინებულნი მთავ-რისა მიერ, და მოაბეს წმიდად იგი მონამე უმწყთა<sup>31</sup> მათ კი-

1. D: პბრძანა; 2. C: კუცთა; 3. BD: უმწყსთა; 4. CD: განქცევად; 5. B: დათრევასა; 6. B: მიიყვანენეს; 7. C: + მათ; 8. C: -; 9. B: საბლებითა; D: საგდებელითა; 10. B: მათ; 11. BC: ითხოვა; D: ითხოვა; 12. B: მარტოებად; 13. B: ჰრეზუს; 14. BCD: -; 15. B: თევდორე; 16. BCD: ახოანმან; 17. BD: ზეცად; 18. B: ჩემო; 19. D: სასოო; 20. BC: წარ-ტყუცნულთაო; D: წარწყმედულთაო; 21. B: პირთაგან; 22. BCD: მო-ვედ. 23. C: ქერაბინთა; 24. C: განაცხადენ; 25. C: ჩემ თანა] -; 26. B: ჩუცნთა; 27. BCD: ჰრცხუცნოდის; 28. C: + და; 29. B: სცხოვ-ნდენ; D: ცხოვნდენ; 30. C: სხუანიცა; D: სხუანი; 31. B: უმწ[ყ]სთა.

ცუთა და სცეს მათ<sup>1</sup> შოლტითა და განაქცინეს ველად. და ზიდვიდეს იგინი წმიდასა მას.<sup>2</sup> ხოლო მან წმაყო<sup>3</sup> და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, უწყის სახიერებამან<sup>4</sup> შენმან, თუ რაოდენ<sup>5</sup> სურვიელ ვარ განსლვად სოფლისა ამისგან და მოსლვად შენ წინაშე. არამედ ამისთვის, რათა უმეტესად იდიდოს სახელი შენი წმიდაა,<sup>6</sup> მიქსენ ამის სიკუდილისაგან,<sup>7</sup> რათა ჰრისტენეს მრავალთა, ვითარმედ შენ ხარ მეუფე<sup>8</sup> მეუფეთად,<sup>9</sup> ღმერთი ღმერთთად და უფალი უფლებათად.“<sup>10</sup>

ესე რა თქუა ნეტარმან მან,<sup>11</sup> ვიხილეთ ყოველთა ეტლი ცეცხლისად,<sup>12</sup> მომავალი [283r] ზეცით, და ალიღო წმიდად იგი მოწამე და დაადგინა წინაშე<sup>13</sup> კარსა ურჩულოება<sup>14</sup> მის მთავრისასა. ხოლო ცხენი იგი, რომელი ზიდვიდეს<sup>15</sup> წმიდასა<sup>16</sup> თეოდორეს, შეაძრნუნენეს<sup>17</sup> ანგელოზთა და<sup>18</sup> ივლტოდეს იგინი და შთაცვეს პარეხსა დიდსა და წარწყმდეს.

ეუწყა მთავარსა მას<sup>19</sup> ესე ყოველი.<sup>20</sup> იგონებდა, თუ ვითარითა სახითა<sup>21</sup> მოკლას ახვიანი იგი. მაშინ შეაყენეს იგი დილეგსა და მთავარმან ყო განზრახვაა საკუთართა თვისთა თანა, თუ რომლითა სიკუდილითა მოკლას იგი. მოუწოდა საპყრობილით და ჰრქუა: „ნუ<sup>22</sup> ჰგონებ, თეოდორე, თუმცა ცოცხალი განერი<sup>23</sup> წელთაგან ჩემთა, უკუეთუ არა უზორო ღმერთთა. ან ისმინე ჩემი, რამეთუ დიდად მეწყალის სიჭაბუკე შენი.“ წმიდამან თეოდორე ჰრქუა მას: „და მეცა<sup>24</sup> დიდად ვიგლოვ შენთვის,<sup>25</sup> მთავარო, რამეთუ მიმავალ ხარ ცეცხლსა მას საუკუნესა. ან ისმინე ჩემი და შეინანე ურჩულოებად<sup>26</sup> შენი და

1. B: –; 2. D: –; 3. D: წმაყო; 4. D: სახიერებამან; 5. C: რავდენ; 6. BD: შენი წმიდაა] წმიდაა შენი; 7. B: ამის სიკუდილისაგან] სიკუდილისა ამისგან; 8. D: მეუფე; 9. C: + და; D: მეუფეთად + და; 10. D: უფლებათა; 11. C: –; 12. D: ცეცხლისა; 13. B: –; 14. BC: უსჯულოებას; D: უშჯულოსა; 15. BD: ჰზიდვიდეს; 16. CD: წმიდა; 17. C: შეაძრნუნეს; 18. C: –; 19. B: + და; 20. C: + და; 21. B: საცოურითა; 22. B: –. 23. C: განერე; 24. B: + შენთვის. 25. B: –; 26. BC: უსჯულოებად; D: უშჯულოებად.

სცხონდე.<sup>1</sup> უკუეთუ კულა<sup>2</sup> შენ დაგიც თავი შენი წარსაწყმე-  
დელად ჩემთვას, ვითარი<sup>3</sup> გნებავს სიკუდილი, განმზადე,<sup>4</sup> რა-  
მეთუ მე ღმერთთა შენთა არა ვჰმსახურებ,<sup>5</sup> არცა უზორავ  
უსულოთა<sup>6</sup> მათ და ყრუთა და მრავლისა ბოროტისა მოქმედ-  
თა.“

მაშინ მიავლინა იგი საპყრობილედვე და ბრძანა აღშე-  
ნებად თორნისა დიდისად<sup>7</sup> და შთაგდებად<sup>8</sup> შეშად<sup>9</sup> ფრიადი<sup>10</sup> და  
სამ დღე განკურვებად და შთაგდებად მას შინა წმიდისა თეო-  
დორესი. და ფიცა<sup>11</sup> მთავარმან, ვითარმედ,<sup>12</sup> უკუეთუ იპოოს<sup>13</sup>  
ვინ,<sup>14</sup> რომელ<sup>15</sup> სიტყუად ხუეშნისად<sup>16</sup> მისთვის თქუას, ანუ<sup>17</sup>  
სულთ-ოდენ-ითქუნეს,<sup>18</sup> იგიცა შთავარდეს საჭუმილსა<sup>19</sup> მას.<sup>20</sup>

ხოლო წმიდად თეოდორე ილოცვიდა საპყრობილესა  
შინა და იტყოდა: „უფალო იესუ ქრისტე, სახიერო და კაც-  
თმოყუარეო! მინდა, რათამცა ჰყავ სასწაულ კეთილ და განა-  
გე მოსლვად<sup>21</sup> დედისა ჩემისა,<sup>22</sup> რათა ვიხილოთ ურთიერ-  
თას,<sup>23</sup> რამეთუ<sup>24</sup> არარად არს შეუძლებელ<sup>25</sup> შენ წინაშე.“ რამე-  
თუ დედად მისი უცხო<sup>26</sup> თესლთა ვიეთ[283v]განმე წარტყუე-  
ნულ<sup>27</sup> იყო.

ამას რად ილოცვიდა,<sup>28</sup> პრქუა მას ანგელოზმან უფლი-  
სამან: „ნუ მწეხარე ხარ ამის ჯერისათვა. აპა ესერა, ბრძანა<sup>29</sup>  
უფალმან, რათა იხილო<sup>30</sup> დედად შენი პირველ აღსრულებისა.“

- 
1. B: სცხოვნდე; 2. C: კუალად; 3. B: ვითარ; C: ვითარცა.; 4. BCD: განმზადე; 5. B: + და; 6. D: უსულოთა; 7. D: დიდისა; 8. C: შთაგ-ზნებად; D: შთაგზნებად; 9. B: + დიდალი; 10. B: ფრიად; 11. D: ფიცა; 12. D: -; 13. D: იპოოს; 14. B: ვინმე; 15. B: -; CD: რომელ-მან; 16. A: ხუეშნისა; BC: ხუაიშნისა; D: ხუეშნისა; 17. B: ანუთუ; 18. D: სულთითქუნეს; 19. D: საჭუმილსა; 20. B: + შინა; 21. BCD: მოსლვა; 22. BC: ჩემისა; 23. C: ურთიერთარს; 24. B: რათა; 25. B: შეუძლებელი; 26. D: უცხო; 27. B: წარტაცებულ; CD: წარ-ტყუცხულ; 28. B: + წმიდად იგი; 29. B: ინება; 30. D: იხილოა.

ხოლო წარწედეს რაა სამნი დღენი და საშინელი იგი თორნე ეგზებოდა,<sup>1</sup> ბრძანა მთავარმან<sup>2</sup> მოყვანებაა წმიდისა<sup>3</sup> თეოდორესი.<sup>4</sup> მოიყვანეს<sup>5</sup> და შეკრეს და შთააგდეს საწუმილსა<sup>6</sup> მას.<sup>7</sup>

ხოლო მწედარნი<sup>8</sup> იგი,<sup>9</sup> რომელთათვეს<sup>10</sup> პირველ<sup>11</sup> ილო-ცა<sup>12</sup> წმიდამან თეოდორე, რომელთა<sup>13</sup> სახელები<sup>14</sup> არს სოკრა-ტე და დიონოსი,<sup>15</sup> მწუხარე იქმნეს<sup>16</sup> ფრიად და პრქუეს<sup>17</sup> ურ-ჩულოსა<sup>18</sup> მას: „შ, მთავარო, სავსეო მრავლითა უგუნურები-თა, რაა ბოროტი უქმნიეს შუენიერსა<sup>19</sup> ამას<sup>20</sup> ჭაბუკსა, რო-მელ ესოდენნი სატანჯველნი წარჰადენ მას და ყოველთავე ზედა მძლედ<sup>21</sup> იპოვა და ჯეროთ ვერ შეიგონე? ვაა შენდა, ურჩულოო,<sup>22</sup> რამეთუ დიდნი სატანჯველნი მიგელიან შენ.“ პრქუა მათ მთავარმან: „ვაა თქუენდა,<sup>23</sup> უბადრუკნო, რამეთუ დღეს დააკლდებით წათელსა მზისასა.“ და ბრძანა შთაყრა<sup>24</sup> მათი საწუმილსა მას.

შეიყარნეს<sup>25</sup> რაა საწუმილად მწედარნი იგი, პოეს:<sup>26</sup> წმიდა თეოდორე<sup>27</sup> ილოცვიდა და უგალობდა უფალსა. და<sup>28</sup> პრქუეს<sup>29</sup> მას: „წმიდაო თეოდორე, შემწე გუეყავ,<sup>30</sup> რამეთუ დავიწუვით.“<sup>31</sup> პრქუა მათ ნეტარმან მან:<sup>32</sup> „ნუ გეშინინ, ძმა-ნო,<sup>33</sup> არამედ ესერა<sup>34</sup> მე ვგალობ, თქუენ იტყოდეთ<sup>35</sup> ალი-ლუხასა.“<sup>36</sup>

1. D: ეგზნებოდა; 2. B: + მან; 3. B: –; 4. B: + ხოლო მათ; 5. B: მოიყვანეს; 6. B: საწუმილსა; 7. B: + შინა; 8. B: მწედართა + შორის; 9. B: –; 10. D: რომელ; 11. D: –; 12. D: ილოცვა; 13. B: რომელთა; 14. C: + ესე 15. B: დიონოსიოს; C: დიონოსე; 16. D: იქმნეს; 17. B: პრქუ[ც]ს]; 18. BC: უსჯულოსა; D: უშჯულოსა; 19. BCD: შუცნიერსა; 20. C: მას; 21. B: მრთელად; 22. BC: უსჯულოო; D: უშჯულოო; 23. B: თქუცნდა; 24. D: შთაყრა; 25. C: შთაყარნეს; 26. CD: პოვეს; 27. C: + რამეთუ; 28. C: –; 29. C: პრქუცს; 30. BCD: გუცყავ; 31. D: და-ვიწუით; 32. C: –; 33. C: ძმაო; 34. B: –; 35. D: იტყოდით; 36. B: ალელუსა; C: ალილუსა.

და იწყო წმიდამან მან<sup>1</sup> გალობად: „წმიდაო ღმერთო!“<sup>2</sup> მქედართა<sup>3</sup> თქუს: <sup>4</sup> „ალილუდა!“<sup>5</sup> „წმიდაო ძრიელო!“<sup>6</sup> „ალილუდა!“<sup>7</sup> „წმიდაო უკუდაო, <sup>8</sup> შეგვწყალენ ჩუენ!“ „ალილუდა!“<sup>9</sup> „წმიდა არს მამად!“ „ალილუდა!“<sup>10</sup> „და<sup>11</sup> წმიდა არს ძე!“ „ალილუდა!“<sup>12</sup> „წმიდა არს წმიდაო იგი და ნუგეშინისმცემელი სული!“ „ალილუდა!“<sup>13</sup> „დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა!“ „ალილუდა!“<sup>14</sup> და შემდგომი<sup>15</sup> ამისი და ყოველსა მუკლსა ზე-და იტყოდეს იგინი<sup>16</sup> ალილუდასა.<sup>17</sup>

მერმე თქუა წმიდამან თეოდორე: „მოვედ, უფალო,<sup>18</sup> და<sup>19</sup> იხილე<sup>20</sup> სიგლახაკე<sup>21</sup> ჩუენი და მიმოდაყარე ალი ესე ცეცხლისად<sup>22</sup> ჩუენგან,<sup>23</sup> ვითარცა მიავლინე ანგელოზი და დაშრიტა<sup>24</sup> საწიუმილი იგი<sup>25</sup> სამთა ყრმათად<sup>26</sup> ბაბილონს<sup>27</sup> და დანიელ იქსენ პირისაგან ლომთავსა. ჩუენ ზედაცა აჩუენე<sup>28</sup> ძრიელე[284]ბაა<sup>29</sup> შენი და ლირსმყვენ სრულყოფად წამებისა ამის ჩუენისა!“ ესრეთ ილოცა რაა წმიდამან თეოდორე, ალი იგი დაშრტა და წმიდათა მათ მიერულა ძილითა ჰამოვთა.

ხოლო მას ოდენ დღესა მოინია მადლითა ღმრთისათა დედა წმიდისა თეოდორესი, ნეტარი ფილიპა,<sup>30</sup> შორიელთა სოფელთაგან. და ესმა<sup>31</sup> რაა ძისა მისისათქს, ვითარმედ საწიუმილსა შინა არს,<sup>32</sup> დაპო სამოსელი თუსი და<sup>33</sup> დაიფხურ-

1. C: –; 2. C: + და; 3. BC: + მათ; 4. C: თქუს; 5. B: ალელუ; C: ალილუა; 6. BC: ძლიერო; 7. B: ალელუ; C: ალილუა; D: წმიდაო ძრიელო! ალილუდა! –; 8. BC: უკუდავო; 9. B: ალელუ; C: ალილუა; 10. B: ალელუია; C: ალილუა; 11. BCD: –; 12. B: ალელუია + და; C: ალილუა; 13. B: ალელუია + და; C: ალილუა; 14. B: ალელუია; C: ალილუა; 15. B: შემდგომის; 16. B: –; 17. B: ალელუსა; C: ალილუასა; D: ალელუასა; 18. C: + შეწევნად; 19. B: –; 20. B: მოიხილე; 21. B: სიგლახე; 22. D: ცეცხლისა; 23. C: – ჩუენგან; 24. B: დაშრტა; D: დაშრიტე; 25. C: + ცეცხლისა; 26. D: ყრმათა; 27. B: ბაბილოვნს; 28. BCD: აჩუენე; 29. BCD: ძლიერება; 30. BCD: ფილიპია; 31. D: ესმა; 32. C: –; 33. D: –.

ნა<sup>1</sup> თმანი თვისნი და სრბით მოვიდა<sup>2</sup> საწუმილსა მას და იტყო-და: „შ, მეუფეო, ქრისტე ღმერთო ჩემთ! რად<sup>3</sup> ესრეთ მიყავ მცევალსა შენსა?“<sup>4</sup> ვიდრელა<sup>5</sup> იყო საშოსა<sup>6</sup> ჩემსა მონავ ესე<sup>7</sup> შე-ნი, ესრეთ მიბრძანე, ვითარმედ: „თეოდორე უწოდე მას,<sup>8</sup> რა-მეთუ დიდსა დიდებასა მიიწევის“, და ვითარ ან საწუმილსა შინა ცეცხლისასა იტანჯების?“

ხოლო<sup>9</sup> წმიდამან თეოდორე იხილა<sup>10</sup> რავ<sup>11</sup> დედა თვისი თავუბურველი და სამოსელდაპებული, ჰრეზა მას: „შ, დედაო, რავ ეგე ჰქმენ შენ? მე<sup>12</sup> ვევედრე<sup>13</sup> ღმერთსა, რათა მოხვდე და იხილო<sup>14</sup> ღუანლი წამებისა ჩემისად<sup>15</sup> და განიხარო, და ვი-თარ სოფლიო<sup>16</sup> და საწუთოოსა<sup>17</sup> საქმე ჰქმენ? ან უკუე<sup>18</sup> მსწრაფლ<sup>19</sup> წარვედ და შეიმოსე სამოსელი წმიდა და დაიბუ-რე თავი, ვითარცა სძალმან ქრისტესმან, რათა არა განიხა-როს ეშმაკმან შენ ზედა.“<sup>20</sup>

მეყსეულად წარვიდა და შეიმკო,<sup>21</sup> ვითარცა სძალი ქრისტესი და მოვიდა საწუმილსა მას თანა. შეუვრდა უფალსა და იტყოდა: „იხილე, უფალო იესუ ქრისტე, ნაყოფი ესე მუც-ლისა ჩემისად და შეიწირე<sup>22</sup> შესანირავად მსხუერპლად<sup>23</sup> სუ-ლად<sup>24</sup> სურნელად!“<sup>25</sup> მერმე ჰრეზა წმიდასა<sup>26</sup> თეოდორეს: „შვილო ჩემო, გამომეცხადა<sup>27</sup> მე, ვითარმედ<sup>28</sup> ჯუარითა აღე-რულები.“<sup>29</sup>

ხოლო განთიად აღდგა<sup>30</sup> ურჩულო<sup>31</sup> იგი მთავარი<sup>32</sup> და

1. C: აიფხურნა; D: დაიფხურა; 2. C: მოვიდა; 3. D: რად; 4. C: + რამეთუ; 5. D: ვიდრე; 6. D: საშოსა; 7. D: –; 8. B მაგას; 9. C: –; 10. D: იხილა; 11. CD: –; 12. B: –; 13. B: ვევედრე; 14. D: იხილო; 15. D: ჩემისა; 16. B: სოფლისა; 17. C: საწუთოო; 18. BCD: უკუე; 19. B: სწრაფით; 20. BC: + ხოლო იგი; 21. BCD: შეიმოსა; 22. C: შეწირე; 23. B: მსხუცრპლად + სათნოდ; C: მსხუცრპლად; 24. D: სულადდ; 25. C: სულნელად; D: სულნელად + და; 26. CD: წმიდა; 27. B: გამო-მეცხადე; D: გამომიცხადა; 28. B: რამეთუ; 29. C: + შენ; 30. D: აღ-დგა; 31. BC: უსჯულოდ; D: უშჯულოდ; 32. C: მძლავრი.

ჰერქუა მისთანათა: „ვჰეონებ, თუ მათ უბადრუკთად<sup>1</sup> არცათუ<sup>2</sup> ძუალი დაშთომილიყოს საწუმილსა მას შინა.“ მიუგო ერთმან მსახურთაგანმან და ჰერქუა:<sup>3</sup> „უწყებულ იყავნ შენდა, უფალო,<sup>4</sup> ყოვლადვე<sup>5</sup> ვერ შეუძლო<sup>6</sup> მათ ცეცხლმან მან,<sup>7</sup> რამეთუ, შე-რაღ-ვაგდეთ თეოდორე საწუმილსა, ხადოდა სახელსა ქრისტესა და მეყსეულად ესოდენი იგი<sup>8</sup> ძალი საწუმილისად<sup>9</sup> მის<sup>10</sup> დაშრტა და დედაცა<sup>11</sup> [284v] მისი მოვიდა ან და ასწავლის მოთმინებასა და ესრეთ იხარებს, ვითარმცა ქორნილსა აღას-რულებდა ძისა თუსისასა.“

ესე რად ესმა<sup>12</sup> მთავარსა, მივიდა<sup>13</sup> საწუმილსა მას<sup>14</sup> ზედა და პოვა<sup>15</sup> დედად თეოდორესი ერითა მრავლითა. მოუნიდა მას და ჰერქუა: „შენ ხარა დედად თეოდორესი?“ მიუგო და ჰერქუა: „ჰე, მე ვარ.“ ჰერქუა მას მთავარმან: „ამცენ, რათა მისმინოს და<sup>16</sup> უზოროს ღმერთთა<sup>17</sup> და ცხოვნდეს,<sup>18</sup> რათა არა უშვილო<sup>19</sup> დაშთე შენ სოფელსა შინა.“ მიუგო ნეტარმან<sup>20</sup> ფილიპა<sup>21</sup> და<sup>22</sup> ჰერქუა: „ისმინე, მთავარო!“<sup>23</sup> ჩუენ ეშმაკთა არა უზორავთ. ნუ სცთები! ხოლო მე გამომიცხადა უფალმან, ვითარმედ<sup>24</sup> ჯუარითა სრულ იქმნების ძე ჩემი და უწყი,<sup>25</sup> სიტყუად უფლისად<sup>26</sup> ჭეშმარიტ არს.“

მთავარმან<sup>27</sup> თქუა:<sup>28</sup> „ვინახთგან შენ თვთ ჰპოე<sup>29</sup> სიკუდილი ძისა შენისად, ვბრძანებ ეგრე<sup>30</sup> მოკლვად.“ და<sup>31</sup> გამოიყვანეს<sup>32</sup> თეოდორე<sup>33</sup> თორნისა მისგან<sup>34</sup> და წარიყვანეს<sup>35</sup> ჯუარ-

1. BD: უბადრუკთა; 2. B: არცაღათუ; 3. C: თქუა; 4. B: + რამეთუ;
5. C: ყოვლად; 6. C: უძლო; 7. BC: -; 8. BCD: -; 9. D: საწუმილისა;
10. B: -; 11. D: დედაცა; 12. D: ესმაა; 13. C: მოვიდა; 14. B: -; 15. B: პოა; 16. B: -; 17. D: ღმერთთაათა; 18. B: ცხოვნდეს; 19. D: უშვილოდ; 20. D: + მან; 21. BCD: ფილიპია; 22. D: -; 23. B: ისმინე, მთავარო] -; C: + რამეთუ. 24. C: რამეთუ; D: -; 25. B: + რამეთუ;
26. B: ღმრთისად; 27. C: + მან; 28. BCD: ჰერქუა; 29. D: ჰპოვე; 30. B: ესრეთ; D: ეგრეთ; 31. B: + ჰერქუა მსახურთა; 32. B: გამოიყვანეთ; CD: + წმიდაა; 33. B: -; 34. B: თორნისა მისგან] თორნისა-გან; 35. B: წარიყვანეთ; C: წარმოიყვანეს.

ცუმად. ხოლო ორნი იგი მქედარნი ლახურებითა დაგურიმნეს მტარვალთა თორნესა<sup>1</sup> მას შინა და მოკლნეს და დედისა წმიდისა თეოდორესი ბრძანა მახვლითა თავისა წარკუეთად.<sup>2</sup>

ხოლო წმიდად თეოდორე მივიდა<sup>3</sup> რად ადგილსა მას, სადა აღემართა ჯუარი, იხილა ჯუარი იგი და თქუა:<sup>4</sup>

„გიხაროდენ, ჯუარო, სიქადულო ქრისტეანეთაო; გიხაროდენ, ჯუარო, აღმწოცველო ცოდვათაო; გიხაროდენ, ჯუარო,<sup>5</sup> სიქადულო მართალთაო, კიბეო, ზეცად<sup>6</sup> აღმყვანებელო, სუეტო<sup>7</sup> ნათლისაო, ქადაგებაო წინაწარმეტყუელთაო, ნავთსაყუდელო კაცთაო,<sup>8</sup> კუერთხო<sup>9</sup> ძრიელებისაო,<sup>10</sup> გზაო უცთომელო,<sup>11</sup> მახვლო მტერთა ზედა,<sup>12</sup> მაოტებელო ეშმაკ-თაო, ქადაგო<sup>13</sup> ქრისტეს ვნებათაო,<sup>14</sup> ნელსაცხებელო სურნელო,<sup>15</sup> აღდგომაო მორწმუნეთაო! შემინენარე მე, სიხარულით შენდა მოსრული, რათა ვადიდებდე ჭორცითა შენ ზედა და-მოკიდებულსა ქრისტესა ღმერთსა [285r]<sup>16</sup> და უგალობდე<sup>17</sup> მას<sup>18</sup> უკუნითი უკუნისამდე, ამენ!<sup>19</sup>

და აღასრულა რად მოკითხვად იგი<sup>20</sup> ჯუარისად,<sup>21</sup> ჰერქუა მტარვალთა:<sup>22</sup> „ნუ დამკიდებთ მე<sup>23</sup> მსგავსად უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესა, არამედ თავდაქცევით<sup>24</sup> ჯუარს მაცუთ.“<sup>25</sup> ხოლო მათ<sup>26</sup> არა უსმინეს, არამედ ჰერქუეს,<sup>27</sup> ვითარმედ: „ესრეთ ბრძანებულ ვართ,<sup>28</sup> რათა მართლიად ჯუარს გაცუათ.“

---

1. C: თორნესავე; 2. BC: წარკუტთა; D: წარკუტთა; 3. B: მივიდოდა; C: მოკიდა; 4. B: ჰერქუა; 5. CD: ქრისტეანეთაო; გიხაროდენ, ჯუარო] –; 6. BCD: ცად; 7. BCD: სუეტო; 8. C: ნავთსაყუდელო კაცთაო] –; 9. BCD: კუერთხო; 10. BCD: ძლიერებისაო; 11. BC: + და; D: უცთომელო; 12. B: + გიხაროდენ ჯუარო; 13. D: ქადაგო; 14. D: ვნებათაო; 15. CD: სულ-ნელო; 16. BD: + ჩუტისა; 17. B: + მარადის; 18. B: –; 19. C: ამინ; 20. C: –; 21. D: ჯუარისა; 22. B: + მათ; 23. B: –; 24. B: თავდამოქცევით; 25. B: + მე; D: მაცუთ + მე; 26. B: –; 27. C: ჰერქუტს; 28. BD: არს.

და დამსჭუალეს<sup>1</sup> იგი ჯუარსა მას ზედა.<sup>2</sup> ხოლო ნეტარმან მან<sup>3</sup> წმაყო<sup>4</sup> და თქუა:<sup>5</sup> „ან დაგთრგუნე<sup>6</sup> შენ, ეშმაკო, ან სირცხვლეულ იქმენ შენ, სამაელ.<sup>7</sup> ამიერითგან არღარა მეშინის<sup>8</sup> შენგან, რამეთუ აღვეტდ<sup>9</sup> გოდოლსა მაღალსა.“

მას ოდენ<sup>10</sup> უამსა მოიყვანეს დედად მის ნეტარისა,<sup>11</sup> ფილიპა,<sup>12</sup> რადთა წინაშე ძისა მისისა წარჟკუეთონ<sup>13</sup> თავი და იტყოდა იგი: „იხილე, უფალო იესუ ქრისტე, რამეთუ სასუმელი, რომელ<sup>14</sup> სუ<sup>15</sup> შენ კაცთა ცხორებისათვს, სუამს შვილი ჩემი თეოდორე სახელისა შენისათვს. მოგვისენენ,<sup>16</sup> უფალო, ცოდვილნი ესე და მოავლინე ჩუენ ზედა წყალობად შენი!“

ესე<sup>17</sup> თქუა და<sup>18</sup> აღესრულა<sup>19</sup> მახვლითა. ხოლო წმიდა-მან თეოდორე დაყო სამი დღე ჯუარსა ზედა. მერმე წმაყო<sup>20</sup> ღმრთისა<sup>21</sup> მიმართ: „მამაო მოწყალებისაო!<sup>22</sup> და ღმერთო ყოვლისა ნუგეშინისცემისაო!<sup>23</sup> შეივედრე სული ჩემი მადლითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისათა,<sup>24</sup> რომ-ლისა თანა კურთხეულ ხარ<sup>25</sup> ყოვლად წმიდით სახიერით,<sup>26</sup> ცხოველსმყოფელით სულითურთ<sup>27</sup> ან და მარადის და უკუნი-თი უკუნისამდე, ამენ!“<sup>28</sup> და ესე რად თქუა, მისცა სული თვისი უფალსა.

ხოლო ძმანი შეკრბეს<sup>29</sup> და ალიხუნეს<sup>30</sup> ნაწილნი იგი მოწამეთანი და დაპარხნეს პატიოსნად. ამისა შემდგომად ტაძარიცა შუენიერი<sup>31</sup> აღაშენეს სამარხოსა მათსა ზედა სადი-დებელად ღმრთისა.

1. B: დაპმსჭუალეს; C: დაპმჭუალეს; D: დამშჭუალეს; 2. B: მას ზე-და] –; 3. B: –; 4. D: წმაყო; 5. B: ჰრქუა; 6. D: დაგათრგუნე; 7. D: სამოელ; 8. BD: + მე; 9. D: აღვჰეტდ; 10. D: ოდეს; 11. D: ნეტარისა; 12. BCD: ფილიპია; 13. BCD: წარჟკუტონ; 14. BC: რომელი; 15. BC: ჰსუ; 16. D: მოგვხსენენ; 17. B: + რად; 18. B: –; 19. B: აღასრუ-ლეს; 20. D: წმაყო; 21. D: უფალისა; 22. D: მოწყალებისაო; 23. BC: ნუგეშინისმცემელო; 24. D: შენისათა; 25. B: + შენ; 26. C: + და; 27. D: სულით + შენითურთ; 28. C: ამინ; 29. B: შემოკრბეს; 30. B: მოი-ხუნეს; 31. BCD: შუენიერი.

ალესრულა წმიდად თეოდორე და დედად მისი ფილიპა<sup>1</sup> და მწედარნი იგი თუესა<sup>2</sup> აგვიტოსსა<sup>3</sup> კ.,<sup>4</sup> მეფობასა ანტონინესსა.<sup>5</sup> ხოლო ჩუენ ზედა მეუფე<sup>6</sup> არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისად<sup>7</sup> არს<sup>8</sup> დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ!<sup>9</sup>

- 
1. BCD: ფილიპია;
  2. BCD: თუესა;
  3. D: სეკდენბერსა;
  4. BC: ოცსა;
  5. C: ანტონინესა;
  6. D: მეუფე;
  7. D: რომლისა;
  8. C: + სუფევად, ძალი და;
  9. B: –; C: ამინ.



### ნეიდა ათონოზ ნიკოლაი

ასენეპის დღე – 3 სექტემბერი (16 სექტემბერი) და  
28 დეკემბერი (10 იანვარი)

## [Jer-2]

[23r] თუესა სეკტემბერსა გ წამებად წმიდისა და ნეტარი-  
სა ანთიმოს ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისად გუაკურთხენ,  
უფალო!

ქუეყანასა ბითვნიისასა, წიაღ კერძო ბიზანტიისა, ქა-  
ლაქი არს, სახელით ნიკომიდიად, რომელი-იგი უამთა მათ  
პირველთა დიდი იყო და დიდებული, სავსე ერითა ფრიადითა  
და სახელოვან ყოველთა მათ გარემოს სანახებთა. და ქუეყა-  
ნათა ამის ქალაქისაგან აღმოეცენა მორჩი შუენიერი და შრო-  
შანი, სავსე ნაყოფითა სულნელითა და შუენიერითა. ესე იგი  
არს ანთიმოს ღმერთშემოსილი, სამკაული მღდელთმოძღურე-  
ბისად და შუენიერებად წამებისად.

ამან შეამკო ქალაქი იგი და ეკლესიად უფროდს ყოველ-  
თა საფასეთა და სიმდიდრეთა მისთა. ამან განანათლნა  
მკედრნი მისნი არა ხოლო მის ქალაქისანი, არამედ ყოვლისა  
სოფლისანი, რამეთუ ყოველსა ქუეყანასა განვდა წმად მოღუა-  
წებისა მისისად და კიდეთა სოფლისათა სასწაულნი მისნი.

რამეთუ სიჩროთგანვე ყოველი წესი კეთილი მოიგო  
და მადლი ღმრთისად იყო მის ზედა. და რაოდენ ჰასაკი გუა-  
მისად აღორძნდებოდა, გონიერებად ცნობისად უმეტეს გან-  
მრავლდებოდა და შიში ღმრთისად დაემტკიცებოდა მის ზედა.  
ხოლო საზომსა რად სიჭაბუკისასა მოვიდა, ახოვნად და მწედ  
მუშაკად იხილვებოდა. რამეთუ მარხვად ფრიადი მოიგო და  
ლოცვასა მოთმინე იყო და ღმობიერ. გულისწყრომად, ვითარ-  
ცა მონად, დაიმორჩილა და გულისთქუმანი წორცთანი სრუ-  
ლიად იოტნა. ზუაობად და დიდებად კაცთად სიძულილითა  
სრულითა მოიძულნა და მას ლოცვასა და ვედრებასა ღმრთი-  
სასა და კითხვასა წიგნთასა შექცეულ იყო. ხოლო დედად იგი  
სათნოებათად – სიყუარული ყოვლითა სულითა და ყოვლითა  
გონებითა მოიგო ღმრთისა მიმართ და მოყუსისა, სიცილი და  
ლალობად, ვითარცა მტერნი ბოროტნი, განიშორნა. უფროდსად

გლოვადა და ცრემლნი ყოველთა [23v] დღეთა ცხორებისა მისი-  
სათა შეიყუარნა.

ხოლო სიმდაბლითა ესოდენ შემკობილ იყო, ვიდრელა  
ყოველთა, რომელთა იხილიან იგი, სავსე იქმნებოდეს ლმობი-  
ერებითა და სათნოებათა მისთა ბაძვად აღეშენებოდეს, ესე-  
ვითარსა რაც მოქალაქობასა შინა ბრწყინვიდა და სათნოებანი  
მისნი ქადაგებდეს მას და დაფარვად არა შეუნდობდეს. მაშინ  
მთავარებისკოპოსმან მის ეკლესიისამან იძულებით უღელი  
მღდელობისაა დასდვა მას და მთავარდიაკვნად აკურთხა და  
შემდგომად რაოდენისამე უამისა მაღალსა მას ხარისხსა ხუ-  
ცობისასა დასუა, რათა, ვითარცა წერილ არს, „საყდრებსა  
მოხუცებულთასა აქებდენ უფალსა.“

ხოლო ნეტარი იგი შიშით და კრძალვით შევიდა პატივ-  
სა მას მრავლითა იძულებითა მღდელობრუართათა და  
სხუათა მრავალთათა, რომელნი-იგი წამებდეს და ქადაგებდეს  
სათნოებათა და ღირსებათა მისთა. მიერითგან უმეტესად შეს-  
ძინა და წარპმატა მოღუანებითა და სათნოებათა მისთა. და  
იყო შემდგომად მობაძავი ანგელოზთავ. შემდგომად უამთა რა-  
ოდენთამე მოუწოდა უფალმან მღდელობრუარსა მას ქალა-  
ქისასა ამიერ სოფლით, ნეტარსა კვრილეს. და დაობლდა ეკლე-  
სიად იგი მწყემსისაგან და დიდი მწუხარებად იყო მათ ზედა.

მაშინ შეკრბეს გარემოს სანახებისა ეპისკოპოსნი და  
ყოველნი მღდელნი და მორწმუნენი ნიკომიდიისანი და განიზ-  
რახეს ნეტარი ანთიმო დასუმად საყდარსა მღდელობრუ-  
ბისასა. ესე რაც განიზრახეს, წარვიდეს ეკლესიად ვედრებად  
ღმრთისა, რათა გამოუცხადოს, უკუეთუ სათნო არს მისსა  
განზრახვად მათი და უკუეთუ ენამების იგი ღირსებასა ანთი-  
მოსისსა. შე-რაღ-ვიდეს ეკლესიად და ყვეს ლოცვად, აპა ესე-  
რა, გამოპრწყინდა ნათელი დიდი და საკურველი და ჭმაც ისმა  
ესევითარი: „ღირს არს და მართალ ანთიმოს, მონად ჩემი, და  
კეთილ არს განზრახვად თქუენ ყოველთავ.“

[24r] ესევითარი რაც წამებად მოიღეს უფლისაგან, მეყ-  
სეულად დადგეს უამისნირვად და ნეტარი ანთიმო აკურთხეს

მთავარეპისკოპოსად. და პოვა საყდარმან ლირსი თვისი. და მჭმუნვარებაზ და გლოვაზ ეკლესიისაა მოიქცა სიხარულად, რამეთუ მიემთხვა მწყემსსა კეთილსა და მღდელთმოძღუარსა უმანკოსა და უბინოსა და შემკობილსა ყოვლითა სათნოებითა. მაშინ ნეტარმან მან, ვითარცა ბრძენმან მენავეთმოძღუარმან, წელად იღო რაღ საჭე იგი ეკლესიისა, ამას ზედა მოსწრაფე იყო, რათა ღელვათა მათგან უშჯულოებისათა იქსნნეს სულ-ნი იგი მისდა რწმუნებულნი და ნავთსაყუდელსა ცხორებისასა შეიყვანნეს შეწევნითა ღმრთისადთა.

წამებს მოძღურებისა მისისა ძალსა კაცი იგი საკურველი და დიდებული ინდე წარჩინებული პალატსა შინა მეფისასა, რომელმან სწავლითა დიდისა ანთიმოხსითა დაუტევა მეფე და სამეუფონი შუებანი დომინას თანა, დიდებულისა მის სეფე ქალისა, რომლითა-იგი პირველისა მის მღდელთმოძღურისა კურილეს წელითა ნათელელო და გრძგნი წამებისად მიიღეს.

წამებს მოძღურებასა ანთიმოხსა სიმრავლე ორთა მათ ბევრთაზ, რომელნი ცეცხლითა სრულ იქმნნეს და საკურთხად შეინირნეს უფლისა ამათ თანა: მარდონიოსცა და მიღდონიოს, პეტრე და დოროთე და ზენონ ახოვანნი, რომელთა დასთხინეს წადიერებით უფლისათვს სისხლნი მათნი. ესრეთ საკურველ იყო და დიდებულ მღდელთმოძღურებაზ ან-თიმოხი. და ესრეთ წარუდგინნა ღმერთსა თვისნი იგი სამწყსონი შესანირავად შუენიერად.

ხოლო მათ უამთა შინა აღდგა ზამთარი ფიცხელი და ნიავქარი სასტიკი მოიწია ქრისტეანეთა ზედა. და დაიპყრა მეფობაზ მაქსიმიანე და ყო დევნულებაზ დიდი ქრისტეანეთა ზედა. და პირად-პირადითა სატანჯველითა მოსწყუედდა ყოველთა, რომელნი არა ერჩდეს ბრძანებათა მისთა, არცა თაყუანისსცემდეს კერპთა მათ მცბიერთა. ხოლო უვარისმყოფელთა ქრისტესთა და მორჩილ[24v]თა უშჯულოებისა მისისათა მიეცემოდეს დიდნი პატივნი, სიმდიდრენი და წელმწიფებანი.

მაშინ ყუავილი იგი ღმრთისმსახურებისაა, სულნელი ანთიმო, შეასმინეს უკეთურთა ვიეთმე მეფისა, ვითარმედ იგი არს მოძღვარი და წინამძღვარი ქრისტეანეთად. და მეყსეულად წარავლინა მაქსიმიანე ოცი ცხენოსანი ძიებად და მოყვანებად მისა. ხოლო იყო მაშინ ნეტარი იგი დაბასა, რომელსა ეწოდებოდა სიმანე და ქადაგებდა სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა და განამრავლებდა ტალანტსა მას, რომელ რწმუნებულ იყო მისა. იყო დაბად იგი ადგილსა უდაბნოსა და განვიდის მღდელი იგი უფლისად დღითი-დღე თვისსაგან უდაბნოდ და ცრემლითა მწურვალითა შესწირავნ ვედრებათა თვისთა უფლისა. ხოლო ოდეს უგალობნ იგი და ადიდებნ ღმერთსა, ნადირნი ველისანი შემოკრბიან და, ვითარცა კაცნი პირმეტყუელნი, დადგიან გარემოს მისსა და ისმენდიან გალობასა მისსა და მისთანა ადიდებდიან დამბადებელსა. და რაჟამს დასცხრის ლირსი იგი გალობისაგან და აკურთხნის იგინი, წარვიდიან და სადგურსა თვისსა დაადგრიან.

ესრეთ საწადელ იყო ნეტარი იგი არა კაცთა ხოლო, არაამედ პირუტყუთაცა. ხოლო მივლინებულნი იგი ძიებად მისსა მწედარნი მიმოვიდოდეს სოფელთა და დაბათა და ეძიებდეს მას. მიინინეს დაბასა მასცა სიმანეს, სადა-იგი იყო მონად ღმრთისაა ანთიმო. და ექმნა მცირე ტალავარი კიდესა დაბისასა სადგურად. მიემთხვენეს მას მეძიებელნი იგი და არა უწყოდეს, თუ იგი არს ანთიმო. ჰკითხეს მას უკუეთუ: „სადა გიხილავს ანთიმო, ქრისტეანეთა ეპისკოპოსი?“ ჰრქეუა მათ წმიდამან ანთიმო: „რაღასათეს ეძიებთ თქუენ კაცსა მას?“ ჰრქეუეს მას მწედართა მათ: „მეფისაგან მოვლინებულ ვართ წარყვანებად მისსა და წარდგინებად წინაშე მეფისა.“ ჰრქეუა მათ წმიდამან ანთიმო: „მოვედით სავანესა ამას ჩემსა და [25r] განისუენეთ და ჰპოვოთ კაცი იგი.“ შეიყვანნა მწედარნი იგი და დაუგო მათ ჰური და წნდური დამბალი, რამეთუ სხუად არარად აქუნდა. და, ვითარცა ჭამეს და განისუენეს, მერმე ჰრქეუა მათ: „მე ვარ ანთიმო, რომელსა ეძიებთ.“

ესე რაა ესმა კაცთა მათ, განცემდეს და ჰრცხუენო-

დაცა მიხედვად პირსა მისსა, უფროისადა, ოდეს მოიგონიან ლმობიერად სტუმრობად იგი, რომელ ისტუმრნა, რამეთუ უწყოდეს, ვითარმედ ტანჯვად და გუემად და სიკუდილადცა მოუწოდს მას მეფე. მიუგეს უკუე და ჰრეზეს მას: „უკუეთუ ნანდკლვე შენ ხარ ანთიმო, არა წარგიყვანებთ, არამედ იყავ ტალავარსა ამას შინა. ანუთუ, სადაცა გნებავს, დაფარე თავი შენი და ჩუენ მივიდეთ და ვჰრეზათ მეფესა, ვითარმედ: „ვძებნეთ ანთიმო ყოველთა სანახებთა ნიკომიდიისათა და ვერ ვპოვეთ.“

ხოლო ანთიმო, შჯულსა უფლისასა მზრახვალმან დღე და დამე, არა ჯერიჩინა ცრუსა სიტყუასა თქუმად წამებად მათი. არამედ წადიერებადლა ფრიადი აქუნდა დათხევად ქრისტესთვეს სისხლთა თვესთა. მოუგო და ჰრეზა მათ: „არა ეგების, შვილნო, საქმე ეგე, რათამცა უთხართ მეფესა სიტყუად ტყუილისად. არამედ გუალეთ, ზოგად წარვიდეთ და ვიხილოთ, რაღათვეს მეძიებს მეფე. რამეთუ უფალი მწე ჩემდა არს, არა შემეშინოს, რად მიყოს მე კაცმან.“

ესე თქუა და ალილო კუერთხი თვისი და წარვიდა კაც-თა მათ თანა. ჰედვიდეს იგინი უმანკოებასა მას მისსა და სიწრფოებასა და უკურდა და, ვითარცა ანგელოზსა, პატივს ცემდეს მას.

ხოლო სლვასა მას მათსა შინა ეტყოდა ნეტარი ანთიმო: „შ, შვილნო ჩემნო, მოიქეცით ბოროტისა მაგის საცოტო-საგან კერპთავასა და[25v] გრწმენინ დამბადებელი, მეუფე ცი-სა და ქუეყანისად, ხილულთა ყოველთა და არახილულთა.“ და იწყო თხრობად მათდა კეთილთა მათ, რომელნი განმზა-დებულ არიან მართალთათვეს საუკუნესა მას და სატანჯველ-თა მათ, რომელნი მიელიან უშჯულოთა და ცოდვილთა და ყოველივე საიდუმლო ქრისტეანობისა გულისხმაუყო. მაშინ კაცნი იგი ლმობიერ იქმნეს და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ევედრნეს, რათა სრულყვნეს იგინი წესსა მას ქრისტეანობისასა.

ამას რაა იტყოდეს, მიემთხვნეს მდინარესა. და დაადგინნა იგინი მონამან მან ქრისტესმან საკუთარმან და წართქუნებულისა იგი განწესებული და ნათელსცა მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და მერმე კუალად წარემართნეს და მივიდოდეს. ხოლო მწედარნი იგი აიძულებდეს სულიერსა მას მამასა მათსა, რათა წარვიდეს სადამე და იყოს ფარულად და არა მივიდეს მათ თანა მეფისა. არამედ ნეტარმან მან არა ჯერიჩინა, არამედ იგინი შევიდეს ქალაქად და აუზყეს მეფესა მიყვანებად ანთიმოსი. და ბრძანა წარდგინებად მისი წინაშე. მაშინ შეუკრნეს მას ჭელი უკუღმართ, რამეთუ ესრეთ იყო წესი ქრისტეანეთა: პყრობილთად წარდგინებად სამშვავროდ, ვითარცა ძრისმოქმედთა.

მაშინ ანთიმო აღიხილნა თუალნი გონებისანი ზეცად, ვინაცა მოელოდა შეწევნასა თუსსა და უშიშითა გულითა შევიდა მეფისა. ხოლო მეფემან ბრძანა წინაშე დასხმად ყოველთავე აგებულებითა სატანჯველთასა: არგნები ფიცხლები, შოლტები მძიმე, ლანძუები და ფუცხუები რკინისაა, გუერდთა სახუეტელები და ნასხმანთა აღმოსაღრვლები, მა[26r]ხვლები ლესული და ურმის თუალები შეჭედილი, წამლები რკინისაა, სამშვალედოანი და სხუა და სხუა ფერად-ფერადი საგუემელი, რათა ხილვითა ოდენ შეაძრნუნოს უშიში იგი. და შეიყვანეს რაა ნეტარი იგი მის წინაშე, ჰრეს მეფემან:

„შენ ხარა ანთიმო, ცოთომილი მის მიერ, რომელსა ჰრეს ქრისტე, რომელი-ეგე უგუნურსა მას ერსა და უგულისხმოსა აცთუნებ და ღმერთთა ჩუენთა შეურაცხყოფად აწუევ?“ ხოლო ახოვანმან მან მოხუცებულმან და უშიშმან გულითა წინამდებარენიცა იგი სატანჯველნი და სიტყუანიცა იგი მეფისანი საბასრობელად შეჰრაცხნა. მიუგო და ჰრეს მას: „ჯერიყო, მეფეო, რათამცა ყოველადვე არა მიგიგე პასუხი, გარნა სიტყვსა მისთვეს მოციქულისა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „მზა იყვენით მიცემად სიტყვსა ყოველთა, რომელი ეძიებდენ თქუენგან სიტყუათა.“ და კუალად უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან აღგთქუა, ვითარმედ: „მიგცე თქუენ

სიტყუად და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდეგომად ყოველთა წინააღმდეგომთა თქუენთა.“ ამისთვის გეტყვი: უწყოდე, ვითარმედ ამისსა პირველცა განკვრვებულ ვიყავ სიზრქესა მას და სიბნელესა გონებისა შენისასა, რომელ ესრეთ სრულიად შეკრულ ხარ საცთურსა მას კერპთმსახურებისასა და არა გნებავს ახილვად თუალთა და ხილვად ნათელსა მას ღმრთისმსახურებისასა და შევრდომად დამპადებლისა მის და მეუფისა ყოველთავსა, რამეთუ შენცა უმადლოდ ეგე დაგბადა და პატივი ესე მეფობისად მოგცა, ხოლო ან უმეტესად მიკვრს უგუნურებად შენი, რომელი ჰგონებ ჩემსა შეშინებასა, რადსათვს უკუე შეკრული წარმომადგინე წინაშე შენსა და სატანჯველთა აგებულებანი ესე წინა [26v] დამისხენ. ამისთვის ჩანს თუ, რათამცა შემაშინე და შემაძრნუნე, ან უკუე სხუათა ვიეთმე აშინებდი, რომელთა საწადელ უჩნს საწუთროე ესე და უძნავს დაკლებად მისგან. ხოლო მე წორცნი ესე მინისაგანი საპყრობილედ შემირაცხიან, რამეთუ არა შეუნდობენ სულსა ჩემსა საწადელისა მის და სასურველისა ადრე მიწევნად, ხოლო სატანჯველი და საგუემელი და ქადებანი შენის სალალობელად შემირაცხიან და საწადელად, რამეთუ ადრე მოუწოდენ სიკუდილსა, რომელი-იგი მისისნის მე კრულებათაგან წორცთავსა და წარმგზავნის სავანეთა მათ საუკუნეთა.“

ესევითარნი ესე სიტყუანი წარმოთქუნა რაა დიდმან მან მღდელთმოძღუარმან ანთიმო, განრისხნა უშჯულოდ იგი მეფე და ბრძანა ქვითა ცემად ქედსა მისსა. ხოლო ნეტარი იგი შე-რავიდა დაწყებასა ღუაწლთასა, ალივსო სიხარულითა და ჰმადლობდა უფალსა და იტყოდა ჭმამალლად: „ღმერთი მაქსიმიანესნი, რომელთა არცა ცაა ქმნეს, არცა ქუეყანად, წარწყმდენ, რამეთუ კერპნი არიან უსულონი, სამკვდრებელი ეშმაკთანი.“

ესე რაა ესმოდა უშჯულოსა მას მძლავრსა, ბორგდა გულისწყრომისაგან და ბრძანა სამშჭუალთა რკინისათა მტკავლეულთა განწურვებად და შემშჭუალვად წკვთა მის ნეტარისათა. ხოლო ახოვანმან მან ფიცხელი იგი და მწარე სატანჯველი სამუებელად შეჰრაცხა, რამეთუ უწყოდა რაბამთა

კეთილთა მომატყუებელ ექმნებოდეს მას ღუაწლი იგი. და ეტყოდა მძლავრსა მას: „დალაცათუ კერპომსახურებისათვს დიდად გაბრალობ, არამედ ჩემ ზედა მოწევნულთა ამათ ტანჯვათათვს ფრიად მადლიერ ვარ, რამეთუ მცირედითა ღუაწლითა ალურაცხ[27r]ელთა მომატყუებ კეთილთა.“ ხოლო მაქ-სიმიანე ხედვიდა რა მოთმინებასა მისასა, მოსწრაფე იყო პირად-პირადითა ტანჯვითა ძლევად ახოვნებასა და სიმწენესა გონებისა მისისასა.

ბრძანა უკუე კეცისა ნალენი მახვილოანი განფენად ქუეყანასა და წმიდისა ანთიმოხსი შიშულად მას ზედა დაწვენად და არგნებითა უწყალოდ გუემად, რათა ორკერძო იტანჯებოდის: ზედა კერძო ცემითა მით არგნებისათა და ქუეშე კერძო კეცისა მის ნალენისა დასობითა წორცთა შინა მისთა.

ხოლო ძლევით შემოსილი იგი მღდელი ღმრთისაა იტყოდა: „გმადლობ შენ, მეუფეო და უფალო საუკუნეთაო, რამეთუ შემმოსე მე ძალი მაღლით გამო. მტერნი ჩემნი დევნულ ყვენ და მოძულენი ჩემნი მოსრენ, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა, ყვენ იგინი ჩემ ქუეშე.“

ხოლო მყოვარ უამ გუემეს რა არგნოსანთა მათ და მდინარენი სისხლისანი დიოდეს მისგან და წორცნი მისნი დაიბ-ძარნეს და ძუალნიცა შეიმუსრვოდეს. ხოლო პირი მისი აქებდა უფალსა და გონებად მისი შეურყეველ იყო სიყუარულისაგან მისისა. ხედვიდა რა მძღვარე იგი შეცი უაღრეს გონებისა მოთმინებასა მისასა, უკურდა. მაშინ ბრძანა წამლთა რკინისათა განჯურვებულთა შესხმად ფერწთა მისთა. ესე რა აღასრულეს მტარვალთა მათ და წამლნი იგი განჯურვებულნი შეასხნეს და შეიწუებო[27v]დეს ფერწნი მისნი და ღუაწლი იგი უაღრეს იყო ცნობისა. მოვიდა ზეცით მადლი ღმრთისაა ახოვანსა მას ზედა და წმად ესმოდა ზეგარდამო, რომელი ეტყოდა: „მწე იყავ, ან-თიმო, მონაო ჩემო, და განძლიერდი და მძლე ექმენ მტერთა შენთა, რამეთუ სასყიდელი შრომათა შენთად განმზადებულ არს ბრწყინვალედ და გურგუნი დაუჭნობელი მოგეცემის.“

ესევითარი რად წმად ესმა მას, ალივსო სიხარულითა გული მისი და პირი მისი განბნებინდა და არარად შეჰრაცხა სატანჯველი იგი. ამას რად ხედვიდა მაქსიმიანე, განცემებულ იყო მოთმინებასა მას ზედა მისსა და იტყოდა: „ესე კაცი გრძნებისა მეცნიერი არს და ამისთვის ესევითარი ესე უაღრესი გონებისად აჩუენა მოთმინებად.“

და პრქუა წმიდასა ანთიმოსს: „მაუწყე წელოვნებად გრძნებათა შენთად, რომლითა სახითა ესრეთ შეურაცხ არიან სატანჯველი შენ წინაშე.“ მიუგო წმიდამან ანთიმო და პრქუა: „უფალმან იესუ ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან და მეუფემან ყოველთამან, მომცა ძალი ძლევად მანქანებათა შენთა, რათა ვამხილო ამპარტავანებასა შენსა და ცუდად მოქადულობასა, რამეთუ, აპა ესერა, ერთსა ბერსა უძლურსა ვერ უძლე ძლევად, რომელთა-ეგე ღმრთად სახელსდევ, უძლურეს არიან კაცობრივისაცა ძალისა და სრულიად არარა. ამისთვისცა ზოგად შენ და ღმერთი შემწე ჩემდა არს და უფალი შემწყნარებელ არს [28r] სულისა ჩემისა, მიაქციოს ბოროტი მტერთა ჩემთა ჭეშმარიტებითა მისითა, მოსრნეს იგინი და მე ნებითა ჩემთა მსხუერპლი შევწირო მისა და ალუარო სახელსა მისსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ ყოვლისა ჭირისა ჩემისა-გან მიწისნა მე. და მტერთა ჩემთა იხილოს თუალმან ჩემმან.“

ამათ სიტყუათა ზედა ალივსო გულისწყრომითა უშვეულოდ იგი მეფე და ბრძანა დაკრვად მონამისად ურმის თუალსა ზედა და ზედას-ზედა ქცევად ურმის თუალისად მის განზრახვით სატანჯველად ქმნილისად. და ზოგნი მტარვალნი აქცევ-დეს ურმის თუალსა მას. და სხუათა მათ უბრძანა, რათა აქუნდენ წელთა ლამპარნი ცეცხლისანი მგზებარენი და ქცევასა მას ურმის თუალისასა სწუვიდენ წორცოთა მისთა. და მეყსეულად ბრძანებად იგი ალესრულებოდა. და მტარვალთა ლამპარები მგზებარე აღატყინეს და მირბიოდეს დაწუვად ნეტარისა მის. და მეყსეულად მადლითა ქრისტესითა ურმის თუალი იგი დადგა და არა იქცეოდა ყოვლადვე და მტარვალ-

ნი იგი დაცვეს ქუეყანად. და ლამპრები დაჰვარდა წელთაგან მათთა და იქმნეს, ვითარცა დათლემულნი ძილითა.

ამას რად ჰედვიდა მეფე, განრისხნა მტარვალთა მათთვს, რომელ ესრეთ უდებყვეს მორჩილებად ბრძანებათა მისთავ. და თქუა: „ვფუცავ ძალსა ღმერთთასა, არა განმერნეთ წელთაგან ჩემთა, უკეთურნო მტარვალნო, რამეთუ შეურაცხჰყავთ ბრძანებად ჩემი და [28v] მისწევით ძილად წინაშე ჩემსა.“ მიუგეს მტარვალთა მათ და ჰრქუეს: „არათუ ბრძანებად შენი უგულებელსვყავთ, მეფეო, ნუ იყოფინ, არამედ ხილვად საშინელი ვიხილეთ და მის გამო დავჰჭისნენით და ქუე დავცვენით. რამეთუ სამნი კაცნი – ელვარენი პირითა და მოსილნი სპეტაკითა, საშინელად დიდებულნი, ვიხილენით და მეყსეულად ლამპრები იგი დავარდა წელთაგან ჩუენთა და ჩუენ შემუსრვილნი ქუეყანად დავცვენით დათლემულნი და დაწისნილნი.“ ხოლო იგინი მიეახლნეს ანთიმოსს და მოიკითხეს და ნუეგშინისცემისა სიტყვთა თანამზრახვალ ეყვნეს მას. ამას რად იტყოდეს მტარვალნი იგი და ურმის თუალი იგი არა იქცეოდა, ნეტარი ანთიმო ჰმადლობდა ღმერთსა და უგალობდა მწურვალითა გულითა და მხიარულითა პირითა.

მაშინ ბრძანა მეფემან განვსნად წმიდისა ანთიმოსი ურმის თუალისა მისგან და ჰრქუა: „ერთი ორთაგანი წინა გიც: ანუ შენირე შესანირავი ღმერთთა ჩემთა და გყო შენ წარჩინებულ უფროს ყოველთა მთავართა და წელმწიფეთა მეფობისა ჩემისათა, ანუ ანვე მახვლითა წარიკუეთოს თავი შენი.“ მიუგო ნეტარმან მან და ჰრქუა: „ეგე საწადელ არს ჩემდა უფროს ყოვლისა, რათა მსწრაფლ წარვიდე ამიერ და მივიწიო კრებულსა მას ოცდაათთა ათასთა მოწამეთასა, რათა ვთქუა კადნიერებით: „აპა ესერა მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე უფალმან [ღმერთმან].“

იხილა რად მაქსიმიანე, ვითარმედ საწადელ უჩნს [29r] ალსრულებად, ჰრქუა მას: „უწყი თქუენი, ქრისტეანეთა, დიდებისმოყუარებად და ზუაობად, რამეთუ ამისთვს ოდენ, რათა სახელი სიმწინისად და მოთმინებისად აღიღოთ, საწადელად

გიჩნს სიკუდილი, რომელი-იგი უკუანასკნელი არს ყოველთა ბოროტად, არამედ ვერ განიხარო ამით ჯერითა, არამედ ძვრ-ძვრად გტანჯო პირველ და მერმე მწარითა სიკუდილითა გამოგაწუა ცხორებისა ამისგან.“ ესე რად თქუა, მერმე ბრძანა შეკრვად მისი რკინითა და წარყვანებად საპყრობილედ.

შე-რაღ-ვიდა წმიდადა ანთიმოს საპყრობილედ, იყოფოდა მუნ, ილოცვიდა დაუცხორომელად და ადიდებდა ღმერთსა, რომელმან-იგი მოუვლინა შეწევნად ზეცით წმიდით მისით. მერმე შეყენებულთა მათ და შეწყდომილთა დილეგსა მას შინა მისცა მშვდობად და ასწავებდა ცხორებასა სულისასა და უქა-დაგებდა ჭეშმარიტსა ღმრთისმსახურებასა. ხოლო იგინი მეყ-სეულად სწავლითა მისითა განათლდეს და ჰრემენა ქრისტე და ევედრებოდეს, რათა ნათელსცეს. ხოლო არა უდებ იქმნა მწყემსი იგი კეთილი შერაცხვად კაცთა მათ სამწყსოსა თვესა თანა. მოიღეს უკუე წყალი საპყრობილესა მას შინა და წესი-საებრ ალასრულნეს ლოცვანი და ნათელსცა ყოველთა მათ და ყვნა შვილ ნათლისა.

ეუწყა მაქსიმიანეს და ალიგსო რისხვითა და გულის-წყრომითა და ბრძანა წმიდისა ანთიმოსი განთიად წარდგინე-ბად მის წინაშე და, ვითარცა წარმოუდგინეს, ჰრქუა მას მრის-ხანითა სულითა [29v] და წმითა გულისწყრომისათა: „ჯერეთ არა შეეხნეს ულმობელსა მაგას სულსა შენსა ეგოდენნი იგი სატანჯველი, არცა გრუართეს მრავალთა მათ გუემათა, არა-მედ დილეგსაცა შეწყდომილმან იკადრე მრავალთა ცთუნებად, ვითარცა მეუწყა, და შენსა შჯულსა მიქცევად.“

მოუგო წმიდამან ანთიმო და ჰრქუა: „მე მღდელი ვარ დიდისა მის მღდელთმოძლურისა ქრისტესი და წელმეწიფების წმიდასა ადგილსა ქადაგებად სახელსა მისსა [მღდელთმოძლუ-რისა] ჩემისა, რომელთა ენეპოს, რამეთუ მან თავადმან ეს-რეთ უბრძანა: „წარვედით და უქადაგეთ ყოველთა წარმარ-თთა და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!“ ხოლო შემდგომად [მისა] მოწევნულ-თა ამათ ჩემ ზედა სატანჯველთა [...] და [მოშიშ მეყავ] მე ალ-

სრულებად მსახურებისა ჩემისა, არამედ უმეტესიცა ძალი და სიმწე შემმოსე მე და უფრო ღია და [...] მოიწინეს ჩემ ზედა მადლი და შეწევნა მეუფისა ჩემისა, რამეთუ მრავალთა სალმობათა გულისა ჩემისათა ნუგეშინისცემანი შენი ახარებენ სულსა ჩემსა [...], ხოლო შენ, მძლავრო უშჯულოო, ნუ სცოტბი და დაპშურები ცუდად, რამეთუ ვერ უძლო[...] ძლევად ჩემდა ქრისტეს მიმართ სურვილსა და წადიერებასა. მაშინ მაქსიმიანე ყოვლით კერძო რა უღონო იქმნა და ძლეულ ნეტარისა ანთიმოდსგან, მისცა გან[30r]ჩინება: განყვანებად იგი გარეშე ქალაქსა და მახვლითა წარკუუთად თავი მისი.

ხოლო მიიყვანებდეს რა ადგილსა მას აღსრულებისასა, მეწრმლე იგი ლმობიერ იქმნა, რამეთუ მოივლინა მის ზედა ცუარი წყალობისა თვისისა, რომელსა-იგი ჰებავს ყოველთა კაცთა ცხორება. და ევედრებოდა იგი წმიდასა მას, რათა ღირსყოს იგი მადლსა ქრისტესა. ხოლო ნეტარმან მან წადიერებით ასწავა ღმრთისმსახურება და ჰრეზუა: „მადლი უფლისა იყავნ შენ თანა.“ და მი-რა-ცვანეს ადგილსა მას, მოიდრიკნა მუწლნი წმიდამან ანთიმო და ილოცა ღმრთისა მიმართ და შეწირა გალობა მადლობისა და ჰრეზუა მტარვალსა: „ალასრულე ბრძანება მეფისა.“ და ესრეთ წარჰკუუთეს თავი ნეტარისა მის თუესა სეკტემბერსა გ, ხოლო მეწრმლე იგი მეფისა მიერითგან იქმნა ქრისტეანე.

და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდეს ყმანი და აღილეს გუამი ღუაწლით შემოსილისა მის და დაპმარხეს ადგილსა პატიოსანსა ნელსაცხებელად სულნელებისა და, საუნჯედ კურნებისა და, მნათობა მორწმუნეთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, ჭეშმარიტისა მის ღმრთისა და მეუფისა [კაცთმოყუარი]სათა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანადაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით, სახეერით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

## „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ბერძნული ტექსტის გამოცემის შესახებ

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია ‘*Patrologia Graeca*’-ს 105-ე ტომსა<sup>1</sup> და ‘*Acta Sanctorum*’-ის მე-6 ტომში.<sup>2</sup> მათი შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გამოცემები არსებითად იდენტურია, თუმცა გარკვეული ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავებულ მონაცემს გვთავაზობს.

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

1. ‘*Acta Sanctorum*’-ში წმინდა ევსტატის მარტვილობის დასაწყისი ცალკე გამოიყოფა და წარმოდგენილია პროლოგის სახით<sup>3</sup>, ხოლო ‘*Patrologia Graeca*’-ში ის ძირითად ტექსტთან არის გაერთიანებული.<sup>4</sup>

2. *Acta Sanctorum*: ἘΝ ταῖς ἡμέραις τῆς βασιλείας Τραϊανοῦ, τῆς εἰδωλολατρείας κρατούσης, προήχθη παρὰ τοῦ βασιλέως στρατηλάτης, ὀνόματι Πλακίδας.

**თარგმანი:** „ტრაიანე მეფის დღეებში, კერპმსახურების მძლავრებისას, დადგენილ იქნა მეფის მიერ სტრატილატი, სახელით პლაკიდა.“

**PG. t. 105; col. 377 C:** ἘΝ ταῖς ἡμέραις τῆς βασιλείας Τραϊανοῦ, τῆς εἰδωλολατρείας κρατούσης, ἦν τὸς στρατηλάτης, ὄνομα τούτῳ Πλακίδας.

**თარგმანი:** „ტრაიანე მეფის დღეებში, კერპმსახურების მძლავრებისას, იყო ვინმე სტრატილატი, სახელი მისი – პლაკიდა.“

დამონაბეჭულ ბერძნულ ციტატებში რამდენიმე გან-

<sup>1</sup> იხ. Migne J. P., 1862: col. 376-417.

<sup>2</sup> იხ. Acta Sanctorum, 1867: 125-135.

<sup>3</sup> იქვე: 123.

<sup>4</sup> იხ. Migne J. P., 1862: col. 376 B - 377 BC.

სხვავებული მონაცემი ფიქსირდება. კერძოდ, ‘*Acta Sanctorum*’-ში დაკონკრეტებულია, რომ სტრატილატობა პლა-კიდას მეფემ უბოძა, რაც არ არის მითითებული ‘*Patrologia Graeca*’-ში. ამასთან, იმავე ‘*Acta*’-ში პლაკიდას სტრატილატო-ბაზე საუბრისას გამოყენებულია ვნებითი გვარის ზმნა პრიტჩთი, რაც კონტექსტის გათვალისწინებით ასე ითარგმნე-ბა: „დადგენილ იქნა“, ხოლო ‘*Patrologia Graeca*’-ს შესაბამის ადგილას გვხვდება ზმნა „იყო“ (შდრ. ბერძ. წv). ამავდროუ-ლად, ‘*Acta*’-ს მონაცემი – ონόματი **Πλακίδας** – ზედმიწევნითი სიზუსტით ითარგმნება, როგორც „სახელით პლაკიდა“, ხოლო ‘*Patrologia Graeca*’-ში დაცულ იმავე ტერმინს ნაცვალსახელი აქვს შეწყობილი (შდრ. ძინომა τούτῳ **Πλακίδας**) და ასე ითარ-გმნება: „სახელი მისი – პლაკიდა.“

**ექვთიმე ათონელის მიერ აღნიშნული მონაკვეთი ასეა თარგმნილი:** „დღეთა მათ ტრაიანე მეფისათა, რაუამს კერპთა მსახურებასა დაეპყრა სოფელი, დაადგინა მეფემან სტრატი-ლატი ვინმე, სახელით პლაკიდა.“

ნარმოდგენილი ამონარიდი ცხადყოფს, რომ ექვთიმე ათონელი სიტყვასიტყვით მიჰყვება ‘*Acta*’-ს ბერძნულ რედაქ-ციას, რადგან დაკონკრეტებული სახით უწყება საკუთრივ მე-ფის მიერ სტრატილატად პლაკიდას დადგინების თაობაზე (შდრ. ბერძ. პრიტჩთი პარὰ τοῦ βασιλέως) არ გვხვდება ‘*Patrologia Graeca*’-ში.

3. ‘*Acta*’-ს ტექსტი პლაკიდას შესახებ შემდეგ ვრცელ ცნობებს გვანვდის: ἀντιλαμβανόμενος τῶν καταπονουμενῶν, συνηγορῶν τοῖς ἀδικουμένοις καὶ πολλοὺς ἐκ τῶν δικαστηρίων χρήμασιν ἀνακαλούμενος, γυμνητεύουσι περιβόλαια χαριζόμενος, πεινώντας διατρέφων, καὶ ἀπαξιπλῶς, πᾶσι τοῖς ἐπιδεομένοις τὰ κατὰ τὸν βίον οἰκονομῶν, νέος τις Κορνήλιος ἐν τοῖς καιροῖς ἀνεφαίνετο. Εἶχε δὲ Γυναῖκα καὶ αὐτὴν μὲν τῆς

τῶν εἰδώλων θρησκείας ἐπάρχουσαν, ὁμοιότροπον δὲ τῆς ἀγαθῆς αὐτοῦ γνώμης. Τίκτονται οὖν αὐτοῖς Παιᾶνες δύο, οὓς ἀνέτρεφον ὁμοίους τῆς ἔσωτῶν προαιρέσεως· ἦν δὲ τοσοῦτον περιφανής ὁ ἀνὴρ καὶ διαβόητος ἐπὶ ταῖς εὔπραγίαις καὶ δυναστείαις, ὡς καὶ αὐτοὺς τοὺς βαρβάρους ἐκ τοῦ ὀνόματος μόνον φοβεῖσθαι αὐτὸν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 123-124).

**თარგმანი:** „დამაშვრალთა შემწყნარებელი, უსამარ-  
თლოდ მოპყრობილთა დამცველი, სასამართლოთაგან მრა-  
ვალთა საფასით დამხსნელი, შიშველთათვის სამოსელთა მბო-  
ძებელი, მშიერთა დამპურებელი და, ზოგადად, ყველა შეჭირ-  
ვებული [ადამიანის] ცხოვრების შესაბამისად განმგებელი,  
ახალი ვინძე კორნელიოსი, რომელიც სათანადო დროს გამოჩ-  
ნდა. ჰყავდა მეუღლე და ის, ერთი მხრივ, კერპების მსახურე-  
ბას მიჰყვებოდა, მეორე მხრივ კი, მსგავსადვე ქვესტათის] სა-  
ხიერ გონებას. შეეძინათ მათ ორი შვილი, რომლებიც თავიან-  
თი ნების შესაბამისად აღზარდეს. ესოდენ სახელოვანი და  
ცნობილი კაცი იყო, კეთილმოქმედი და მეუფებრივი, რომ  
თავად ბარბაროსებს მხოლოდ მისი სახელისაც კი ეშინო-  
დათ.“<sup>1</sup>

აი, ექვთიმესეული თავისუფალი თარგმანის სათანადო  
ადგილი: „ჭირვეულთა შეეწეოდა, დაშჯილთა და მრავალთა  
იქსნიდა სამშჯავროთაგან საფასითა, შიშუელთა შეჰმოსდა,  
მშიერთა ზრდიდა; ყოველთა, რომელთა რაღ ექმარებინ მის-  
გან, მისცემნ. და იყო ახალი კორნილიე მათ უამთა შინა. ხო-  
ლო ესუა მეუღლე ეგვითარისავე კეთილისა გონებისად და  
ესხნეს მათ ორნი ძენი, რომელთა მასვე გონებასა ზედა  
ზრდიდეს. და იყო კაცი იგი განთქუმულ და სახელოან გან-  
მარჯუებასა ზედა და ბრძოლასა, ვიდრელა ბარბაროზნი სახე-  
ლისაგან ოდენ მისისა იშიშვოდეს.“

<sup>1</sup> შდრ. Acta Sanctorum, 1867: 123-124.

ალნიშნული ადგილი არ გვხვდება ‘*Patrologia Graeca*’-ში.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე მოცემულ შემთხვევაში მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ხერხს, კლებას, მიმართავს და დამოწმებული ადგილის თარგმნისას ზოგიერთ წინადადებას გვერდს უვლის (მაგალითად, გამოტოვებული აქვს ის მონაკვეთი, სადაც ქრისტეს რჯულზე მოქცევამდე კერპების მიმართ ევსტათის ცოლის ოტოლვაა ნაჩვენები), სრულიად ცხადია, რომ მის მიერ სათარგმნად გამოყენებული ბერძნული ვერსია ვერანაირად ვერ იქნებოდა ‘*Patrologia Graeca*’-ში დაცული ტექსტი, რომელიც ალნიშნულ ცნობას არ შეიცავს.

ორიგინალურ ტექსტებთან ექვთიმეს თარგმანების შედარება ცხადყოფს, რომ იგი სრულად არ სცილდება პირველ-წყაროებს. საანალიზო ტექსტის ბერძნული ვერსია, გამოქვეყნებული ‘*Acta Sanctorum*’-ის VI ტომში, გამომცემელთა მიერ აბზაცების შესაბამისად ოცდაორ მუხლადაა დანომრილი. ექვთიმეს ქართულ თარგმანში იდენტურად ოცდაორივე აბზაცი იძებნება.

წარმოდგენილი რამდენიმე მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ექვთიმესეული თარგმანის წყარო ‘*Acta Sanctorum*’-ში დაცული ბერძნული ტექსტია, რასაც ვაქვეყნებთ კიდეც წინამდებარე გამოცემაში.

---

<sup>1</sup> შდრ. Migne J. P., 1862: col. 377 CD.

## „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ ბერძნული გამოცემის შესახებ

„ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ ძველი ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებულია ‘Acta Sanctorum’-ის III ტომში.<sup>1</sup> ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული ძველი ქართული თარგმანისა და ხსენებული პუბლიკაციის ურთიერთშედარების საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტექსტის პირველწყარო ვერანაირად ვერ იქნებოდა ‘Acta’-ში დაცული ტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ერთსა და იმავე ისტორიაზე მოგვითხრობს და ცალკეულ ადგილებში რიგი მოვლენების თანხვედრა შეინიშნება (რაც მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს უკავშირდება და არანაირად არ აისახება საკუთრივ თარგმანის იდენტურობაზე), მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა.

‘Acta’-ში გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტი თხუთმეტი აბზაცითა და, შესაბამისად, ამდენივე მუხლითაა წარმოდგენილი. ის იმდენად სხვაობს ექვთიმე ათონელის ქართული თარგმანისგან, რომ არ გვაძლევს შესაძლებლობას, აბზაცები აქაც ანალოგიურად გამოიყოს.

როგორც ჩანს, ექვთიმე ათონელი ნიკომიდიელი მღვდელმთავრის მარტვილობის თარგმნისას დღეისთვის უცნობი და განსხვავებული ორიგინალური რედაქციით ხელმძღვანელობდა. ამიტომაც წინამდებარე გამოცემაში არ ვაქვეყნებთ ‘Acta Sanctorum’-ში დაცულ ბერძნულ ტექსტს.

---

<sup>1</sup> Acta Sanctorum, 1866: L-LIII.

„კუსტათის კნოვოგება და წამება“

ბერძნული ტექსტი

## Prologus

ΠΡόκειται μὲν τοῖς ἀνθρώποις καὶ ἐκ φύσεως οίκεῖόν τι διδασκαλεῖον πρὸς τὴν τῶν ἀρετῶν κατόρθωσιν, διδάσκον ἐκεῖνα ποιεῖν τῷ πλησίον, ἅπερ αὐτὸς πάσχειν παρ' ἔτέρου βιούλεται, ἐκεῖνας τε ἀποπληροῦν τῷ εὔεργέτῃ Θεῷ τὰς εὐχαριστίας, ἅπερ καὶ αὐτὸς παρὰ τῶν εὔεργετουμένων ἀπαιτεῖ. Πρόκειται δὲ καὶ ἐκ τῶν θείων γραφῶν διδασκαλεῖαι παμπληθεῖς καὶ πράξεις ἀνδρῶν μακαρίων καὶ ἀοιδίμων, οἷον εἰκόνες τινὲς ἔμψυχοι πρὸς μίμησιν τῶν ἀγαθῶν κατορθωμάτων τοῖς βουλουμένοις ἔπεισθαι ταῖς αὐτῶν ἀρεταῖς. Οὐδὲν οὖν ἥπτον προεθέμην, προσθῆναι ταῖς ἀρχαίων ἀνδρῶν ἐγγράφοις ἀνδραγαθίαις καὶ τὰ νῦν ἐν τοῖς καιροῖς ἡμῶν κατορθωθέντα, πρὸς εὔεργεσίαν μὲν τῶν ἀκουόντων, ἐπιστροφὴν δὲ τῶν φασκόντων, μὴ δύνασθαι μὲν τοιαῦτα κατορθοῦσθαι, οἷα ἐν τοῖς παλαιοῖς χρόνοις, ἵνα γνῶσι πάντες πῶς οὗτε χρόνος, οὗτε καιρῶν δυσχέρειαι, οὗτε ἀναστροφὴ ἀπηγορευμένου βίου, ἐμπόδιον γίνεται πρὸς κατόρθωσιν τῶν ἀγαθῶν ἔργων. Ἔὰν θέλῃ τις πρῶτον τῷ φυσικῷ λόγῳ ἐπόμενος, ἔτι καὶ ταῖς διδασκαλίαις τῶν προειρημένων ὁσίων πατρῶν ἀκολουθεῖν, ḥαδίαν εὔρήσει ὁδὸν τῆς ἐναρέτου πολιτείας. Οὗτοι εἰσὶν, καὶ οἱ νῦν ἡμῖν προκείμενοι πρὸς διήγησιν ἄνδρες, ὃν καὶ τὸν ἐξ ἀρχῆς βίον ἀναγράψω, καί τὸν τοῦ τέλους ἔπαινον ἐκ τῶν παρ' αὐτοῖς ἔργων ἐπιδείξω.

## CAPUT I.

S. Eustathius mirabili Salvatoris inter cornua cervi apparitione  
vocatur ad fidem, baptizatur cum Uxore ac Filiis, ad egestatem  
redigitur, & profugus Uxorem & Filios amittit.

სამეცნიერო აპარატი, თავის მხრივ, რამდენიმე ნანილს მოიცავს. სანამ მათ შევეხებით, მანამდე აღვნიშნავთ, რომ ჰაგიოგრაფიას, როგორც ისტორიული მწერლობის ერთერთ ჟანრს, გარდამავალი საფეხური უკავია მხატვრულ მწერლობასა და დოკუმენტურ ჟანრს შორის. საგამომცემლო კონცეფციაც სწორედ მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შევიმუშავეთ და ტომს დავურთეთ შესაბამისი, ჟანრის მახასიათებლებს მორგებული კრიტიკული აპარატი. იგი მოიცავს ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ გამოკვლევას, სადაც განხილულია ნუსხათა ურთიერთმიმართებისა და „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ შემთხვევაში – ბერძნულ ტექსტთან დამოკიდებულების საკითხი და ახსნილია ამა თუ იმ ნუსხის ძირითად ტექსტად შერჩევის საფუძველი. ცალკეა განხილული ძირითადი ხელნაწერის ენისა და ტექსტის საკითხები თითოეული თხზულების შემთხვევაში. „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ შემთხვევაში მხოლოდ ტექსტის საკითხები გვაქვს მოცემული, რადგან ის ერთადერთ ნუსხაშია შემორჩენილი და, მაშასადამე, აქ არ დგას ნუსხათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის საკითხი.

სამეცნიერო აპარატის ნაწილს შეადგენს ხელნაწერთა აღწერილობები, რომლებიც რუბრიკების სახით გვაქვს წარმოდგენილი. აღწერილობების ჩვენეული სქემა იმ მოდელს ეყრდნობა, რომელიც მოცემულია 2018 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში – „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში.“<sup>1</sup> აღნიშნული მოდელი ნიმუშად

<sup>1</sup> უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები... 2018: 16-18.

ავილეთ იმის გამო, რომ ის საუკეთესოდ გვაწვდის ამა თუ იმ ხელნაწერის ირგვლივ არსებულ ინფორმაციას სეგმენტირებული და მოქნილი სახით.

ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შევიტანეთ მასში, კერძოდ, რუპრიკა „რაობის“ ნაცვლად ვარჩიეთ „უანრი“, „შიფრის“ ნაცვლად – „ფონდი“, ცალკე რუპრიკებად გამოვყავით: „პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა“, „ტექსტის ადგილი კრებულში“ და „წინა აღნერილობები.“ შედეგად, მივიღეთ ის სქემა, რომელშიც მოქცეულია ჩვენი ხელნაწერების აღნერილობები. იგი შემდეგ რუპრიკებისაგან შედგება:

გადაწერის ადგილი  
ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა  
ჟანრი  
თარიღი  
თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი  
ფურცელთა რაოდენობა  
პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა  
ტექსტის ადგილი კრებულში  
საწერი მასალა  
ფურცლის ზომა  
სტრიქონთა რაოდენობა  
ნაწერის ზომა  
სვეტების რაოდენობა  
თითოეული სვეტის ზომა  
სვეტებს შორის მანძილი  
დამწერლობის ტიპი  
გადამწერი  
ანდერძ(ებ)ი  
მინაწერ(ებ)ი  
წინა აღნერილობები  
ბიბლიოგრაფია.

შენიშვნის სახით დავამატებთ, რომ ზოგიერთი რუბრიკა (მაგ., „ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა“) შეიძლება არ ახლდეს რომელიმე ხელნაწერს. ამასთან, იმის გამო, რომ ათონური და იერუსალიმური ნუსხები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფირების სახით გვაქვს და არა ორიგინალების, ის რუბრიკები, რომლებიც ორიგინალთან დაკავშირებულ კოდიკოლოგიურ ინფორმაციას შეიცავს, ვერ იქნება შევსებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭირო ცნობები წინა აღწერილობებშია მოცემული.

სამეცნიერო აპარატის მომდევნო ნაწილია კომენტარები, სადაც თხზულებათა საყურადღებო ადგილები და ფრაზებია განმარტებული. თუ ტექსტში ჩანართებია რომელიმე ბიბლიური წიგნიდან, კომენტარში მითითებულია შესაბამისი წიგნი, თავი თუ მუხლი. საჭიროების შემთხვევაში ახსნილია მისი დამოწმების კონტექსტი.

გამოცემას ერთვის შენიშვნები, სადაც კალმისმიერი ლაფსუსებია აღნუსხული გვერდისა და სტრიქონის მითითებით. ენობრივი ცდომილებები აქ არ შემოდის, რადგან მათზე სპეციალურადაა საუბარი სტატიაში – „ტექსტის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები.“ გარდა ამისა, ენობრივად არასწორი ფორმები ჩატანილია სქოლიოშიც, კრიტიკულ ტექსტში კი ისინი ჩანაცვლებულია სწორი ფორმებით სხვა ნუსხებიდან. შენიშვნების ცალკე სამეცნიერო რუბრიკის სახით დართვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ, ჯერ ერთი, სქოლიოები ზედმეტად არ გადაგვეტვირთა და, მეორეც, მისი ნომრები ვარიანტული იყითხვისის ნომრებში არ აგვერია. ამდენად, ტექსტებში ამა თუ იმ სიტყვის ზემოთ მიწერილი ნომერი მხოლოდ ამა თუ იმ ნუსხის იყითხვისზე მიგვითითებს.

ჰაგიოგრაფიული თხზულებების გმირები რეალური, ისტორიული პიროვნებები არიან, რომლებიც რეალურ დროში ცხოვრობდნენ და ღვთის სათნო მოღვაწეობით სხვათაგან გამოირჩეოდნენ. უმეტესი ნაწილი მოწამებრივად აღესრულა და ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა. მათ აქვთ

თავიანთი ხსენების სადღესასწაულო დღეები, არსებობს მათი ხატები და ა. შ. ანუ, მათი სახელები ეკლესიის ისტორიის ნაწილია.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, წმინდანების გვერდით, სხვა ისტორიული პიროვნებებიც გვხვდება, იქნებიან ესენი მთავრები, მეფეები, იმპერატორები, მხედართმთავრები თუ სხვ. გარდა ამისა, ამ ჟანრის ნაწარმოებებში ხშირად იხსენიებიან აგრეთვე მითოლოგიური პერსონაჟები. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოცემას დავურთეთ პირთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა ანოტირებული და არა ანბანური საძიებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ გვერდები მითითებული არა გვაქვს მხოლოდ ეკსტათის, თეოდორე პერგელისა და ანთომოზ ნიკომიდიელისთვის, რადგან ისინი თხზულებებში თითქმის ყველა გვერდზე მოიხსენიებიან. დანარჩენ პირებს, მოქმედი გმირების ჩათვლით, გვერდები აღნიშნებათ.

მოქმედებები ამა თუ იმ ნაწარმოებში კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ხდება და, ბუნებრივია, ავტორის მიერ სახელდება ქვეყანა, ქალაქი, დაბა, მდინარე თუ სხვა რომელიმე გეოგრაფიული ადგილი. რამდენადაც თხზულებაში აღნერილი ამბები ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ საუკუნეებში ხდებოდა, ტოპონიმთა სახელები შეიძლება სხვაობდეს მათი თანამედროვე სახელწოდებებისაგან და საჭიროებდეს ახსნა-განმარტებას. ამიტომ, პირთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა ანოტირებული საძიებლის შემდეგ ტომს ერთვის გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელიც.

სამეცნიერო აპარატის დამამთავრებელი ნაწილია ლექსიკონი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძველი ქართული ენის ლექსიკონები, მის დართვას წინამდებარე ტომისთვის თავისი კონკრეტული მიზანი აქვს: დააფიქსიროს სალექსიკონი ერთეულების მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ მოცემულ გამოცემაში შესულ თხზულებებში აქვთ. გარდა ამისა, ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა რომელიმე კონტექსტში განსხვავებული სემანტიკური ელფერით არის ნახმარი, რაც

აფართოებს მისი გამოყენების სარეალიზაციო სფეროს. ეს კი ბუნებრივად წარმოშობს ძველი ტექსტებისთვის განმარტებითი ლექსიკონის დართვის აუცილებლობას. მაგალითისთვის დავიმოწმებთ ორიოდე ნიმუშს: „ევსტათის ცხოვრებასა და წამებაში“ გვხვდება ასეთი ფრაზა: „აქუნდა ქედსა მისა სას-წაული წყლულებისად.“ მოცემულ შემთხვევაში სიტყვა სასწა-ული ჭრილობის შედეგად ევსტათის კისერზე დარჩენილ ნი-შანს – ნაწიბურს გულისხმობს. ამავე ნაწარმოებში სიტყვა ზიარება ნიშნავს თანამყოფობას, თანაზიარობას, ხორციელ ერთობას: „ამას ითხოვდა ღმრთისაგან დედაკაცი იგი, რათა დაიცვას ზიარებისაგან უცხო თესლისა მის.“

ცხადია, ასეთი ლექსიკური ერთეულების გვერდით ლექსიკონში შეტანილია ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ცნობი-ლი მნიშვნელობით არის გამოყენებული.

**„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ნუსხათა  
ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ ტექსტთან მათი  
დამოკიდებულების საკითხისათვის**

ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემის დროს კვლევის სფეროში ბუნებრივად შემოდის ორიგინალურ ვერსიასთან მიმართების საკითხების შესწავლა, რომელთა გადაწყვეტა ხშირ შემთხვევაში გართულებულია მთელი რიგი მიზეზების გამო. მათ შორის უმთავრესი კი ის არის, რომ ორიგინალური ტექსტი ან დაკარგულია, ან კიდევ გამოუცემელი. ეს განსაკუთრებით კიმენური რედაქციის ძეგლებზე ითქმის, რომელთა დედნების მოძებნაც პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველი მთარგმნელები თუ გადამწერები შემოქმედებითად უდგებოდნენ ტექსტებს, მათ ცვლიდნენ თავიანთი ენობრივი გემოვნების შესაბამისად, ასხვაფერებდნენ, რაღაცას აკლებდნენ ან უმატებდნენ და ა. შ.

ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის შესწავლის საქმეში პრობლემად მიიჩნევა აგრეთვე თხზულების დედნის წარმომავლობის განსაზღვრა. მართალია, ბიზანტიური ორიგინალური ჰაგიოგრაფია ერთ-ერთი მონინავე და პოპულარული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში და ძალიან ბევრგან შეაღწია კიდეც თარგმანების სახით, მაგრამ თავად ბერძნებიც ინტერესდებოდნენ სხვადასხვა ენაზე შესრულებული ლიტერატურის ძეგლებით და ისინი თავიანთ ენაზე გადაჰქონდათ. ამდენად, ქართულად ან რომელიმე სხვა ენაზე შეიძლებოდა ეთარგმნათ ბერძნულიდან, მაგრამ არა ყოველთვის ბერძნული წარმომავლობის ძეგლები, არამედ, სირიული, კოპტური, ეთიოპური, ლათინური, სომხური თუ სხვა.

ბერძნული ტექსტის არსებობა აადვილებს ქართული თარგმანის მასთან მიმართების კვლევის საქმეს, თუმცა საკითხი იმის შესახებ, ბერძნული ორიგინალური ვერსია თუ შუამავალი ტექსტი, გადაწყვეტილად ითვლება მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ვიცით, ვინ არის ნაწარმოების ავტორი. ასე-თი ტექსტების ავტორთა ვინაობა კი ხშირ შემთხვევაში უცნობია.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ნინამდებარე ტომში დაბეჭდილი სამი ტექსტიდან მხოლოდ ერთს („ევსტათის ცხოვრებასა და წამებას“) მოეპოვება ბერძნული ვერსია. ამ სამი ტექსტიდან არც ერთის ავტორის ვინაობა ცნობილი არ არის, რაც ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნიშნავს იმას, რომ არ ვიცით, ბერძნული ტექსტები, საიდანაც ექვთიმე ათონელმა ქართული თარგმანები შეასრულა, ორიგინალური ვერსია იყო თუ შუამავალი ტექსტი.

ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულება „ევსტათის ცხოვრება და წამება“ ჩვენამდე ორი, ერთმანეთისაგან 7-საუკუნოვანი დროული ინტერვალით დაშორებული, ნუსხით არის მოღწეული. პირველი – ათონური წარმომავლობის, XI საუკუნით თარიღდება და შედის Cod. Iviron georg-17 კრებულში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღწერილობის მიხედვით მოიხსენიება, როგორც Ath-17, ხოლო მეორე ნუსხა XVIII საუკუნეს ეკუთვნის და არის H-2077 კრებულის ნაწილი.

თხზულების ნუსხათა ურთიერთმიმართების გარკვევის დროს უაღრესად ყურადსალები საკითხია ბერძნულ ორიგინა-ლურ ტექსტთან მათი დამოკიდებულების დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული თარგმანის არც ერთი ნუსხა არ არის თავდაპირველი დედანი, ჩვენს ყურადღებას იპყრობს კონკრეტული საკითხი – ამ ორი ხელნაწერიდან რომელი ამ-ყდავნებს მეტ სიახლოეს ბერძნულთან. ცნობილია, რომ ნუს-ხის სიძველე ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ უცილობლად ის არის ამოსავალი შემდგომი პერიოდის ხელნაწერებისთვის. შესაძლებელია, მოგვიანო პერიოდის ნუსხისთვის წყარო სხვა, კიდევ უფრო ადრინდელი, ხელნაწერი იყოს.

ნუსხებს შორის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების დადგენა შედარებით მარტივია ნათარგმნი ტექსტების

შემთხვევაში, თუ არსებობს ორიგინალური ვერსია, საიდანაც შესრულდა თარგმანი. ის გვეხმარება, გავარკვიოთ რომელი ხელნაწერი მისდევს მას მეტად, ანუ რომელია უფრო ძველი თუ ძველი ვითარების ამსახველი. თუმცა ამ შემთხვევაშიც სადაც საკითხი ზედმინევნითი სიზუსტით ვერ წყდება, რამდენადაც ორიგინალური ვერსიაც დროის განმავლობაში ნუსხიდან ნუსხამდე ისე იცვლება, როგორც ნათარგმნი ტექსტი. ამდენად, როდესაც ნათარგმნ ძეგლთან გვაქვს საქმე, აქ ორმაგად ისმის ძირითადი ტექსტის საკითხი.

საანალიზო თხზულების ნუსხათა ურთიერთმიმართების შესწავლისას გამოვლინდა, რომ XVIII საუკუნის ხელნაწერი (H-2077) მცირე მოცულობის დამატებით ტექსტს შეიცავს, რომელიც ბერძნულშიც იკითხება, მაგრამ XI საუკუნის ნუსხაში (Ath-17) არ ჩანს.

ეს დამატებითი ტექსტია:

„.... რამეთუ მადლი ჩემი იყოს თქუენ თანა მცველად სულთა თქუენთა და, ესე რა თქუად უფალმან, ალვიდა ზე-ცად და გარდამოწვდა ევსტათი მთით და უთხრა ცოლსა თვისსა ყოველივე იგი. და მოუდრიკნეს მუქლნი და ევედრებოდეს უფალსა და იტყოდეს: „ნებავ შენი იყავნ, უფალო!“ ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა შემოვიდა სენი სასიკუდინე სხეულსა მისა. და მოსწყდეს მონანი და მწევალნი მისნი. და ცნა ევსტათი...“

Η ნუსხის ბერძნულთან თანხვედრის ფაქტმა ამ ნაწილში საინტერესო გახადა კვლევის პროცესი იმის გასარკვევად, ბოლომდე ინარჩუნებდა თუ არა აღნიშნული ვერსია ორიგინალურ ძეგლთან სიახლოვეს და ამ მხრივ უპირატესობას Ath ნუსხასთან მიმართებით.

თავიდანვე შევნიშნავთ, რომ ნებისმიერი ნათარგმნი ტექსტის ხელნაწერებს შორის სხვაობა ორიგინალი ტექსტის საფუძველზე აიხსნება მხოლოდ მორფოსინტაქსისა და ლექსიკის დონეებზე (მორფოლოგის დონეზე კიდევ იმდენად არა, რამდენადაც სინტაქსის), ფონეტიკისა და ორთოგრაფიის

მონაცემები კი ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას არ შეიცავს.

მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩვენი ნუსხები არცთუ იშვიათად სიტყვათა განსხვავებულ რიგს გვთავაზობენ, როგორიცაა, მაგ.: „რად ეწმარებინ“ // „ეწმარებინ რაღ“; „წარვედ და მოუწედ ქალაქად მღდელსა ქრისტეანეთასა“ // „წარვედ ქალაქად და მოუწედ მღდელსა ქრისტეანეთასა“; „ესევითართა სასწაულთა მიერ“ // „ესევითართა მიერ სასწაულთა“; „ისწრაფე ან“ // „ან ისწრაფე“; „გამოჩინებად მეორისა იობისი“ // „მეორისა იობის გამოჩინებად“; „უფალო, სრულიად ნუ დამიტევებ“ // „უფალო, ნუ სრულიად დამიტეობ“; „დალაცათუ მას მონაგებნი“ // „მას დალაცათუ მონაგებნი“; „წარიყვანა ცოლი მისი თვესა ქუეყანასა“ // „წარიყვანა ცოლი მისი ქუეყანასა თვესა“; „რომელმან პოოს იგი, პატივი დიდი მივსცე“ // „რომელმან პოოს იგი, მივსცე მას პატივი დიდი“; „რამეთუ უბადრუკნი შვილნი ჩემნი ვიცი, რომელ“ // „ვიცი რომელ უბადრუკნი იგი შვილნი ჩემნი“; „მან მისცა ყოველივე სიხარულით“ // „მან ყოველივე მისცა სიხარულით“; „ესმა რაღ ესე საქმე“ // „ესმა რა საქმე ესე“; „უკეთური და ბარბაროზი კაცი“ // „კაცი უკეთური და ბარბაროზი“; „ინება შინაგან შესლვაა“ // „ინება შესლვად შინაგან“; „არა იცოდეს, თუ მათი დედაღ არს“ // „არა იცოდეს, თუ დედა მათი არს“; „წიაღმიყვანა მამამან ჩემმან მაშინ წყალსა მას“ // „წიაღმიყვანა მაშინ მამამან ჩემმან წყალსა მას“ და ა. შ;

ან კიდევ, ხელნაწერები რომ ერთმანეთისაგან ხშირად ლექსიკური ერთეულების შერჩევის კუთხით სხვაობენ (ეს შეიძლება ეხებოდეს სახელებს, ზმნებს, კავშირებს, იშვიათად შორისდებულებსაც კი), მაგ.: ჩჩლნი // ყრმანი; ძენი // შვილნიცა; გონებასა // ბუნებასა; სატანჯველისა // განსაცდელისაა; შვილთა // ძეთა; უმრნემესი // უმცირესი; წარტაცებულ // შეჭმულ; განბნევად // განპებად; მახლობელად // მსახურად; დახრევად // დაბრკოლებად; ვდგათ // ვართ; გინებს // გნებადვსა; იგონებდა // განიზრახვიდა; მირბიოდეს // სრბით მი-

ვიდეს; უდებ იქმნა // მოწყინებულ იქმნა; იხილნა // იცნნა; მოვიდა // შევიდა; მოსწყვდა // მოსრნა; ადროონ // აცადონ; განმწვდე // განძლიერდეს; წარიტაცნეს // შეიჭამნეს; „განიცადეს და იხილეს“ // „განიხილეს და პოვეს“; შეშინდა // შეძრნუნდა; მისწავიეს // მრნამს; შორის // საშუალ; რად // ვითარ; ვითარ // რამეთუ; ვითარმედ // რამეთუ; ნუთუ // ნუუკუტ; რომელ // ვითარმედ; შ // ვად, და სხვა მრავალი;

**და ის ფაქტიც, რომ რომელიმე ხელნაწერში სიტყვა ან ფრაზა დამატებულია, ან დაკლებული და ა. შ., ხშირად სწორედ ბერძნულის გავლენით აიხსნება.**

ნუსხების ბერძნულთან შედარების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო შემთხვევა. კერძოდ:

ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს:

- I. XVIII საუკუნის (H) ნუსხა (უფრო ხშირად);
- II. XI ს-ის (Ath) ნუსხა (უფრო ნაკლებ);
- III. ბერძნულ ტექსტს არც ერთი ნუსხა არ მიჰყება;
- IV. ან გარკვეულწილად ორივე ნუსხა ავლენს მსგავსებას კონკრეტული ფრაზების ფარგლებში.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ოთხივე შემთხვევას.

#### I. ბერძნულს მხარს უჭერს XVIII ს-ის ნუსხა.

უმთავრესი საკითხის – ნუსხათა ბერძნულ ტექსტთან დამოკიდებულების – შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მასთან გაცილებით მეტ მსგავსებას ავლენს XVIII საუკუნის ხელნაწერი, ვიდრე XI ს-ისა. ნუსხებს შორის სხვაობებიც უმეტეს შემთხვევაში ბერძნული ვერსიის ჩვენების მიხედვით იხსნება. კერძოდ, მასთან H ნუსხის მრავალმხრივი თანხვედრა გვანვდის ინფორმაციას, რომ:

1. „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ორ ნუსხას შორის სხვაობა საერთო სემანტიკურ ველს (შეიძლება ეს იყოს სინონიმებიც ან სემანტიკურად ახლოს მდგომი სიტყვები) ან გრამატიკული ფუნქციის საერთო სივრცეს არ სცილდება და ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს H ნუსხის ჩვენება:

ამდენად, პირველ შემთხვევაში ორი მოვლენა უნდა გამოვყოთ: ა) როდესაც ხელნაწერები კონკრეტულ კონტექსტში სინონიმური წყვილიდან ან საერთო სემანტიკური ველი-დან სხვადასხვა ვარიანტს ირჩევენ და ბ) როდესაც ხელნაწერები საერთო გრამატიკული ფუნქციის მქონე სიტყვებს იყენებენ. ორივე შემთხვევაში ბერძნულ ვერსიას ემთხვევა ჩ ხელნაწერის ჩვენება.

ქვემოთ დამონმებულ ნიმუშებში ვეცადეთ ორივე ნუსხის ჩვენება აგვესახა. ამისათვის ფრჩხილებში მოვათავსეთ ჩ ხელნაწერის იკითხვისი. ცხადია, ის სიტყვები, რომლებსაც ისინი ცვლიან, Ath ხელნაწერის მონაცემს გვიჩვენებენ, ხოლო სიტყვის დანარჩენი ნაწილი საერთოა ორივე ნუსხისთვის. რა თქმა უნდა, ყველა დამონმებულ მაგალითში ბერძნულ ვერსიას თანხვდება ფრჩხილებში მოცემული საანალიზო სიტყვა:

ა) „უჩუენა მას ღმერთმან (უფალმან) სასწაული“ (შდრ. ბერძნული: ὁ Κύριος (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 124); „ეგ-რეთვე ძენი (შვილნიცა) ჩუენნი მოგუცნეს“ (τὰ Τέκνα ἡμῶν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 133)); „ჯერ-არს შენდა მოთმენად სატანჯველისა (განსაცდელისა)“ (πειρασμὸν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126)); „შენ და ქმარი შენი და შვილნი შენნი (თქუენნი) მოხვდეთ ჩემდა“ (ὑμῶν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125); „მიუთხრა ყოველივე ცოლსა მისსა (თვსსა)“ (τῇ Γυναικὶ αὔτοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125); „ჭ (ვად) მე და თქუენ, რამეთუ დედად თქუენი მიეცა კაცსა უცხო თესლსა“ (Οὐαί (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 127));

ბ) „იხილნა რად ჭაბუკნი იგი უფროს ყოველთა შუენიერნი, დაადგინნა მახლობელად (მსახურად)“ (εἰς ... ὑπερεσίαν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132)); „მოეახლნეს რად, იხილნა (იცნეა) იგინი“ (ἐπίεγνω (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)); „კუალად ამაღლებად სიმართლითა მით სულიერითა (სუ-

**ლიერითა მით სიმდიდრითა)**“ (ეს თავი პნეუმატიკური პლიტა (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126)).

2. ნუსხობრივი განსხვავებულობა სცილდება ზემოთ (პირველ პუნქტი) მითითებულ ფარგლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ნუსხაში პოვნიერი სიტყვები არც სემანტიკურად და არც გრამატიკულად არ თანხვდება ერთმანეთს:

„კაცთმოყუარემან და სახიერმან ღმერთმან, რომელი მის (მარადის) თვესთა სათნოთა მოუწოდს“ (Πάντοτε (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 124)); „იტყვედ თვსაგან ურთიერთას: ვითარმედ (ფრიად)“ (Πάνυ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)); „არცა მისწავის (მრნამს).“ ბერძნულშია ზმნა ისტიმა, რაც ნიშნავს ვეთაყვანები, ქედს ვუხრი; ალბათ, რწმენის შინაარსიც შეიძლება ვიგულისხმოთ ამ კონტექსტში, თუმცა სწავლისა – არა (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 134).

3. ჩ ნუსხაში რომელიმე სიტყვა ან სიტყვები ბერძნულის გავლენით ზედმეტადაა გამოყენებული Ath-სთან შედარებით:

„ტყუეყო ყოველი გარემო სოფლები“ (Κύκλω (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 134)); „გევედრები შენ, οὐαλλον“ (Κύριε (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126)); „რათა გიჩუენო შენ თავი ჩემი“ (σοι (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 124)); „შენ ხარ შემოქმედი ყოველთავ და მომქცეველი შეცთომილთავ“ (καὶ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)); „საკურველითა ხილვითა ორმისა მიერ“ (διὰ τοῦ ἐλάφου (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)); „და ყოველი მოწევნული მის ზედა მიუთხრა მათ“ (πάντα τὰ συμβάντα αὔτა (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)); „მისგან და მომიყვანეს და ალვიზარდე დაბასა მას“ (καὶ ἀνετράφην (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132)); „ძენი მისნი, ვითარცა ვთქუ, ალეზარდნეს“ (Υἱοί αύτοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 130)); „ვერ მიეახლა მას უცხო თეს-

ლი“ (აუტე (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 130)); „სამნი ყრმანი ბაბილონს შინა“ (ევ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 134)) და სხვ.

4. H ნუსხაში Ath-სთან მიმართებით ზედმეტად გამოყენებულ სიტყვათაგან მხოლოდ ნაწილი ემთხვევა ბერძნულს, ნაწილი კი H ნუსხის საკუთრებაა:

„ხრწნილი იგი კაცი.“ ბერძნულში კაცი არის, მაგრამ იგი – არა (ანθρωπოν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126)).

5. Ath ნუსხაში ზედმეტად ხმარებულ სიტყვას ან ფრაზას მხარს არ უჭერს ბერძნული ტექსტი, რაც H ნუსხის ბერძნულთან სიახლოვეს უსვამს ხაზს.

ქვემოთ დამოწმებულ მაგალითებში მონიშნული სიტყვები Ath ხელნაწერის ჩვენებას ასახავს და არ არის ბერძნულ ტექსტში: „შეწუხნა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი მისთვის“; „მოიქცა მეორისა მის შვილისა მიმართ“; „და კუალად“; „და მისდევდეს მას“; „და იქსენებდა პლაკიდა“; „ეტყოდა მათ“; „ესე რად ესმა ევსტათის, შეეშინა ფრიად“; „და ჰრეჯუად მათ ევსტათი“; „ხოლო იცნეს რად იგი კეთილად... იძულებით აღიარა“; „უფალო ჩემო, მე ქუეყანისაგან ჰრომთავსა ვარ“; „ვიდრე იგილა მოვიდა და ლომმან წარმიტაცა მე“.

6. ხელნაწერები ერთსა და იმავე ზმნას სხვადასხვა ფორმით წარმოადგენენ და ბერძნულის ჩვენებას იმეორებს H ნუსხა:

„მოვედით სადგურად ჩემდა და განისუენეთ (განგისუშნო თქუენი)“ (ξενίζოμαι (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)); „ანუ რად მოინია (მონევნილ არს) მათ ზედა.“ ბერძნულში მიმღეობური ფორმაა: მონევნილი (συμβάντα (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 133)); „თქუად: „მრნმენა (მრნამს) შენი“ (Πιστεύω (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)).

7. სხვაობა ფიქსირდება სიტყვათა რიგის მიხედვით. დამოწმებულ ნიმუშებში იტალიკით მოცემულია Η ნუსხის იყითხვისი, ხოლო ბოლდით – Ath ნუსხისა:

„წარვედ ქალაქად და მოუწედ ქალაქად მღდელსა ქრისტეანეთასა.“ ბერძნულშია: „τηγ γνάμს ἡμί, ნადი ქალაქ-ში და მიდი ქრისტიანთა მღვდელთან“ (Εἰ πιστεύεις εἰς ἐμὲ, ἄπελθε εἰς τὴν πόλιν καὶ πρόσελθε τῷ ἵερεῖ τῶν Χριστιανῶν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)); „მოვიდე კუალად შენდა და კუალად პირველსავე დიდებასა მიგაქციო.“ ბერძნულშია: „მოვალ შენთან და კვლავ ...“; ოსმალებით „მოვალ შენთან და კვლავ ...“; ოსმალებით „რომელმან პოოს იგი, პატივი დიდი მიგვსცე მას პატივი დიდი და საფასე ფრიადი.“ ბერძნულშია: „მას პატივი დიდი“ (αύτῷ τιμήν μείζονα (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126)); „რომელმან პოოს იგი, პატივი დიდი მიგვსცე მას პატივი დიდი და საფასე ფრიადი.“ ბერძნულშია: „მას პატივი დიდი“ (αύτῷ τιμήν μείζονα (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 130)); „ვფუცავ ძალსა ქრისტესა ძალსა.“ ბერძნულშია: „ძალსა ქრისტესასა“ (τὴν δύναμιν τοῦ Χριστοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 133)).

## II. ბერძნულს მხარს უჭერს XI ს-ის ნუსხა.

ისევე, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, აქაც რამდენიმე მიმართულება უნდა გამოვყოთ:

1. ნუსხებს შორის სხვაობა საერთო სემანტიკურ ველს (შეიძლება ეს იყოს სინონიმებიც ან სემანტიკურად ახლოს მდგომი სიტყვები) ან გრამატიკული ფუნქციის საერთო სფეროს არ სცილდება და ბერძნულ ტექსტს მხარს უჭერს Ath ნუსხის ჩვენება:

„და შვილთა (ძეთა) მისთავ“ (τῶν Τέκνων αὐτοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 134)); „იძულებით დაუტევა ცოლი თვესი (მისი)“ (έαυτοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 127)); „ქრისტეანები ალიარებენ, რამეთუ (და) იგი არს ღმერთი ჭეშ-მარიტი“ (γάρ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)); „მწეცთა წარიტაცნეს (მიერ შეიჭამნეს)“ (θηριάλωτα ყევიასი (Acta

Sanctorum, tomus sextus, p. 133)); „ევსტათი არა იცოდა (ვერარაა ცნა)“ (ούκ ḥδει (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 127)).

2. ნუსხობრივი განსხვავებულობა სცილდება ზემოთ (პირველ პუნგში) მითითებულ ფარგლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ნუსხაში პოვნიერი სიტყვები არც სემანტიკურად და არც გრამატიკულად არ თანხვდება ერთმანეთს:

„ფრიად მსგავს არს მისა, ხოლო (ეგრეთ არს არამედ“) (Πάνυ ὅμοιος αύτῳ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131). ბერძნულში ხოლო კავშირიც არის (δέ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131); „მენამების მეუფე (მე) ქრისტე“ (ό δεσπότης (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 133).

3. Ath ნუსხაში რომელიმე სიტყვა ან სიტყვები ზედმეტადაა გამოყენებული H ნუსხასთან შედარებით ბერძნულის გავლენით:

„ხოლო მან იხილა მწედრობაა, რამეთუ არა კმაიყო ბრძოლად ბარბაროზთა“ (Καὶ επισκεψάμενος τὸν στρατὸν (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132)); „აღიხუნეს ყრმანი იგი და აღზარდნეს (აღზარდნეს იგინი).“ ბერძნულშია: „აიყვანეს ყრმები და თავიანთოვის აღზარდეს“ (καὶ λαβόντες τὰ Παιδία ἀνεθέψαντο παρ' ἐαυτοῖς (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 127)); „იტყოდა უხუცესი იგი ძმა, ვითარმედ“ (Οτι (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132); „ვითარცა ხე, ხოლო ან განშიშულებულ ვარ“ (δέ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 128)); „იგი არს სტრატილატი ჰლაკიდა“ (ό στρατηλάτης Πλακίδας (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)); „შუადღე ოდენ სხდეს და მიუთხობდეს ურთიერთას“ (ἀλλήλοις (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132)); ბერძნულში ურთიერთას არის: „ნათელსცა მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (αύτοὺς (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)) // καὶ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)).

4. Հ նշվածքում Ցեղական կազմակերպությունը սուբյեկտ է համարվում և ան գործադրությունը կատարվում է առ պատճենագործությունը հաջորդում է առ պատճենագործությունը:

„მოვედ (და) აღვიტუნეთ ორნი ესე ჩჩიკლნი“; „ვითარცა  
არად აქუნდა (მათ)“; „ვითარმედ სთქუ: (თუ) „ჯერარს გამოც-  
დავ“; „რომელ აქუნდა (მათ)“; „მისცა (კუალად) პირველი პა-  
ტივი“; „ევსტათი ეწოდა (წმიდისა) ნათლისძებისა მიერ“;  
„პრქუა მას ცოლმან (მისმან)“; „დაჯდომილიყო (იგი) მტილსა  
ერთსა“; „შეწირვად მსხუერპლისა ძლევისა მისთვს (ბარბა-  
როზთასა)“; „თანა მამით და სულით წმიდითურთ (ან და მარა-  
დის და)“; „უკუეთუ (ვინ) ზღუასა შინა“; „მოიპარნეს გუამნი  
წმიდათანი (მონამეთანი)“; „(ან) უკუეთუ დღესამომდე უმეცარ  
სარ (მათთვს).“

5. სხვაობა სიტყვათა რიგის მიხედვით ფიქსირდება.

„თვისა ქუეყანასა“ // „ქუეყანასა თვისსა“; „არა არს სხუად“ // „სხუად არა არს“ (ΟΥΚ ἔσΤΙΝ ἄλλος (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 135)).

გვაქვს ერთ ფრაზაში ზემოთ განხილული შემთხვევების თანაარსებობის მაგალითები(კ):

„მიუღო მათ ეგსტათი (და ჰერქული).“ მათ არის ბერძნულში (αύτοὺς (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)), და ჰერქული – არა.

„ρωμέλισα οὕθ μαρτυρία την περίπτωση της απόφασης.“ Δεύτερη σημείωση: „μεταξύ των δύο περιπτώσεων που αναφέρονται στην παρούσα παραγγελία, η πρώτη είναι η περίπτωση της απόφασης της αρχής, η δεύτερη η περίπτωση της απόφασης της κοινότητας“ (εἰς τοὺς δεομένους (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 125)). Τα δύο περιπτώσεις αυτές προσδιορίζονται στην παρούσα παραγγελία ως περίπτωση απόφασης της αρχής και περίπτωση απόφασης της κοινότητας.

„მწედართა მათ მიუთხოეს ყოველთა სიკეთე მისი (და) პატივი (პირველი) და დიდებად.“ ბერძნულში ყოველთა არ

არის, პირველი და კი არის (*kai* (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)). ამასთან, გვაქვს „მისი უწინდელი (პირველი) დიდება“ (τῆς προτέρας αύτοῦ δόξης (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 131)).

### III. ბერძნულ ტექსტს არც ერთი ნუსხა არ მიჰყვება.

ქართულ თარგმანში დასტურდება ცალკეული სიტყვები, ფრაზები ან იშვიათად აბზაცებიც, რომელთაც შესაბამისი ეკვივალენტები არ ეძებნებათ ბერძნულში.

მაგალითად, ძეგლის სათაურშივე, წმინდანთა სახელების შემდეგ, ერთ ნუსხაში იკითხება „გვაკურთხენ, მამაო“, მეორეში – „კირიელეისონ“, თუმცა ბერძნულში სათაური წმინდანთა სახელებთან მთავრდება.

„ვითარ იხილა ღმერთი იესუ (უფალი) ქრისტე.“ ბერძნულშია მხოლოდ ქრისტე, ხოლო ღმერთი, უფალი და იესო არაა (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132); „მიუთხრა მეფესა და (ყოველთა) მთავართა მისთა ყოველი მოწევნული.“ ყოველთა და მისთა არ არის ბერძნულში; „ღამესა მეცა ვიხილე იგი და (რამეთუ) მეტყოდა.“ და და რამეთუ ბერძნულში არ არის. აქ გამოყენებულია მიმღეობა და წინადადება სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც: „ვიხილე ის მეტყველი ჩემდამი.“ იმის გამო, რომ მთარგმნელმა თავიდან აიცილა მიმღეობური კონსტრუქცია, აუცილებელი გახდა კავშირის დამატება, რომელიც თითოეულ ნუსხაში სხვადასხვა სახით არის გამოყენებული. „დაუსაბამოსა და ყოვლად დიდებულსა (საგალობელსა) სამებაასა.“ ბერძნულშია: „უხრწენელსა და ყოვლადქებულსა სამებაასა“ (τὴν ἄχραντον καὶ πανύμνητον Τριάδა (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 135)).

### IV. გარკვეულნილად ორივე ნუსხა ავლენს მსგავსებას კონკრეტული ფრაზების ფარგლებში.

აქაც რამდენიმე შემთხვევას გამოვყოფთ:

ა) როდესაც ნუსხებში საერთო სიტყვა ან სიტყვებია გამოყენებული, მაგრამ ბერძნულში მათ შესატყვისი არ მოე-

პოვებათ. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, სიტყვათა რიგი ხელნაწერებში ემთხვევა თუ არა ერთმანეთს:

„რამეთუ განვიდა იგი დღესა ერთსა ნადირობად მქედრებითურთ მისით ჩუეულებისაებრ მისისა“; „ყოველნი მის თანა (მისთანანი) დაშურეს“; „ლოცვად ადგილსა (ლოცვად)“; „(კაცი) უკეთური და პარბაროზი კაცი“; „შინაგან შესლვად (შინაგან) განვებითა ლმრთისათა.“ მონიშნული სიტყვები ბერძნულში არ გვხვდება;

ბ) როდესაც რომელიმე ნუსხაში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულს ბერძნულში სხვა სიტყვა ან სიტყვები შეესაბამება:

„წარიპარეს ყოველივე.“ ბერძნულშია „მთელი ქონება“ (πάντων τῶν ὑπαρχόντων (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 126));

გ) საერთო ვითარებას გვიჩვენებს წინადადების კლების მაგალითიც:

„და იყო კაცი იგი განთქმულ და სახელოან განმარჯუებასა ზედა და ბრძოლასა“; ბერძნულშია: „ესოდენ სახელოვანი და ცნობილი კაცი იყო, კეთილმოქმედი და მეუფებრივი, რომ თავად პარბაროსებს მხოლოდ მისი სახელისაც კი ეშინოდათ“ (შდრ. Acta Sanctorum, tomus sextus, p. 124).

დ) თითოეულ ნუსხაში მოცემული სიტყვა შეიძლება გამართლებული იყოს ბერძნულთან მიმართებით:

„ყვნა მეპურისმტე ტაბლისა მისისა (თვისისა).“ ბერძნული ამ შემთხვევაში ორივენაირად შეიძლება ითარგმნოს: მისი, თავისი (აύτοῦ (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 132)); „ალიხუნაჩივლი (ყრმანი).“ ბერძნულშია Νήπια, რაც ორივეს (ჩვილსაც და ყრმასაც) აღნიშნავს (Acta Sanctorum, tomus sextus, p. 127).

კვლევამ გვიჩვენა, რომ H ნუსხა, მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნისაა და 7 საუკუნით ჩამორჩება Ath ნუსხას, მეტ თანხვედრას ავლენს ბერძნულ ტექსტთან, ვიდრე ეს უკანასკნელი. ეს გვავარაუდებინებს, რომ H ნუსხის გადამწერი,

რომელიც, ანდერძის მიხედვით, ყოფილა სვეტიცხოვლის დე-  
კანოზი, ქართული ნუსხური ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი  
საუკეთესო ოსტატი ალექსი მესხიშვილი, ეყრდნობოდა სხვა  
ვერსიას, სავარაუდოდ, უფრო ძველს, რომელიც დღეისათვის  
დაკარგულად მოჩანს და სადაც ის მცირე მოცულობის დამა-  
ტებითი ტექსტი უნდა არსებულიყო, რომლის შესახებაც ზე-  
მოთ აღვნიშნეთ. რაც შეეხება XI საუკუნის ნუსხას, აქ აღნიშ-  
ნული ტექსტი გადამწერს ან მექანიკურად უნდა ჰქონდეს გა-  
მორჩენილი, ან მისი ჩარევის შედეგი უნდა იყოს. Ath ნუსხის  
თანხვედრა ბერძნულთან კი (მართალია, შედარებით ნაკლებ,  
მაგრამ მაინც) გვიდასტურებს, რომ მისმა გადამწერმა საკუ-  
თარი ინიციატივით შეიტანა ცვლილებები ტექსტში: ზოგიერ-  
თი სიტყვა სინონიმით ან მასთან ახლოს მდგომი სიტყვით ჩა-  
ანაცვლა, გარკვეულ შემთხვევებში შეცვალა სიტყვათა რიგი,  
სხვაგან სიტყვა თუ ფრაზა დაამატა ან დააკლო და ა. შ.

ბერძნულ ტექსტთან ნუსხების შედარებით გამოვლინ-  
და, რომ მათ შორის სხვაობები უმეტეს შემთხვევაში სწორედ  
რომელიმე მათგანზე ბერძნულის გავლენით აიხსნება.

## „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ნუსხათა ენისა და ძირითადი ტექსტის საკითხები

ზემოთ წარმოდგენილ გამოკვლევაში („ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ნუსხათა ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ ტექსტთან მათი დამოკიდებულების საკითხისათვის“) აღვნიშნეთ, რომ ორთოგრაფიის, ფონეტიკისა და ხშირად მორფოლოგიის სფეროც შედარებით თავისუფალია ბერძნული ტექსტის გავლენისგან. ნუსხებს შორის განსხვავებები ამ ნაწილში ენის ისტორიული განვითარების თავისებურებებით უნდა აიხსნას. ქვემოთ წარმოვადგენთ ძირითად სხვაობებს, რაც ხელნაწერთა ურთიერთშედარებისას გამოვლინდა და აგრეთვე შევეხებით ძირითადი ტექსტის შერჩევის საკითხს. მყითხველს შევახსენებთ, რომ საანალიზო ძეგლის შემცველი ორი ხელნაწერიდან ერთი XI ს-ში გადაიწერა, ხოლო მეორე – XVIII ს-ში.

ნუსხათა ურთიერთმიმართების შესწავლა ღირებულია არა მხოლოდ ენაში მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვების კუთხით, არამედ იმითაც, რომ ის გვეხმარება მათი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევაში: როგორ მუშავდებოდა ისინი დროის განმავლობაში, რომელი ნუსხისთვის რომელი ვერსია იყო ძირითადი და რომელი დამხმარე და ესა თუ ის გადამწერი ამა თუ იმ ნუსხას უპირატესობას რის საფუძველზე ანიჭებდა და ა. შ. ამდენად, აქ საკითხთა ფართო წრე იჩენს თავს.

ამ კონტექსტში გვინდა შევეხოთ ერთ ძალიან საინტერესო შემთხვევას, რომელიც საანალიზო თხზულების ნუსხებში იძებნება და ააშკარავებს, რომ მე-18 ს-ის ნუსხის გადამწერს ხელთ ჰქონდა Ath-17 ნუსხაც და მასშიც იხედებოდა. ამ უკანასკნელი ნუსხის გადამწერს სახელმძღვანელო ნუსხიდან (ცხადია, უფრო ძველიდან) ერთი ფრაზა შეცდომით ორჯერ აქვს გადაწერილი ერთმანეთის მიმყოლ წინადადებებში: „ავი-და მთად და მიეახლა ადგილსა მას, სადა-იგი ეხილვა ხილვა

იგი. წარავლინნა მწედარნი ძიებად ნადირისა და დაშთა მხოლოდ და მიეახლა ადგილსა მას, სადა ეხილვა ხილვაჲ იგი. და დავარდა პირსა ზედა.“ ჩ ნუსხაში ეს მონაკვეთი შემდეგნაირადაა მოცემული: „აღვიდა მთად და მიეახლა რაჲ ადგილსა მას, სადა ხილვა ეჩუშნა, წარავლინნა მწედარნი ძიებად ნადირსა და დაშთა მხოლოდ და მიეახლა ადგილსა მას და დავარდა პირსა ზედა.“ ნათელია, რომ მე-18 ს-ის ნუსხის გადამწერს მექანიკურად დაუზყიდა განმეორებული ფრაზის გადანერა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეამჩნია, რომ ის მეორდებოდა და ბოლომდე ალარ დაამთავრა. ჩვენს გამოცემაში მეორე ფრაზა ამოღებულია.

### ორთოგრაფიისა და ფონეტიკის საკითხები.

XVIII ს-ის (H-2077) ნუსხისთვის მკვეთრად დამახასიათებელი ნიშნებია ე.წ. „იოტამეტობა“ და უც დაწერილობა. ზ. სარჯველაძე „იოტამეტობის“ შემთხვევებს IX-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში შენიშნავს, რაც, მისი აზრით, ენაში [ვ]-ს შემცველი დამავალი დიფთონგების მოშლის ფაქტზე მიუთითებს. გრაფიკაში დარჩა [ვ] გრაფემა, რომლის ფუნქციაც ზოგ გადამწერს (მწერალს) ალარ ესმოდა, მაგრამ წერდა, რადგან იცოდა, რომ ძველ ქართულში ის ხმოვნის მომდევნო პოზიციაში იწერებოდა. ამის გამო ე-ს ხშირად ვხვდებით იქაც, სადაც დამავალი დიფთონგი არასდროს ყოფილა. მეცნიერი ე-ს უფუნქციო გამოყენების მაგალითებს პოულობს როგორც სიტყვის შიგნით, ისე ბოლოს, სადაც აჲ გრაფემათა ჯგუფი ა-ს გამოხატავს, ეა – ე-ს, ოა – ო-ს, უა – უ-ს. „ეს ფაქტები ასახავენ [ვ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის ერთ-ერთ გზას: [ვ]-ს დაკარგვის შედეგად [ავ] [ევ] [ოვ] [უვ] დიფთონგები ემთხვევიან მარტივ [ა] [ე] [ო] [უ] ხმოვნებს;“<sup>1</sup> – წერს მეცნიერი.

ჩ ნუსხაში ე უფუნქციოდ იხმარება ა-სთან (ხშირად) და ო-სთან (შედარებით ნაკლებ) ერთად და გადმოსცემს მარ-

<sup>1</sup> სარჯველაძე, 1984: 285-287.

ტივ ა და ო ხმოვნებს. არ შეგვხვედრია მისი ე-სთან ან უ-სთან გამოყენების მაგალითები.

სიტყვის ბოლოს ად გრაფემათა ჯგუფი ა-ს გამოხატავს:

ა) ზმნურ ფორმებში, სადაც დ მოსდევს III სუბიექტური პირის -ა სუფიქსს ან მწკრივის ნიშანს. მაგ., ჰერქუა ზმნასთან ის დადასტურდა ყველა შესაძლო შემთხვევაში (24 მაგალითი): „ჰერქუა მას უფალმან“; „ჰერქუა მას ცოლმან მისმან“; „ჰერქუა ქმარსა თვალსა“ და ა. შ. თქუა ზმნა 3-ჯერ დაირთავს ა-ს: „თქუა: „მრნამს შენი, უფალო“; „ესე რად თქუა უფალმან“; „შეურდა და თქუა.“ დ სხვა ზმნებთანაც მოჩანს: დაშ-თახ, ინებად, ივლტოდად, მიგითხრად.

ბ) მიცემით ბრუნვაში მდგარ სახელთან, სადაც დ მოს-დევს ემფატიკურ ხმოვანს: „რომელსად ქრისტეანენი ალიარებენ“...

ფუძის შიგნით ად დაწერილობა ხშირად მარტივ ა-ს გადმოსცემს:

ა) სახელებში, სადაც ა ფუძისეული ან მორფემისეუ-ლია: წინამდებარე; სხუათაგან; ნადირობადსაცა; გონებადსა; სათნოებათა; მსახურებადსა; დაპრკოლებად; მსგავსებად.

ბ) ზმნურ ფორმებში: გნებადვსა.

ო გრაფემათა კომპლექსი გამოხატავს მარტივ ო ხმოვანს სიტყვის ბოლოს, სადაც დ მოსდევს:

ა) III სუბიექტური პირის -ა სუფიქსს ან მწკრივის ნიშანს: დააგდო, იყო, გიჩუჭნო.

ბ) წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშანს მიმართვის ფორმაში: „გვაკურთხენ, მამაო.“

ზოგჯერ H ნუსხაში დ-ს სწორად გამოყენების მაგალითიც იძებნება (ეს ის შემთხვევებია, სადაც ის ა გრაფემას-თან ერთად გადმოსცემს ად დიფთონგს) და ამათგან ისეთებიც, სადაც Ath ნუსხის შესაბამის ფორმაში ის არ ჩანს: „მონაგებითა ოქროსა და ვეცხლისა.“ შდრ. Ath ხელნაწერი: „მონაგებითა ოქროსა და ვეცხლისა.“

უფრო ხშირად კი ა H ნუსხაში არ გვაქვს იქ, სადაც Ath-ში გამოიყენება:

ა) სახელობით ბრუნვაში: **სწავლა**; შდრ. **სწავლა**; **გზა**; შდრ. **გზა** და ა. შ.

ბ) ნათესაობით ბრუნვაში: „**ცხორებისათვს კაცთახსა**“; შდრ. „**ცხორებისათვს კაცთახსა**“;

გ) მოქმედებით ბრუნვაში: „**საქმითა სიმართლისახთა**“, შდრ. „**საქმითა სიმართლისათა**“; „**განგებითა ღმრთისახთა**“, შდრ. „**განგებითა ღმრთისათა**“.

Ath ნუსხის უკ კომპლექსი H-ში უც მიმდევრობით არის მოცემული შემთხვევათა აბსალუტურ უმრავლესობაში: „**შუცინიერ** იყო“; „**ქუცლისმოქმედსა ღმერთსა**“; „**შიშუცლთა შეჰმოსდა**“ და სხვ. გამონაკლისს წარმოადგენს 2 მაგალითი: „**მომაქცია ტყუეობისაგან**“; „**თუესა სეკდენბერსა**“.

ზ. სარჯველაძე უც დაწერილობას ც გრაფემის „უწე-სო“ ხმარების ერთ-ერთ გამოვლენად განიხილავს. ც ძველ ტექსტებში მისი თავდაპირველი ფუნქციის მივიწყების შემდეგ საკმაოდ ხშირად ენაცვლება ც გრაფემას. „**უც დაწერილობა** ერთ-ერთ ამგვარ დარღვევას წარმოადგენს, ოღონდ, როგორც ჩანს, გან მეტი გავრცელებულობა მოიპოვა. არაა გამორიცხული, რომ ამგვარი დაწერილობა გარკვეულ მწიგნობრულ კერათათვის ყოფილიყო დამახასიათებელი. ის იწერება როგორც უმარცვლო, ისე მარცვლოვანი **უ-ს შემდეგ**,<sup>1</sup> – აღნიშნავს იგი.

ნუსხათა შორის გვაქვს ვი // კ დაწერილობათა მონაცვლეობის მაგალითი: „**სცვიდა ვენაწასა**“ // „**სცვდა ვენაწასა**.<sup>2</sup>

Ath ხელნაწერი ერთგან ხ გრაფემას არჩევს, H ხელნაწერი – ჯ გრაფემას: **ალაოხრა** // **ალაოწრა**.

<sup>1</sup> სარჯველაძე, 1984: 281.

<sup>2</sup> დამოწმებულ პარალელურ მაგალითებში პირველი ყოველთვის Ath ნუსხის ჩვენებას ასახავს, ხოლო მეორე – H ნუსხისას.

თანხმოვნებს ან თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში H ნუსხაში არ არის წარმოდგენილი უმარცვლო უგანსხვავებით Ath ნუსხისგან: **განთქმულ // განთქმულ; სულთქმით // სულთქმით; ქუეყანად // ქვეყანა.**

Ath ნუსხაში ოა და ოე ხმოვნებს შორის პოზიციაში დაკარგულია ვ თანხმოვანი, H ნუსხაში კი შენარჩუნებულია: **სახელოან // სახელოვან; ცხოველისად // ცხოველისა; ვპოეთ // ვპოვეთ.**

ზოგჯერ პირიქით არის: **ოე** ხმოვნებს შორის Ath ხელნაწერი იცავს ვ თანხმოვანს, ხოლო H ხელნაწერი – არა: „**ითხოვე** მისგან“ // „**ითხოე** მისგან“; „**კუალად მოვედ** აქა“ // „**კუალად მოედ** აქა.“

საშუალი გვარის **ცრემლოოდა** ფორმა Ath ნუსხაში **ცრემლოდა** სახით არის გამოყენებული. შდრ. H ხელნაწერის იყითხვისი: **ცრემლოოდა.**

Ath ნუსხა წარმოგვიდგენს **რავდენს, უვარს,** H ნუსხა – **რაოდენს, უარს** ფორმებს: **რავდენისამე // რაოდენისამე; უვარჲყოფდა // უარჲყოფდა.**

სამაგიეროდ, H ნუსხაში უა ხმოვნებს შორის ვ თანხმოვანია განვითარებული: **შუვადლეს.** შდრ. Ath ხელნაწერის მონაცემი: **შუადლეს.**

H ხელნაწერში პოვნიერ **შჯ** და **შთ** ბერიათა კომპლექსებს Ath ნუსხაში ცვლის რჩ ბერათმიმდევრობა: **შჯულითა // რჩულითა;** „**მოვიდა უშჯულო** იგი“ // „**მოვიდა ურჩულო** იგი“; „**უშჯულო** იგი“ // „**ურჩულო** იგი“; „**არარად დაშთა**“ // „**არარად დარჩა**“; // „**დაშთომილ** არიან“ // „**დარჩომილ** არიან“; „**აწ მხოლო დაშთომილ** ვარ“ // „**აწ მარტოდ დარჩომილ** ვარ“; „**დაშთა ზღუასა**“// „**დარჩა ზღუასა**.“

ერთგან H ხელნაწერში **სჯ** კომპლექსიც დასტურდება: **სამშჯავროთაგან, რომელსაც** Ath ნუსხაში **შჯ** კომპლექსი შეესაბამება: **სამშჯავროთაგან.**

**რჩ** მიმდევრობას ზ. სარჯველაძე **შჯ**-სგან მომდინა-  
რედ თვლის **შჩ** საფეხურის გავლის გზით: **შჯ** > **შჩ** (ასიმილა-  
ციური დაყრუება) > **რჩ** (დისიმილაცია წარმოების რაგვარო-  
ბის მიხედვით).<sup>1</sup> მისივე აზრით, იგივე **რჩ** კომპლექსი ზმნურ  
ფორმებში (დაშთომა, მოშთობა) მიღებულია **შთ** მიმდევრობის-  
გან იმავე **შჩ** ეტაპის გავლით: **შთ** > **შჩ** (ასიმილაცია საწარ-  
მოთქმო ადგილის მიხედვით) > **რჩ** (დისიმილაცია წარმოების  
რაგვარობის მიხედვით).<sup>2</sup>

Ath ნუსხაში სიტყვა ამბორი დისიმილირებულია, გან-  
სხვავებით H ნუსხისგან: „ანბორსუყოფდეს“ // „ამბორსუყოფ-  
დეს“; „ანბორსუყოფდეს ურთიერთას“ // „ამბორსუყოფდეს  
ურთიერთას.“

**ძლიერ** ფუძე მეტათეზირებული სახით არის მოცემუ-  
ლი Ath ნუსხაში: **განძრიელდი.** შდრ. H ხელნაწერი: **განძლი-  
ერდი.**

**ირემი** და **მლვდელი** არსებითი სახელების ნათესაობი-  
თი ბრუნვის უკუმშველ ფორმებს H ხელნაწერში კუმშვადი  
ფორმები ანაცვლებს: „ეტყოდა **ირემისა** მის მიერ“ // „ეტყო-  
და **ირმისა** მის მიერ“; „**მლდელისა** ქრისტეანეთაშა“; //  
„**მლდლისა** ქრისტეანეთასა.“

Ath ნუსხაში იკვეცება **გარდა** ზმნისწინი: „**გარდმოვარ-  
და** ცხენისაგან.“ შდრ. H ხელნაწერი: „**გარდამოვარდა** ცხენი-  
საგან.“

### სახელის მორფოლოგიის საკითხები.

პირის ნაცვალსახელები ხან ერთ ნუსხაში იხმარება  
ზედმეტად, ხან მეორეში: „გიჩუენო თავი ჩემი“ // „გიჩუენო  
**შენ** თავი ჩემი“; „გამომიცხადე თავი **შენი** კეთილად“ // „გამო-  
მიცხადე **მე** თავი **შენი** კეთილად“; „რადთა მრწმენეს **მე** **შენი**“  
// „რადთა მრწმენეს **შენი**“; „რომელი-იგი მეჩუენა **მე**“ // „რო-  
მელი-იგი მეჩუენა“; „უფალო ჩემო, **მე** ქუეყანისაგან ჰრომ-

<sup>1</sup> სარჯველაძე, 1984: 315.

<sup>2</sup> იქვე.

თადა ვარ“ // „უფალო ჩემო, ქუეყანისაგან ჰრომთასა ვარ“; „წარწედა ყოველი სიმდიდრე მათი“ // „წარწედა ყოველი იგი სიმდიდრე მათი.“

ნუსხები არცთუ იშვიათად სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ ემფატიკური ხმოვნის გამოყენების თვალსაზრი-სით: „მიიწია მისა ზედა წყალობა“ // „მიიწია მის ზედა წყა-ლობა“; „ცოლსა მისას“ // „ცოლსა მისსა.“

Ath ხელნაწერში საკუთარი სახელით გადმოცემული პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი სახელობით ბრუნ-ვაში ემფატიკურ ხმოვანს არ დაირთავს, განსხვავებით H ხელნაწერისგან: „დაიმჭირა ცოლი ევსტათისი“ // „დაიმჭირა ცოლი ევსტათისა.“

Ath ნუსხის **მათთა (მათა)** ფორმას H ნუსხაში ცვლის მათდა ფორმა:

„მიუწოდენ კაცთა მსგავსებად მათთა სათნოებათა“ // „მიუწოდენ კაცთა მსგავსებად მათდა სათნოებათა“; „გუ-ლისწმის საყოფელად მათა“ // „გულისწმის საყოფელად მათ-და.“ სამაგიეროდ, Ath ხელნაწერის **მისდა** ფორმას H ნუსხაში ენაცვლება **მისა** ფორმა: „გამოვიდა შემთხუევად მისდა“ // „გამოვიდა შემთხუევად მისა.“

ერთ შემთხვევაში Ath ხელნაწერის ენობრივად არას-წორი ფორმა H ხელნაწერში სწორადაა მოცემული:

„არცა ზრდილობად სხუათა სახითა შემძლებელ არს“ // „არცა ზრდილობად სხვთა სახითა შემძლებელ არს.“

Ath ნუსხა ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებს წრფელო-ბით ბრუნვას, H კი – სახელობითს:

„ალსასრულცა კეთილთად საქმეთა“ // „ალსასრული-ცად კეთილთა საქმეთა“; „და იყო წარმართ“ // „და იყო წარ-მართი.“

წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარ-მოებლად Ath ნუსხა -ულ მორფემას არჩევს, H – -ილ მორ-ფემას: „მოწევნულ არს“ // „მოწევნილ არს“; „მოწევნული მის

ზედა“ // „მოწევნილი მის ზედა“; „მანქანებით ქმნული“ // „მანქანებით ქმნილი“; „ალთქუმულ არიან“ // „ალთქუმილ არიან.“

ნაწევარი შეიძლება Ath ნუსხაში ახლდეს სახელს, H-ში არა, ან პირიქით: „იხილნა რად ჭაბუკნი იგი“ // „იხილნა რად ჭაბუკნი“ // „მარჯუე იყო ადგილი“ // „მარჯუე იყო ადგილი იგი.“

ერთგან H ნუსხა, Ath ნუსხისგან განსხვავებით, ინარჩუნებს ვითარებითი ბრუნვის ნიშანს -**მდე** თანდებულის წინ: „ზღუადდ შესლვადმდე.“

### ზმის მორფოლოგის საკითხები.

პირის ნიშანთა უფუნქციოდ გამოყენების მაგალითები ორივე ნუსხაში შეინიშნება, თუმცა მათი ხმარების თვალსაზრისით ნუსხები შეიძლება სხვაობდეს ერთმანეთისაგან. კერძოდ, Ath ხელნაწერში ნიშანი უფუნქციოდ იყოს ნახმარი და H ხელნაწერში არა, ან პირიქით: „გარდაჲყდა რად ჟამი ერთი“ // „გარდაჲყდა რად ჟამი ერთი“; „წორციელად გამოვჩნდი“ // „წორციელად გამოვსჩნდი“; „არა მისდრკეს გული ჩემი“ // „... მიდრკეს“...

ერთ ფორმაში Ath ხელნაწერში || სუბიექტური პირის ნიშნად ს- პრეფიქსია გამოყენებული (მეტათეზირებული სახით), H ხელნაწერში კი – ჰ- პრეფიქსი: „ოდეს დამსდაბლდე“ // „ოდეს დაჲმდაბლდე.“

Ath ხელნაწერში ზმა არქაული ფორმით არის გამოყენებული: **მიხედნა.** შდრ. H ხელნაწერი: **მიხედა.**

აქვე || ხოლმეობითის მწკრივი გამოყენებულია წყვეტილის ნაცვლად: „ვეცვ, დავეფალ.“ შდრ. H ხელნაწერი: „ვე-ცვ, დავეფალ.“ ამ მწკრივთა ურთიერთმონაცვლეობის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს მოვლენა ენაში || ხოლმეობითის მოშლის ფაქტით არის ახსნილი.<sup>1</sup> წარ-

<sup>1</sup> სარჯველაძე, 1984: 449.

მოდგენილ მაგალითში XVIII ს-ის ნუსხა უფრო ძველ ვითარებას ასახავს.

II კავშირებითის მწერივს Ath ხელნაწერში - ა მორფემა გამოხატავს, H ხელნაწერში - -ე მორფემა: „ევედრებოდა ცოლსა თვისა, რათა არა სულმოკლე იქმნას“ // „...იქმნეს.“

ზმნისწინთა გამოყენების მხრივაც შეიძლება ზოგჯერ განსხვავებული სურათი გვქონდეს. მაგ., ერთ ნუსხაში ზმნისწინის ახალი ვარიანტი იყო ნახმარი და მეორეში ძველი ან პირიქით: **განმარჯუებასა // გამარჯულასა; „ავიდა მთად“ // „ალვიდა მთად“; „რაღ-იგი აღმიტქუ“ // „რაღ-იგი ამიტქუ“; „აიღო მეუღლე თვისი“ // „აღიღო მეუღლე თვისი.“** ან ერთ ხელნაწერში ზმნისწინი ერთოდეს ფორმას და მეორეში არა: **მიუთხრა // უთხრა.** ან კიდევ სხვადასხვა ზმნისწინები იყოს ნარმოდგენილი: „ლომმან წარმიტაცა“ // „ლომმან მიმიტაცა“; „შემიწყალა და **შემაქცია ტყუეობისაგან“ // „შემიწყალა და მომაქცია ტყუეობისაგან.“**

გვაქვს თემის ნიშანთა მონაცვლეობის მაგალითებიც: **დამიტევებ // დამიტეობ.**

H ხელნაწერი II პირთან საიქეთო ორიენტაციის გამოხსატველ ზმნისწინს იყენებს: „**მოგცეთ შენ საფასე.**“ შდრ. Ath ნუსხა: „**მოგცეთ შენ საფასე.**“

ზოგჯერ ზმნები ნუსხებში სხვადასხვა მწერივისა თუ გვარის ფორმით არის მოცემული: „**ევედრებოდა** მის დაბისათა და დაადგინის ვენაჟისა მცველად“ // „**ევედრა** მის დაბისათა და დაადგინეს ვენაჟის მცველად“; „**რაღ მოინია** მათ ზედა“ // „**რაღ მოწევნილ არს** მათ ზედა“; „**შეხეო ცეცხლი**“ // „**შეხებულიყო ცეცხლი**“; „**შეეშინა**“ // „**ეშინოდა**“; „**მრწმენა** შენი, უფალო“ // „**მრნამს** შენი, უფალო“; „**ძენი**, ვითარცა ვთქუ, ალზარდნეს სხუასა მას დაბასა“ // „**ძენი** მისნი, ვითარცა ვთქუ, ალზარდნეს სხუავსა მას დაბასა.“

## სინტაქსის საკითხები.

Η ნუსხაში პოსტპოზიციური წყობის მართული მსაზღვრელი რიცხვში ეთანხმება საზღვრულს, განსხვავებით Ath-ისგან: „ტკივილთაგან გულისა“ // „ტკივილთაგან გულისათა.“

საწყისი ქვემდებარის ფუნქციით Ath ნუსხაში ვთარებითი ბრუნვის ფორმით არის მოცემული, H-ში – სახელობითი ბრუნვის ფორმით: „არად საჭმარ არს თქუმად“ // „არად საჭმარ არს თქუმად“; „ჯერარს... კუალად ამალებად“ // „ჯერარს... კუალად ამალებად“; „შეეშინა ორთავე ტკრთვად“ // „შეეშინა ორთავე ტკრთვად.“

საწყისითვე გადმოცემული პირდაპირი დამატება ნუსხებში შეიძლება სახელობით ბრუნვაშიც იდგეს და ვთარებითშიც: „ინება შინაგან შესლვა“ // „ინებად შესლვად შინაგან“; „ბრძანა განვურვებად კურო რვალისად და მუნ შეყრად“ // „ბრძანა განვურვებად კურო რვალისა და მუნ შეყრაა.“

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი Ath ნუსხაში ერთგან სახელობითშია წარმოდგენილი, მეორე ნუსხაში – წრფელობითში: „ჩჩილი ვიყავ“ // „ჩჩილ ვიყავ.“

დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირი H ნუსხაში მრავლობით რიცხვში ეთანხმება მისამართ წევრს, განსხვავებით Ath-ისგან: „ქველისმოქმედებანი შენი, რომელსა იქმ კაცთა მიმართ...“ // „ქუცლისმოქმედებანი შენი, რომელთა იქმ კაცთა თანა...“

Ath ხელნაწერში ზმნა-შემასმენელი ზოგჯერ რიცხვში არ ეთანხმება ნარ-იან მრავლობითში მდგარ პირდაპირ დამატებას: „წარწყმიდა ცოლი და შვილნი მისნი.“ შდრ. H ნუსხა: „წარწყმიდნა ცოლი და შვილნი მისნი.“ ამ უკანასკნელში ზმნა-შემასმენელი მაშინაც მარკირებულია, როდესაც პირდაპირი დამატების მრავლობითობა ნაგულისხმევია: „განავლინ-ნა ყოველთა სოფელთა კრებად ერისა“; შდრ. Ath ნუსხა: „გა-ნავლინა ყოველთა სოფელთა კრებად ერისა.“ H ნუსხაში ერთ წინადადებაში გვხვდება რიცხვში შეთანხმებისა და შეუთან-

ხმებლობის ნიმუშები: „დევნენა და განავლო მდინარე.“ შდრ. Ath ხელნაწერის ჩვენება: „დევნენა და განავლნა მდინარესა.“

არის შემთხვევები, როდესაც ერთ ნუხაში წინადადების რომელიმე მთავარი წევრი მრავლობითის ფორმითაა მოცემული, მეორეში – მხოლობითის: „დედასა მათსა ესმოდეს სიტყუანი მათი“ // „დედასა მათსა ესმოდა სიტყუა მათი“; „ყოველი მოინია მას ზედა“ // „ყოველი მოინია მათ ზედა“; „ყოველივე შეიწყნარა“ // „ყოველივე შეიწყნარა მადლობით.“

ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ხელნაწერში ამათუ იმ წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოყენებული და წინადადების სხვადასხვა წევრის როლს ასრულებდეს: „მოგუეც ძალი მოთმინებისა“ // „მოგუც ძალი მოთმინებად“; „ეძიებდა მათგან სასყიდელსა წარყვანებისა მათისათვე“ // „ეძიებდა მათგან სასყიდელსა წარყვანებისა მათისასა“; „ვითარცა-ესე ვიხილენ“ // „ვითარცა ესენი ვიხილენ“; „დედა მათი იცნობდა თხრობასა მათსა“ // „დედა მათი იცნობდა თხრობასა მას“; „ერთ არს ჭეშმარიტად ღმერთი“ // „ერთ არს ჭეშმარიტი ღმერთი.“

ერთგვარ წევრთაგან -ურთ ნაწილაკი Ath ნუსხაში მეორე წევრს დაერთვის, H-ში – პირველს: „განვიდა ცოლით და შვილითურთ“ // „განვიდა ცოლითურთ და შვილით“; -გან თანდებული Ath ხელნაწერშივე სინტაგმის მეორე წევრს ახლავს, განსხვავებით H-ისგან: „სიმდიდრისა მათისაგან“ // „სიმდიდრისაგან მათისა“; „უცხო თესლისაგან მის“ // „უცხო თესლისა მისგან“; -ლა ნაწილაკი Ath ხელნაწერში იგი ნაცვალსახლით გადმოცემულ ქვემდებარეს დაერთვის, H ხელნაწერში – კავშირს: „ვიდრე იგილა მოვიდა“ // „ვიდრელა მოვიდოდა.“

ამრიგად, „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ნუსხათა ურთიერთმიმართების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე ხელნაწერი ერთი რედაქციის ნუსხებია. მართალია, მათ შორის არ გვაქვს ენობრივი თანხვედრა და ეს მოვიდოდა.

სალოდნელიც იყო მათ შორის შვიდსაუკუნოვანი დაშორების გამო, მაგრამ ეს არ სცილდება ნუსხის ფარგლებში დასაშვები სხვაობების ზღვარს.

ახალი ენობრივი ფაქტები XI საუკუნის ნუსხაშიცაა დადასტურებული, რომელსაც XVIII საუკუნის ნუსხაში არქაული ფორმები შეესაბამება, ან პირიქით: XI საუკუნის ნუსხა ძველ ვითარებას ასახავს და XVIII საუკუნისა – ახალს.

ძირითად ტექსტად ჩვენ, ცხადია, XI ს-ის ნუსხა შევარჩიეთ, რომლის ნაკლული ადგილი შევავსეთ XVIII საუკუნის ნუსხიდან. მისი ენა უფრო ახლოა ძველი, კლასიკური ქართულის ენასთან, ვიდრე XVIII საუკუნის ხელნაწერისა, სადაც აკადემიური გამოცემისთვის თუნდაც ისეთი მიუღებელი ენობრივი მოვლენების დომინირება შეინიშნება, როგორიცაა „იოტამეტობა“ თუ უც დაწერილობა.

გამოცემაში გავასწორეთ გადამწერის უნებლიერი თუ ხელნაწერის არასწორად ამოკითხვის შედეგად დაშვებული შეცდომები, ხოლო ის ფორმები, რომლებიც ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავენ, უცვლელი დავტოვეთ.

მაგ., ფსალმუნიდან მოხმობილ ციტატაში არასწორად წერია სიტყვა **სასო:** „დასდევ, უფალო, სასო პირსა ჩემსა და კარი მცველი ბაგეთა ჩემთა“, რაც II ნუსხის გადამწერის მიერ შენიშნულია და შესწორებულია შესაბამისი სიტყვით – **საცო,** რომელიც ჩვენს გამოცემაშიც აისახა, ოღონდ ჯ-ს დართვით, რათა შეგვენარჩუნებინა **სასო** ფორმის სტრუქტურა.

ხელნაწერში წერია: „მიემთხვა მდინარესა ერთსა და სიმდიდრისათვის წყლისა მის შეეშინა.“ XVIII ს-ის ნუსხაში წერია: „სიდიდისათვის,“, რომელიც ზუსტად შეესაბამება კონტექსტს. წინამდებარე ტომში ეს სიტყვაც გასწორებულია.

წმინდანის სახელი „პლაკიდა“ ტექსტში ამ სახით 8-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო 9 შემთხვევაში იხმარება, როგორც „პალაკიდა.“ რადგან ბერძნულ ტექსტში ყველგან

არის „პლაკიდა“, ჩვენც გამოცემაში სისტემურად გავატარეთ ამგვარი დაწერილობა.

ხელნაწერში შეინიშნება ასოს ან ასოთა კლების შემთხვევები. მაგ., მიერჩელა; ნაკლირისა; სიმარქულითა; ქრისტესა; ჭეშმარიტად; დღესასწაულისა; მოცლეს; დამდაბლება; ბარბაროზთა და სხვ. შესაძლოა, ბოლო ორ შემთხვევაში გადამწერს ქარაგმის ნიშანიც ჰქონდეს გამორჩენილი. ჩვენ ეს ასოები, ცხადია, აღვადგინეთ.

გვაქვს საპირისპირო – ასოთა ზედმეტად ხმარების – ნიმუშიც, მაგ., „ამათცა უამთა გამოჩინინებად.“ ჩვენ დავწერეთ სწორი ფორმა – **გამოჩინებად**.

ერთ ფრაზაში სიტყვის ზედმეტად გამოყენების ფაქტი დასტურდება: „განვიდა ცოლით და შვილითურთ განშორებულად ლოცვად ადგილსა განშორებულსა.“ ამ ორი მონიშნული სიტყვიდან ერთი ზედმეტია. მეორე ხელნაწერში პირველი სიტყვა არ წერია და ჩვენც ის ამოვილეთ.

### **ენობრივი საკითხებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:**

ხელუხლებლად დავტოვეთ ენის ისტორიული ვითარების ამსახველი მაგალითები. მაგ., ცნობილია, რომ ენის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე წრფელობითი და სახელობითი ბრუნვები ერთმანეთს ენაცვლება: ერთი ბრუნვა მეორის მაგივრად იხმარება და ა. შ. ჩვენს ტექსტში გვაქვს ასეთი ნიმუში: „**ალსასრულცა** კეთილთავ საქმეთავ მიგითხრა.“ მონიშნული სიტყვა წრფელობითის ფორმით არის მოცემული, თუმცა მისი მსაზღვრელები სახელობით ბრუნვაში დგას. ჩვენ ის არ ჩაგვისწორებია, რადგან იმ ჭიდოლს ასახავს, რომელიც არსებობდა წრფელობითსა და სახელობითს შორის პირველის დასუსტებისა და ბრუნების სისტემიდან გასვლის დროს და შემდგომ ჰერიოდშიც.

ხელნაწერში გვაქვს: „**სასწაული არაშეუმსგავსებელი ძალისა მისისა**“, სადაც ა ზედმეტადა გამოყენებული (ანუ, ის არ გამოხატავს აა დიუთონგს). ჩვენ დავწერეთ მეორე ნუსხის მონაცემი – **არაშეუმსგავსებელი**. „იოტამეტიბის“ კიდევ ერთი

მაგალითი ათონის ხელნაწერში (რომელიც ძირითად ტექსტად გვაქვს აღებული) დადასტურდა ზმნურ ფორმაშიც: „ესე რაც თქუად უფალმან.“ ეს მოვლენა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, XVIII ს-ის ხელნაწერისთვის არის დამახასიათებელი. გამოცემაში ის გავასწორეთ და წარმოვადგინეთ სწორი ფორმა – **თქუა**.

ხშირად არასწორადაა გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული ატრიბუტული პოსტპოზიციური მსაზღვრელის მიცემითი ბრუნვის ფორმა: „იქმნა სიხარული დიდი პოვნასა **მისა**“; „მიუთხრა ყოველივე ცოლსა **მისა**“ (ამ მეორე შემთხვევაში H ხელნაწერში გვაქვს **თქსას**); „აქუნდა ქედსა **მისა** სასწაული წყლულებისაა“; „სასწაული იგი ქედსა **მისა**.“ ჩვენ ყველგან დავწერეთ **მისას**.

გადამწერს უწერია: „მიინია **მისა** ზედა წყალობაა.“ მეორე ხელნაწერი გვთავაზობს **მის** ფორმას, რომელიც უფრო გამართლებულია და ჩვენც ის ვარჩიეთ.

კითხვითი ზმნიზედა **რასა** მოცემულია ა-ს გარეშე – **რასა**, რაც მეორე ხელნაწერშიც და ჩვენს გამოცემაშიც გასწორებულია: „შ, პლაკიდა, **რასა** მდევნი?“

დასტურდება სახელთა მხოლობითი რიცხვის ფორმით გამოყენების მაგალითები მაშინ, როდესაც კონტექსტი მათგან მრავლობით რიცხვს მოითხოვს: „ნუუ იგი არიან ძენი მისნი და ესე ყოველი მოინია **მას** ზედა?“ „ვითარმედ იგი არიან ძენი მისნი.“ აქ უნდა ყოფილიყო იგინი, **მათ**, იგინი, რაც ავსახეთ კიდეც წინამდებარე ტომში.

იძებნება ზმნის მრავლობითი რიცხვის არასწორად გამოყენების მაგალითი: „შევიდა შინაგანთა სოფელთა ბარბაროზთასა და **მოსწყვდნა** და აღაოხრა ქუეყანა მათი.“ პირდაპირი დამატება აქ მხოლობით რიცხვშია და არ საჭიროებს ზმნის მრავლობითში შეთანხმებას. ამიტომ ჩვენ ის მხოლობითის ფორმით წარმოვადგინეთ: **მოსწყვდა**.

ორივე ნუსხაში ვკითხულობთ: „ან აღიძრულეს ხრწნილი და შეგიმოსიეს უხრწნელი.“ **ალძარცუვა - ავ** თემისნიშნიანი

ზმნაა და | თურმეობითში ის უნდა გადაჰყვეს: **ალგიძარცუავს.** მაგრამ გადამწერმა, როგორც ჩანს, ის ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი -იქს დაბოლოებით ანარმოვა, როგორც ეს მეორე ზმნის შემთხვევაში გვაქვს. ამდენად, ჩვენ აღნიშნული ფორმა გადამწერის ცდომილებად მივიჩნიეთ და ჩავასწორეთ. სქოლიოში კი ჩავიტანეთ და მივუთითეთ ორივე ნუსხა: AB.

ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაქარაგმებულია. თუ რომელიმე სიტყვა ყველა ხმარებულ შემთხვევაში ქარაგ-მის სახით არის მოცემული, მისი გახსნისას, ცხადია, გავით-ვალისწინეთ ძველი ქართული ენის ნორმები. თუ ქარაგმითაც არის მოცემული და მის გარეშეც, ქარაგმა დაუქარაგმებელი სიტყვების მონაცემების მიხედვით გავხსენით.

შეგვხვდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი ფორმა გახდა ამოსავალი სხვა დაქარაგმებული სიტყვების გახსნის დროს. მაგ., ზმნიზედა **უფროს** ოთხჯერ არის ტექსტში გა-მოყენებული და ოთხჯერვე დაქარაგმებულია, მაგრამ ერთ შემთხვევაში ჩანს ❶, რაც მოსალლდნელიც იყო ძველი ქართუ-ლი ენის ვითარების გათვალისწინებით. ამიტომ ყველა შემ-თხვევაში ჩვენ ის **უფროს** სახით გავხსენით.

## „თეოდორე პერგელის წამების“ ნუსხათა ურთიერთმიმართებისათვის

„თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტი ოთხ ხელნანერ კრებულშია დაცული. ამათგან უძველესი XI საუკუნით თარიღდება (A-1103), ხოლო მომდევნოები – XI-XII (H-1347), XII-XIII (A-128) და XV საუკუნეებით (A-382). A-1103 ნუსხას აღვნიშნავთ A ლიტერით, H-1347 ნუსხას – B ლიტერით, A-128 ნუსხას C და A-382 ნუსხას – D ლიტერით.

ნუსხათა სიმრავლის პირობებში, ცხადია, ბუნებრივად ისმის მათი ურთიერთმიმართების საკითხი. სამწევაროდ, საანალიზო ჰაგიოგრაფიული ძეგლის ბერძნული ვერსია გამოცემული არ არის და საკითხის შესწავლა გვიწევს მხოლოდ ქართული ხელნანერების შედარების საფუძველზე.

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ზემოთ განხილულ ნუსხათა შედარებამ ბერძნულ ტექსტთან გაარკვია, რომ XVIII საუკუნის ხელნანერი უფრო მეტ თანხვედრას ავლენდა მასთან, ვიდრე XI საუკუნისა. ანუ, ამ ტექსტის შემთხვევაში დადასტურდა, რომ ადრინდელი თარიღი ყოველთვის არ მიგვანიშნებს ძველ ვითარებაზე. ამ შესაძლებლობას „თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტის შემთხვევაში მოკლებულნი ვართ.

უძველესი, XI საუკუნის, ნუსხა, რომელიც A-1103 კრებულს წარმოადგენს, ათონური წარმომავლობისაა და განსაკუთრებით ფასეულია ჩვენთვის. სხვა ნუსხებთან შედარების გზით გამოირკვა, რომ აღნიშნულ ნუსხას, რომელშიც ჩვენი ტექსტი, ფურცლობრივი პაგინაციის მიხედვით, 279v-285r გვერდებზეა განთავსებული, ერთი ფურცელი აკლია. ხელნანერს ასოებრივი დანომვრაც აქვს (ნუსხურად), სავარაუდოდ, ათონზე გაკეთებული, რომელიც თანმიმდევრულია და გვიდასტურებს, რომ ფურცელი ათონზევეა დაკარგული. თბილისში ჩამოტანის შემდეგ ხელნანერს რიცხობრივი დანომ-

ვრაც დაურთეს, რომელიც ერთი ერთეულით უსწრებს ასოებ-რივს. მაგ., ასოებრივი ნუმერაციის მიხედვით, საანალიზო ტექსტი იწყება 278v-ზე და არა 279v-ზე, როგორც ეს მინერო-ლი აქვს არქივარიუსს, და როგორც არის მოცემული ხელნა-ნერის აღწერილობაში. გვერდს, რომელსაც ნუსხური ასოებით აწერია სოთ (279), ფანქრით აწერია 280, რომელსაც ასოებით აწერია სპ (280), ფანქრით აწერია 281 და ა. შ.

ხელნანერის 280v გვერდი მთავრდება ფრაზით: „მაშინ ბრძანა განრთხმად მისი და გუემად ზროხის ტყავებითა, ვიდ-რემდე ალუთქუა...“ რის შემდეგაცაა დაკარგული ის 1 ფურ-ცელი, თუმცა მომდევნო გვერდს აწერია არა 282, არამედ 281. ანუ ასოებრივ დანომვრაშიც არ ირღვევა გვერდების თანმიმდევრობა. ამის გამო ხელნანერის ალმწერელი ერთი ფურცლის დაკლების ფაქტს, ცხადია, ვერ შეამჩნევდა, თუ შინაარსს არ ჩაუდრმავდებოდა. საბედნიეროდ, მომდევნო პე-რიოდის სამივე ნუსხა ამ დაკარგულ ტექსტს შეიცავს, რამაც საშუალება მოგვცა, ის გამოცემაში შეგვეტანა.

ძირითადი ნუსხის დაკლებული ტექსტის შესავსებად, ცხადია, ქრონოლოგიურად მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნუსხა გამოიყენება. ჩვენს შემთხვევაში ეს არის H-1347. ამ ხელნანერის ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იგი ენობ-რივად შედარებით მდარე ხარისხისაა – გვხვდება დამახინჯე-ბული საკუთარი არსებითი სახელები და ზედსართავი სახე-ლები: **დეოდორე** (დიოდორე – დანარჩენ სამ ნუსხაში); **ტკრი-ფონ** – **ტრიფონ** (დანარჩენ ნუსხებში); **უმწყსთა** (D-შიც ასეა) – **უმწყთა** და სხვ. გარდა ამისა, აღნიშნულ ხელნანერში ხში-რად სიტყვებია გამორჩენილი; გვხვდება არასწორი გრამატი-კული ფორმებიც; ზოგჯერ გამოყენებულია კონტექსტისთვის შეუსაბამო ლექსიკა. მაგ., აქ იკითხება **ჭაბუკნი და მწედარნი**. სხვა ხელნანერებში გვაქვს **ჭაბუკნი მწენი**; „ლირს არს წინაშე მეფისა **მდგომელად**“ – „... **დგომასა**“ (სამივე ნუსხაში); „**უზო-მოდ** წარწყმდეს სიჭაბუკე შენი“ – „**უჟამოდ...**“ (სამივე ნუსხა-ში); „ითხოვა **მარტოებაჲ**“ – „ითხოვა **დროებაჲ**“ (სამივე ნუსხა-

ში); „ნუ.... შეასმენ დედასა მას ლვთისასა“ – „.... დიდსა მას ღმერთსა (სამივე ნუსხაში) და სხვ.

გარდა ამისა, H-1347 კრებული გარკვეული გრამატიკული მოვლენებით არ ტოვებს XI-XII სს-ების ნუსხის შთაბეჭდილებას, მაგ., გვხვდება ზმინისწინის გამარტივების („გავლინა მქედარნი“ – „განავლინა...“ (სამივე ნუსხაში)), ზედა თანდებულის მიერ პირის ნაცვალსახელის მიცემით ბრუნვაში მართვის (ბრძანა მას ზედა – ბრძანა მის ზედა (სამივე ნუსხაში)), კითხვით ნაცვალსახელთან ორი ს-ს ხმარების („ვისა მიბრძანებ ზორვად“ – „ვისა... (სამივეში), უარყოფით ნაწილაკთან იოტას გამოყენების („სატანჯველთაგან არად გეშინის“ – „... არა გეშინის“)) მაგალითები.

ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ H-1347 ნუსხის ანონიმ გადამწერს ხელთ ჰქონია მდარე ხარისხის დედანი, ან თავად ყოფილა არაპროფესიონალი, რომელიც გადაწერისას არ აკვირდებოდა დედნის ტექსტს და უშვებდა შეცდომებს, შესაძლებელია, სიჩქარის გამოც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არცთუ იშვიათად ძველი ქართული ტექსტები, რომლებიც მორფოლოგიური თუ სინტაქსური მყარი წესებით გამოირჩევა, მოგვიანო საუკუნეების კვალიფიციური გადამწერების მიერ უცვლელად არის გადასული ახალ ნუსხებში. ასეთ შემთხვევებში, თუ კალიგრაფიაც მიმსგავსებულია ძველი საუკუნეების რომელიმე ხელთან, ჭირს გადაწერის დროის განსაზღვრა. ხდება პირიქითაც: არაკვალი-ფიციური გადამწერი გადაწერის პროცესში ისე ამაბინჯებს ენობრივად კარგი ხარისხის ტექსტს, რომ შეუძლებელი ხდება დედნის ავკარგიანობის ამოცნობა. შესაძლებელია, ასეთი ვითარება გვქონდეს H-1347 ნუსხის შემთხვევაშიც.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხელნაწერი მთლიანად გამოუსადეგარია. რასაკვირველია, არა. ამიტომ ძირითადი ხელნაწერის დაკლებულ ტექსტს, უმთავრესად, ამ ნუსხიდან ვავსებთ, თუმცა გარკვეულ ადგილებს მომდევნო (C) ნუსხიდან ვიღებთ.

ტექსტის დაკარგულ ნაწილში C ნუსხაშიც გვხვდება სიტყვის დაკლების, დამატების, ან სინონიმით შეცვლის შემთხვევები. ასე რომ, ის ოდნავ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს B ხელნაწერისგან. იშვიათად D ხელნაწერი C-ს ჩვენებას იმეორებს, თუმცა ის, ძირითადად, B ნუსხას მიჰყება. მაგ., თუ B ხელნაწერში გვაქვს: „რომელმან მიხედნა ქუეყანასა და შეაძრნუნა იგი“, CD ხელნაწერში არის მოხედნი; C-ში – შეაძრნუნი; D-ში – შეაძრნუნვი. სხვა მაგალითი: B: „დაშრიტა ცეცხლი“ // CD: „დაშრტა ცეცხლი.“

განსხვავებები შეინიშნება ტექსტის სხვა ნაწილებშიც. მაგ., ABD ხელნაწერები ზევდიოსს ერთ კერპად წარმოგვიდგენს, „ზევდიოს კერპი არს“, C ნუსხა კი – ცალ-ცალკე კერპებად: „ზევ და დიოს კერპი არიან“; ასევე: „ზევდიოს აღიღე“ // „ზევ და დიოს აღიღე.“

ზოგადად კი, ნუსხათა ურთიერთმიმართების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ CD ნუსხები XI საუკუნის ხელნაწერთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე B ნუსხასთან. ეს ზოგადი სურათია, თუმცა არის კონკრეტული საკითხები, სადაც BCD ნუსხები ერთად ჯგუფდება და სამივე კი A-ს უპირისპირდება. გვაქვს სხვადასხვა კომბინაციები ნუსხების ურთიერთმიმართების კუთხით, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

სათაურშივე თეოდორე პერგელის წამების დროდ A ნუსხაში 21 აპრილია დასახელებული, BC ნუსხებში – 17 თებერვალი, ხოლო D ნუსხაში – 21 სექტემბერი. თხზულების დასასრულს თეოდორეს, მისი დედისა და მხედრების აღსრულების დროდ ABC ხელნაწერებში 20 აგვისტოა მოცემული, ხოლო D ხელნაწერში – 21 სექტემბერი. ანუ, სათაურსა და ნაწარმოების დასასრულს მხოლოდ D ნუსხა ინარჩუნებს თანმიმდევრობას, დანარჩენ სამივე ნუსხაში სხვადასხვა მოცემულობა გვაქვს.

D ხელნაწერი ავლენს „იოტამეტობის“ მაგალითებს როგორც სიტყვის ბოლოს, ისე შუაში:

ად = ა: ცნობადმიღებულ; აღსრულებად; მამადკაცი; სრბასა; გნებადვს; შეგრძნიბად; სხუადთაცა; ჰნებადვს; ითხოვად; სხუადნი; შთაგზნებადდ; ფიცად;

ოდ = ო: მიგავლინოა; ბოროტოა; იხილოხს; განგიტეოა; უსულოხთა;

ერთგან ეს მოვლენა B ნუსხაშიც ვლინდება: „არა გე-შინის“ // „არად...“

D ნუსხა ჭ გრაფემის ნაცვლად ხ გრაფემას გვიჩვენებს: განვრნნა // განხრნნა; მოგვქსენენ // მოგხსენენ.

BCD ნუსხებისთვის დამახასიათებელია უც დაწერილობა, განსხვავებით A-სგან. ის გვხვდება შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, B-ში მხოლოდ 12 მაგალითშია უც დაწერილობა დადასტურებული, C-ში – 3-ში და D-ში – 14-ში.

უც დაწერილობის მაგალითები: თქუცნისა; ქუცშე; შიშუცლი; განისუცნებდა და სხვა მრავალი.

ე.წ. შებრუნებული დაწერილობის მაგალითს გვიჩვენებს D ხელნაწერი, სადაც ც გამოყენებულია ე-ს ნაცვლად: „მეუფც მეუფცთად.“

ნუსხების მიხედვით შეინიშნება უმარცვლო უ-სა და ვ თანხმოვნის მონაცვლეობის ფაქტები. მაგ., ზოგჯერ AC ნუსხები თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში გვიჩვენებენ უმარცვლო უ-ს (შეყუანება; შეიყუანეს), BD ნუსხები კი – ვ თანხმოვანს (შეყვანება; შეიყვანეს). ზოგჯერ B ხელნაწერი გვიჩვენებს უმარცვლო უ-ს (იყუნენ) და ყველა დანარჩენი – ვ თანხმოვანს (იყვნეს).

ხანაც ACD ხელნაწერებში თანხმოვნებს შორის პოზიციაში გამოიყენება უმარცვლო უ ბგერა, განსხვავებით B ნუსხისგან: ჯუარცუმულისასა // ჯუარცმულისასა; ჯუარცუმულსა // ჯუარცმულსა; B ხელნაწერს ზოგჯერ D-ც უბამს

მხარს: ჯუარცუმულისა // ჯუარცმულისა. საწუმილსა // საწმილსა.

ორგან B ნუსხაში ო ხმოვნის უ ხმოვნით შეცვლის მა-  
გალითი დასტურდება: ათორმეტთა // ათურმეტთა; უტყო //  
უტყუ.

ნუსხათა მიხედვით **ოთ, თა და ოე** ხმოვნებს შორის პო-  
ზიციაში კბილ-ბაგისმიერი ვ თანხმოვნის დაკარგვისა თუ შე-  
ნარჩუნების მხრივ მრავალფეროვანი სურათი გვაქვს. მაგ., ის  
სან ABC ნუსხებში იკარგება და D-ში შენარჩუნებულია: „პოონ  
ჭაბუკი მწენ“ // „პოონ...“; ვპოე // ვპოვე; პპოე // პპოვე;  
იპოოს // იპოვოს. სან AC ნუსხებშია დაკარგული და BD-ში შე-  
ნარჩუნებული: ახოანმან // ახოვანმან; მოითხოეს // მოითხო-  
ვეს; სან AB-შია დაკარგული და CD-ში შენარჩუნებული: პოეს  
// პოვეს; სან მხოლოდ A-შია დაკარგული: ითხოა; ახოანმან;  
მოედ; სანაც – მხოლოდ B-ში: პოა.

**ოთ** ხმოვნებს შორის ვ დაკარგულია AD ნუსხებში, ხო-  
ლო დაცულია BC-ში: „წმიდაო უკუდაო“ // „წმიდაო უკუდა-  
ვო.“ ო ბგერის მეზობლად ვ თანხმოვნის დაკარგვის ფაქტები  
დისიმილაციის ფონეტიკური პროცესით აიხსნება.

**რაოდენ** ზმინიზედას **რავდენ** ვარიანტით იყენებს C ხელ-  
ნაწერი: „რაოდენ სურვიელ ვარ“ // შდრ. ყველა დანარჩენი  
ნუსხა: „რავდენ...“

სჯ, ან **რჩ** ბგერათკომპლექსს D ნუსხა შჯ ბგერათკომ-  
პლექსით წარმოადგენს:<sup>1</sup> „დასჯად ხარ“ // „დაშჯად ხარ“;  
„ურჩულოებად შენი“ // „უშჯულოება...“; „კარსა ურჩუ-  
ლოესა“ // „უშჯულოსა;“ „ურჩულოსა მას“ // „უშჯულოსა...“  
„ვად შენდა, ურჩულოო“ // „უშჯულოო.“ BC ხელნაწერებში

<sup>1</sup> ამ ფაქტის ახსნა იხ. ზემოთ წარმოდგენილ სტატიაში: „ევსტათის  
ცხოვრებისა და წამების“ ნუსხათა ენისა და ძირითადი ტექსტის  
საკითხები.“

ბოლო სამ მაგალითში პირველადი ფორმებია: **უსჯულოხსა, უსჯულოსა, უსჯულოო.**

გვხვდება **სჭ > შჭ** ასიმილაციის მაგალითი: „**დამშტუალეს** იგი ჯუარსა“ (D).

AC ნუსხებში დასტურდება დისიმილაციის მაგალითები: „პიღასე ეპისკოპოსი“ // „...ეპისკოპოსი“ (BD); „ეპისკოპოსი შეუვრდა“ // „ეპისკოპოსი...“ (BD);

საურთიერთო მეტათეზისის ნიმუში იძებნება A ნუსხაში: **ძრიელებაჲ; ძრიელებისაო.**

**სახელის მორფოლოგიის საკითხები.**

D ნუსხაში ზოგჯერ ჟ გვხვდება -ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელების სახელობით ბრუნვაში: „შენ ხარ **მეუფჲ მეუფჲითაჲ**; „ჩუენ ზედა **მეუფჲ** არს ქრისტე“; პირველ შემთხვევაში სუბსტანტიური მსაზღვრელი გადამწერს სახელობით ბრუნვაში აქვს გაფორმებული, რაც საზღვრულში ჟ-ს ეა დიფორმინგად მიჩნევის საშუალებას გვაძლევს, სადაც ა სახელობითი ბრუნვის ნიშანია. მეორე შემთხვევაში ყველა სხვა ხელნაწერში **მეუფჲ** იკითხება. **მეუფჲითაჲ** ფორმაში ჟ რომ შებრუნებული დაწერილობის ნიმუშია, ამაზე ზემოთ უკვე მივუთითეთ.

D ნუსხა ზოგჯერ ამჟღავნებს ჟ-ზე უარის თქმის ტენდენციას იქ, სადაც სხვა ხელნაწერებში ის გამოიყენება და გამოხატავს სახელობით ბრუნვას: „უფალი **უფლებათა**“; შდრ.: „უფალი **უფლებათაჲ**“; „ეტლი **ცეცხლისა**“; შდრ.: „ეტლი **ცეცხლისაჲ**“ და სხვ. ასევე გვაქვს: ქსნა; ჩემისა; საუკუნეთა; სივლტოლა და ა. შ. სხვა ხელნაწერებში არის: ქსნაჲ; ჩემისაჲ; საუკუნეთაჲ; სივლტოლაჲ. როგორც ვხედავთ, ასეთი შემთხვევები დადასტურებულია როგორც საზღვრულებში, ისე მსაზღვრელებში.

იშვიათად შეიძლება ამავე ნუსხაში აღმოჩნდეს სახელობითში სრული შეთანხმების ნიმუში: „განაგე მოსლვაჲ დედისა ჩემისაჲ.“

D ნუსხაშივე ვინც(ა) მიმართებითი ნაცვალსახელი განვრცობილია ც(ა) ნაწილაკის წინაც: „ვინაცა პოვონ.“ სხვა ხელნაწერები ხმარობენ ვინცა ფორმას. გავრცობის მხრივ სხვა ხელნაწერებისგან განსხვავებულ სურათს D ნუსხა სხვა შემთხვევებშიც გვიჩვენებს: „სახელით თეოდორე“ (ABC) // „სახელითა თეოდორე“ (D); ზოგჯერ სხვა ნუსხებშიც გვაქვს გავრცობის მაგალითები: „ზროხის ტყავებითა“ (AC) // „ზროხისა ტყავებითა“ (BD); „საპყრობილეს შეწყუდევაღ“ // „საპყრობილესა შეწყუდევაღ“ (BCD); „შეიყვანა სიხარულითა“ (A) // „შეიყვანა სიხარულით“ (BCD). ქალაქისათა (ABC) // ქალაქისათა (D).

ვითარებით ბრუნვაში -მდე თანდებული ჩანს ABD ნუსხებში, ხოლო -მდის თანდებული – C-ში: „ვიდრემდე ალუთქუას“ // „ვიდრემდის ალუთქუას.“

**ზმნის მორფოლოგიის საკითხები.**

III სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნად B ნუსხაში -ნენ სუფიქსია წარმოდგენილი: „იყუნენ იგინი.“ დანარჩენში -ეს სუფიქსი: „იყვნეს იგინი.“

ABC ნუსხებში ე.წ. „დაპბადა“ ტიპის ზმნებთან მ ფუძისეული თანხმოვნის წინ ობიექტური პირის ჰ- პრეფიქსი იხმარება: „შეპმზადოს დასი მქედრებისაა“; D ნუსხაში კი ის არ ჩანს: „შემზადოს.“ დამარხვა ზმნის შემთხვევაში პირის ნიშანი ოთხივე ხელნაწერში გვაქვს: „დაპმარხნეს პატიოსნად.“

ირიბი ობიექტის ნიშნად ამავე თანხმოვნის წინ ჰ- პრეფიქსი ყველა ნუსხაშია გამოყენებული: „მე ღმერთთა შენთა არა დამსახურებ.“

**დამსჭუალვა** ზმნაში BC ხელნაწერები ჰ- პირის ნიშანს ასახავენ: „დაპმსჭუალეს იგი ჯუარსა“ (B) // „დაპმჭუალეს...“ (C). შდრ.: დამშჭუალეს (D) // დამსჭუ[ა]ლეს (A).

**პ-** პრეფიქსივეა გამოყენებული ირიბი ობიექტის მარკერად D ხელნაწერში შემდეგ მაგალითში: „**ალვაჭედ** გოდოლსა.“

D ნუსხის გადამწერი ბრძანებით კილოში ერთგან || სუბიექტური პირის ნიშანს წარმოადგენს, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისგან: „გევედრები, **სრულჰყავ** სრბად შენი“ // შდრ.: „...**სრულჰყავ**...“ (ABC). სხვაგან ანალოგიურ შემთხვევაში პირის ნიშანს ყველა ხელნაწერი იყენებს, A-ს გარდა: „ვითარი გნებავს სიკუდილი, **განპზადე**“ // „...**განპზადე**“ (A).

AD ნუსხებში აორისტის || სუბიექტურ პირს ერთგან ნიშანი არ დაერთვის, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისგან: „სასუმელი... **სუ შენ**“ // „... **ჟსუ**“ (BC).

B ნუსხა ერთპირიან ზმნაში უფუნქციო პირის ნიშანს იყენებს: **წარსწყმდეს**, სხვა დანარჩენში კი გვაქვს **წარწყმდეს**; ასევე აქ არის **სცხოვნდენ**; სხვაგან გვაქვს **ცხონდენ**.

BD ნუსხებში ზოგჯერ პირდაპირი ობიექტის ნიშანია ასახული III პირში: **ჰპბრძანა** (D); **ჰზიღვიდეს** (BD).

|| კავშირებითის მწერივის ნიშანად CD ნუსხები AB ნუსხებისგან განსხვავებით ზოგჯერ -ე სუფიქსს გვიჩვენებს: „რაღთა **იქმნა**“ // „რაღთა **იქმნე**“

AD ხელნაწერები **განტევება** ფორმას დიალექტური **განტეობა** სახით იყენებენ: „მიქადებ **განტეობასა**“; შდრ. „...**განტევებასა**“ (BC).

**-მცა** ნაწილაკის შემცველ წინადადებაში C ნუსხა ხმარობს || კავშირებითის ფორმას: „ნუ ჰელონებ, თეოდორე, თუმცა ცოცხალი **განერე** წელთაგან ჩემთა“, განსხვავებით სხვა ნუსხებისგან, სადაც აორისტია გამოყენებული (**განერი**).

C ხელნაწერში **-ოდ** სავრცობიან ზმნას უწყვეტლის მწერივის ნიშანად -ი სუფიქსი დაერთვის: „... **ვივლტოდი**...“, ნაცვლად ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი -ე სუფიქსისა, როგორც არის ყველა დანარჩენ ნუსხაში: „შევძრნუნდი და **ვივლტოდე** მისგან.“

**-ოდ** სავრცობიანი ზმნავე | ბრძანებითში -ი მწკრივის ნიშანს დაირთავს D ხელნაწერი: „არამედ ესერა მე ვგალობ, თქუენ იტყოდით ალილუასა“ , რაც, ერთი მხრივ, **-ოდ** სავრცობიანი ზმნების **-დ** სავრცობიანებთან გათანაბრების ტენდენციას გვიჩვენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბრძანებითების სისტემის დასუსტებაზე მიგვანიშნებს. სხვა ნუსხებში აქ **იტყოდეთ** ფორმა გვაქვს,

ძველი ქართულის ნორმას მიჰყვება D ნუსხა, როდე-საც || ბრძანებითში იყენებს **მაცუთ** ფორმას, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისგან: „თავდაქცევით ჯუარს **მაცუთ**“ // „...**მაცუთ**“ (ABC).

ზოგჯერ გვხვდება ზმნათა არქაული და ახალი ფორმების შენაცვლების მაგალითები: „მთავარი **გინესს შენ**“ D) // „...**გინოდს...**“; **პრქუეს** ურთიერთას“ // „**თქუეს...**“ (D); შეიძლება პირიქითაც იყოს: D ნუსხამ **პრქუა** // **პრქუეს** ფორმები გვიჩვენოს და სხვა ნუსხებმა – **თქუა** // **თქუეს**: „მთავარმან **პრქუა**“ // „... **თქუა**.“

უფრო ხშირად კი D ხელნაწერი ზმნათა პარალელურ ფორმათაგან ახალ ვარიანტს ირჩევს, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისგან: „**მირბოდა** იგი.“ სხვაგან გვაქვს **მირბიოდა**.

გვაქვს გვარში მონაცვლეობის შემთხვევაც: **მოსწყდეს** (ACD) // **მოსწყვდნეს** (B).

### **სინტაქსის საკითხები.**

D ნუსხაში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სახელობითის ფორმითაა მოცემული: „არარავ არს **შეუძლებელი**.“ სხვა ნუსხებში აქ წრფელობითია გამოყენებული: **შეუძლებელი**.

B ხელნაწერში შეიძლება პრეპოზიციური წყობის მართულ მსაზღვრელთანაც დადასტურდეს სრული შეთანხმების ნიმუში: „**რომელთავ სახელები**.“

BCD ნუსხები ხშირად მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ფუძის სახით შეწყო-

ბის მაგალითს გვიჩვენებენ: „**წმიდა** თეოდორეს.“ შდრ.: A ნუსხა: „**წმიდასა** თეოდორეს.“

საწყისით გადმოცემული პირდაპირი დამატება A ნუსხაში ვითარებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი, BCD ნუსხებში – სახელობითით: „განაგე **მოსლვად** დედისა ჩემისა“ // „... **მოსლვად** ...“

D ნუსხაში, ზოგადად, ზმნებში არ გამოიხატება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: „**დაიფხურა** თმანი თვისნი.“ შდრ.: **დაიფხურნა** (AB), **აიფხურნა** (C).

### ლექსიკის საკითხები.

ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ნუსხაში სიტყვა ან სიტყვები დამატებული ან დაკლებულია. ამ ნაწილში არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს: შეიძლება ერთ მაგალითში რომელიმე ნუსხაში ფრაზას სიტყვა აკლდეს და მას მხარს უჭერდეს კონკრეტული ნუსხა თუ ნუსხები და სხვა შემთხვევაში მას სიტყვა ჰქონდეს დამატებული და ეს ვითარება გამეორებული იყოს სულ სხვა ნუსხ(ებ)ში ან იყოს მხოლოდ მოცემული ნუსხის ჩვენება.

ნუსხების მიხედვით გვაქვს სიტყვათა მონაცვლეობის ნიმუშებიც. მაგ., A ხელნაწერში იკითხება „ნამებულთა **მონამეთად**“; B ნუსხა ამ ადგილას იყენებს სიტყვას **წმიდათა**, ხოლო მომდევნო პერიოდის ნუსხები A ნუსხის იკითხვისს იმეორებს. ასევე A ნუსხაში გვაქვს: „**სურვიელ** ვიყავ.“ B ნუსხა **სურვიელ-ს** ცვლის სიტყვით **მოსწრაფე**, მაგრამ C და D ნუსხები მხარს უჭერს A ნუსხას და არა B-ს. სხვა მაგალითები: „**ჭაბუკი მწნენი**“ (A, C, D) // „**და მწედარნი**“ (B); **პერგე** (A, C, D) // **პერგი** (B); **დიოდორე** (A, C, D) // **დეოდორე** (B); **უქმეს** (A, C, D) // **უნდეს** (B); **დგომასა** (A, C, D) // **მდგომელად** (B) და ა. შ.

არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც C და D ნუსხები B-ს მიჰყვება და არა A-ს: **ათასისთავი (A) // // ასისთავი (B, C, D).**

ზოგჯერ ასეთი თანხვედრებიც გვაქვს: AD // BC. ანუ როდესაც გვიანი პერიოდის ხელნაწერი იმეორებს უადრესი პერიოდის ხელნაწერის იკითხვისს და არა მათ შორის პერიოდში შექმნილი ნუსხების მონაცემს. მაგ.: **ყოველი (AD) // ყოველივე (BC); „შეემთხვენეს ჭაბუკსა შუენიერსა, სახელით თეოდორე, მონაა ქრისტესი“ // „... თეოდორეს, მონასა ქრისტესა“** (BC). შეუა პერიოდის ხელნაწერთა გადამწერებმა წინადადების გაუმართავი წყობა გაასწორეს, ხოლო D ხელნაწერის გადამწერმა პირველი ხელნაწერის ჩვენება უცვლელი დატოვა.

შეიძლება ნუსხების მიხედვით ზოგჯერ 3 სხვადასხვა ვარიანტიც დაფიქსირდეს: **წურელთა (A) // წმელთა (BC) // წევთა (D); წონწობასა (AB) // წუნწობასა (C) // წუმწუბასა (D); მიგიშვ (A) // მიგიშუშვ (B) // მიგიშუ (CD).**

მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყოველი მომდევნო პერიოდის გადამწერს ხელთ ჰქონდა წინა პერიოდის ნუსხები და სარგებლობდა მათით. CD ნუსხები უფრო ძველ ენობრივ მოდელს არჩევენ და მხარს არ უბამენ B ნუსხას ახალი ფორმების გამოყენებაში. ასეთ შემთხვევებში ისინი, ძირითადად, A ხელნაწერის ჩვენებას მიჰყვებიან.

ძირითად ტექსტად, ცხადია, **შევარჩიეთ A-1103 ნუსხა, როგორც ყველაზე ძველი და, ამავე დროს, ათონური წარმოშობისა. მასში დაკარგული ერთი ფურცლის ტექსტი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შევავსეთ, ძირითადად, B და ცალკეულ შემთხვევებში – C ნუსხიდან.**

გამოცემის ენობრივ პრინციპებს აქ აღარ გავიმეორებთ. ისინი ახსნილი გვაქვს ზემოთ, წინა თხზულების ენობრივ მიმოხილვაში. რაც შეეხება ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებს, შევნიშნავთ შემდეგს:

გამოცემაში გავასწორეთ გადამწერის უნებლიერ შეც-  
დომები, როგორც არის:

ასოს დაკლების შემთხვევები. მაგ., ხელნაწერში წერია  
(ცხადია, ვგულისხმობთ ძირითადი ტექსტის შემცველ ნუს-  
ხას): **კმოდიან.** ჩვენ გავასწორეთ და დავწერეთ: **კუმოდიან,**  
როგორც არის CD ნუსხებში.

ასოს დაკლების სხვა მაგალითებია: **ჭეშმარიტად;**  
**კუალსა;** **გეშინინ;** **იტყოდეთ;** **გამომეცხადა;** **დამსჭუალეს;**  
**მონყალებისაო;** **შემდგომად.**

გავასწორეთ აგრეთვე არასწორი დაწერილობები. მაგ.,  
საკუთარი სახელი **დიოსკორე** ერთგან წერია, როგორც **დიუს-კორე:** „**დიუსკორე** თქუა.“ ჩვენ, ცხადია, ის სწორი ფორმით  
შევცვალეთ. სხვა მაგალითში საპირისპირო ფაქტი შეინიშნე-  
ბა: **უ** ხმოვნის ადგილას გვაქვს **ო** ხმოვანი: „**მოვლინებოლნი**  
მთავრისა მიერ“, რომელიც ასევე ჩასწორდა.

სიტყვა **ხუეშნა** ერთგან ასეთი სახითაა მოცემული:  
„**სიტყუა ხუეშნისაა**“, რომელიც მეორდება B ხელნაწერშიც.  
C-ში იკითხება **ხუაშნისაა**, ხოლო D-ში **ხუეშნისა.** ჩვენ ავსა-  
ხეთ D ნუსხის მონაცემი, ოღონდ **ჲ** დავურთეთ, რათა ძირი-  
თადი ხელნაწერის გრამატიკული მოდელი შეგვენარჩუნებინა.

გეოგრაფიული სახელი **ჰრომი** ვითარებით ბრუნვაში  
გაფორმებულია **ედ** ნიშნით – „**მიავლინნეს ჰრომედ**“ (ამას  
იმეორებს მომდევნო სამივე ხელნაწერი), ნაცვლად **დ** ან **ად**  
ნიშნებისა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ერთ-ერთ სო-  
ნორ თანხმოვანზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები  
ვითარებითში **-დ** მორთებას დაირთავდნენ და, შესაბამისად,  
აქ მოსალოდნელი იყო **ჰრომდ**, რაც დავწერეთ კიდეც. იმის  
გათვალისწინებით, რომ **ედ** ნიშანი ვითარებით ბრუნვას არას-  
დროს აწარმოებდა, განხილული შემთხვევა უნებლიერ შეცდო-  
მების კატეგორიაში უნდა ჩაითვალოს, რომელიც მექანიკუ-  
რად განმეორდა სხვა ნუსხებშიც.

გავასწორეთ „იოტამეტობის“ ამსახველი ნიმუში – **სხუათაცა** – და შევცვალეთ სწორი ფორმით: „რომელსა ძალ-უც სხუათაცა წინაა.“

ვნებითი გვარის ზმნის II კავშირებითს სუბიექტი მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა – „გამოირჩიე ტარიგი წმიდა, რომელმან წარუდუეს ყოველსა მას სამწყსოსა.“ BC ნუსხებში საანალიზო სიტყვა სახელობითშია მოცემული, რაც ჩვენს ტომშიც ავსახეთ.

ერთგან ძირითად ტექსტში ასეთი ენობრივი შეუსაბამობა შეინიშნება: „შეემთხუნეს ჭაბუკას შუენიერსა, სახელით თეოდორე, მონაა ქრისტესი.“ დანარჩენ ნუსხებში და, შესაბამისად, ჩვენს გამოცემაშიც ეს ადგილი სწორადაა მოცემული: „...თეოდორეს, მონასა ქრისტესასა.“

ძირითად ნუსხაში დროის ზმნიზედა **დღითი-დღე** არასწორი ფორმითაა გამოყენებული: „რომლისათვს სურვიელ ვიყავ და **დღითიდ-დღე** მოველოდე“, რომელიც ყველა სხვა ნუსხაში იკითხება, როგორც **დღითი-დღე**, რაც ავსახეთ კრიტიკულ ტექსტში.

AD ნუსხებში იკითხება **განტეობა**: „მიქადებ **განტეობა-სა**.“ ჩვენ მხარი დავუჭირეთ BC ნუსხების ჩვენებას: **განტევებასა**.

გამოვლინდა მაგალითი, სადაც I პირის ფორმას არა აქვს დართული ვ- პრეფიქსი: „სარწმუნოებად არაოდეს მქონებია, არამედ ნაკლულევანებისაგან და სიგლახაკისა **მსახურებ** ნაყროვნებისთვის.“ ვერ დავუშვებთ, რომ გადამწერს I და II პირის ფორმები ერთმანეთში არეოდა. უფრო სავარაუდოა, რომ მას უნებლიერ გამორჩა პირის ნიშანი, რაც უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ მომდევნო პერიოდის გადამწერებს. შდრ.: B: ვჰმსახურებდ; C: ვჰმსახურებ. D: ვმჰსახურებდ. ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ B ნუსხის იკითხვისს.

## „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ ტექსტის საკითხები

ისევე, როგორც წინა ტექსტების შემთხვევაში, აქაც გავასწორეთ:

კალმისმიერი ლაფსუსები, კერძოდ:

ხელნაწერში წერია ბიზინტიისა ნაცვლად ბიზანტიისა;  
შოროშანი ნაცვლად შროშანისა.

ასოს დაკლების შემთხვევებია: დაემზეკიცებოდა; წარ-  
თქუნენა; წარმოთქუნენა.

ასო(ები)ს ზედმეტობის მაგალითებია: მწყემისისაგან;  
მზრახვავალმან.

გადამწერი დაუქარაგმებელ ვარიანტებში ხმარობს  
მღდელთმოძღურებას და დაქარაგმებულიც, ცხადია, ამ სახით  
გავხსენით.

ენობრივ ნაწილში, წინა თხზულებებისგან განსხვავე-  
ბით, ნაკლები ცდომილება დაფიქსირდა – მხოლოდ ორიოდე  
მაგალითი, კერძოდ:

**შეწირვა** ზმნასთან III პირის ნაცვალსახელი არასწორა-  
დაა წარმოდგენილი ორი ს-თი, რაც მიგვანიშნებს, რომ გა-  
დამწერმა ის ალიქვა, როგორც კუთვნილებითი და არა პირის  
ნაცვალსახელი. „მე ნებითა ჩემითა მსხუერპლი შევწირო **მის-სა**.“ გამოცემაში ფორმა გასწორდა (შევწირო **მისა**). ასევე,  
ორი ს ერთით შევცვალეთ შემდეგ ფორმებში: „წარავლინა  
მაქსიმიანე ოცი ცხენოსანი ძიებად და მოყვანებად **მისსა**;“  
„განამრავლებდა ტალანტსა მას, რომელ რწმუნებულ იყო  
მისსა.“

დაბოლოს, უნდა ალინიშნოს, რომ ხელნაწერის ბოლო  
ორ გვერდზე მელანი გადასულია და ტექსტი საკმაოდ ცუ-  
დად იკითხება. ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა მაქსიმალური გა-  
აკეთა ხელნაწერის გაშიფვრისთვის. აღდღენილი სიტყვები  
კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ.

## თხზულებათა ნუსხები და მათი აღწერილობები

I ტომში გამოქვეყნებული ტექსტები სხვადასხვა ფონ-დში დაცულ ხელნაწერ კრებულებშია განთავსებული: ესენია ათონური კოლექცია (Cod. Iviron georg), ასევე A, H და Jer ფონდები.

ათონის ლიტერატურული სკოლის მემკვიდრეობა სრულყოფილი მეცნიერული კვლევისთვის ხელმისაწვდომი მას შემდეგ გახდა, რაც 1982 წელს კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ავთანდილ მიქაბერიძემ ათონიდან ჩამოიტანეს ქართულ ხელნაწერთა უმეტესი ნაწილის მიკროფირები და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს (მაშინდელ ინსტიტუტს) გადასცეს.

მანამდე, XVIII ს-ის 50-იან წლებში, ათონს სტუმრობდა მწერალი, მეცნიერი და დიპლომატი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც თავის სამოგზაურო ჟანრის თხზულებაში „მიმოსლვა“ საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვანი კერის შესახებ.<sup>1</sup>

ათონის ხელნაწერების პირველი კატალოგი, დავით დადიანისა და ქართველი სასულიერო პირების თხოვნით, შეადგინა წმინდა ილარიონ ქართველმა (სოლომონ II-ის სულიერმა მოძღვარმა) 1836 წელს.

1849 წელს ივირონის მონასტერს ეწვია ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რომელმაც 39 ხელნაწერი აღწერა (ძირითადად, მოკლედ).<sup>2</sup>

1883 წელს ათონზე სამეცნიერო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. სწორედ მას ეკუთვნის ათონის ქართულ

<sup>1</sup> გაბაშვილი, 1956.

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია... 1986: 4.

ხელნაწერთა პირველი სრული, მეცნიერული აღწერილობა, რომელიც 1886-1889 წლებში გამოქვეყნდა.<sup>1</sup>

ამის შემდეგ, 1898 წელს, ათონს ესტუმრა ნიკო მარი, რომელიც იქ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციას ახლდა. მან აღწერა X-XI სს-ების 5 ხელნაწერი და, ამასთან, გაასწორა ალ. ცაგარელის მიერ დაშვებული შეცდომები, რომელიც დამატების სახით დაურთო თავის აღწერილობას.<sup>2</sup>

უცხოელ მეცნიერთაგან აღსანიშნავია ამერიკელი ბიზანტიოლოგისა და ქართველოლოგის, რ. ბლეიკის, წვლილი ათონის ხელნაწერების კვლევის საქმეში.<sup>3</sup>

ათონური ტრადიციის, მისი მწიგნობრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის საქმე ნაყოფიერად გააგრძელეს შემდგომი თაობის მკვლევრებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა წვლილი ამ საქმეში. 1986 წელს გამოიცა მათ მიერ მომზადებული ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ელ. მეტრეველის რედაქტორობით.

სულ რამდენიმე წლის წინ (2013-2016) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მომზადდა ათონის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ქართულ-ინგლისური ონლაინ კატალოგი და სრული აღწერილობა (შემდგენლები: ხევსურიანი, ლ., კიკნაძე, ლ., გრიგოლია ც., ქავთარია მ., ასათიანი ქ.). ქართველ მეცნიერებთან ერთად, პროექტში ჩართული იყო გერმანელი ქართველოლოგი იოსტ გიბერტი.

ათონური ხელნაწერის აღწერილობა (Cod. Iviron georg-17) წინამდებარე გამოცემაში სწორედ მათ კვლევებს ეყრდნობა.

<sup>1</sup> ცაგარელი, 1886-1889.

<sup>2</sup> Mapp, 1899.

<sup>3</sup> Blake, 1931-1934.

ა ფონდი შეიცავს თბილისის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციას. აღნიშნული მუზეუმი დაარსდა თბილისში 1889 წელს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით. მისი ხელნაწერთა კოლექცია შენაძენებისა და კერძო შემოწირულობების ხარჯზე ივსებოდა. 1921 წელს საეკლესიო მუზეუმი გაუქმდა და მისი ხელნაწერთა ფონდი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 1930 წელს – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, მოგვიანებით კი – ხელნაწერთა ინსტიტუტს (დღევანდელ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს).

Η ფონდი შეიცავს იმ ხელნაწერებს, რომლებიც ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში შედიოდა. ეს ორგანიზაცია დაარსდა თბილისში 1907 წელს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის, ინიციატივით. აღნიშნული ფონდიც ივსებოდა შენაძენებითა და კერძო შემოწირულობებით. მოგვიანებით ამ კოლექციამაც ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიდო ბინა.

რაც შეეხება იურუსალიმის (Jer) ქართულ ხელნაწერებს, 1757-1758 წლებში პალესტინის ქართული კერები მოინახულა ტიმოთე გაბაშვილმა, რომელმაც აღწერა მისი სიძველეები. XVIII ს-ის 80-იან წლებში მონასტერს სტუმრობდა იონა გედევანიშვილი, 1820 წელს – გიორგი ავალიშვილი. 1883 წელს – ალექსანდრე ცაგარელი<sup>1</sup> (რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს ათონზეც იმოგზაურა), 1902 წელს – ნ. მარი. იერუსალიმის ქართული ხელნაწერების შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანა რ. ბლეიკმაც.<sup>2</sup>

მეცნიერთა ჯგუფმა ჯ. გარიტის კურატორობით, იუნესკოს ინიციატივით, 1950 წელს მოაშზადა იერუსალიმის სხვადასხვაენოვან ხელნაწერთა კოლექციის მიკროფირები

<sup>1</sup> ცაგარელი, 1888.

<sup>2</sup> Blake, 1922-1923.

(სინაზე დაცულ ხელნაწერებთან ერთად) და გადასცა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკას. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მიკროფირები ამ ბიბლიოთეკიდან 1956 წელს შეისყიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ. ისინი ინახება აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც.

დღეისათვის იერუსილიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას ისევ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო განკარგავს, როგორც მისი კანონიერი მფლობელი.

ქვემოთ თანმიმდევრობით წარმოვადგენთ სამივე თხზულების შემცველ ხელნაწერთა აღწერილობებს.

## „ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ნუსხები

ტექსტი ორი ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული: მათგან პირველი (Cod. Iviron georg-17) XI ს-ს ეკუთვნის, ხოლო მეორე (H-2077) – XVIII ს-ს.

### I. Cod. Iviron georg-17.

**გადაწერის ადგილი:** სავარაუდოდ, ათონის ივირონის მონასტერი (ბლეიკი).

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული. შეიცავს, ძირითადად, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსა და იოანე ოქროპირის „მარგალიტს.“ ხელნაწერის მეორე ნაწილი – „გამოკრებილნი სადათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (261r-348v) წარმოადგენს სისტემური ხასიათის ასკეტიკურ კრებულს, რომელიც საგანგებოდ აქვს შესწავლილი ბ. უტიეს. მისი აზრით, XI საუკუნის ეს კრებული შეიცავს აპოფთეგმების როგორც ადრინდელ (წინაათონურ), ასევე ეფთვიმე ათონელის თარგმანებს. იგი წარმოადგენს Sin. 35 ანალოგიურ, ოღონდ უფრო სრულ ნუსხას.<sup>1</sup>

**თარიღი:** XI საუკუნე.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერი: ათონის ივირონის მონასტერი, Cod. Iviron georg-17; მიკროფირი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ath-17 (ძველი №50).

**ფურცელთა რაოდენობა:** 348 (ბლეიკის აღწერილობით, 346).

**ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** აქვს რვეულებრივი ჰაგინაცია. შეიცავს 47 რვეულს. ბოლო, 47-ე, რვეული ხუთფურცლიანია. ბოლონაკლული: აკლია 102v-სა და 103r-ს, 139v-სა და 140r ფურცლებს შორის.

<sup>1</sup> Outtier, 1980: 7-17.

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ტექსტის ადგილი კრებულ-შე: შესულია მე-2 თხზულებად: 103r-115r.

**საწერი მასალა:** ხარისხიანი მოთეთრო ეტრატი; ფიცარზე დაკრული ორნამენტირებული შავი ტყავის ყდა. დაწერილია მოყავისფრო მელნით. დასაწყისები და საზედაო ასოები მთავრულით, სინგურით. ზოგი საზედაო ასო ჩამოგრძელებული კონტურებითაა გამოყვანილი. დაქარაგმებულ საზედაო ასოებსა და რვეულის აღმნიშვნელ ასოებს უზის გაფორმებული ქარაგმა.

**ფურცლის ზომა:** 32,5X26 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** თითოეულ სვეტში 24 სტრიქონია.

**ნაწერის ზომა:** 28,5X22,5 სმ.

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**თითოეული სვეტის ზომა:** 25,5X8,9.

**სვეტებს შორის მანძილი:** 15 მმ.

**დამწერლობის ტიპი:** ძირითადი ტექსტი დაწერილია მომსხო, მწყობრი, არაკალიგრაფიული ნუსხურით, თუმცა ძირითადი ანდერძები კალიგრაფიულია.

**გადამწერი:** ბასილი (348v).<sup>1</sup>

**ანდერძები:** (გადამწერის): 1. „ქრისტეს მოყუარენო მამანო, ღმერთმან დაგაჯეროს, უკუეთუ რამე აკლდეს, შენდობა ყავთ და შრომისათვს ლოცვა ყავთ უცბად მწერალისა და მწარედ ცოდვილისა ბასილისთვს. ამენ იყავნ“ (348v); 2. „ქრისტე, ადიდე სულითა მამად ეგნატი, ამენ“ (348v). ანდერძები გამოყოფილია ტექსტისგან, რაც მ. კარანაძის (2005) აზრით, სკოლების ტენდენციაზე უნდა მიანიშნებდეს.

**მინაწერები:**

---

<sup>1</sup> ხელნაწერის აღმწერები (ათონის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ქართულ-ინგლისური ონლაინ კატალოგი...) ამ ადგილას შენიშნავენ, რომ ამავე ბასილის გადამწერილი უნდა იყოს Ath. 68 (იხ. Blake, 1931-1934: 254).

1. ჩვენი ტექსტის ბოლოს იმავე ხელით მიწერილია: „თუესა სეკტემბერსა კგ, დადუმებად ზაქარიასი ჰპოოთ მრავალთავ-სა“ (115r).

სხვა მინაწერები (მხედრულით):

2. „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, შეიწყა-ლე სასუფეველსა შენსა ცოდვილი და გლახაკი ბერი ვენედიკ-ტონ, ამინ, ქორონიკონს ჩყკგ“ (165r).

3. „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეიწყალე ცოდვილი და გლახაკი ბერი ვენედიკ-ტონ, ამენ, წელთა ჩყკგ“ (170r, 185r).

4. „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეიწყალე ცოდვილი და გლახაკი ბერი ვენედიკ-ტონ, ბესარიონიუმფილი, ოდეს მოხ-ვიდე სუფ[ე]ვითა შენითა, ამინ. ქორონიკონ. ჩყკდ“ (341r). იხ. აგრეთვე 343r.

**ნინა აღნერილობები:** Mapp, H. (1900). Агиографические Материалы по Грузинским Рукописям Ивера // Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, ч. I, СПб., Типография Императорской Академии Наук, с. 3-15; Цагарели, А. А. (1889). Сведения о памятниках грузинской письменности вып., III, СПБ. с. 82-83; Blake, R. (1932). Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Revue de L'Orient chretien, 3 Série, t. VIII-IX. p. 114; ქართულ ხელნაწერ-თა აღნერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1986, გვ. 10, 57-63 (აღმნერელი მ. დვა-ლი); ათონის ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ქართულ-ინგლისური ონლაინ კატალოგი და სრული აღნერი-ლობა (ხელნაწერი ვერსია. შემდგენლები: ხევსურიანი, ლ., კიკნაძე, ლ., გრიგოლია ც., ქავთარია მ., ასათიანი, ქ.).

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 125; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ.: 186-187; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, თბ., გვ.: 158; კარანაძე, მ. (2005). ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა პალეოგრაფიული თავისებურებანი (X-XIII სს. 28 ნუსხის საფუძველზე), მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 21. თბ., გვ.: 413-433; Outtier, B. (1980). La plus ancienne traduction Georgienne des apophthegmes. Son etendue et son origine: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VII, გვ. 7-17.

## II. H-2077.

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** კრებული H-2077 მიღებულია მოსკოვის ცენტრალური არქივიდან 1922 წელს.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული (აღწერილობაში დასათაურებულია, როგორც „ნმიდათა ცხოვრება“).

**თარიღი:** 1736 წ. (334v).

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-2077 (ძველი №1260).

**ფურცელთა რაოდენობა:** 335.

**ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** ფურცლობრივი. ნუმერაცია – მარჯვენა ფურცელზე ლურჯი ფერის მსხვილი ასოებით. ხელნაწერი კარგ მდგომარეობაშია. ფურცლები არ არის დაზიანებული.

„ევსტათის ცხოვრებისა და წამების“ ტექსტის ადგილი კრებულ-ში: შესულია 28-ე თხზულებად: 294v-299v.

**საწერი მასალა:** ეტრატი; ტვიფრული ხის ყდა. დაწერილია შავი მელნით, სათაურები და დასაწყისი ასოები – ასომთავრული სინგურით.

**ფურცლის ზომა:** 29,8X20,5 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** 40.

**ნაწერის ზომა:** 21,5X 14 სმ.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 2 მმ. (ივარაუდება ზედა სტრიქონის უკიდურეს ქვედა წერტილსა და ქვედა სტრიქონის უკიდურეს ზედა წერტილს შორის).

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**სვეტებს შორის მანძილი:** 1.2 სმ. თუ სვეტებს შორის დიდი ასა მოთავსებული, მაშინ – 0.6 სმ.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური.

**გაფორმება:** 226-231 ფურცლებზე მოთავსებულია წმინდანების 26 სურათი.

**გადამწერი:** სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი (334v).

**ანდერძები:** 1. „წმინდანო მოწამენო, მეოს მეყუტინით ცოდვილს მწერალს, მხატვრის ძეს, დეკანოზს ალექსის, შენდობად ურიცხუთა ბრალთა ჩემთა მოღვაწეთ წინაშე სამებისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა“ (213r); 2. „დიდება და მადლობა უფალსა ღმერთსა მქსნელსა და მაცხოვარსა კაცთა ნ[ა]თესავისასა და მიზეზსა ყოვლისა კეთილისასა, მხოლოსა სახიერსა და მიუწდომელსა და გამოუთქმელსა ღთაებასა, რომელსა აქუს უკვდავება და მკვდრ არს ნათელსა შინა სამარადისოსა. რამეთუ კაცთაგანმან არავინ იხილა და ვერცა შემძლებელ არს ხილვად, რომელი მოვიდა ქვეყნად და შეიმოსნა წორცნი კაცობრივნი წმიდისა და ყოვლად უბინოსა ღვთისმშობელისა მარიამისაგან და იქსნა ბუნება ჩ~ნი ხრწნილებისაგან და სიკვდილისა და შეერთებითა კაცობრივისა ბუნებისათა სიგლახა-კე ჩ~ნი არა ულირსიჩინა; რომელი ღვთაებისა თვისისა ძლიე-

რებითა იპყრობს ყოველთა მართალს (sic) და განაგებს. რომელმან მეცა, ცოდვილი ესე და ყოვლად უბადრუკი გლახაკი მონა, ცათა მეფისა წელოან მხატურის მღვდლის ძე, მღუდელი, დეკანოზი ალექსი, საკუთარი სვეტისცხოვლისა, ზაკვთ ალსავსე და ურჩი ბრძანებისა სახარებისა, ცოდვათა მიერ დაბნელებული და მწვედ შებლალული მღუდელი, მწყემსობისა არალირსი, რამეთუ არა უგულებელსპყოფს უფალი ცოდვილთა, არამედ უწესს სინანულად. და ან მეცა მადლმან და სახი-ერებამან მისმან აღმძრა გულსმოდგინებად და სურვილად წიგნისა ამის და შეწევნითა ღ~ თისათა აღვწერე ცხოვრება და მოქალაქობა წმიდათა და ქართველთა მანათობთა, ღ~ თშემო-სილთა წმიდათა მამათა და მონამეთა საქსრად ცოდვილისა სულისა ჩემისასა და მოსატევებელად ბრალთა და შეცოდება-თა ჩემთა. გევედრები ყოველთა წმიდათა სანატრელთა და შვლთა ეკლესიათა ქრისტიანეთასა, რომელნიცა წელად მიიღებდეთ და წარიკითხუდეთ სიყვარულისათვის უფლისა, რათა წმიდითა პირითა თქვენითა შენდობას ჰყოფდეთ ჩემთვის უფ-ლისა მიერ.“

„დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქათ ათას შვიდას ოც-დაათექუსმეტსა, ქორონიკონსა უკად, მეფობასა კახთბატონის იმანყულის ძისა, მეფეთმეფისა ალექსანდრესსა, ეკლესიათა მპყრობელობასა კათალიკოზისა ბესარიონისასა. დიდება ლმერთსა, სამებით დიდებულსა და ერთარსებით ქებულსა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“ (334v).

**მინაწერ(ები):** ასოხვეული ასომთავრულით: „უუსასოესო წმი-დაო ღვთისმშობელო, ნუ უგულებელსპყოფ წინასა ნაწილსა შრომასა ჩემსა, უღირსი დეკანოზი ალექსი“ (224r).

კრიპტოგრაფიული მინაწერი (22r), გახსნილი აკ. შანიძის მი-ერ: „ლმერთო, შენ წარმიმართე. – გონებათ რჩეულ მეჭელოვ-ნესა ძესა. ვიტყვი უუთქვსა სათქვოდ საწყურად ზესა უუცნა-

ურსა ზესთ გონიერათა მზესა, მაგრა მაცურევად სურვისა წინა გთქვესა, იოსებ ვითხოვ შეწევნასა ჰრთულედსა.“

„მეფის ძის ბაგრატისა ვარ“ (3r). სხვადასხვა მინაწერი: 1r, 102r და 197r (საბინინისა).

**წინა აღნერილობები:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა აღნერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტომი V, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ, ალ. ბარამიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1949, გვ. 44.<sup>1</sup>

**ბიბლიოგრაფია:** გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ.: 186-187.

---

<sup>1</sup> V ტომი მოიცავს №2001-2500 ხელნაწერთა აღნერილობებს.

## „თეოდორე პერგელის წამების“ ნუსხები

„თეოდორე პერგელის წამება“ 4 ხელნაწერითაა მოღწეული. ესენია:

- A-1103 (XI) – 279v-285r  
H-1347 (XI-XII) – 448v-454r  
A-128 (XII-XIII) – 434r-441v  
A-382 (XV) – 83r-86v.

### I. A-1103.

**გადაწერის ადგილი:** სავარაუდოდ, ათონის ივირონის მონასტერი.

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** A-1103 კრებული საბერძნებიდან, ათონის ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკიდან, არის შემოსული სხვა კრებულებთან ერთად (№№ 1101, 1104, 1105) ილია ფანცულაიას („ბანდელის“) მიერ.<sup>1</sup>

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული. შემდგენელს კრებულის ზოგად შინაარსად მითითებული აქვს: „გრიგოლ, პრომთა პაპი. დიალოგონი და სხვ.“

**თარიღი:** ხელნაწერი დათარიღებულია XI საუკუნით. ილია აბულაძის აზრით, კრებული გადაწერილი უნდა იყოს 1011-1019 წლებში.<sup>2</sup>

ხელნაწერის გადაწერის თარიღი მოცემულია ანდერძში, რომელიც განთავსებულია 286r გვერდზე და 1 ფურცლითაა დაშორებული ჩვენი ტექსტიდან:

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... 1954: 5-6. ილია ფანცულაიასვე გადმოუწერია ათონის ზოგიერთი ქართული ხელნაწერი და შეუდგენია ათონზე დაცული ძველი ქართული ხელნაწერებისა და ზოგიერთი ნივთის (წარწერებითურთ) აღწერილობა. იქვე: 6.

<sup>2</sup> აბულაძე, 1949: 306.

„ხოლო დაიწერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერსა ნ~თა მამა-  
თა აშენებულსა იოვანე და ეფთემესა, საყოფელსა ნ~ისა დე-  
დოფლისა ჩუქენისა ღ~ თისმშობელისა.

პერძულად დასაბამითგანნი წელნი იყუნეს: ხფ.  
ინდიკტიონი:

ჯუარცმითგან: შ~პ

ქართულად დასაბამითგანნი წელნი: ხ~ქ.

ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს.

აქ მოცემული თარიღები რატომლაც ერთმანეთს არ ემთხვე-  
ვა. მაგ., პერძული დასაბამითგანი ხფ ნიშნავს 992 წელს  
(6500-5508), ქართული დასაბამითგანი ხქ – 996 წელს (6600-  
5604). ერთმანეთთან თანხვედრაში მოდის მხოლოდ ჯვარცმი-  
დან გვ და მეცამეტედ მოქცეული ს: ორივე გვაძლევს 980  
წელს. მეთორმეტე ინდიქტიონი დასრულდა 780 წელს, მეცა-  
მეტე მოქცევის ს ნიშნავს 200-ს და მათი შეკრებით ვიღებთ  
980-ს (გვ-ს). საერთო ამ რიცხვებს შორის ის არის, რომ ყვე-  
ლა X ს-ს ეკუთვნის.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი, A-1103.

**ფურცელთა რაოდენობა:** 286.

პაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა: ფურცლობრივი. I ფ-  
ს აკლია ნახევარზე მეტი ვერტიკალურად ჩამოჭრილი ნაწი-  
ლი; 1-26, 278-286 ფფ. ჭიისაგან დაჩრდილია.

**„თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში:**  
შესულია მე-15 თხზულებად: **279v-285r.**

**საწერი მასალა:** ეტრატი; ყდა მეტად სქელი, მაგარი, ხისა,  
ტყავით შემოსილი, ტყავისავე შესაკრავებით. ტექსტების უმე-  
ტესი ნაწილი დაწერილია ლია ყავისფერი მელნით; სათაურები  
სინგურით.

**ფურცლის ზომა:** 36X29,2 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** თითოეულ სვეტში 30 სტრიქონია.

**ნაწერის ზომა:** 29,5X22 სმ.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 1 მმ. (ივარაუდება ზედა სტრიქონის უკიდურეს ქვედა წერტილსა და ქვედა სტრიქონის უკიდურეს ზედა წერტილს შორის).

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**სვეტებს შორის მანძილი:** 2-დან 2.5 სმ-მდე.

**დამწერლობის ტიპი:** მსხვილი ნუსხური, ორი სხვადასხვა ხელით: I – მსხვილი, კუთხოვანი ნუსხურით – 1v-118v, 286r-v; II – X-XI სს. ლამაზი, გამართული ნუსხურით – 119v-285v. 2r-ზე, II სვეტის ცამეტ სტრიქონზე მოთავსებულია „ზანდუკი ამის წიგნისა“, დაწერილი სსენებული ორი ხელისაგან განსხვავებული ხელით.

**ანდერძ(ები):** ჩვენს ტექსტს დაერთვის შემდეგი ანდერძები:

1. „ქრისტე, წარმიმართე, ქრისტე, შეიწყალე წმიდა მამა ჩუენი ეფთჰმე, თარგმანი და თანაზიარი ყოველთა წმიდათა მისთავ.“ 279v, II სვ., სათაურის ტექსტში.
2. „წმიდაო თ ე, მეობ გუეყავ წინაშე უფლისა.“
3. „ლოცვა ყავთ ცოდვილისა ეფთჰმესთვს.“ 285v, I სვ.
4. „ესე სიმდაბლითა სა[გ]სენი სიტყ~ნი თუთ ეფთჰმესნია. ვითა თარგმანებულსა მათსა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე მე, ულიოსმან არსენი, აღვწერე.“
5. „აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდა[სა] ამას წიგნსა, ყოველნი აკურთხევდით უსხეულოთა მიმსგავსებულსა მამასა ჩ~ნსა ეფთჰმეს, რომელმან აღავსო ყოვლითა სულიერითა კეთილითა ესე წიგნი და ყოველნი ქართველთა ენანი თარ[გ]მანებითა მათითა.“

6. „ქრისტე! შეიწყალე და აკურთხე ნეტარი მამა ჩ~ნი ეფთჰმე, კურთხეულით მშობლით მათითურთ.“

7. „ლოცვა ყავთ ნეტარისა ბერისა იოვანე გრძელისძისა და სულიერისა შვილისა მათისა იოვანე ოქროპირისათვს, რომელ-

ნი ფრიად დაშურეს შრომასა და წერასა ამის წმიდის წიგნისასა.“

8. „ქრისტე! სრულყავ წყალობად შენი იაკობს და იოვანე გარერჩელსა ზედა!“ 285v, I სვ.

#### კრებულის სხვა ანდერძები:

I. „ვინ აღდგომილ არს ესოდენ მარგი და ნუგეშინისმცემელი და სიქადული ქართველობისად და ყ~ლთა სწორად განმანათლებელი ამით წიგნებითა და სხვთა ყოვლითა საქმითა სულიერითა და წორციელითა. და ნაწილი ამათი პირველთა წმიდათა თანა არს, მოღუანებისა მათისათვს.

ეგრეთვე საწენებელი ჯერარს, რ საკურველი შრომად თავს იდვა წ~ნ მამამან ეფთვმე და ოცდაათი წიგნი დათარგმანა ბერძულისაგან ქართულად. და მერმელა მათეს თავი სახარებად დათარგმანა სამად წიგნად. ჭირითა შევმოსეთ უფროვასი შრომად ესე, სულკურთხეულისა მამისა იოვანეს ცხორებასავე და წურილად სხუანიცა თარგმანებს.

ხოლო შემდგომად ღ~თშემოსილისა მამისა იოვანეს მიცვალებისა ესე წ~სა გრიგოლ პაპისად და სხუანი ესე გვთარგმანეს სანატრელმან მამამან ეფთვმე, რ~ისათვს მიაგენ ღმერთმან დიდებისამან ორსავე ცხორებასა ქართველთა განათლებისათვს.“

„ქრისტე, შეიწყალე და აკურთხე მამად მიქაელ და მამად გიორგი.“

1ფ. II სვ. და 2 ფ. I სვ. 1 ფ. I სვ. ჩამოჭრილია (გვ. 83).

II. „...[უსხეულოთა] მიმსგავსებულისა მამისა ეფთვმისა და წ~დისა მამისა მიქაელისა, მწყალობელისა ჩ~ნისა და წ~დისა მამისა გიორგისა და ყ~ლთა ცოცხალთა და შესუენებულთა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა სულიერთა და წორციელთა ჩ~ნთათვს.

ან ვინცა იკითხვიდეთ და ირგებდეთ წ~თა ამათ წიგნთა, სცნობდით ძალსა ამათსა და ნუ დასცხერებით ლოცვად და კურთხევად, შემდგომად ღ~თისა, ამა წიგნთა ჩ~ნდა მომცე-მელთა და ჩ~ნ, გლახაკისათვს არსენი მამადმთავრისა – უმე-ტე დაშურა – და ჩემ, გლახაკისა ბერისადა ოქროპირისათვს და კეთილისა ძმისა ზაქარიასთვნ, წ~ნო ღ~თისანო, ნათესავ-ნო მომავალნო! რათა ღმერთმან თქ~ნცა სასყიდელი მოგანი-ჭის ჩუენისა ლოცვისა და წსენებისათვს.“

ცხრა სტრიქონის ჩაგდებით:

„ხოლო დაინტერა მთაწმიდას, ათონას, მონასტერსა წ~თა მამა-თა აშენებულსა იოვანე და ეფთხმესა, საყოფელსა წ~ისა დე-დოფლისა ჩუენისა ღ~თისმშობელისა.“

ბერძულად დასაბამითგანნი წელნი იყუნეს: ხფ.

ინდიკტიონი:

ჯუარცმითგან: შ~პ

ქართულად დასაბამითგანნი წელნი: ხ~ქ.

ქრონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს.

ჯ~რცმითგან – (წაშლილია სინგურით დაწერილი ასოები).

მეფობასა ბერძენთა ზედა ვასილისა და ძმისა მათისა კოს-ტანტისა ძეთა კოსტანტინეპოვლეს პატრიაქობასა.“

ოთხი სტრიქონის ჩაგდებით:

„ხოლო ჩ~ნ ზედა მეუფებასა უფლისა ჩ~ნისა იესუ ქრისტეს-სა, რ[ომლი]სა არს დიდება მამისა, თანა სულით წმიდი-თურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

„ქრისტე! კუალადცა აკურთხე და ადიდე დიდი ესე მოღუანე მამა ეფთვმე და ახალი მამადმთავარი საბა კხ~ლი.“

। ხელით, 286r-v (როგორც ჩანს, ეს ანდერძი ინყებოდა წინა ფურცელზე, რომელიც დაკარგულია).

**მინაწერ(ები):** II რ-ზე, XIX-XX სს. ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების: ვენედიკტე ქიოტიშვილის, გრიგოლ რატიანის, ბესარიონ ქიქოძის, ქრისტეფორე ახვლედიანისა და თეოდოსი ერისთავის გარდაცვალების თარიღები.

II v. ამკინდავის მონაზონი მაკარი ქართველის მინაწერი.

3r. ილარიონ ბერის მოსახსენებელი.

4r. ილია ფანცულაიას მინაწერი (იხ. აგრეთვე 148v).

იხ. აგრეთვე 17r, 37v, 285v.

**წინა აღნერილობები:** აბულაძე, ი. (1949). ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 306; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა / ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). (1954). კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., გვ.: 82-83.<sup>1</sup>

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 127; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ. 213; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, თბ., გვ. 158.

---

<sup>1</sup> ამ ტომში მოცემულია №№1041-1450 ხელნაწერების აღნერილობები.

## II. H-1347.

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** კრებული H-1347 ჩა-  
მოტანილია დავით გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვი-  
ლის მიერ 1917 წელს.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XI-XII საუკუნეები.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი, H-1347.

**ფურცელთა რაოდენობა:** 527.

**პაგინაცია და ხელნაწერის მდგრადირივი:** ფურცლობრივი. და-  
ნომრილია მარჯვენა გვერდის ზედა მხარე. ასევე გვერდებიც,  
თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ხელნაწერის კუთხის დაზიანე-  
ბის გამო, გვერდების ნუმერაცია არ იკითხება, ფურცლების  
ნუმერაცია კი თითქმის ყველა საჭირო ადგილასაა. 449-ე  
ფურცელი 907-ე გვერდს შეესაბამება. ყუა დაზიანებულია; 2,  
3, 4, 19, 20, 25, 26, 51, 58, 91, 98, 99, 147, 154, 439, 440,  
447, 448, 455, 464, 470, 471, 472, 520, 526, 527 ფფ. ამოვარ-  
დნილია. დანარჩენები – მეტად დაზიანებული, განსაკუთრე-  
ბით 368, 369. რესტავრირებულია თეთრი ქალალდის დაწებე-  
ბით.

**„თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში:**  
შესულია 57-ე თხზულებად: **448v-454r.**

**საწერი მასალა:** ბომბიცინი; ხის სქელი ყდა, ტყავგადაკრული.  
სათაურები სინგურით.

**ფურცლის ზომა:** 45X32 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** თითოეულ სვეტში 36 სტრიქონია.

**ნაწერის ზომა:** 35 სმ. თუ დიდი ასო პირველივე სტროფშია  
მოქცეული, მაშინ – 36.5X23 სმ.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადად, 1 მმ. (ივარაუდება  
ზედა სტრიქონის უკიდურეს ქვედა წერტილსა და ქვედა  
სტრიქონის უკიდურეს ზედა წერტილს შორის).

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**სვეტებს შორის მანძილი:** 1.7 სმ-დან 2 სმ-მდე, ძირითადად, 2 სმ. თუ აბზაცს დიდი ასო იწყებს, მაშინ სვეტებს შორის მანძილი 2 მმ.-ია.

**დამწერლობის ტიპი:** მსხვილი კლასიკური ნუსხური.

**გაფორმება:** შიგნით არის რამდენიმე გვიანდელი შავ-თეთრი ჩანახატი, შედარებით მდარე მხატვრული სტილით შესრულებული.

**გადამწერი:** კრებულის გადამწერი ჩანს ვინმე არსენი, რომელიც ერთგან თავს „იყალთოელად“ იხსენიებს (72r, 159r).

**ანდერძ-მინანერები (ტექსტის ხელით):**

„ვაღ, ქალალდო, გაგსუარე! ეგრევე ღვდლსა მე გარდამკრვია გვსტი (?) შენცა იჭირვოდი“ (67r);

„ეკრძალე, მკითხველო! იყალთ[ო]ელსა ჰლოცვიდი“ (72r);

„დედაო ღ ისაო! შემიწყალე მე ცოდვილი [ესე]“ (159r);

„წმიდაო ღ ის მმობელო, რომელი [დაბადებულხარ] იოვაკიმ და ანნასაგან! მეოს მეყავ წინაშე ძისა შენისა ფრიად ცოდვილსა არსენის დღესა მას საშინელსა სასჯელისასა“ (159r);

„წმიდაო პირველდიაკონო სტეფანე და ან პირველო მონამეთა შორის, მეოს მეყავ წინაშე ღ ისა ფრიად ცოდვილსა არსენის“ (203r).

**მინანერ(ები):** ხელნანერი გამოირჩევა უამრავი მინანერებით, ალის (სამცხეში) მთავარმონამისადმი შეწირულების საბუთებით და ალაპებით. მინანერებში მოხსენებული ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილია: ალი, ოპიზა, „ვაღე ნაოვარი.“ გვიანდელ მინანერებში მოხსენებულ ზოგიერთ პირთა სახელია: ესტატე (7v), ვარძიგულა (236v), [სასატი] (244v), გიორგი ჯუმათელი (დარჩია) (212v, 228 და სხვ.), ელია (30r).

„თარგმნილი ეფრემისი“ (203v). ტექსტის | სტრიქონების გასწვრივ, მარცხენა არშიაზე;

**წინა აღწერილობები:** ხელნანერთა აღწერილობა / საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფა. მუზეუმის ხელნანერები (H კოლექცია). კორნელი კეკელიძის სა-

ერთო რედაქციით. ტომი III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1948, გვ. 293.<sup>1</sup>

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 127; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ. 213.

### III. A-128.

**ხელნაწერის ძველი ადგილმდებარეობა:** A ფონდი შეიცავს თბილისის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციას.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XII-XIII საუკუნეები. კორნელი კეკელიძე ხელნაწერს XIII-XIV საუკუნის ნუსხად მიიჩნევს.<sup>2</sup>

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-128.

**ფურცელთა რაოდენობა:** 475.

**ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** ფურცლობრივი. დანომრილია ფურცლის ზედა მარჯვენა მხარე. ნომრები ახლავს გვერდებსაც. გვერდების დანომვრა ხელნაწერის სტრიქონებს ზემოთ არის მოთავსებული. 434-ე ფურცელს (საიდანაც ჩვენი ტექსტი იწყება) 873-ე გვერდი შეესაბამება.

<sup>1</sup> ამ ტომში მოცემულია 1001-1500 ხელნაწერთა აღწერილობები. ქრისტინე შარაშიძე კრებულს მეტაფრასად მოიხსენიებს. გვ. 293.

<sup>2</sup> კეკელიძე, 1945: 37.

გარდა ამისა, დანომრილი ფურცლების ზემოთ ხელნაწერს კი-  
დევ აქვს ნომრები, თუმცა გადახაზული. ზოგჯერ ერთი და  
იგივე ნომერი ორჯერ წერია და ორჯერვე გადახაზულია.  
სხვაობა 10 ციფრშია. მაგ., 434 გვერდის თავზე 444-ე ფურ-  
ცლია აღნიშნული და გადახაზული.

ხელნაწერს ზოგიერთ გვერდზე აქვს ავთენტური ნუ-  
მერაცია ასოთა შესაბამისი ციფრებით, რომელსაც ყველ მერ-  
ვე ფურცელზე ერთი რიცხვი ემატება. „თეოდორე პერგელის  
წამება“ ასეთი სახის ნზ ფურცლიდან იწყება.

ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლულია.

„თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში:  
შესულია 28-ე თხზულებად: **434r-441v**.

**საწერი მასალა:** ქაღალდი; რესტავრირებული; ლიდერინგადაკ-  
რული მუყაოს ყდა. დაწერილია შავი მელნით; სათაურები სინ-  
გურით.

ფურცლის ზომა: 32,5X24 სმ.

სტრიქონთა რაოდენობა: თითოეულ სვეტში 32 სტრიქონია.

წაწერის ზომა: 23.8X15,5 სმ.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** უკიდურესი წერტილის მიხედ-  
ვით, მანძილი, ფაქტობრივად, საერთოდ არ არის. თუ უშუა-  
ლოდ ერთად ხვდება უკიდურესად დაბალი და უკიდურესად  
მაღალი ასოები, მაშინ 0.5. 1 მმ ან 2 მმ.-ია. ზოგჯერ აქაც არ  
რჩება მანძილი.

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**სვეტებს შორის მანძილი:** 1.3 მმ-დან 2 მმ-დე. ძირითადად –  
1.5 მმ.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური.

**შემკაზმველი:** გულქან დიასამიძე (174r, 420v).

**მინაწერ(ები):** ყველა ტექსტთან, სათაურის გასწვრივ, მიწერი-  
ლია იამბიკოები, რომელთა ნაწილიც არ იკითხება. თედო  
რენდანიას მიაჩნდა, რომ იამბიკოებს ჰქონდათ სანოტო ნიშ-  
ნები, რომლებიც დღეს თითქოს აღარ ჩანს.

XVII ს-ის მხედრულით: „წ. ამისსა შემკაზმავსა დიასამიძისა ასულსა გულქანს ცოდვანი მისნი შეუნდვენ ღმერთმან. და მისნი შვილნი ადლეგრძელენ, წმიდაო ნინო მოციქულო“ (174r). ეს წარწერა მცირეოდენი სხვაობით მეორდება 420v-ზე.

„სულსა შიოსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ, უფალო“ (428r) (XVII-XVIII ს. მხედრულით).

„პართენოსი. პავლე“ (429v) (XVIII ს. მხედრულით) და სხვ.

ჩვენი ტექსტის ბოლო გვერდზე, ქვედა არშიაზე, შავი მელნით XVII ს-ის მხედრულით წერია: „ქ. მკერვალსა თეთრისა კაბისა-თიინა ორი თანაგთი. ქანადაქისაინა სამი თანაგა, ნაქასოვი-სათინა ოთხი თანაგაი. ფეიქარსა ლიტრისათათვის ერთი თა-ნაგა“ (ახალი პაგინაციით, 441v (ძველი 450v). მინაწერებია აგრეთვე ჩვენი ტექსტის პირველ 5 გვერდზე. ჭირს ამ მოჩუ-ქურთმებული მხედრული მინაწერების სრული ამოკითხვა. რაც იკითხება, აჩვენებს, რომ მინაწერები უნდა იყოს სამ-კურნალო რჩევები „კარაბადინიდან.“

**ნინა ალწერილობები:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყო-ფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I<sub>2</sub>. საქარ-თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. შეადგინეს და დასაბეჭ-დად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგა-ლობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღა-მაიამ ელ. მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიე-რება“, 1976, თბ., გვ.: 128-130.<sup>1</sup> კრებული A-128 აღწერილია მიხეილ ქავთარიას მიერ.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქარ-თული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 127; გაბიძაშვილი, ე.

<sup>1</sup> ეს გამოცემა არის I ტომის II ნაკვეთი და მოიცავს №№101-200 ხელნაწერების აღწერილობას.

(2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგ-რაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კე-კელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ. 213.

#### IV. A-382.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XV საუკუნე.

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** A-382.

**ფურცელთა რაოდენობა:** 382.

**ჰაგინაცია და ხელნაწერის მდგომარეობა:** აქვს გვიანდელი რვეულებრივი აღრიცხვა ასომთავრულით და არაბული ციფ-რებით. ეს აღრიცხვები ერთმანეთს არ ემთხვევა. ზოგჯერ ფურცელთა რიგი არეულია. აქვს ყდის საცავი ფურცელი. და-ზიანებული, სხვადასხვა დროის, ახალი რესტავრირებული. ნაკლული. ჩამოხეული აქვს მარჯვენა სვეტები ფ.ფ. 51 და 52-ს. ფ.ფ. 242, 307, 368 გაბმითაა დაწერილი. დაუნერელია 97v-98r, 308r, 309r-v, 373v. ფ. 382 ეკუთვნის სხვა ხელნა-წერს. ყოველ თხზულებასთან დასმულია რიგითი ნომერი ძვე-ლი და ახალი, XVIII ს-ში ხელმეორედ გაკეთებული. ძველი იწ-ყება ლზ რიცხვით, ახალი ბ-თი. ძველი რიგითი ნომერი მიუ-თითებს იმაზე, რომ ეს კრებული გაგრძელებაა რომელიდაც კრებულისა და იგი წარმოადგენს დიდი კრებულის მეორე ნა-წილს. ხელნაწერი დაშლილი და დაზიანებული ყოფილა. იგი შეუკინძავთ და შეუვისიათ XVIII ს-ში. რესტავრაციის დროს ზემო კიდეებზე გაუკეთებიათ ქუდები. აქვს ჭვირნიშანი.

**„თეოდორე პერგელის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში:** შესულია 23-ე თხზულებად: **83r-86v**.

**საწერი მასალა:** ქაღალდი; გაყვითლებული; ყავისფერი ლედე-რინგადაკრული მუყაოს ყდა, ახალი შეკინძული. სათაურები და დასაწყისები სინგურით.

**ფურცლის ზომა:** 38,5X27 სმ.

**სტრიქონთა რაოდენობა:** თითოეულ სვეტში 46 სტრიქონია.

**ნაწერის ზომა:** 32,5X19 სმ.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** 2 მმ.

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 2 სვეტად.

**სვეტებს შორის მანძილი:** 0..9-დან 1.2 მმ-მდე.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური. კრებულის ბოლო თხზულება – „დიმიტრის ცხოვრება და წამება“ განსხვავებული (XVI-XVII სს.) ხელითაა დაწერილი. იგი უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი ამ კრებულში. მოგვიანებით (XVII ს-ში) არის შედგენილი ამ წიგნზე დართული ზანდუკიც (380r-381r), რომელიც დაწერილია მხედრულით.

**გაფორმება:** 178v-ს კიდეზე შავი ფანქრით დახატულია სასულიერო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი, რომელსაც ქვევით მხედრულად მიწერილი აქვს „ბაგრატ“ (ბაგრატ ტავრომენელი). ნახატიც და წარწერაც გვიანდელია. ასევე, 307v-ზე შავი ფანქრით დახატულ გამოსახულებას აწერია „იოანე მოწყალე.“ წარწერა XIX ს. ხელითაა შესრულებული.

**გადამწერები:** „ეპიფანე“ (54r, 138v, 141v), „იერემია“ (67v, 100v, 107v, 108v), „რუთი“ (138r), „დიმიტრი“ (310r).

**ანდერძები:**

1. „ეს ოთხი საკითხავი ვერ შევიტყევ, რომელსა თუმსა შინა იყო: საკითხავი ქალწულისა კანონიერი, რომელი იყო ასული მთავრისა ერთისა კოსტანტინეპოლელისა და იქმნა მძოვარ და, ამასთანავე, დანიელ პატრიკიისა, რომელმან გარდაიცვალა სახელი საჭურისად, საკითხავი ბ, თავი ივ. „ცხოვრებად წმიდისა ნისიმესი“ და, ამასთანავე, მოთხრობად „მამათად საკითხავი ბ, თავი კბ.“ (ერთვის საძიებელს);

2. „ღმერთო, შეიწყალე სული ეპიფანესი“ (სათაურში სინგურით, 54r);

3. „ღმერთო, შეიწყალე იერემია, აცხოვნე სულითა, ამინ“ (67r);

4. „ღმერთო, შეინყალე ფრიად ცოდვილი იერემია და აცხოვ-ნე წმიდაო ნისიმე“ (100v);
5. „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი იერემია, ჯუარო პატიოსა-ნო“ (107v);
6. „ღმერთო, შეინყალე ცოდვილი იერემია“ (108v);
7. „რუთის მონაზონსა და მისთა მშობელთა შეუნდნეს ღმერ-თმან ამინ“ (138r);
8. (სინგურით სათაურთან): „.... ეპიფანე“ (138v);
9. „ჯუარო პატიოსანო, შეინყალე ეპიფანე“ (141v);
10. „ღმერთო უფალო, შეინყალე...“ (ჩამოხეულია) (283v);
11. „დიმიტრის შეუნდნეს ღმერთმან, ამინ!“ (310r).

**მინაწერ(ები):**

1. „[წმიდა მო]წამევ გიორგი, შეინყალე ცოდვილი მღდელ-მონაზონი, ულირსი რომანოზ“ (5v);
2. „ქ. წმინდის გიორგის ალავერდისა ვარ“ (16r);
3. „რვა ფურცელი“ (44v);
4. (XVIII ს. ნუსხურით): „ივლისსა ივ სხუაგან სწერია“ (54r);
5. „ქ. ი მათერ ბოლო ნაშელო“ (56r);
6. „.... ბატონსა და ბატონობისა დიდად შესაფერსა მაწყვე-რელ მთ[ავარ] ეპისკოპოზსა წინაშე მრავალი და აურაცხელი ან... ყოფნა და წმიდათა და ნათლით შემოსილთა წელსა მო-ნა...“ (57r);
7. „წმინდაო მარინავ, მეოს მეყავ ანნას, წელთა ჩყლბ დეკენ-ბერსა დ განვათავე მეტაფრასი ესე ორჯელ ამ რიცხვში“ (58v);
8. „ქ. სახიერო, კაცთმოყვარეო ქრისტე ღმერთო... რანიც წმინდანი მამანი ანუ დედანი ამა მეტაფრასა შინა სწერია... წერილნი ანუ...“ (59v);
9. „ქ. იესო ქრისტეო, წმინდაო ათანასი, სევდა ცოდვილი მე განმიქარვე შენის სახარების..“ (61r);

10. „ქ. წმინდაო ონიფანტე, გაახარე ჩემი გული, ნუ გამწდი  
მტერათ“ (64r);
11. (XVI-XVII სს. მხედრულით): „ქ. უფალო იესო ქრისტეო,  
წმინდაო, წორციელთა ანგელოზო, გვირგვინოსანო, გან-  
ბრნწყინვებულო წმინდაო [ქ]რისტინე შენის იესოს ქრისტეს  
სიყვარულისათ[ვის] გაუმარჯვე მეფე თეიმურაზს... დედო-  
ფალ...“ (67v);
12. „ქ. ვი[ნ]ცა წელთ იყუნენ პატიოსანი წიგნი ესე, ამისთვის  
ნუ მწყევთ შემვედრებულ...“ (68r);
13. (ნუსხურით): „წმიდაო ზაქარია, აცხოვნე დომენტი“ (91r);
14. „წმიდაო ეგნატე წამებულო, მეოს მეყავნ ცოდვილსა ან-  
ნას“ (108r);
15. (ნუსხურით): „წმიდაო ღვთისმშობელო, შეუნდვენ, უწინამ-  
ძლუარე ცოდვილს მღდელმონაზონს დომენტის“ (238r);
16. (ნუსხურით): „ღმერთო, ნუ წააჭდენ მონას, შენს  
მზისთ[ა]ნ[ა]დ[ა]რს, ამინ! უფალო, ორივ ცხოვრება დაუმკვიდ-  
რე. ღმერთო, შამინდევ ჩემი ბრნწოდარი (!) ქმარითა, ძმებით  
და მაზლებით. გამახარე მოწყალევ ღმერთო“ (368v);
17. „შემდეგი წიგნისა ამისა არა ეკუთნის წიგნსა ამას, არამედ  
არს სხვისა, რომლისამე წიგნისა დანაშთენი, მარად ფრიად  
ცუდად არეული და გარყვნილი. დიმიტრი ფურცელაძე, 1855  
გода, Августა 9“ (331v), და სხვ.
- 1r-ზე მოთავსებულია საკითხავების სათვეო საძიებელი.
- წინა აღწერილობები:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყო-  
ფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I. საქარ-  
თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის  
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. შეადგინეს და დასაბეჭ-  
დად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელა-  
ძემ ელ. მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერე-

ბა“, თბ., 1985.<sup>1</sup> კრებული A-382 აღწერილია თ. ბრეგაძის მოერ.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 127; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ. 213; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, თბ., გვ. 158; კეკელიძე, კ. (1947). ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია (თსუ შრომები, ტ. 30b-31b), გვ. 35; ქავთარია, მ. (1966). თეოდორე სტრატილატის წამების რედაქციები (შოთა რუსთაველი, ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, გვ. 199; პატარიძე, რ. (1969). ‘The lune’ (პალეოგრაფიული ძიებანი, II, გვ. 71).

---

<sup>1</sup> ეს გამოცემა არის I ტომის IV ნაკვეთი და მოიცავს №№301-400 ხელნაწერთა აღწერილობას.

## „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ ხელნაწერი

კიმენური რედაქციის ექვთიმე ათონელისეული თარგმანის ტექსტი შემონახულია ერთადერთ ხელნაწერ კრებულში – Jer-2.

**ჟანრი:** ჰაგიოგრაფიული კრებული.

**თარიღი:** XI საუკუნე (1000-1099).

**თანამედროვე ადგილმდებარეობა და ფონდი:** ხელნაწერი: იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, Georgian 2; მიკროფირი: კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Jer-2.

**ფურცელთა რაოდენობა:** 269 (მიკროფირის თავფურცლის მიხედვით) (ბლეიკის აღწერილობაში მითითებულია 268 ფურცელი).<sup>1</sup>

**ხელნაწერის მდგომარეობა:** ხელნაწერის ორ გვერდზე (29v-30r) მელანი გადასულია და ტექსტი რთულად ირჩევა. ზოგიერთი ადგილი მთლიანად წაშლილია.

**„ანთიმოზ ნიკომიდიელის წამების“ ტექსტის ადგილი კრებულში:** შესულია მე-4 თხზულებად: 23r-30r (ბლეიკის აღწერილობაში მითითებულია 22v-30r).

**საწერი მასალა:** თხელი პერგამენტი.

**ფურცლის ზომა:** 39,5X27,2 სმ. (ბლეიკის მიხედვით, 39,8X27).

**სტრიქონთა რაოდენობა:** 34.

**ნაწერის ზომა:** 29,8X18,5 სმ.

**სვეტების რაოდენობა:** დაწერილია 1 სვეტად.

**დამწერლობის ტიპი:** ნუსხური.

**გადამწერი:** „მწერალი ნიკოლოზ“ (81v).

**მინაწერები:** „ღმერთო, შემიწყალე ბესარიონ, ამინ!“ (მხედრული, 17r); „წმიდაო ღმერთო და ჯუარო ქრისტესო, შეიწყალე

<sup>1</sup> Blake, 1922-1923: 13.

ცოლი რუთი და მელქიზედეკ და მისნი შვილნი უცოცხლენ“ (27v); „ეგრეთვე ღლჲყერი და თეოფილე მადლითა მისითა მონამეთა შეერთნეს;“ „ღმერთო მოწყალეო, შენის მწყალობის მადლსა, დამიწსენ საუკუნოსა სასჯელისაგან მე მონა, ბერი, ცოდვილი, მე მონაზონი ესაია, ამინ!“ (47v); „ვინ იკადრეთ ამისი აღმოჩევა, სჯულისა გარდამხდარ ხართ წესიერსა, მროველყოფილი ონა შეიწყალეთ და შენდობა ინებეთ ნებისაებრ თქუნისა“ (68v).

**წინა აღნერილობა:** Blake, R. (1922-1923). Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarchale grecque à Jérusalem, O. C. #304, pp.: 13-18.

**ბიბლიოგრაფია:** კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V ტომი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., გვ. 120; გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია / ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 1, ჰაგიოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., გვ.: 137-138; გაბიძაშვილი, ე. (2010). შრომები, II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რედ. ეთერ ბერუაშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, თბ., გვ. 175.

კოძენტრაცია

## „ევსტათის ცხოვრება და წამება“

გვ.: 25, 1-3. „ცხორება და წამება წმიდათა მონამეთა – ევსტათისი და მეუღლისა მისისა თეოპისტისი და შვილთა მათთა – ალაპისი და თეოპისტესი. კირიელებისონ!“ – ევსტათი – I-II საუკუნეების მოღვაწე, მონამებრივად აღესრულა 117 წელს რომაელი იმპერატორის, ადრიანეს, ბრძანებით.

გვ.: 25, 4-7. „არს კაცთა თანა წინამდებარე ბუნებითიცა სწავლა გამოსარჩეველად კეთილისა და ქმნად სათნოებათა, რომელი ასწავლის კაცსა, რათა, რაც-იგი თვთ ენებოს სხვაგან, იგი სხუასა უყოფდეს ეგრეთვე“ – ჰაგიოგრაფის მიერ ნახსენები „ბუნებითიცა სწავლა“ ჰავლე მოციქულის მოძღვრებას ეფუძნება „ბუნებითი რჯულის“ შესახებ. შდრ.: „რამეთუ არა მსმენელნი შჯულისანი მართალ წინაშე ღმრთისა, არამედ მოქმედნი შჯულისანი განმართლდებიან, რამეთუ წარმართთა, რომელთა შჯული არა აქუნ და ბუნებითსა მას შჯულსა ჰყოფდეს, ამათ, რამეთუ შჯული არა აქუს, თავისა თვისისათვს შჯულ არიან, რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა, დაწერილსა გულთა შინა მათთა თანამონამებითა მათდა სკნიდისისა მათისაათა“ (რომ. 2. 13-15). ამდენად, ბუნებითი სჯული („ბუნებითი სწავლა“), მოციქულის მითითებით, სინდისია, რომლის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ჭეშმარიტებას შეამეცნებინებს ადამიანს. ხოლო ჰაგიოგრაფის სიტყვები: „რაც-იგი თვთ ენებოს სხვაგან, იგი სხუასა უყოფდეს ეგრეთვე“, იესო ქრისტეს მიერ მთაზე წარმოთებული ქადაგებისას სახარების ოქროს წესის სახელით ცნობილი მოძღვრების პერიფრაზია. შდრ.: „ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რაითა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყავთ მათდა მიმართ“ (მათ. 7. 12).

გვ.: 25, 15-17. „ბუნებითისათვს ვინებე მრავალთა პირველ აღნერილთაგან ამისიცა აღწერა, რომელსა-ესე წელვყავ ...“ – იგულისხმება, რომ ავტორმა საკუთარი ნაშრომი ისეთ პიროვნებას მიუძღვნა, რომელიც თავდაპირველად წარმართი

იყო და, პავლე მოციქულის ზემოხსენებული სწავლების კვალობაზე, ბუნებითი შჯულით (ე. ი. სინდისით) ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ შჯულს მიღევნებულ ევსტატის განეცხადა იესო ქრისტე.

გვ.: 26, 6. „დღეთა მათ ტრაიანე მეფისათა“ – იგულისხმება ტრაიანე (53-117 წწ.), რომის იმპერატორი 98-117 წლებში.

გვ.: 26, 7-8. „დაადგინა მეფემან სტრატილატი ვინმე, სახელით პლაკიდა“ – სტრატილატი ბერძნული სიტყვაა და ქართულად ითარგმნება, როგორც „მხედართმთავარი.“

გვ.: 26, 16-17. „და იყო ახალი კორნილიე მათ უამთა შინა“ – საუბარია ქრისტიანული მოძღვრების გულმოდგინედ შემწყნარებელ რომაელ კორნილიოს ასისთავზე, რომლის შესახებ ვრცელი თხრობა გვხვდება „საქმე მოციქულთას“ წიგნში (იხ. საქ. მოციქ. 10. 1-45).

გვ.: 27, 3-5. „ყოველთა წარმართთა შორის, რომელსა ეშინოდის მისა და იქმოდის სიმართლესა, შეწყნარებულ არს მის მიერ“ – ტექსტში მითითების გარეშე დამოწმებული სიტყვები ციტირებულია ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნიდან – „საქმე მოციქულთა“ (საქ. მოციქ. 10. 35).

გვ.: 27, 24-25. „არა ვითარცა კორნილიე პეტრეს მიერ, არამედ ვითარცა პავლე თვისითა გამოჩინებითა“ – აქ ნახსენები პეტრე იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთია, რომელსაც მოგვიანებით „მოციქულთა თავი“ ეწოდა. კორნილიოსის მოქცევა სწორედ პეტრეს სახელს უკავშირდება და ვრცლად არის აღნერილი „საქმე მოციქულთას“ წიგნში (იხ. საქ. მოციქ. 10. 1.45). რაც შეეხება პავლეს, ის არ აღირიცხება იესო ქრისტეს თორმეტ მონაფეში, თუმცა დამასკოსაკენ მიმავალ გზაზე ნანახი გამოცხადების შემდეგ ისიც მოციქულად იქნა გამორჩეული (იხ. 9. 1-19). საეკლესიო ისტორიის თანახმად, სწორედ პეტრესა და პავლეს განეკუთვნათ სახელწოდება – „თავნი მოციქულთანი.“

გვ.: 28, 1-3. „უჩუენა მას ღმერთმან სასწაული არაშეუმ-სგავსებელი ძალისა მისისა, არამედ, ვითარცა პალამის ზე მის-ცა ვირსა სიტყუად და ამხილა მას“ – იგულისხმება ბალაამი – ერთ-ერთი ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც ეგვიპტიდან ებ-რაელთა გამოსვლის ეპოქაში მუამდინარეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა (იხ. რიცხ. 22). წმინდა წერილის თანახმად, ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ებრაელი ერის დასაწყევლად მიმავალი ბალაამი ადამიანური ენით ამტყველებულმა საკუ-თარმა სახედარმა ამხილა (შდრ. რიცხ. 22. 21-30). წინამდება-რე უწყებაში პარალელია გავლებული ხსენებულ ბიბლიურ ის-ტორიასა და ევსტათის თავს გადამხდარ მოვლენას შორის, რადგან, ჰაგიოგრაფის თანახმად, მსგავსად ბალაამის შემ-თხვევისა, იესო ქრისტე ადამიანის ენით მოსაუბრე ირმის სა-შუალებით მიმართავს ევსტათის (შდრ. „და უნოდდა მას და ეტყოდა ორემისა მის მიერ“).

გვ.: 28, 4-7. „უჩუენა რქათა ზედა მის ირმისათა სახს პატიოსნისა ჯუარისაა, უბრნყინვალესი ნათელსა მზისასა და შორის რქათა მისთა ხატი პატიოსნისა გუამისა მისისაა, რომე-ლი ჩუენისა ცხორებისათვს შეიმოსა“ – ტექსტის თანახმად, ევსტათიმ ირმის რქებს შორის ორი რამ იხილა:: 1. გაბრნყი-ნებული ჯვარი; 2. სახელის მოუხსენებლად მითითებული „ხა-ტი პატიოსნისა გუამისა მისისაა.“ დამოწმებულ ნაცვალსა-ხელში „მისისაა“ იესო ქრისტეა ნაგულისხმევი, ხოლო ტერ-მინში „ხატი“ – მაცხოვრის ადამიანური გარეგნობა, რასაც წინადადების მომდევნო ნაწილი ცხადყოფს: „რომელი ჩუენისა ცხორებისათვს შეიმოსა.“ საეკლესიო სწავლების მიხედვით, ცოდვით დაცემული ადამიანის გამოხსნის მიზნით ძე ღმერ-თმა საკუთარ ჰიპოსტასში შეიერთა კაცობრივი ბუნება და მა-რადიულად, დაუსაბამოდ მყოფი ბეთლემში შობის გზით მო-ევლინა ქვეყნიერებას, როგორც სრული ღმერთი და სრული ადამიანი. შესაბამისად, ირმის რქებს შორის ევსტათის, ერთი მხრივ, მოელვარე ჯვარი და, მეორე მხრივ, მაცხოვარი გა-ნეცხადა კაცობრივი გარეგნობით.

გვ.: 30, 20-22. „რომელსა პნებავს ყოველთა კაცთა ცხო-  
რებაა და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაა“ – დამოწ-  
მებული ფრაგმენტი წმინდა წერილიდან, კერძოდ, ტიმოთეს  
მიმართ პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლიდან, არის ცი-  
ტირებული (1 ტიმოთ. 2. 3-4).

გვ.: 30, 24-26. „უწოდა პლაკიდას „ევსტათი“ და ცოლსა  
მისას ტატიანეს „თეოპისტია“ და შვილთა მათთა – პირველსა  
უწოდა „ალაპი“ და მეორესა „თეოპისტე“ – „ევსტათი“ ბერძნუ-  
ლი სიტყვაა და ქართულად ითარგმნება, როგორც „კეთილად-  
მდგომელი“; „თეოპისტია“ ქართულად „ღვთისმორწმუნეს“  
ნიშნავს, „ალაპი“ – „სიყვარულს“, ხოლო „თეოპისტე“ –  
„ღვთისმორწმუნეს.“ როგორც ვხედავთ, ევსტათის მეუღლისა  
და უმცროსი შვილის სახელები ქართულად თარგმნისას  
იდენტურია, თუმცა ბერძნული ენის გრამატიკული თავისებუ-  
რებიდან (იგულისხმება სქესის კატეგორია) გამომდინარე,  
ისინი განსხვავებული ფორმებით გადმოიცემა. მდედრობითი  
სქესის სახელები -ია-ზე ბოლოვდება, მამრობითი სქესისა –  
ოს-ზე.“ ხშირად ძველი ქართული თარგმანების შემსრულებ-  
ლები მამრობითი სქესის სახელებს ფორმას უცვლიდნენ და  
მისი დაბოლოება ქართული ენის ნორმებთან შესაბამისობაში  
მოჰყავდათ, რისი დასტურიც არის განხილული შემთხვევა,  
სადაც ნაცვლად დედნისეული „თეოპისტოს“-ისა გვაქვს „თე-  
ოპისტე.“

გვ.: 31, 4-5. „მოიქსენეთ სული ჩემი გლახავისა იოვანე-  
სი. ჰე, გევედრები!“ – ევსტათისა და მისი ოჯახის მომნათლავი  
მღვდლის სახელი იოანე ყოფილა. ხსენებული პირის შესახებ  
ცნობები საეკლესიო ისტორიაში არ შემონახულა.

გვ.: 31, 15-16. „მიიღე საპანელი მადლისა ჩემისაა და  
შეიმოსე უკუდავებაა“ – ეს სიტყვები ორ მოვლენას აქრთია-  
ნებს: „საპანელი მადლისაა“ ევსტათიზე აღსრულებულ ნათ-  
ლისლების საიდუმლოს გულისხმობს, ხოლო „შეიმოსე უკუდა-  
ვებაა“ ქრისტიანული სწავლების ფუძე მოძღვრებაა, რომლის  
თანახმად, ქვეყნიერებაზე მოსულმა ძე ღმერთმა, იესო ქრის-

ტემ, მიუხედავად ფიზიკური სიკვდილის არსებობისა, საკუთარ მორნმუნეებს გარდაცვალების შემდგომ მარადიული სიცოცხლის მოპოვების შესაძლებლობა მიანიჭა.

გვ.: 31, 16-17. „ან გიძლევიეს უკეთურისა და ან დაგითრგუნავს დამთრგუნველი შენი“ – უკეთურსა და დამთრგუნველში დაცემული ანგელოზი – ეშმაკი იგულისხმება.

გვ.: 31, 18-21. „ან გამოჩნდეს საქმე სარწმუნოებისა შენისაა, რამეთუ შურითა ალძრულ არს ეშმაკი შენ ზედა, რამეთუ დაუტევე იგი და ისწრაფის ალძრვად შენ ზედა ყოვლისა ბოროტისა“ – ქრისტიანული სწავლების თანახმად, როდესაც ადამიანი განიზრახავს, უკუაგდოს ცოდვა და საღმრთო ცხოვრებას შეუდგეს, ეშმაკი (დაცემული ანგელოზი) განსაკუთრებული შურით ალიძვრის მის წინააღმდეგ და ყველა ხერხს იყენებს სარწმუნოებრივი გზიდან მის გადასაცდენად. სწორედ აღნიშნულის შესახებ ამცნობს გამოცხადებაში იესო ქრისტე ევსტათის.

გვ.: 31-32. „ჯერარს უკუე დამდაბლებაა შენი სიმაღლისა მისგან ამაოხსა და მეყსა შინა კუალად ამაღლებად სიმართლითა მით სულიერითა“ – „ამაო სიმაღლეში“ იგულისხმება ევსტათის თანამდებობრივი მდგომარეობა – რომაული არმიის სტრატილატობა (მხედართმთავრობა), რომელსაც, იესო ქრისტეს მიერ გაცხადებული წინასწარმეტყველების თანახმად, დაკარგავს ევსტათი, თუმცა სანაცვლოდ სულიერად ამაღლდება, ე. ი. ქრისტიანული სათნოებებით შეიმოსება, რაც, საეკლესიო თვალთახედვით, ყოველივე ამქვეყნიურ დიდებაზე აღმატებული პატივია.

გვ.: 32, 6-8. „ჯერარს ამათცა უამთა გამოჩინებად მეორისა იობისი განსაცდელთა შინა მძლედ ეშმაკისა“ – საუბარია იობზე – ქრისტეშობამდელი ეპოქის მოღვაწეზე, „იობის წიგნის“ სახელით ცნობილი ერთ-ერთი ბიბლიური წიგნის მთავარპერსონაჟსა და სავარაუდო ავტორზე, რომელმაც შურით მის წინააღმდეგ ალძრული ეშმაკის ძალისხმევით მრავალი უმძიმესი განსაცდელი დაითმინა, თუმცა არ უარყო ღმერთი,

რისთვისაც მოგვიანებით სულიერი თუ ხორციელი წყალობა მიემადლა.

გვ.: 36, 16-19. „დასდევ, უფალო, საცოხ პირსა ჩემსა და კარი მცველი ბაგეთა ჩემთა, რახთა არა მისდრკეს გული ჩემი სიტყუათა მიმართ უკეთურებისათა და განვარდე პირისა შენი-საგან“ – ლოცვის ეს ნაწილი ფსალმუნიდანაა (იხ. ფსალმ. 140. 3-4).

გვ.: 36, 21-22. „მოვიდა დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდე-ბოდა ვადისონ“ – დასახელებული გეოგრაფიული პუნქტის თანამედროვე მდებარეობა ვერ დავადგინეთ.

გვ.: 37, 22-24. „რომელთა სახელები აკაკი და ანტიო-სოს, რომელნი ოდესმე მსახურნი იყვნეს მისნი“ – ხსენებული პირები (აკაკი და ანტიოქოსი) საეკლესიო ისტორიაში უცნობი რომაელი ჯარისკაცები არიან.

გვ.: 39, 15-16. „აქუნდა ქედსა მისსა სასწაული წყლუ-ლებისად“ – მოცემულ შემთხვევაში სიტყვა სასწაული ჭრი-ლობის შედეგად ევსტათის კისერზე დარჩენილ ნიშანს, ამ შემთხვევაში, ნაწიბურს გულისხმობს.

გვ.: 40, 5. „შ, ვითარილა კაცი მიზდურად გუყვა ჩუენ“ – ძველი ქართული სიტყვა „მიზდური“ „დაქირავებულს“ ნიშ-ნავს. შესაბამისად, ნინადადების შინაარსი ასეთია: „ვაი, რო-გორი ადამიანი გვყოლია ჩუენ დაქირავებული.“

გვ.: 41, 9-10. „განავლნა მდინარესა, რომელსა ეწოდე-ბის ედასპი“ – დიდი ალბათობით, საუბარია ჯალამის სახე-ლით ცნობილ მდინარეზე, რომელიც ინდოეთსა და პაკისტან-ში მდებარეობს. მისი არქაული სახელი იყო ჰიდასპი (ძველი ქართულით, „ედასპი“).

გვ.: 45, 3-4. „მოკუდა მეფე ტრაიანე და დაჯდა მის წილ სხუა მეფე, სახელით ანდრიანე“ – იგულისხმება ტრაიანე (53-117 წწ.), რომის იმპერატორი 98-117 წლებში და ადრიანე (76-138 წწ.), რომის იმპერატორი 117-138 წლებში.

გვ.: 45, 11-12. „შე-რავ-ვიდოდა იგი ტაძრად აპოლონისა ...“ – საუბარია აპოლონზე, ბერძნული მითოლოგიის თა-

ნახმად, სინათლისა და ხელოვნების ღმერთზე. აპოლონის ტა-  
ძარი მდებარეობს საბერძნეთში და 1986 წლიდან შეტანილია  
იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში.

გვ.: 46, 10-11. „**ბრძანა განჯურვებად კურო რვალისა და მუნ შეყრად წმიდათა მათ**“ – სპილენძის ხარი ადამიანთა  
სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი უძველესი იარაღი იყო: ბრალ-  
დებულს ხარის შიგნით განათავსებდნენ და ქვემოდან  
ცეცხლს შეუნთებდნენ, რის შედეგადაც ადამიანი ცოცხლად  
იწვოდა.

გვ.: 46, 21-22. „**ვითარცა სამნი ყრმანი ბაბილონს ცეც-  
ხლითა გამოიცადნეს**“ – ძლევამოსილმა ქალდეველმა მეფე ნა-  
ბუქოდონოსორმა სამ ებრაელ ყრმას ღმერთის უარყოფა და  
ერთ-ერთი ბაბილონური კერპის თაყვანისცემა უბრძანა. ებ-  
რაელმა ახალგაზრდებმა უარი განაცხადეს, რის შემდეგაც  
ნაბუქოდონოსორის ბრძანებით ისინი ცეცხლის ღუმელში ჩა-  
აგდეს, თუმცა საღვთო სასწაულის შედეგად იქიდან სრული-  
ად უგნებელნი გამოვიდნენ (იხ. დან. 3).

გვ.: 47, 5-6. „**სიმძაფრე ამის საწუმილისა შეცვალე,  
უფალო, ცუარად**“ – ლოცვის ამ ნაწილს პარალელი ექვებნება  
წმინდა წერილში: „ხოლო ანგელოზი უფლისა თანა შთავიდა  
მყის აზარიაეთსა საწმილად მიმართ და განყარა ალი ცეც-  
ხლისა საწმილისაგან. და ყო შორის საწმილისა, ვითარცა სუ-  
ლი ცუარისა, ვითარცა რაა მსატუენავი. და არა შეეხო მათ  
ყოვლითურთ ცეცხლი მათდა და არ შეაწუხნა იგინი და არ  
აღაშფოთნა იგინი“ (დან. 3. 49-50).

გვ.: 48, 16-17. „**დაუსუენნეს მას შინა სადიდებელად  
დღესასწაულისა მათისა, რომელი ალესრულების თუესა სეკდე-  
ბერსა ჲ**“ – მონამებრივად აღსრულებული ევსტათისა და მისი  
ოჯახის წევრების ხსენების დღედ სამი ოქტომბერი (ძველი  
სტილით, ოცი სექტემბერი) განისაზღვრა.

## „თეოდორე პერგელის წამება“

გვ.: 50, 1-4. „წამებაა წმიდისა და დიდებულისა მოწამი-სა თეოდორესი და მის თანა წამებულთა მოწამეთაა, რომელი ინამნეს პერგე ქალაქსა“ – თეოდორე პერგელი ჯვარზე გაკ-ვრით მოწამებრივად აღესრულა || საუკუნის შუა წლებში. გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია.

გვ.: 50, 5. „მათ უამთა იყო ჰრომს მეფე ანტონინე“ – საუბარია ანტონინეზე (86-161 წწ.) – რომის იმპერატორზე 138-161 წლებში.

გვ.: 50, 5-6. „ხოლო ქუეყანასა ფრიგისასა, ქალაქსა პერგეს“ – საუბარია ფრიგიაზე, კაპადოკიასა და ლიდიას შო-რის მდებარე რეგიონზე. „საქმე მოციქულთას“ მიხედვით, ფრიგიაში პავლე და ტიმოთე მოციქულებმა იქადაგეს: „და მოვლეს ფრიგვაა და გალატელთა სოფელი...“ (საქ. მოციქ. 16. 6]. პერგე კი ფრიგიის ერთ-ერთი ქალაქია, რომელშიც, „საქმე მოციქულთას“ თანახმად, პავლე და ბარნაბა მოციქულებმა იქადაგეს: „წარ-რაა-ვიდეს პაფოოთ პავლე და მისთანანი იგი, წიაჭდეს პერგედ“ (საქ. მოციქ. 13. 13). ტექსტში ნახსენები დი-ოდორეს შესახებ საუკლესიო ისტორიაში ცნობები არ მოგვე-პოვება.

გვ.: 52, 17-18. „გყო შენ კომსად და დიდითა პატივითა მიგავლინო მეფისა“ – კომსი ძველ ქართულში ნიშნავს „მთა-ვარს.“ თუეკი თეოდორე დათანხმდებოდა კერპებისადმი მსხვერპლშენირვაზე, მას მთავრის ტიტულს გადასცემდნენ ძლვნად.

გვ.: 52, 19-20. „უბინოსა მას ჰაერთა მეუფესა – დიოსს“ – დიოსი იგივე ზევსია, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ელფის, ქუხილისა და ცის ღმერთი.

გვ.: 52-53. „და აღიტაცა ულუმპია და განკრწნა იგი და მერმე ემსგავსა ვარხუსა და განკრწნა ქალწულებაა ლიდახესი?“ – ულუმპია მითოლოგიური პერსონაჟია, რომელიც ზევსმა გახრწნა, ლიდა (ბერძ. Λήδα) – ძველი ბერძნული მითოლო-

გიის ერთ-ერთი პერსონაჟი, მეფე ფესტიოსის ასული. ნახსენებია ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში.“

გვ.: 53, 5-6. „უზორე ქალწულსა არტემას!“ – იგულის-ხმება არტემა, იგივე არტემიდე, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ნადირობისა და მთვარის ქალღმერთი.

გვ.: 53, 6-11. „არტემას იტყვა, რომელი-იგი მთათა და ჭურელთა იარებინ ნადირობად. იგი არსა ქალწული? ისმინე ცხორებაჲ მისი: ჰყვეს თანაშემწედ საქმეთა თვისთა ეშმაკნი და ეტრფიალა ათორმეტთა კაცთა და იყვნეს იგინი შემწეთა მათ მისთა ეშმაკთა თანამყოლელ მისა და აღმასრულებელ გულის-თქემათა მისთა“ – წარმოდგენილი მამხილებელი სიტყვა უძველესი დროიდან ქრისტიანული ეკლესიის წიაღში არსებული სწავლების გახმოვანებაა, რომლის თანახმადაც, ძველი ბერძნული მითოლოგიის ოლიმპოელი ღმერთები სინამდვილეში ოდესლაც მცხოვრები ადამიანები არიან, განსხვავებული, განსაკუთრებული, გამორჩეული, საგმირო თუ სხვა რამ საქმეების გამო მოგვიანებით რომ გააღმერთეს. წარმოვადგენთ რამდენიმე შესაბამის წყაროს: კლიმენტი ალექსანდრიელი შრომაში – „შემაგონებელი სიტყვა ელინებისადმი“ შენიშვნავს: „ისინი, ვისაც თქვენ ეთაყვანებით, ოდესლაც ადამიანებად შობილნი (άνθρωποι γενόμενοι ποτε), შემდგომში გარდაიცვალნენ, მითებმა და დრომ კი პატივით განადიდა ისინი“ (PG. t. 8; col. 152 A); ამავე საკითხს ეხება წმიდა ათანასე ალექსანდრიელი დოგმატური შინაარსის ნაშრომში: „სიტყვის განკაცების შესახებ და სხეულით ჩვენდამი გამოჩინებისათვის.“ ავტორი ერთგან წერს: „ძველად პოეტების მიერ ხსენებულ ზევსს, კრონოსს, აპოლონსა და გმირებს ღმერთებად მიიჩნევდნენ ადამიანები, რომლებიც ცდომილებით ეთაყვანებოდნენ მათ. ამჟამად კი, კაცთა შორის მხსნელის გამოჩინისას, მოკვდავ ადამიანებად განშიშვლდნენ ისინი (ἐκεῖνοι μὲν ἐγυμνώθησαν δύτες άνθρωποι θνιτοί), რადგან მხოლოდ ქრისტე შეიცნობა კაცთა შორის, როგორც ღმერთი ჭეშმარიტი. ამიტომაც იშვა

და ადამიანად გამოჩენდა, ივნო და ალდგა, მოაუძლურა და განაქარვა ოდესლაც მცხოვრები ადამიანები თავისი საქმეებითურთ“ (PG. t. 25; col. 180 C); ალექსანდრიელი მღვდელმთავარი იმავე შრომაში სხვაგან შენიშნავს: „თუკი მათი გონება<sup>1</sup> მკვდართა მიმართ (εἰς νεκροὺς) იყო დატყვევებული და, როგორც გმირებს, საღმრთო პატივს მიაგებდნენ ღმერთებად სახელდებულებს,<sup>2</sup> ხედავენ რა ალდგომას მხსნელისას, აღიარებენ, რომ ცრუნი არიან ისინი (ἐκείνους εῖναι ψευδεῖς) და მხოლოდ ჭეშმარიტი უფალი – სიტყვა მამისა მეუფებს სიკვდილზე“ (PG. t. 25; col. 124 AB).

ოქტომბრის მეტაფრასებში, წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს მარტვილობის ამსახველ ძველ ქართულ ძეგლში, აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად არის გაანალიზებული. ქრისტიანული რჯულის უარყოფის მიზეზით, რომის იმპერატორ მაქსენტის წინაშე წარდგენილი წმინდა ეკატერინე უარს განაცხადებს წარმართული ღმერთების პატივმიგებაზე და მეფეს მიზეზს განუმარტავს: „გიზმდა, – ჰრეუა, – გიზმდა შენ თავით თვისით გულისქიმისყოფა საცოტრისათ, შ მეფე, ვითარმედ განხრწნადთა კაცთა კერპებისა, ვითარცა ღმერთთა, მსხუერპლსა შესწირავ და ესრეთ განგდებად ელენებრსა ამას სისულელესა და სირცხვლსა.“<sup>3</sup> ეკატერინე რომაელ მონარქს ელინური სისულელისა და სირცხვილის უარყოფისკენ მოუწოდებს, რაც მოკვდავ, ხრწნას დაქვემდებარებულ კაცთა გამოსახულებებისადმი პატივმიგებაში ვლინდება. აღნიშნული ცნობა, თავის მხრივ, ზემოდამოწმებულ შრომებში განხილულ მოვლენას ეხმიანება, რომლის თანახმად, ელინთა ღმერთები ოდესლაც მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. წმინ-

<sup>1</sup> იგულისხმებიან უწინარეს უამს ჭეშმარიტების უარმყოფელი ადამიანები.

<sup>2</sup> იგულისხმებიან ძველ ბერძნულ სამყაროში ღმერთებად აღიარებული ზევსი, კრონოსი, აპოლონი.

<sup>3</sup> ძველი მეტაფრასული კრებულები, 2017: 766-767.

და ეკატერინე იმპერატორის მხილებას აგრძელებს: „ხოლო, ვინათგან მზაკუვარისა გრწმენა ეშმაკისა და ესოდენ გან-ცხადებულად დააბრმობ ჭეშმარიტებასა, უეჭველად გიჩმდა თქუენისალა სადმე ბრძნისა დიოდორესი რწმუნება ცნობად ლმერთა თქუენთა, ვითარ-იგი არიან და არა ესრეთ ლიტო-ნად და პირუტყულად ესვითართა უშუერებათა აღრჩევა და ლმრთად გონება კერპებსა კაცთა ამის ცხორებისა საწყალო-ბელად დამასრულებელთასა. რადგან იგი იტყვს კაცთა ლმერ-თქმნასა და ქველისმოქმედებითა რათმე უკუდავად სახელ-დებულებასა და მოგვთხოვობსცა თითოეულისა მათისა ქონე-ბასა სახელისნოდებისასა და რომელთა სოფლებთა და ქალა-ქებთა მთავრობდეს, ხოლო კაცთათვს იტყვს უმეცრებით შეც-თომილებასა ლმრთად წოდებითა მათითა და უკუდავებისა პა-ტივთა გარეშემოსითა.“<sup>1</sup> თუკი სიტყვის პირველ ნაწილში ზო-გადი ხასიათის განხილვა იყო მოცემული, ამჯერად წმინდა ეკატერინე რომაელ იერარქს კონკრეტულ წყაროზე, კერძოდ, ვინმე დიოდორეზე მიუთითებს და ნარმართ ბრძნად მოიხსე-ნიებს მას (შდრ. „თქუენისალა სადმე ბრძნისა დიოდორესი“), რომლის სწავლებაც, მსოფლმხედველობრივი ნათესაობის მი-ზეზით, მაქსენტისთვის გაცილებით სანდო უნდა იყოს. თუმ-ცა, წმინდა ეკატერინეს თქმით, სწორედ ხსენებული ნარმარ-თი დიოდორეს სიტყვებით იმხილება ელინურ-რომაული რე-ლიგია, რომელიც ოდესლაც ამასოფელში მცხოვრებ ადამიან-თა კერპებს აღიარებს ლმერთებად. ანალოგიური შინაარსის ცნობაა დაცული წმინდა თეოდორეს ზემოთ დამოწმებულ სიტყვაში, რომლის თანახმადაც, ბერძენთა ქალღმერთი არ-ტემიდე სინამდვილეში ეშმაკების არაწმინდა ნებას შედგომი-ლი და თორმეტ მამაკაცთან ტრფიალებით გულისთქმის აღ-მსრულებელი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელსაც არანა-ირად არ უნდა მიეგოს საუფლო პატივი.

---

<sup>1</sup> იქვე: 767.

გვ.: 54, 17-19. „მეყსეულად მოილეს ლანძკ დიდი, რო-  
მელსა ზედა დაეტეოდა წოლით მამაკაცი და დაპფინეს მის  
ქულშე ცეცხლი“ – ლანძკ განიმარტება, როგორც „სამფეხა.“  
მოცემულ კონტექსტში იგულისხმება ბადისებრი ფორმის  
მქონე დიდი სამფეხა, რომელზეც თავისუფლად შეიძლებოდა  
ადამიანის განთავსება (დაწვენა) და ქვემოთ ცეცხლის შენთე-  
ბა.

გვ.: 55, 2-3. „რომელი იქები ქერობინთა მიერ საყდარ-  
თა ზედა დიდებისა შენისათა“ – საუბარია პირველი ტრიადის  
ანგელოზთა ორ დასზე – ქერუბიმებსა და საყდარზე. ხსენე-  
ბული დასის ანგელოზების თაობაზე წმინდა წერილში მრავა-  
ლი მითითება გვხდება.

გვ.: 55, 4-5. „რომელმან მიხედნი ქუეყანასა და შეაძ-  
რნუნი იგი და შეახი მთათა და კუმოდიან“ – ციტატა ფსალმუ-  
ნიდანაა და იუდეველ მეფე დავითს ეკუთვნის: „რომელი მო-  
ხედავს ქუეყანასა ზედა და ჰყოფს მას შეძრნუნებულ, რომე-  
ლი შეახებს მთათა და კუმოდიან“ (ფს. 103. 32) (ვიმოწმებთ  
ოშკის ბიბლიას).

გვ.: 55, 22-24. „მოუწოდა მთავარმან მღდელსა ერთსა  
და ჰრქეუა: „რად გეწოდების შენ?“ მიუგო და ჰრქეუა მას: „დიოს-  
კორე არს სახელი ჩემი“ – წარმართი დიოსკორე თხზულებაში  
მღვდლად მოიხსენიება, თუმცა ის არის არა ქრისტიანული  
ეკლესიის მღვდლმასახური, არამედ წარმართი. მის შესახებ  
საეკლესიო ისტორიაში ცნობები არ მოგვეპოვება.

გვ.: 55, 25. „დიოსკორე ჰრქეუა: „დიოსს და ათინას“ –  
იგულისხმება ათინა, ბერძინული მითოლოგის თანახმად, ზევ-  
სის (ძველი ქართულით დიოსის) ერთ-ერთი ქალიშვილი, სიბ-  
რძნის, საომარი სტრატეგიისა და ტაქტიკის ქალღმერთი.

გვ.: 56, 8-10. „მთავარმან თქუა: „და ქრისტე უძლიერეს  
არსა დიოხსა?“ დიოსკორე თქუა: „ზევდიოს კერპი არს, კაცთა-  
გან გამოქანდაკებული“ – წარმოდგენილ დიალოგში ორი სა-  
ხელია დამოწმებული – „დიოსი“ და „ზევდიოსი.“ ორივე მათ-  
განი ერთსა და იმავე კერპს მიემართება, რასაც დიალოგის

შინაარსიც ცხადყოფს. კერძოდ, მთავრის შეკითხვაზე, არის თუ არა ქრისტიანთა ღმერთი დიოსტე უფრო ძლიერი, დიოსტორე პასუხობს, რომ ზევდიოსი (ანუ მთავრის მიერ ნახსენები ღვთაება დიოსი) მხოლოდ და მხოლოდ კერპია. ორივე სახელში კი, ბერძნული მითოლოგის თანახმად, საკუთრივ ელვის, ქუხილის, ცისა და, იმავდროულად, მსოფლიოს მმართველი ღმერთი – ზევსი იგულისხმება. ბერძნულში „დიოსი“ „ზევსის“ გენეტივის ფორმაა: **Ζεύς** (სახ.) – **Διός** [t<sup>h</sup>] (ნათ.).<sup>1</sup> ზევდიოსის სახით კი ის ბერძნულ წყაროებში არ გვხვდება. როგორც ჩანს, სახელი „ზევდიოსი“ ქართულ თარგმანში ექვთიმეს შემოქმედების ნაყოფია და იგი ზევსის სახელის ნომინატივისა და გენეტივის ფორმათა კონტამინაციის შედეგად არის მიღებული.

გვ.: 57, 18-19. „მას ლამესა მოვიდა პილასე ებისკოპოსი და ევედრა მესაპყრობილესა“ – მღვდელმთავარ პილასეს შესახებ ეკლესიის ისტორიაში ცნობები არ შემონახულა.

გვ.: 59, 8-9. „მაკედონიას ვიყავ და გამოჩნდეს მრავალნი მპრძოლნი ჩემნი და მაოტეს მიერ“ – იგულისხმება ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე მდებარე მხარე.

გვ.: 59, 9-10. „ნიკომიდიას მივედ“ – საუბარია ნიკომიდიაზე – მცირე აზიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქზე.

გვ.: 59, 10-11. „ტრიფონ გამომდევნა, სხუასა ადგილსა თვრსო მონამებან დაარღვა საყოფელი ჩემი“ – იმპერატორ ანტონინეს პერიოდში მოღვაწე ტრიფონსა და თვირსოზე საეკლესიო ისტორიაში ცნობები არ შემონახულა, თუმცა აქ დაცულია ინფორმაცია ამ სახელების მქონე იმ მოღვაწეებზე, რომლებიც მონამებრივად აღესრულნენ იმპერატორ დეკიუსის მმართველობის პერიოდში 249-251 წლებში. მნიშვნელოვანია, რომ ტრიფონი იმავე რეგიონში, კერძოდ, ფრიგიის ქალაქ აპამეის მახლობლად, ანამეს, ხოლო თვირსო – ქალაქ ნიკომიდი-

<sup>1</sup> Liddell, and Scott., 1940: 754.

აში. როგორც ვხედავთ, მათი ალსასრულის ადგილი ახლო ლოკაციაზე მდებარეობს. წმინდა ტრიფონის ცხოვრების თანახმად, მან იმპერატორ გორდიანეს ასულისგან ეშმაკი განდევნა. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად დამაჯერებელია, ერთი სახელის მქონე მოწამეები || საუკუნეშიც ყოფილყვნენ, თანაც, ზუსტად იმავე რეგიონში, ის უფრო რთული ასახსნელი იქნება, როგორ მოხვდა იმპერატორ ანტონინეს სახელი „თეოდორე პერგელის წამებაში.“ რომც დავუშვათ, რომ ავტორს შეეძლა (რაც ძნელად წარმოსადგენია: როგორ შეეშლებოდა იმ იმპერატორის სახელი, რომლის დროსაც მისი თხზულების მთავარი პერსონაჟი ანამეს), ექვთიმე მას უეჭველად შეამჩნევდა და გამოასწორებდა, მით უმეტეს, რომ ასეთი ფაქტები მისი მთარგმნელობითი საქმიანობისთვის უცხო არ არის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავუშვათ, რომ ტრიფონი და თვირსო ანტონინეს პერიოდშიც ცხოვრობდნენ და მათი სახელები არ შემორჩა ეკლესიის ისტორიას.

გვ.: 60, 17-19. „ნუ მისცემთ სინმინდესა თქუენსა ძალლთა, ნუცა დაასხამთ მარგალიტსა წინაშე ლორთა!“ – ციტატა სახარებიდანაა. კერძოდ, იგი მთაზე იესო ქრისტეს მიერ წარმოთქმული ქადაგების შემადგენელი ნაწილია (იხ. მათ. 7. 6).

გვ.: 61, 11-12. „რომელმან ელია ეტლითა ცეცხლისაჲთა ალამალე, რომელმან დანიელ პირისაგან ლომთაჲსა იქსენ“ – სამარტივილოდ გამზადებული თეოდორე წმინდა წერილში აღნერილ ორ შემთხვევას იხსენებს, რომელთა თანახმადაც, ლმერთმა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა მისი სიტყვის ერთგული მოსაგრების მიმართ. პირველი ცეცხლოვანი ეტლით ელია წინასწარმეტყველის სასწაულებრივ ზეცად ამაღლებას უკავშირდება (იხ. 2 მეფ. 2. 11-14), ხოლო მეორე – ლომების ხაროში ჩაგდებული დანიელ წინასწარმეტყველის ისტორიას (იხ. დან. 6. 17-29). რაც შეეხება სიტყვებს: „რომელი ჰზი ქერობინთა, განცხადენ“, წმინდა თეოდორე მოცემულ შემთხვევაში დავითის ფსალმუნის ციტირებას ახდენს (შდრ. „რომელი ჰზი ზედა ქერუბინთა, განსცხადენ“ ([ფს. 79.2]).

გვ.: 62, 9-12. „ესე რად თქუა ნეტარმან მან, ვიხილეთ ყოველთა ეტლი ცეცხლისად მომავალი ზეცით და აღილო წმიდად იგი მოწამე და დაადგინა წინაშე კარსა ურჩულობსა მის მთავრისასა“ – თხრობის თანახმად, ღმერთმა შეისმინა წმინდა თეოდორეს ლოცვა და მის მიერ ვედრებაში ნახსენები ორი ბიბლიური სასწაულიდან ერთ-ერთი, კერძოდ, ელია წინასწარმეტყველის მსგავსი საკვირველება აღასრულა – ცეცხლოვანი ეტლით გამოიტაცა იგი მტარვალთა ხელიდან.

გვ.: 63, 14-18. „მინდა, რათამცა ჰყავ სასწაულ კეთილდა განავე მოსლვად დედისა ჩემისა... რამეთუ დედად მისი უცხო თესლთა ვიეთგანმე წარტყუუნულ იყო“ – წინამდებარე ტექსტში წმინდა თეოდორეს ოჯახის შესახებ ცნობა პირველად არის გახმოვანებული და მისი დედის თაობაზე გვამცნობს, რომელიც უცხო ადამიანებს ჰყავდათ ტყვედ.

გვ.: 64, 6-7. „რომელთა სახელები არს სოკრატე და დიონოსი“ – სოკრატე და დიონისე პერგელი მთავრის, დიოდორეს, ჯარისკაცები არიან. მათ შესახებ საეკლესიო ისტორიაში ცნობები არ შემონახულა.

გვ.: 65, 1-3. „და იწყო წმიდამან მან გალობად: „წმიდაო ღმერთო!.. წმიდაო ძრიელო!.. წმიდაო უკუდაო...“ – ამ ლოცვას, საეკლესიო სწავლებით, „სამწმინდაობის საგალობელი“ ეწოდება, ხოლო თეოდორეს თანამარტვილ მხედართა მიერ მიგებული პასუხი: „ალილუაზ“ ეპრაული სიტყვაა, რომელიც უცვლელად შენარჩუნდა თავდაპირველად ბერძნულენოვან, ხოლო მოვიანებით ყველა სხვა ენაზე თარგმნილ შესაბამის ტექსტებში და ასე განიმარტება: „აქებდით იაჰეს.“

გვ.: 65, 10-12. „მიმოდაყარე ალი ესე ცეცხლისად ჩუენგან, ვითარცა მიავლინე ანგელოზი და დაშრიტა საწუმილი იგი სამთა ყრმათა ბაბილონს“ – წარმოდგენილ ლოცვაში წმინდა თეოდორე დანიელის წიგნში გადმოცემულ სასწაულებრივ ისტორიას იხსენებს, რომელიც ბაბილონში გადასახლებულ სამებრაელ ყრმას – ანანიას, აზარიასა და მისაელს – უკავშირდება (იხ. დან. 3).

გვ.: 66, 3-6. „ვიდრელა იყო საშოსა ჩემსა მონად ესე შენი, ესრეთ მიბრძანე, ვითარმედ: „თეოდორე უწოდე მას, რამეთუ დიდსა დიდებასა მიიწევის“, და ვითარ ან საქუმილსა შინა ცეც-ხლისასა იტანჯების?“ – ირკვევა, რომ დედამისს საკუთარი შვილისთვის სახელი საღვთო შთაგონებით დაურქმევია და მასში ერთგვარი წინასწარმეტყველება ყოფილა დაფარული, კერძოდ, ბერძნული სახელი „თეოდორე“ კომპოზიტია და ითარგმნება, როგორც „ლვთის ძლვენი.“ შესაბამისად, ზეგარ-დმო შთაგონებით, იგი მოწამებრივი აღსასრულის შედეგად ლვთისთვის საკუთარი თავის მიძღვნის იდუმალებას აცხადებ-და.

გვ.: 70, 1-2. „აღესრულა წმიდად თეოდორე და დედად მი-სი ფილიპა და მწედარნი იგი თუესა აგვსტოსსა კ“ – ტექსტის თანახმად, წმინდა თეოდორეს გარდაცვალების დღედ 20 აგ-ვისტოა განსაზღვრული.

## „ანთიმოზ ნიკომიდიელის წამეპა“

გვ.: 72, 1-2. „თუესა სეკუტემბერსა გ წამეპაჲ წმიდისა და ნეტარისა ანთიმოს ნიკომიდიელ მთავარეპისკოპოსისაჲ“ – წმინდა ანთიმოზი – III-IV საუკუნეების მოღვაწე, ქალაქ ნიკო-მიდიის ეპისკოპოსი, მოწამეპრივად აღესრულა 302 წლის 3 სექტემბერს.

გვ.: 72, 4-5. „ქუეყანასა ბითვნიისასა, წიაღ კერძო ბი-ზანტიისა, ქალაქი არს, სახელით ნიკომიდიაჲ“ – ბითვინია, ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, რომის იმპერიის პროვინ-ცია იყო, რომელსაც მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწი-ლი ეკავა. რაც შეეხება ნიკომიდიას, ნიკეასთან ერთად ის ბითვინიის ცენტრალურ ქალაქად ითვლებოდა და თანამედ-როვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

გვ.: 72, 15-16. „რამეთუ ყოველსა ქუეყანასა განჯდა წმაჲ მოღუაწებისა მისისაჲ და კიდეთა სოფლისათა სასწაული მისნი“ – დავითის ერთ-ერთი ფსალმუნის პერიფრაზია: „ყო-ველსა ქუეყანასა განჯდა წმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი“ (ფს. 18. 4).

გვ.: 72, 27-29. „ხოლო დედაჲ იგი სათნოებათაჲ – სიყუა-რული ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა მოიგო ღმრთი-სა მიმართ“ – სიყვარულის, როგორც ყველაზე აღმატებული სათნოების, შესახებ საეკლესიო ტექსტებში გახმოვანებული მსგავსი სახის სწავლებანი წმინდა წერილს ეფუძნება. მაგალი-თად, პავლე მოციქულის ეპისტოლებში ვკითხულობთ: „ან ესე-რა ჰებიეს სარწმუნოებად, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს“ (1 კორ. 13. 13); იოა-ნე ღვთისმეტყველი კი სიყვარულის უფრო აღმატებულ გან-მარტებას გვთავაზობს და საკუთარ სახელად განუეუთვნებს მას ღმერთს: „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4. 16).

გვ.: 73, 11-12. „წერილ არს, საყდრებსა მოხუცებულ-თასა აქებდენ უფალსა“ – ამონარიდი პარალელს პოვებს

ფსალმუნში: „საყდრებსა მოხუცებულთასა აქებდენ მას“ (ფს. 106. 32).

გვ.: 73, 19-20. „მოუწოდა უფალმან მღდელთმოძლუარ-სა მას ქალაქისასა ამიერ სოფლით, ნეტარსა კვრილეს“ – საუბა-რია ნიკომიდიელ მღვდელმთავარზე, რომლის გარდაცვალე-ბის შემდეგ იმავე საყდარზე წმინდა ანთიმოზი გამოირჩა.

გვ.: 74, 10-14. „კაცი იგი საკვრველი და დიდებული ინ-დე წარჩინებული პალატსა შინა მეფისასა, რომელმან სწავლითა დიდისა ანთიმოხსითა დაუტევა მეფე და სამეუფონი შუებანი დომნას თანა, დიდებულისა მის სეფე ქალისა“ – ინდე და დომ-ნა, როგორც ტექსტიდან ირკვევა, სამეფო კარზე წარჩინებუ-ლი ადამიანები ყოფილან და წმინდა ანთიმოზს მოუქცევია ისინი ქრისტეს რჯულზე, რის შემდეგაც მოწამებრივად აღ-სრულებულან.

გვ.: 74, 17-20. „წამებს მოძლურებასა ანთიმოხსა სიმ-რავლე ორთა მათ ბევრთა, რომელნი ცეცხლითა სრულ იქმნეს და საკუერთხად შეინირნეს უფლისა ამათ თანა: მარდონიოსცა და მიღდონიოს პეტრე და დოროთე და ზენონ ახოვანნი“ – იგუ-ლისხმება, რომ გარდა ზემოხსენებული ორი მოწამისა (ინდე-სა და დომნასი), ანთიმოზის მარტვილური აღსასრული სხვებ-მაც გაიზიარეს და დასახელებულია ხუთი ადამიანი.

გვ.: 74, 26-27. „დაიპყრა მეფობაჲ მაქსიმიანე“ – მაქსი-მიანე (ლათ. Marcus Aurelius Valerius Maximianus Herculius) რომის იმპერიას განაგებდა 286-305 წლებში.

გვ.: 75, 5-6 „ხოლო იყო მაშინ ნეტარი იგი დაბასა, რო-მელსა ეწოდებოდა სიმანე“ – იგულისხმება დაბა სიმანი, ქა-ლაქ ნიკომიდიის ერთ-ერთი მომიჯნავე გარეუბანი, რომელიც უდაბური ადგილი იყო (შდრ. „იყო დაბად იგი ადგილსა უდაბ-ნოსა“).

გვ.: 76, 16-17. „რამეთუ უფალი მწე ჩემდა არს, არა შე-მეშინოს, რად მიყოს მე კაცმან“ – დამოწმებული ციტატა

ფსალმუნიდანაა: „უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს, რად  
მიყოს მე კაცმან“ (ფს. 117. 6).

გვ.: 77, 31-32. „მზა იყვენით მიცემად სიტყვასა ყოველთა,  
რომელი ეძიებდენ თქუენგან სიტყუათა“ – ნაწყვეტი ახალი აღ-  
თქმიდან, კერძოდ, პეტრე მოციქულის პირველი კათოლიკე  
ეპისტოლიდანაა (1 პეტრ. 3. 15).

გვ.: 77-78. „მიგცე თქუენ სიტყუად და სიბრძნე, რომელ-  
სა ვერ უძლონ წინააღმდეგომად ყოველთა წინააღმდეგომთა თქუ-  
ენთა“ – ციტატა ლუკას სახარებიდანაა (ლუკ. 21. 15).

გვ.: 80, 17-22. „აპა ესერა, ღმერთი შემწე ჩემდა არს და  
უფალი შემწყნარებელ არს სულისა ჩემისა. მიაქციოს ბოროტი  
მტერთა ჩემთა ჭეშმარიტებითა მისითა. მოსარნეს იგინი და მე ნე-  
ბითა ჩემითა მსხუერპლი შევწირო მისა და აღუარო სახელსა  
მისასა, რამეთუ კეთილ, რამეთუ ყოვლისა ჭირისა ჩემისაგან  
